95(05)
979

1901

№ 3 1883 –1901 15 თებერვალი

მწყემსი

05
9.579

ოფიციალური განკოფილება

P 38839

ცირკულიარული მიწერილობა

ეოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ღეონიდასა ბლაგოჩინებისადმი 28 დეკემბრიდან 1900 წ.

სარწმუნო წეაროებისაგან შეგიტყვე, რომ დიდის ხნიდან იმერეთის ეპარქიაში არსებობს არა თუ შესაფერი, არამედ ქრისტეს სარწმუნოების პირდაპირ წინააღმდეგი ჩვეულება მიცვალებულთა დამარხვისა. მიცვალებულნი რჩებიან დაუმარხავად ხუთი დღე და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი ხანი, და ამ ხნის განმავლობაში სრულდება მიცვალებულთა ტირილი აღსავსე ფარისეველობით და თვალთ-მაქცობით. ჩვეულება, რომლის ძალით შემოსილი მღვდელი ვალდებულია იდგეს კუბოსთან და საცეცხლურის კმევით მიეგებოს მომტირალთ, რომელთაც წინ უძღვისთ მოზარეები, ამცობს მღვდლის ხარისხს, მეორეს მხრით მღვდლის ასეთი საქციელი თითქო კანონიერს ხეს სდების მიცვალებულის ამ გვარ თვალთ-ვურ ტირილს, ხოლო დატოვება მიცვალებულისა დამარხვის დღეს სახლში საღამდე და ეკლესიაში მიცვალებულის სულის სახსენებელი წირვის შესრულება მარტო მღვდლისაგან მიცვალებულის ჭირისუფალთა დაუსწრებლად (ეველანი რჩებიან მიცვალებულის კუბოსთან), არის დარღვევა ეკლესიური ჩვეულებისა და არ ეთანხმება დამარხვის წესრიგს, სადაც, სხვათა შორის, მიცვალებულზე მცირე ლიტიის შესრულებისა სახლში, ნათქვამია: «ავასვენოთ ვვამი მიცვალებულისა და წარვიდეთ ტაძარში». ამიტომ ჩემდამო რწმუნებული ეპარქიის სამღვდელოებას აუცილებელ მოთხოვნილებად უდგენ, ა) ველაზე უწინარეს თვითონ სამღვდელოებამ უჩვენოს სამწესოთ კეთილი მაგალითი ამ შემთხვევაში და, როგორც თავიანთ ოჯახობათა რომელიმე წევრის ისე მახლობელი ნათესავების გადაცვალების დროს, დაუმარხავად არ გაუშვან მიცვალებული სამი დღის მეტი. მესამე დღეს გაასვენონ მიცვალებული კუბო ეკლესიაში, აქ შეასრულონ წირვა. და წირვის ბოლოს შეასრულონ წესის აგება, მიაბარონ მიცვალებული მიწას და არას დროს მიცვალებულის კუბოსთან არ აღასრულონ არც ერთი ის, რაც დღეს ველას ჩვეულებად აქვს მიცვალებულთა დამარხვის დროს; ბ) სამღვდე-

ლოებამ უნდა გააგებინოს სამწუსოთ მოძღვრების და ღვთის გარეშე—საუბრების შეწყობით, მიცვალებულთა დამარხვის ქრისტიანული წეს-რიგი, ᲒᲐ) უნდა გააგებინონ, თუ რა წეს-რიგი აქვს დადგენილი ეკლესიას მიცვალებულთა დამარხვისათვის და ᲓᲐ) აგრეთვე გააგებინონ, თუ რამდენად ურიგო და შეუფერებელია, როცა ჩვენის ნებით ვცვლით ეკლესიის მიერ შემოღებულ წეს-რიგს ჩვენი გამოგონილი და სარწმუნოებრივ მნიშვნელობას მოკლებული წესებით. ჩემდამი რწმენებული ეპარქიალური კანცელარია აცნობებს ᲐᲛᲐᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔᲑᲡ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ და თან დასძენს, რომ ჩემ მიერ, ეპირქიის დასედვის დროს, სამრევლოთა გამოკითხვით შეკრებილი იქნება ცნობები შესახებ მისა, თუ რა მოიქცევა ამ საგნის შესახებ თითოეულმა მღვდელმა და ეროვნ. რომელნიც ამ საგნის შესახებ არ გამოიჩენენ მუეიაოობას და ᲐᲠᲐ-ᲘᲥᲘᲗ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲜ, რომ ეს ძველი წეს-რიგი არ მოისპოს, ძალიერ სასტიკად დაჯარიმდებიან.

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო და სასულიერო უწყებას:

კოლეგ რეგისტრატორს დაეთ მაღალაშვილს და ᲐᲮ. ᲔᲥᲗᲘᲛᲘᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲔᲑᲝᲫᲐᲗ ᲬᲛ. ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲛᲔ-3 ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ.

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ტიტ. სოვეტნიკს ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲑᲝᲫᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲡᲔᲡᲝᲠᲝᲑᲐ.

კოლეგსკი ასესორობა დაუმტკიცდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔᲡ.

უმაღლესი ბრძანება სასულიერო უწყებას:

უმაღლესად ებოძა ოქროს მედალი სტანისლავის ლენტით ტფ. მაზრის სოფ. ერთვისის წმ. გიორგის ეკლესიის მნათეს გლეხს შავიანიძეს.

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲗ: სოფ. რუისის (გურიის მაზრა) ფერიც. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲕᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ და ᲘᲝᲗᲕᲘᲡᲘᲡ (შორაპნის მაზრა) ᲘᲝᲐᲜᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ-ᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔᲡ; ᲬᲛ. ᲐᲜᲜᲐᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲗ სოფ. ᲩᲥᲣᲛᲘᲡ (იმერეთის ეპარქია) მთავარ-ანგელოზის ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲝᲠᲐᲚᲘᲐᲜᲡ; ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲗ: სოფ. ᲭᲙᲐᲚᲑᲔᲩᲘᲡ (იმერეთის ეპარქია) ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲛᲔᲗᲝᲜᲘ ᲒᲐᲡᲘᲐᲜᲡ და ᲙᲐᲩᲐᲔᲗᲘᲡ (იმავე ეპარქიის). მთავარ-ანგელოზის ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲜᲐᲗᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲐ ᲭᲔᲚᲘᲫᲔᲡ.

უწმიდესი სინოდის განჩინება

2—9 აგვისტოს 1900 წ. № - 3167 ნომრით, საადგომო ღია ბარათებზედ სალმრთო კამოხატულებათა დაბეჭდის შესახებ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲣᲦᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐ, ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲣᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲔᲡᲘ სინოდს ᲰᲥᲝᲜᲓᲐ მსჯელობა ერთის საქველ-მოქმედო საზოგადოების შუამდგომლობის გამო იმის შესახებ, რათა მას მიეცემოდა ნება საადგომო ღია ბარათებზედ—საღმრთო გამოხატულებათა დაბეჭდისა. ᲑᲠᲫᲐᲜᲔ: განხილულ იქმნა რა ხსენებული შუამდგომლობა, უწმიდესი სინოდი ხედავს, რომ დაბეჭდვა საადგომო ღია ბარათებზედ საღმრთო გამოხატულებათა არ შეიძლება ნება-დართულ იქმნას, ვინაიდგან ამ გარემოებას შეუძლია შეურაცხ ᲰᲧᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲛᲝᲬᲘᲤᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲛᲐᲠᲗᲚ-ᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲗᲐ, რაის შესახებ დაიბეჭდოს საეკლესიო-უწყებათა „ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ“.

დაიბეჭდა წიგნი „ᲟᲐᲛᲜᲘ“ ᲮᲣᲪᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝ-ᲔᲑᲘᲗ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲜᲓᲠ ᲡᲕᲘᲛᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ

ᲦᲐᲚᲘ 2 Მ. და 15 Კ.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 3 | 1883—1901 | 15 თებერვალი.

რედაქციისაგან.

ვინ არ იცის, რა სასარგებლო არის საზოგადოებისათვის ბეჭდური სიტყვა და რა აუცილებელს საჭიროებას უნდა წარმოადგენდეს მისი მუდმივი თვალ-ყურის დევნება ყოველი შეგნებული ადამიანისათვის? ეს ყველასაგან და ყველგან უკვე შეგნებული ჭეშმარიტება, მხოლოდ ჩვენში თუ არის ჯერ კიდევ სათუო და ნაკლებად ფესვ-გადგმული, თორემ მთელს დედა-მიწის ზურგზე, ველურ თემების მეტი, დიდი ხანია ბეჭდურ სიტყვას ყველა სიყვარულითა და თანაგრძნობით ეკიდება. ამის განსაკუთრებული მიზეზები ჩვენში სულ სხვაა, მაგრამ ჩვენ აქ ამის გამოკვლევას ვერ გამოვუდგებით. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ სულ უსასოო არა ვართ და ჩვენი საზოგადოებაც ასე თუ ისე ეჩვევა კითხვას და თან-და-თან ითვისებს, უმრავლესობა თუ არა, უმცირესობა მაინც ამ ჩვეულებას, იმ ზომამდე, რომ ზოგს აუცილებელ მოთხოვნილებადაც დასახვია იგი. ბევრი მიზეზად ქონებრივ ხელ-მოკლეობას ჰაადის. მაგრამ იგი რაც უნდა უკიდურესი იყოს, ხელს ვერ ააღებინებს ადამიანს ბეჭდურ სიტყვის თვალ-ყურის დევნებაზე. თავი და თავი მიზეზია მხოლოდ გონებრივი სიზანტე და ცნობის-მოყვარეობის მოდუნები. რამდენ უსაფუძვლო რამეზე ეხარჯება ფული თვით ღარიბსაც-კი? მაგრამ ჟურნალ-გაზეთებზე დახარჯვას ფულებისას მაინც უმრავლესობა როგორღაც ზედმეტად უყურებს და გაურბის მეტის-მეტად. იმედია, თან-და-თან ეს ბნელი გაიფანტება და საზოგადოებაც მიეჩვევა უფრო მეტ დახმარების აჩენას ჟურნალ-გაზეთების მიმართ. ეს

კი ორნაირად შეიძლება: ვისაც წერა შეუძლია, წერისათვის დროს და შრომას უნდა იმეტებდეს, და ვისაც მხოლოდ კითხვა შეუძლია, იგი კითხვას არ უნდა იზარებდეს და დაკვეთით, ესე იგი მცირეოდენის წვლილის გაღებით, ხელს უწყობდეს გამოცემის საერთო საქმეს. ამნაირად, შეუმჩნეველის საშუალების დახარჯვით, საერთო მიზანს აღწევს საზოგადოება და წარმატებისაკენ გზას იკაფავს მეტის სიუხვითა და სიჩქარით. ეგებ ახალმა საუკუნემ ეს ახალი თვისება მაინც შეგვძინოს და, რასაკვირველია, არ იქნება ურიგო...

ამასთან არ უნდა დაივიწყონ მკითხველთა, რომ ჩვენს საქართველოში მხოლოდ ერთად-ერთი ჟურნალია „მწყემსი“ დედა-ენაზე, რომელიც სხვა-და-სხვა სალიტერატურო ცნობებს გარდა, მკითხველებს დრო-და-დრო აწვდის სარწმუნოებრივსა და ზნეობრივ გონების საზრდოს. ამისთანა შინაარსის ჟურნალები შეგნებულ ხალხში გავრცელებულია ყველგან და დიდ საჭიროებასაც შეადგენს; მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, ჰგონიათ, რომ ამისთანა შინაარსის ჟურნალების კითხვა ვითომ მარტო სამღვდელოების საჭიროებას და მოვალეობას უნდა შეადგენდეს!..

თუმცა ჟურნალი „მწყემსი“ არც ერთ ქართულს ენაზე არსებულ ჟურნალებს არ ჩამოუვარდება ხელ-მომწერლების რიცხვით, მაგრამ მაინც სასურველია მეტად მისი გავრცელება ჩვენს ხალხში. დამკვეთი ჟურნალისა შეიქნება თითქმის წევრი ყოველ წლობით იმ კეთილი მიზნის აღსრულების საქმეში, რომელსაც ეს ჟურნალი ემსახურება დაარსების დღიდგან, და ამისათვის საჭიროა სულ სამი მანეთი!..

გულითად მადლობას ვუცხადებთ რა ჩვენს მუდმივ ხელის მომწერთა, რომელნიც დღიდგან დაარსებისა ყოველ წლობით იწერენ „მწყემსს“, ვსთხოვთ მორჩილად ყველას დაგვეხმარონ ამ ორგანოს საერო წოდებაში გავრცელებაზე.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქუთაისში 15 დეკემბერს 1899 წ.

გაგრძელება *)

15 დეკემბერს, შვიდ საათზე შეიკრიბნენ დეპუტატები და შეექმნათ გრძელი ბაასი ქალების სასწავლებელთან პანსიონის დაარსების შესახებ. სამღვდელოების კრება ძლიერ დაფიქრა მათი მეუფების სიტყვამ. თითქმის ყველა თანახმა იყო იმ აზრის, რომ ამ სასწავლებელში სიარული ძლიერ მოუხერხებელია მოსწავლე ქალთალთათვის, რადგან სასწ. ქალაქის განაპირას იმყოფება. ყველა კარგადგ რძნობდა, რომ მოსწავლეთა ბინა, რასაკვირველია, სასწავლებლის ახლო სჯობს და პანსიონი, რასაკვირველია, საჭიროა განსაკუთრებით ქალების სასწავლებლისათვის, მაგრამ ამავე დროს დეპუტატები ძლიერ დაფიქრებულნი იყვნენ, რადგან პანსიონის დაარსებისათვის საჭირო ფული არა ჰქონდათ. სხვა ეპარქიებში როგორც თვით სამღვდელოებას, ისე მათ ეკკლესიებს იმდენი შეძლება აქვსთ, რომ ადვილად შეუძლიათ სხვა-და-სხვა წყაროებიდან ფულების შეკრება, მაგრამ ჩვენში ადგილობრივი საშუალებანი თითქმის აღარ არიან. 1899 წლის ბოლოს სამღვდელოების კრებამ ოთხი ათას მანეთამდე გამონახა ადგილობითი წყაროებიდამ დასაფარავად იმ ხარჯისა, რომელიც ითხოვებოდა ქალების სამ კლასიანი სკოლის ექვს კლასიანად გადაკეთებისათვის და დღეს, ამისთანა ადგილობითი წყარო სრულებით აღარ მოინახება. ახალი მღვდელ-მთავრის პირველი წინადადების მიუღებლობაც აწუხებდა და აღონებდა ყველას და საშუალების უმექონებლობაც. მაგრამ დიდი ხნის ბაასისა და მოფიქრებისა კრებამ გადასწყვიტა ისევ თავისი ჯიბიდან გადაიხადოს ექვსი წლის განმავლობაში ყოველ წლობით თითოეულმა თითო თუმანი პანსიონის სახლის ასაშენებლად. ეს შეგროვილი ფული თითქმის 35 ათას მანეთამდე შეადგენს. 35 ათასი მანეთის შეკრება და მეტისაც ადვილი საქმეა დიდს ეპარქიაში, სადაც შეძლებული ეკკლესიები არის ხშირად ან სადაც

*) იხ. „მწყემსი“ № 1—2. 1901 წ.

სანთლის წარმოების საქმე გაძლიერებულია, მაგრამ იმერეთის ეპარქია ყველა ამას მოკლებულია და ამისათვის, სამღვდელოების ასეთი განაჩენი სწორედ საქები და მოსაწონია მით უმეტეს, რომ თავის მწყემსთ-მთავრის წინადადებას პატივი სცა და ღარიბი ჯიბიდან 35 ათას მანეთამდე შესწირა პანსიონის სახლის ასაშენებლად. ჩვენის ფიქრით, ადვილი მოსახერხებელია ეხლავე შეუდგენ პანსიონის სახლის აშენების საქმეს, მაგრამ დიდი მოფიქრება არის საჭირო, თუ სად აშენდეს ეს სახლი. პანსიონი, რასაკვირველია კარგია თვით სასწავლებლის გვერდზე, მაგრამ სასწავლებლის სახლიც არ არის მაინც და მაინც კარგ ადგილას და ამისათვის საჭიროა ყოველი მხრით გამოკვლეულ იქმნეს ადგილი, სადაც უნდა აშენდეს პანსიონის სახლი.

მეორე დღეს სხდომის გახსნისათანავე კრებამ განიხილა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამართველოის წინადადება, რომლის ძალით სამღვდელოებას ეთხოვებოდა, რომ მის საშუალებიდამ 150 მანეთი დაენიშნა სემინარიის მოძღვრის მღვდლის ი. ბაკურაძისათვის, რადგან ამ უკანასკნელს არავითარი ჯამაგირი არ ეძლევა მოძღვრის თანამდებობისათვისო. ამავე წინადადებით სამღვდელოებისაგან ითხოვებოდა, რომ ას ოცი მანეთი დაენიშნათ სემინარიის ექიმის ბ. მ. ძნელაძისათვის საექიმო ლექციების კითხვისათვის სემინარიის უკანასკნელ ორ კლასში. სამღვდელოების კრებამ საშუალების უმექონებლობისა გამო უარი განაცხადა სემინარიის მოძღვრისთვის სასყიდლის დანიშვნაზე და რაიცა შეეხება ექიმისათვის 120 მანეთის დანიშვნას, თავის მხრით იმერეთის სამღვდელოებამ დაუნიშნა სამოცი მანეთი და სამოცი მანეთი მოითხოვა გურია-სამეგრელოის სამღვდელოებისაგან. უნდა მართალი ვსთქვათ, რომ ოცტა არ იყოს, ამ საგანს ეპვის თვალით უყურებთ. არ გვჯერა, რომ რომელიმე ექიმი გახდეს თანახმა თორმეტ თუმნად ადვილად გასაგები ლექციები იკითხოს ექიმობაზე სემინარიაში. 1867 წლამდე ექიმობის სწავლება სემინარიებში სავალდებულო იყო სხვა საგნებთან ერთად და ჯამაგირიც ქონდათ დანიშნული ექიმებს. ბევრი ექიმი ისე ცუდათ ასწავლიდა ამ საგანს, რომ სემინარიელები ვერავითარ სწავლას ვერ იძენდენ და ამიტომ ბოლოს სრულიად მოსპეს ექიმობის სწავლება სემინარიაში. ბოლო დროს მიხვდენ შეცდომას. სემინარიელების ზარმაცობა და დაუდევრობა კი არ იყო მიზეზი ამ საგნის უსწავლელობისა, არამედ გულ-გრილად ხელის მოკიდება ექიმების მხრით. ზოგიერთ ექიმს საკმარისად მიაჩნია რომელიმე დაბეჭდილი წიგნი აიღოს და ამ წიგნიდამ უნიშნოს გაკვეთილები სემინარიის მოწაფეთა. ამისთანა სწავლებაზე, რასაკვირველია, ექიმს დიდი შრომა არ დასჭირდება, მაგრამ მოსწავლეებიც დიდ სარგებლობას ვერ გამოიტანენ. ექიმს კი ლექციებით შეუძლია ექიმობის სწავლება საინტერესო საგნად გახადოს მოსწავლეთათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მას მოელის შრომა და არ გვჯერა, რომ თორმეტ თუმნად ვინმე დათანხმდეს ამ საგნის სწავლეაზე; თუ რიგიანად იქმნება დაყენებული ჰიგიენის და ექიმობის სწავლება სემენარიაში, არა თუ თორმეტი თუმანი, სამასი მანეთიც ცოტაა და სამღვდელოებაც არ უნდა მოერიდოს ამ ხარჯს, ოღონდ კი საქმე იქნეს რიგიანად დაყენებული.

(გაგრძელება იქნება)

არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარეხანს)

(გაგრძელება *).

მისიონერთა მოხსენების გარეშეც, რომელ მოხსენებიდგანაც ჩვენ, რამდენადაც შესაძლო იყო, გამოვკრიბეთ ზემოთ დასახელებული ცნობები, არის კიდევ ფრიად საგულისხმო საბუთი, რომელიც გვიმტკიცებს, თუ რამდენად წარმატებით ავრცელებდნენ კათოლიკეთა მისიონერები თავიანთ მოძღვრებას ქართველთა შორის. ეს საბუთი არის სია მოსწავლე ქართველთა რომის კოლლეგიაში 1633—1755 წ.წ. [1]). ამ სიაში აღნიშნული დრო-

*) იხ. „მწყემსი“ № 23—24 1900 წ.

[1]) Sacerdoti Giorgiani alunni del collegio urbano (Registro degli alunno del collega urbano vol. I, dal 1633 al. 1753).

ის განმავლობაში მე დავითვალე 27 ქართველი მოწაფე. აქვე მოვიყვან ზოგი მათგანის სახელებს: 1) Andrea Mengrelo fu ricevuto 27 di Septebre 1643 an....gli aveva dato il principe di Mengrelia accio in Suo nome la presentassa al Papa. ეს მეგრელი სხვებთან ერთად საჩუქრად გამოუგზავნია პაპისათვის სამეგრელოის მფლობელს. 2) Michele Angelo figlio di Sciermasan e di Tamar, ambedue scismatici (ე. ი. შვილი მართლ-მადიდებელ მშობელთა), nato in Tiflis, in Giorgia 1686. 3) Solomon Giorgiano entro in collegio 1688 an. 4) Giuseppe Abessalomiani giorgiano. მშობლები მისი უკვე იყო cattolici di Tiflis 1703. 5) Giovanni figliodi Melechior (ე. ი, მალაქია) Gigananti, di mad re e fratelli cattolici. ma di genitori scismatici, entro in Coll. 18 giugno 1729. დედა და ძმები ამ მოწაფისა უკვე შეერთებიან რომის ეკლესიას, მამას კი არ უმტყუნებია მარლ-მადიდებელ სარწმუნოებისათვის ანუ დარჩენილა სხიზმატიკად, როგორც ჩვენს ეკლესიას უწოდებს კათოლიკეთა ეკლესია. 6) 1667 წ. სწავლობს კოლლეგიაში Petrus di Giorgio Giorgianno. ვიკმაროთ ეს სია, რომელშიაც ჩამოთვლილია ქართველი კათოლიკენი, რომელნიც სწავლობდნენ რომის კოლლეგიაში 1707 წლამდე. ჩვენ ხელთ გვაქვს კიდევ სხვა ბევრი ცნობებიც შესახებ ქართველებისა, რომელნიც სწავლობდნენ რომში შემდეგ წლებშიაც. მაგრამ იმ აზრის გასამტყუნებლად, ვითომ საქართველოში იყვნენ მხოლოდ სომეხი ქათოლიკენი, საკმაოა გავიხსენოთ სახელები მეფეთა, ქათალიკოსთა, თავადთა [2]) და უბრალო ქართველ მკვიდრთა, რომელთაც მიიღეს კათოლიკეთა აღსარება. თითქმის ყველა წოდების წარმომადგენელთ ჰქონდათ მიღებული კათოლიკეთა სარწმუნოება, განსაკუთრებით იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში [3]), სადაც დიდის წარმატებით ვრცელდებოდა კათოლიკეთა აღსარება. მოწაფეთა სახელები რომში გვიჩვენებენ, რომ მოსწავლენი შედიოდნენ კოლლეგიუმში საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ. ამ მოსწავლეთაგან შემდეგში ნიშნავდნენ მისიონერებს საქართველოში კათოლიკეთა აღსერების გასავრცელებლად. მხოლოდ მათი პირდაპირი ზედამხედველობით იბეჭდებიან წიგნები კათოლიკეთა აღსარების შინაარსისა სამწყსოთა სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჯერ კიდევ 1683 წ. ბერნარდო ნეაპოლიტანელი ტფილისში ადგენს ქართველ კათოლიკეთათვის დარიგებას სარწმუნოების შესახებ; შემდეგ მანვე შეადგინა ქართულს ენაზე კატეხიზმო, რომელშიც ჩაურთო მართლ-მადიდებელი აღსარების სწავლაც; რადგან შენიშნა, რომ სიმეოლო სარწმუნოებისა აგრეთვე შედგენილა წმ. მოციქულებისაგან. როგორც სჩანს, ეს წიგნი დანიშნული იყო მართლ-მადიდებელ ქართველთათვის, რომელთაც მიიღეს კატოლიციზმი. წიგნის წინასიტყვაობისაგან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ქართველი ზაალ ედიბეგი «primo cattolico e scolare de Fide Propaganda», ენის მცოდნე პირთ კაი აზრი წარმოუთქვამთ ამ წიგნის შესახებ, რომელიც შედგენილი ყოფილა თანახმად კათოლიკეთა სარწმუნოებისა. ასეთივე კატეხიზმო შემდეგში თარგმნა ლათინურიდამ ქართულს ენაზე ქართველმა, ჭ. გორის მცხოვრებმა, რომელიც აღზრდილი იყო რომში. ეს იყო დავით თულუქაშვილი, ხოლო მის წიგნს ეწოდება Dottrina Christiana per uso missioni della Giorgia [4]). 1629 წელს ქართულ-იტალიანური სლოვარის შედგენის დროს პაულინს სამსახური გაუწია ნიკიფორე ირბახმა—giorgiano monaco di S. Basilio.

---

[2]) დავასახელოთ კიდევ ერთი „ერისთავი არდაშეგი“, ნათესავი მეფისა, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარება 1668 წ., როგორც ამას მოწმობს სიგუთი, რომელიც გაგზავნილია რომში კაპუცინების მიერ. (არხ. P. F.).

[3]) Les Theatins vinrent en Mingrélie l'an 1627. Ils y furent reçus comme médecins. Les théatins disent, que le profit spirituel qu'ils ont dans ce pays—là est le baptême des enfant. Chardin. Voyage en Perse p. 88. იმერეთში 1671 წელში კაპუცინები ინკარიშობენ ასსე მეტს ქართველ კათოლიკეთა.

[4]) იგი თავის თავს უწოდებს „Giorgiano“.

ამ სახით, სჩანს, რომ არსებობდა ქართველ-კათოლიკეთა სამწყსოც, რომლის წევრნი სხვა-დასხვა წოდებისანი იყვნენ, იყვნენ მოწაფეებიც ქართველ-კათოლიკეთაგან ფრანგების სასწავლებელში, მოიპოვებოდა აგრეთვე საეკკლესიო—ღვთის-მსახურების წიგნებიც სამწყსოის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. განა ამის შემდეგ დასაჯერებელია, „ნამდვილი წყაროების“ აზრი, რომ საქართველოში მხოლოდ სომეხ კათოლიკენი იყვნენ[5]) და „ცნობილია მხოლოდ ერთი საბუთი გველენიან პირის შესახებ, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარებაო?“

ეხლა შევამოწმოთ ბ. სარუხანის მეორე „ნამდვილ წყაროებად“ აღიარებული საბუთი—მოგზაურთა მოთხრობანი. ბ. სარუხანი ჩვენ ბრალსა გვდებს, რომ ვითომ ჩვენ „ვიხსენიებთ რა ამ მოგზაურთა“, არ მოგვყავდეს „მათი ნამდვილი სიტყვები“. თუ როგორ ესმის ბ. სარუხანს „ნამდვილი სიტყვების“ მნიშვნელობის მოყვანა, ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგი მაგალითისაგან. ასახელებს რა იგი XVII საუკუნის მოგზაურის შარდენის მოთხრობას იმის შესახებ, ვითომ „მისიონერთ“ არა ჰქონდათ სასურველი წარმატება ქართველთა შორის-“ო, ბ. სარუხანი უპირდაპირებს ამ ადგილს „ნამდვილ სიტყვებს“ თითქო თვით შარდენისას სომეხთა შესახებ: „კათოლიკე სომეხთ, რიცხვით 400 კაცს, აქვს თავისი სამლოცველო“. ამ სიტყვებს იმ აზრით იხსენიებს ბ. სარუხანი, რომ სომეხ კათოლიკეთ ვითომც უკვე ჰქონდათ საკუთარი ე. ი. ცალკე ეკკლესია,—ალბად(?!) ეს ეკკლესია აშენებული იყო კაპუცინების მოსვლამდე“. ბ. სარუხანი გვითითებს მეორე ტომის 79 გვერდს «Voyage en Perse“ du chevalier de Cherdin. სტატიის ავტორს დავიწყნია ეჩვენებია წელიწადი და ადგილი შარდენის მოგზაურობის გამოცემისა და ასეთი ცნობები კი ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, ვინაიდგან ფრანცუზის მოგზაურის შრომა გამოცემულია მისგანვე ამსტერდამში 1711 წ. [6]) და შემდეგ იგივე მოგზაურობა გამოსცა ირანისტმა Langlois პარიჟში 1811 წ. არც დასახელებულ ტომში და არც თვით შარდენის გამოცემაში «Voyage en Perse“ არაფერი მოიპოვება მსგავსი ბ. სარუხანის მიერ მოყვანილი ციტატისა. ლანგლუას მიერ გამოცემულ შარდენის მოგზაურობაში, მართალია, ნამდვილად მოიპოება აღნიშნული ცნობები კათოლიკე სომეხთა შესახებ. მაგრამ ბ. სარუხანმა გამომცემლის —ლანგლუას—სიტყვები მიაწერა, მოგზაურობის ავტორს—შარდენს. აღნიშნული ციტატი თხზულებიდამ კი არ არის მოყვანილი, არამედ თვით ლანგლუას შენიშვნიდამ და არც თვით ლანგლუა ფარავს, რომ ეს ცნობა ქათოლიკე სომეხთა და იმათ სამლოცველოს შესახებ მას გადაცა ერთმა სომეხმა: „Les arméniens catholiques au nombre d' environ quatrecents ont une chapelle particulière. Un arménien m' a rectifié et traduit le nom des églises“[7]). რასაკვირველია, „სომეხი“ სარწმუნო პირია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ცნობა, რომელიც ჩამატებულია ასი წლის შემდეგ შარდენის სპარსეთში მოგზაურობის გამოცემისა, არ შეიძლება მივაწეროთ შარდენს. ამ სახით, ფაქტი რომ 400 კათოლიკე სომეხნი იყვნენ და მათ აქვნდათ საალოცველო (ეკკლესია? ბ. სარუხანის სიტყვით), არ მტკიცდება „ნამდვილ წყაროთი“ მე-XVII საუკუნეში მოგზაურის ჩვენებით.

თუ გინდ შევამოწმოთ ამ მოგზაურის ჩვენება ქართველ მოსწავლეთა რიცხვის შემცირების შე-

[5]) თვით იგივე შარდენი, რომელიც ვითომც აღიტაცებით იხსენიებს კათოლიკეთა აღსარების წარმატებით კავრტელებს სომეხთა შორის, სწერს: J'ai déjà remarqué que les armèniens se sont toujours tenus á Ieur culte ancien. Voyage... Amsterdam 1711. t. I, p. 156 и 170.

[6]) შარდენმა იმოგზაურა აღმოსავლეთისაკენ ორ გზის: პირველად 1664—1670 წ.წ., მეორედ 1671—1677. თავისი მოგზაურობის პირველი ნაწილი იმან დასტამბა 1686 წ. და შემდეგში გამოსცა ხელახლა 1711 წელს.

[7]) Voyage de chevalier Chardin de Paris a Ispahan par L. Langlois, vol. II. Paris. 1811, p. 78—79. ეს ადგილი ამსტერდამის გამოცემაში არ არის. ეს შენიშვნა მოყვანილია დასამტკიცებლად ტექსტის ქართველთა და სომეხთა ეკკლესიების შესახებ ტფილისში.

შესახებ (7—8) ტფილისის სამისიონერო სკოლა- Pater სერაფიმი 1671 წლიდამ ე. ი. როცა შარ-დენი იმყოფებოდა საქართველოში, აცნობებს პა-პას, რომ ქართველთა შკოლა ქართველ კათოლი-კეთათვის ხელახლად გავაღეთ და მასში ბევრი ბავშები სწავლობენო: Ho rimesso dinuovo la scola di molti figlioli che l'anno passato, ci fu tolta per una persutione e insegnamo il giorgiano e l'italiano e il latino[8]). ეჭვი არ არის, რომ ეს შკოლა, სადაც სწავლობდნენ ქართულს ენას იტალიანურ და ლათინურ ენებთან ერთად, დანიშნულ იყო ქართველთათვის და არა სომეხთა შვილებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი გასაგებია, თუ რატომაა გამორიცხული სასწავლო საგნებიდამ სომხური ენა. სამი წლის წინად შარ-დენის მოსვლამდე მოსწავლეთა რიცხვი იყო 25-მდე. შარდენს შეეძლო ლოტაოდნად შეემეცი-რებია კაპუცინების მოღვაწეობის წარმატება, ვი-ნაიდგან მას არ მოსწონდა თავიანთ მემამულეთა საქციელი იმ პიროვნული ანგარიშების გამო, რომელმაცთავი იჩინა მათში საქართველოში.

ა. ხახანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ბანაშვილი გიორგი წერეთლის სულის მოსახ-სენებლად დ. უვირილის ეკკლესიაში.

21 იანვარს, ყვირილის მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ეკკლესიაში. გარდაცვალებულის ჩვენის მოღვაწის გიორგი წერეთლის სულის მო-სახსენებლად შესრულებულ იქმნა წირვა. წირვის გათავების შემდეგ, ამ ეკკლესიის წინამძღვარმა დეკ. დავით ღამბაშიძემ წარმოსთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა: „ძმანო ქრისტიანენო! სწორედ დღეს შეს-რულდა ერთი წელიწადი, რაც ჩვენი ცნობილი მოღვაწე გიორგი წერეთელი გარდაიცვალა. იქ, სადაც ხალხი შეგნებულია, დიდის პატივისცემით იხსენიებენ თავიანთ მოღვაწეების დაბადების ან გარდაცვალების დღეს. ნეტავი იმ ხალხს, რომელიც თავიანთ მოღვაწეებს არ ივიწყებს, ნიადაგ ახსოვს იგინი და მათი სახელის ხსენებას ჯეროვანად პატივს სცემს. ვაი იმ ხალხს, რომელიც თავიანთ მოღვა-წეებს ივიწყებს და მათი ხსენება საჭიროდ აღარ მიაჩნია. საზოგადოებას რომ კიდეც დაავიწყდეს თავიანთი მოღვაწეების ხსენება და სახელი მართლ-მადიდებელი ეკკლესია მოვალეობად გვიდგენს, რომ წლის თავზე თავიანთ გარდაცვალებულთა, ნათესავ-თა, ნაცნობთა და მოყვასთათვის აღვავლენდეთ ლოცვასა და ვედრებასა, რათა მათ უფალმან მიი-ნიჭოს მიტევება ცოდვათა და დაამკვიდროს იგინი წიაღსა შინა აბრაამისასა. ამისათვის ჩვენც მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლისამებრ შევევედროთ უფალსა, რათა მიუტევოს ცოდვანი ნებსითნი და უნებლიეთნი განსვენებულს ჩვენს მოღვაწეს გიორგი წერეთელს და მისი სული დაამკვიდროს, სადაც მართალნი განისვენებენ“.

შემდეგ ამ სიტყვისა გარდახდილ იქმნა პანაშ-ვიდი. ხალხი ბლომად დაესწრო.

ვაი ჩვენს სირცხვილს!

ვაქებ და ვადიდებ უველა იმ სალხს, რო-მელიც არასოდეს არ ივიწყებს თავის მო-ღვაწე პირებს. ვაქებ და ვადიდებ უველას, რო-მელნიც ღირსეულად იხსენიებენ თავიანთ წმიდანებს. ჩვენი ხალხიც საქები და სადი-დებელი ეოფილა ერთ დროს ამ საქციელით, მაგრამ დღეს იგი სრულებით აღარ ჰგავს ძველ წინაპრებს. დღეს ქართველობას აღარ ახსოვს აღარც თავიანთი მოღვაწენი და აღარც თა-ვიანთ წმიდანების ხსენებას ასრულებს გულით

[8]) არხივი „Propaganda Fide“.

№ 9 1883—1901 1—15 მაისი

ეკუმენი

ოფიციალური განყოფილება

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

13 აპრილიდან 1901 წლისა № 1331, სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

უქაჭისამებრ მათი ამშვერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წარდგინებანი ეპარქიების მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგის დაჯილდოებისათვის, ბოლოდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, ბრძანეს: საფუძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უწმ. სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოვზავნილ სიასა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიასა შინა აღნიშნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელ-მთავრებს, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ უწმ. სინოდისაგან სასულიერო უწყებისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის დამტკიცებისა დღეს. 6 მაისს 1901 წ.

1) ქართლ-კახეთის ეპარქიაში:

არქიმანდრიტობის ხარისხით—წინამძღვარი ვარძიის ღვთის მშობლის მიძინების მონასტრისა, იგუმენი სიმეონი.

დეკანოზობის ხარისხით იუნკრის ქვეითა ჯარის სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი, მღვდელი გიორგი ჩეტარეანი.

მეორდის ჯვრით—უწმ. სინოდისაგან ბოძებულით თფილისის სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონაკანდრი; დიდუბის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი იოდიონ გურგენაძე; თფილისის ეპარქიის ქალების სასწავლებლის მღვდელი პლატონ კამრეკელოვი; ჯავის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი ზურაბ ჯიოევი; ყარსის სამფლობელოს, სოფლის პლოდოროდნის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ კოშარა; მცხეთის ტაძრის მღვდელი გრიგოლ რუსაევი; ქვემოქალის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი ანტონ ადნიეევი; ტირზნის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ კასრაძე; დიდი მეჯრუხევის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია კამრეკელოვი; იყალთოს ეკკლესიის მღვდელი იოანნე ძრეველოვი;

აკურის ეკკლესიის მღვდელი ლაზარე ახრამოვი; ქალაქ ნუხის წმიდათა სამთა მღვდელ-მთავართა ეკ-კლესიის მღვდელი დავით უტაევი.

კამალაგკით—მოძღვარი თფილისის სემინარიისა მღვდელი ი. ლაბაძე; ანჩხატის ეკკლესიის მღვდელი პ. კარბელაშვილი; დიდუბის ეკკლესიის მღვდელი კ. ტინტაძე; ვერის ივერიის ეკკლესიის მღვდელი გ.. კამდლიშვილი; ეკატერინის ბერძნის ეკკლესიის მღვდელი ი. ბერიძე; ოქონის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი ი. კაპანაძე; ქვემო ხვითის ეკკლესიის მღვდელი პ. გედევანოვი. ზემო მაჩხანის ეკკლესიის მღვდელი კირილე დგოთისკვარაშვილი; ურბნის ეკ-კლესიის მღვდელი ს. კამრეკელოვი; ახაშენის სოფ-ლის მღვდელი ისიდორე ვაჩეშვილი; სოფლის არზა-ნის ეკკლესიის მღვდელი ანანია კორელოვი; ქარე-ლის ეკკლესიის მღვდელი იასონ ოქროპირიძე.

2) იმერეთის ეპარქიაში:

დეკანოზობის ხარისხით—წყალტუბოს ეკკლე-სიის მღვდელი სპირიდონ ფანტხავა; სოფლის სამთი-სის ეკკლესიის მღვდელი გრ. ჩიკვაიძე.

იგუმენის ხარისხით—ჭელიშის მონასტრის ხაზი-ნადარი, მღვდელ-მონაზონი ანტონი.

მკერდის ჯვრით—სხვავის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ სხირტლაძე; ლაილაშის ეკკლესიის, მღვდე-ლი რ. გულბანი; მოწამეთის მონასტრის მღვდელ-მონა-ზონი პაფნუტი; შუა-ქვიტირის ეკკლესიის მღვდელი დავით ნასრაძე; სვირის ეკკლესიის მღვდელი ალექსი ცხადაძე; ფონეთის ეკკლესიის მღვდელი გრ. კვიტა-რიძე; ბარის ეკკლესიის მღვდელი სამსონ ლანდია; ძველი ოფეთის ეკკლესიის მღვდელი ლუკა ჩაჩუა; სოფლის თაბორის ეკკლესიის მღვდელი დავით ქარსელაძე; ლატალის ეკკლესიის მღვდელი გაიოზ ძამისტარაშვილი;

კამალაგკით—ქუთაისის სასულიერო სასწავლებ-ლის მღვდელი მ. ცაგარეიშვილი; ჯიხაიშის ქაშვეთის ეკკლესიის მღვდელი პლატონ ცაგარეიშვილი; ძიმი-თის ეკკლესიის მღვდელი დ. გორდულაძე; ჯიხაი-შის ეკკლესიის მღვდელი ანდრია დეკანა; ჭილოვა-ნის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ტუმანაძე; ხრე-ითის ზეკიხის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ კაფა-რაძე; ღორეშის ეკკლესიის მღვდელი სიმონ კურ-ტანაძე; ჩორჯოს ეკკლესიის მღვდელი ერასტი გაბი-ჩვაძე; უცხერის ეკკლესიის მღვდელი დავით ახვლე-დიანი; შკედის ეკკლესიის მღვდელი დავით ნუმ-საძე.

3) გურია-სამეგრელოს ეპარქიაში:

დეკანოზობის ხარისხით—სოფლის გორდის ეკ-კლესიის მღვდელი იოანნე კუხალაშვილი.

მკერდის ჯვრით—უწმ. სინოდისაგან ბოძებულ-ლით—ლეძაძამის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ხუ-ხუნი; შემოქმედის ეკკლესიის მღვდელი ანტონ გაბლოკრე; მუხურის ეკკლესიის მღვდელი ათანასი ბაბილუა; ჯოლომეისორონის ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე ანჯაფარიძე; ჯუმათის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი; ნახარებოვის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ანატოლი.

კამალაგკით—ჯუმის სოფლის ეკკლესიის მღვ-დელი ალექსი კვარაცხელია; მღვდელი ევგენი შენგე-ლაია; კიციის სოფლის ეკკლესიის მღვდელი კონდ-რატი ჩაჩიბაია; ახალ-სენაკის დაბის ეკკლესიის მღვდელი არისტარქოს კალანდარიშვილი; ამავე ეპარ-ქიის მღვდელი კ. ჭანტურაია; სოფლის ჯუმათის ეკკლესიის მღვდელი სამსონ თოდუა; ბათუმის მთა-ვარ ანგელოსის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ოფიი-ბაძე; ზუგდიდის დაბის ეკკლესიის მღვდელი მიხა ჯიქია; ორკის სოფლის ეკკლესიის მღვდელი ბასილი კურუა; კვათახთის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი ფარულავა; ვანის ეკკლესიის მღვდელი მიხაილ ჩაჩუა; უწმიდესი სინოდის კურთხევით გარმოტის მიცემით დაჯილდოებულ არს პროტოდიაკონი ფოთის საკა-თედრო საკრებულო ტაძრისა ლუკა ხოშტარია.

ხმა ზემო იმერეთიდან.

მთავრობისაგან მოხდენილი ყოველი ახალი განკარგულება, საზოგადოებაში იწვევს ათასნაირ მითქმა-მოთქმას, მით უმეტეს, თუ ეს განკარგულება შეეხება საზოგადოებისაგან დიდი ხნიდან შეთვისებულ ჩვეულებას. ჩვენი საზოგადოება ჯერ იმოდენად ვერ ამალლებულა გონებით, რომ საკუთარი ჭკუით მიხვდეს და მოიშალოს ზოგიერთი მისი ზნეობრივად დამამცირებელი და ნივთიერად დამღუპველი ჩვეულებანი. პირიქით, ის ხშირად ეწინააღმდეგება ამ შემთხვევაში მთავრობის კანონიერ განკარგულებასაც კი. საბუთად უმრავლესობას ის მიაჩნია, რომ ჩვენი ძველები ასე იქცეოდენ და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო; ისინი ხომ სულელები არ ყოფილანო. ამის მთქმელებს ის ავიწყდებათ, რომ უნაკლულო და უმიზეზო არც ჩვენი ძველები ყოფილან და არც ჩვენ ვართ. მართალია, ბევრი კარგი თვისებები ჰქონიათ ჩვენ ძველებს, ბევრ რამეშიაც ძლიერ ჩამორჩენილი ვართ მათ, მაგრამ ძველად ბევრი ისეთი ჩვეულებანიც ყოფილან, რომლებიც არა თუ ამ საზოგადო გამოფხიზლების დროს, იმ დროშიაც დიდად გასაკიცხი ყოფილან. სამწუხაროც ის არის, რომ ჩვენ ხშირად იდეალად მიგვაჩნია ჩვენ ძველთა ზოგიერთი დასაგმობი ჩვეულებანი და რაც მათში მოსაწონი იყო, ის კი დავიწყებული გვაქვს. ვინ არ იცის, თუ რა ცუდი ჩვეულებანი გვიანდერძეს ჩვენმა ძველებმა შესახებ მიცვალებულის დასაფლავებისა და რა მშვენიერი განკარგულება ინება ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ამ ჩვეულებათა მოსასპობად. ამ განკარგულებას დიდი ზნეობრივი და ეკონომიური მნიშვნელობა ექმნება ჩვენი ხალხისათვის: დღეიდგან მოისპობა ის უმსგავსო ზარი, რომელშიაც არავითარი აზრი და სიტყვა არ გამოდიოდა, გარდა პურუტყული ვაი-ვაისა; მოისპობა ის ნაძალადევი და სავალდებულო ტირილი, რომელიც ზიზღს მოგვრიდა ყოველ შეგნებულ ადამიანს; თუ სულ არა, ნახევრობით მაინც შემცირდება ის უმი ხარჯი, რომელსაც სიკვდილისაგან გაუბედურებული ოჯახი ეწეოდა და ამათ მაგივრად დღემდის საცოდავად მიტოვებულ მიცვალებულს ეღირსება ქრისტიანული დამარხვა. დღემდის ვის ახსოვდა, რომ მიცვალებულისათვის საჭიროა ეკლესიური მოხსენება, რადგან ჭირისუფალს ის ყოფნიდა საფიქრალად, თუ როგორ გამასპინძლებოდა აუარებელ საზოგადოებას. მიცვალებულს სარჩლს მარტო მღვდელი თუ გაუწევდა და მორიდებით გააცილებდა ჭირისუფალს, რომ ამოდენ ხარჯთან არც მიცვალებულის სული უნდა დაივიწყონ, მაგრამ მის სიტყვას დავალიანებული ჭირისუფალი ხშირად უყურადღებოდ სტოვებდა. ამის შემდეგ მიცვალებულის გასვენებით ვალი არავის დაედება, თუ არავინ გაჯიუტდება და გასაკიცხ ჩვეულებას ეარყოფს. საჭირო კია ამ შემთხვევაში მღვდლებმა ჯერ კარგად გააგებინონ საზოგადოებას აზრი ყოველად სამღვდელოს განკარგულებისა და მერე წინააღმდეგ პირებს დაუვებით, გულ-მოუსვლელად და მამობრივის ლმობიერებით დაუმტკიცონ, რომ ამ განკარგულებაში დასაწუნი არაფერი არის. საჭიროა აგრეთვე დახმარება მრევლის ზოგიერთი შეგნებული პირებისა, რომელთაც გავლენა აქვსთ საზოგადოებაში. მე ორჯელ მქონდა შემთხვევა საზოგადოებისათვის ვრცელი სიტყვა მეთქვა ამ ახალი განკარგულების შესახებ. გლეხ-კაცობამ აღტაცებით მოისმინა ჩემი სიტყვა, მაგრამ სამაპატიო წოდებათა წარმომადგენლები კი უკმაყოფილონი დარჩენ. ერთმა ასეც ბრძანა: თუ მაგრე იყო, წეტავი აქამდის მიებარებია ჩემი სული უფალსო. ამის მთქმელმა ჯეროვანი პასუხი მიიღო. ჩემ სამრევლოში ამ განკარგულების შემდეგ გლეხებში ხუთი შემთხვევა იყო გარდაცვალებისა და ყველა იმ წესით დასაფლავდა, როგორც ქრისტიანობა მოითხოვს. უნდა ვსთქვათ, რომ გლეხები შედარებით ძლიერ დასჯილნი იყვნენ ამ შემთხვევაში: როდესაც ვინმე სამაპატიო წოდების პირი გარდაიცვლებოდა, მისი მახლობელი გლეხები დასაფლავების დღემდის მომცდარი იყვენ თავის საკუთარ ოჯახს, რადგან ამ დროს ეს შრომის შვილები თითქმის იმავე მდგომარეობაში ვარდებოდენ, როგორშიაც 1865 წლამდის იყვენ. იმათ უნდა დაერიგებიათ ყველა ახლობელ და შორებელ ნათესავებისათვის დამპატიჟების ბარათები, იმათ უნდა მოეტანათ ბაზრიდამ ყოველი საჭირო სანოვაგე, უნდა მოეტანათ საკმაო შეშა, წყალი, დაესუფთავებიათ ეზო, მსახურებოდენ გასვენების დღეს მოპატიჟებულ საზოგადოებას, გაეკრათ საფლავი, გაეტანათ ხელით კუბო და დაესაფლავებიათ მიცვალებული. მეზობლური შემწეობა პურ-ღვინით და ცოტა ფულითაც სხვა იყო. ამის სამაგიეროთ ის

თავის საპატიო მეზობელს მარტო იმას მოსთხოვდა, რომ შემთხვევის დროს შორიდებით დაპატიჟებდა (იკადრეთ ჩემ ოჯახში მობრძანებაო) და ერთ აბაზათ მშვენიერ სადილს მიართმევდა. დღეს კი გლეხები მარტო მეზობელ გლეხებს პატიჟობენ ჭირის დღეს და სხვებს კი აღარ აწუხებენ. თუ გლეხებმა ამ შემთხვევაში ასეთი გონიერება გამოიჩინეს, მეტი გონიერება, რასაკვირველია, საპატიო წოდების პირებმა უნდა გამოიჩინონ და მაშინ ყველას ასცილდება ის მიცვალებულისათვის უსარგებლო და ოჯახის ვალში ჩამგდები ხარჯები, რომელიც აქამდი მოსდიოდათ.

მდ. სიმონ ჯუმბურაძე.

წერილი რედაქციისადმი.

(იერუსალიმიდან)

ამბობენ, რომ ბერძენთა და ქართველ მამათა შორის სუფევს, დიდი ხანია, სიძულვილი და განხეთქილებაო. რომელთა შორის წინეთ სუფევდა ერთობა, ძმობა და სიყვარულიო. ქართველი ბერები ვამბობდით და ეხლაც ზოგი რომები იმ აზრისანი არიან, რომ ბერძნის ბერები ჩვენი მტრები, არ გვთვისებენო და სხვანი, მე უკანასკნელმან ვირმ ნ დავიდევ გონებასა შინა ჩემსა, რათა გამოცდილებით შემტყო მათი უთვისებლობა შესახებ ქართველთა ბერებისა და სიძულილი საქართველოისადმი. 1895 წლიდგან ვცხოვრობ იერუსალიმის ერო მონასტერში ბერძნის ბერებთან ერთად დიდად პატივცემული. უველაზე უფრო გამაკვირვა უნეტარესი პატრიარხ ს—დამიანეს უურადღებამ.

28 თებერვალს დ მიბ რა უწმიდესმა პატრიარქმა დამიანე, და მიმიღო; ერთ საათს აკუთრად მელაპარაკა შესახებ ჩემი მდგომარეობისა და მიბრძანა, რომ იგი უურადღებას მოიქცევს და მასთან მიბრძანა: „რე მიუვარს ქართველები, რადგან იქ ერთ დროს ვცხოვრობ დიო. ადმითქვა იმ მონ.სტერში მიდები, რომელსაც ადვირჩევ. ვკრ ბ ზოგიერთი ჩვენი ქართველი ბერები, რომელნიც ცუდად იხსენიებენ ბერძნის ბერებს თკოთონ არიან დაშნამავენი.

თქვენი და სხვ. მონაზონი იოანნე.

ეულ-ახდილი თხოვნა ქართველ საზოგადოების მიმართ.

წარსულს 1900 წელს, 30 ნოემბერს, ქ. ... ევში ქართველმა სტუდენტობამ ჩვეულებრივი ეროვნული საღამო გავმართეთ. როგორც „იერიის ფურცლებიდგან ეხსომება პატივცემულს მკითხველ საზოგადოებას, შეღავათის ნაცვლად, საღამომ 60 მან. ზარალი მოგვცა. მას აქეთ აგერ მეხუთე თ ... ვადის. ეს 600 მან. დღესაც მძიმე ვალად გვაწვ ... კისერზედ. ჩვენის მხრივ ყოველივე ღონისძიება იყ ... მიღებული, რომ ვალი როგორმე საზოგადოებ ... შეუწუხებლივ გაგვესტუმრებინა, მაგრამ ცდამ ამ ... ჩაგვიარა. მივმართეთ თხოვნით, სხვათა შორის, ზ ... გიერთ საქველ-მოქმედო დაწესებულებასა და აგრ ... თვე საპატიო კაცებს საქართველოში, მაგრამ ამ ... პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს. თუ აქ ჩვენის ძა ... ღონით რამდენიმე გროში შევაგროვეთ, ისიც ... რიბს ამხანაგებს დაურიგეთ. როდესაც ვიგონებ ... რომ ამ ვალიდგან, პირობისამებრ, ნახევარი მა ... უნდა გავისტუმროთ და დანარჩენიც სექტემბერ ... სასოწარკვეთილებას ვეძლევთ, რადგანაც არ ვიც ... სად ან ვის უნდა მივმართოთ და პასუხი ვაგო ... მასთან წლიური გამოცდაც ამ დღეებში დაგვწყე ... და მაშინ ხომ სულ აღარ გვექნება დრო ამაზ ... ფიქრისა!..

ვაუწყებთ რა ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომ ... რეობას ქართველ საზოგადოებას, უმორჩილესა ... ვთხოვთ ყველას დახმარება აღმოგვიჩინონ. ვარწმ ... ნებთ ამ.სთანავე, რომ ამ არა ჩვეულებრივი საშ ... ლებისათვის გვაიძულა მიგვემართა, დიდის ყოყმან ... შემდეგ, მხოლოდ გარემოებათა აუცილებლობამ ... უკიდურესმა გაჭირვებამ.

შემომწირველთა ვინაობა მადლობით იქნ ... გამოცხადებული ადგილობრივს ქართულს გა ... თებში.

ადრესი: Кіевъ Степановская 7. кв. 3. п ... подавателю гимназіи Шіо Алексѣевичу Читадзе.

ვთხოვთ ყველა ქართველ რედაქტორ-გამო ... ცემლებს ეს მოკლე წერილი თავიანთ ორგანოებ ... გადაბეჭდონ.

„იერია"

ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

რუსულ გაზეთ „Россія"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ლეონანდრე ნოვოკოვის წერილი ამ სათაურით: საქართველოს შემოერთებიდგან ასის წლის შესულების გამო". ავტორი წერილისა თავში ამბობს, რომ «დიდი დღესასწაულისთვის ემზადებიან ტფილისში: ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ანწოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობს, ასი ელიწადია, რაც მან ერთ-მორწმუნე რუსეთს მიართა შემწეობისათვისო". ამის გამო იმართება გა- ენა, მზადდება დღესასწაულები და სხვა. არ ბეჭდავენ ოფიციალურს მხარეს დღესასწაულისასო, —სწერს ბ-ნი ნოვოკოვი,—მინდა მხოლოდ ის ერძნობანი გამოვთქვა, რომელთა შესახებაც ეხლა ოპაპარაკობენ და რომელნიც საიუბილეო დღესასწაულებსა და ძეგლებში უნდა გამოიხატოსო.

«ერთობა საქართველოში არ არსებობს,—განაგრძობს ბ-ტორი,—ქალაქის თვით მმართველობა უმრავლეს ადგილას ქართველების ხელში არ არის. ამიტომ ქართველთა გრძნობის გამოცხადება წ�ჭვდა საქართველოს, ე. ი., ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას. ართველი ხალხი—უმთავრესად არისტოკრატიულია. აზნაურის წოდებას დიდად აფასებენ როგორც თვით აზნაურნი, ისეთივ ვ წოდებასანიც. ამიტომ შეცდომა რ იქნება, თუ ქართველ თავად-აზნაურთა მოქმედებას თელ ქართველ ხალხის მოქმედებად ჩავთვლით. იმ დროს, როდესაც ქალაქ ტფილისმა მოისურვა იდღესასწაულოს უბილეი საქართველოსა და მთელ კავკასიისთვის საკეთილო საქმით: დაარსოს ჰოსპიტალი ხიკუმი; იმ დროს, როდესაც ეს საქმე დაეახლოვებდა განაჭირა ადგილს მეკრონზოლიას, სწავლა-მეცნიერებას შეიტანდა ამ განარად მდებარე კუთხეში,—თავად-აზნაურთა დღესასწაულს ამ დროს სულ სხვა ხასიათი აქვს. განსრახულია ემდეგი: 1) გამართონ ნადიში მთელის ქვეყნისათვის: ბნალნო სეირნობა და ბალი არა მარტო ტფილისისა, საქართველოსი, კავკასიისათვის, არამედ თითქმის მთელი რუსეთისთვის. ჭფიქრობენ მიიწვიონ თითქმის ყველა ის, ვინც კი წარჩინებულია რუსეთში, მინისტრებიდგან დაწყებული... 2) საგონ ძეგლი ასის წლის შესრულების სასსოვრად, მაგრამ ძეგლი არა საქველ-მოქმედო, არა განმასათლებელი, არამედ ნაგთიერი ალეგორიული მხატვრული.

„ეს არის და ესა ბირველ განზარახვის გამო დიდ ხანს არ შეგჩერდები. ან კი რა უნდა თქვას ისეთ ნადიმის შესახებ, რომელზედაც მთელ ქვეყანას ეპატიჟებიან? მაგონდება ქართველ ნიჭიერ მწერალ ქალის ვ. ვედრებისელის ბატარა მოთხრობა, მგონი, „Рус. Бог."-ში დაბეჭდილი. აწერილია ნათლობა ქართველ თავადიშვილის ოჯახში. იწვევენ ყარებელ ხალხს, აგირავებენ ეკლესიერს, რის დაგირავებაც კი შეიძლება,—ნადიმი მართლაც საუცხოო გამოდგა, მაგრამ... შორე დღეს მეზობელთან თავადის ოჯახიდგან კაცი გაგზავნეს ერთი მუჭა ჩაისთვის... ამასვე ხომ არ აბირობს ეხლა ტფილისის თავად-აზნაურობა?!

„მე ნამდვილი რუსის აზნაური არ ვიქნებოდი, ამ გვარი დღესასწაულებისა რომ არაფერი გამეგებოდეს. საუკეთესო სახლი ეოველ საგუბერნიო ქალაქში—თავადაზნაურთა სახლია. ოვით ჩვენ ნახევრად დაქცეულსა და ხავსით შემოსილ სახლში ვცხოვრობთ, სამაგიეროდ ჩვენის თავად-აზნაურობის სახლები შიგნით მარმალოთია დაფენილი, ნავთი ნისიად მიგვაქვს შეწვრილმანისაგან, კრებებისათვის კი თავს ვიურით შაგნითა და გარედ ელექტრონით განათებულს სასახლეებში. შინ ხშირად ფული უსაჭიროეს მოთხოვნილებათთვის არა კვეოფნის, თავად-აზნაურთა კრებებზე კი სამაგალითო ნადიმები იმართება, შამპანიური გამოულეველია, სადღეკრძელო სადღეგრძელოს მოსდევს. ყველა ეს კარგად მესმის... ყველანი ასეთები ვართ. ასეთებივე არიან ქართველებიც. შეიძლება, რასაკვირველია გაგიხსენოთ, რომ ზოგიერთი ქართველები ქონებას აკირავებენ დღესასწაულებისათვის, რომ ეს ქონებანი დღემდე გამოუსედველია. მაგრამ საკითხი აი რა არის: ქართველ თავადაზნაურთ რად უნდა ახსოვდეთ ეს, როდესაც ჩვენ, რუსის თავად-აზნაურნი, ამასვე ჩავდიგართ და ადარ გვახსოვს?

„რაც შეეხება ძეგლს, ეს საქმე სადიდზედ უფრო საეურადღებოა. სადიდი კარგი რამეა. ისადილებ და გათავდა, შემდეგ გაბაგვიწყდება კიდეც ეს სადილი. გრჩება მხოლოდ ტაბილი მაგონება მხიარულად გატარებულ დროსი და სხვა არაფერი. ძეგლი კი საუკუნოდ რჩება. ძეგლს ადმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეს სერიოზულად უნდა შეხედოს ეველამ.

„ქართველ თავად-აზნაურობას აი როგორის ძეგლის დადგმა აქვს განზრახული: დედაკაცი—რუსეთი—ზის. იმას ფეხთით წევს დაწრილი ქალაქოველი. დაკაკვარდეთ, რომელნად კარგად ხატავს ეს ძეგლი ჩვენ დამოკი-

დებულებას, და რამდენად სასიამოვნოა იგი ჩვენ, რუსთაფელის. ეროვნული მხრიდგან შეგიწროებული საქართველო ერთ-მორწმუნე რუსეთსა სთხოვდა შემწეობა-დახმარებას და ჭეშმარიტ კიდეც ეს შემწეობა. მაშასადამე ჭრილობა მორჩენილა? განიკურნა საქართველო? არაო,—გეკუბნება ძეგლი:—საქართველო ჯერ ისევ დაჭრილია! ვისგანა დაჭრილი? რუსეთისაგან ხომ არა? არა, ეს ძველ, განვლილ ჭრილობათა მოგონება. მაშ რაღა საჭიროა ამ განვლილ ჭრილობათა აღნიშვნა ძეგლზედ? უკეთესი არ იქნება დავიწყებას მიეცნენ ეს ჭრილობანი, თუ საქართველო მართლაც განიკურნა? სანახლისაგან ხომ აღარ იტყვის იგი!

„დაჭრილი, უმწეოდ მწოლარე თავისს მხსნელის ფეხთით,—განა ესაა ჩვენის დამოკიდებულებათა აღმოგორია? მე რომ ქართველი ვიყო, ასის წლის წინად რუსეთს მივმართავდი შემწეობისათვის; რუსი—დავიცავდი საქართველოს, მაგრამ შემდეგ ვისურვებდი, რომ ჯანმრთელი მენახოს იგი და არა დაჭრილი, ფეხზედ მდგომი და არა მწოლარე, მახვილით ხელში თავისის მხსნელის დამცველად და არა უღონო იმის ფეხთით.

-განა უკეთესი არ იქნება სხვა ბრიქტი? წინდაწინვე ვამბობ, რომ ეს ბრიქტი ჩემი არ არის, იგი სხვისაა, რომელსაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო არ შეუძლიან ვამბრძოლა, დიდად მგრძნობიარე კაცისა, ქართველისა, რუსეთის ერთგულის, მაგრამ მაინც ქართველისა. საქართველოს ფარი აქვს აფარებული, ეს ფარი რუსეთის ჭენიოსს უშირავს. ხელში საქართველოს მახვილი აქვს, სიერთო მტრისაკენ მიმართული. ასეთი ძეგლი არ იქნება საწყენი ქართველ ხალხისათვის, როგორც განზრახული ძეგლი. ვფიქრობ, რომ ეს ძეგლი ჩვენთვისაც სასიამოვნო იქნება. თუ იყო კიდეც საქართველო ოდესმე დაჭრილი, ეს ჭრილობა სასიკეთოდ ხომ არ იყო. რომ საშველიშველად გაეხადოთ იგი? ან იქნება ჩვენ არ შეგვეძლიან ამ ჭრილობის განკურნება?

„რუსეთის მფარველობის ქვეშ მრავალი ხალხია, ასე თუ ისე შემოერთებული. ჩვენ გვინდა უველა მათგანი ჯანმრთელი იყოს და არა აყდმყოფი, როგორც ნამდვილადაა, არა დამახინჯებული და მოხეებრ დამცირებული. რა საჭიროა ეს ოვალი დამცირება, შეურაცხმყოფელი როგორც ჩვენთვის, აგრეთვე იმათთვის? რა საჭიროა შეურაცხყოფა რუსი, რომელთაც ეს არ დაუმსახურებიათ? ეფიქრეს თუ არა ბრიქტის შემდგენელთა, რამდენად საწყენი იქნება ამ ძეგლის დანახვა არა მარტო ქართველთათვის, უველა რუსთათვისაც კი. არ მინდა დაეჯერო, რომ ეს გარდაუვალი ყოფილება სიბოლოთა. ჯერ კიდევ არის დრო ბრიქტის გამოსაცვლელად.

* * *

კარგა ხანია მკურნალობა ჭლექს ებრძვის, მაგრამ დღემდე ისეთი წამალი ვერ გამოიგონა, რომ მართლა მალამოდ ედებოდეს ამ სენს. ბევრმა მკურნალმა განაცხადა ამ ბოლო დროს საჯაროდ, ეითომდა ჭლექის წინააღმდეგ ახალის საშუალების გამოგონების ამბავი, მაგრამ არცერთი ამ საშუალებათაგანი არ გამოდგა. თვე არ გავა ისე, რომ სამკურნალო მწერლობაში ამბავი არ იყოს დაბეჭდილი ჭლექის მორჩენის ახალ საშუალების შესახებ. სხვათა შორის სულ ბოლოს ორმა პარიელელმა მკურნალმა—პროფესორებმა რიშემა და გერიკურმა ასეთ საშუალებად უმი ხორცი სცნეს. ეს პროფესორები მრავალ გვარ ცდისა და გამოკვლევის შემდეგ იმ აზრს დაადგენენ, რომ უმი ხორცი საუკეთესო წამალია ტუბერკულეზის მოსარჩენად. მაგრამ უმის ხორცით კვება ავადმყოფისა მხოლოდ მკურნალის ზედამხედველობით შეიძლება განსაკუთრებულ სანატორიებში, სადაც შესაფერი მოწყობილებებია. ამ აზრით, დასახელებულმა პროფესორებმა დაარსეს ოჟიკურში (საფრანგეთშია) სანატორია. დაარსებულ იქმნა სანატორია წარსულის წლის მაისში, მაგრამ ამისდა მიუხედავად უკვე რამდენიმე ავადმყოფი განიკურნა და ვამოეწერა. გაზეთების სტატყვით, თითქმის ყველა ავადმყოფს, ამ სანატორიაში დაწოლილს, უკეთესობა ეტყობა. ჭკვებამენ ავადმყოფებს უმთავრესად უმი ხორცით დღეში სამოთხჯერ. ხორცს გარდა აძლევენ: ყავას, პურს, კვერცხებს, რძეს, კართოფილს, მწვანილს და ლუდს. საჭმელი ამ რიგადაა განაწილებული.

დილით:

7 საათზედ—ყავა, პური და კვერცხები.
9 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
11 საათზედ—რძე, კვერცხები.
12 საათზედ—საღილი: წვენი, კართოფილი, მწვანილი, ხორცი და ლუდი.

ნაშუადღევს:

2 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
3 საათზედ—რძე, კვერცხები.
4 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
6 საათზედ—ერბო-კვერცხი.
8 საათზედ—ცხელი რძე.

ამას გარდა რამდენჯერმე დღეში ავადმყოფს ხორცის წვენს (ბეეფსტეკს) აძლევენ.

სხვა მკურნალები სხვა საშუალებას ასახელებენ ჭლექის წინააღმდეგ. იტალიელი მკურნალი კავაცანი, მაგალითად, ჭლექის საუკეთესო წამლად ნიორსა სცნობს. საიდამყოფოში კავაცანი ბევრ ჭლექიანს აპმევს თურმე ნიორს, დღეში 4-დგან 6 გრამამდე.

* * *

ერთი სოფლის მღვდელი გაზეთ «პეტერბურგის უწყებაში» სწერს სავალდებულო ფულების მოგროვების შესახებ, რომელიც სწარმოებს მართლ-მადიდებელ ტაძრებში. ავტორს მოჰყავს ნამდვილი ანგარიშში, რომლიდამაც სჩანს, რომ თვით ღარიბი ეკკლესია იხდის წელიწადში 120 მანეთს და მასთან დასძენს, რომ უბრალო ხალხი ძვირად იმეტებს შესაწირავს და ხან თუ იძლევა, იძლევა ძლიერ მცირეს და იმასაც იძლევა იმიტომ, რომ მისი წვლილი მოხმარდეს მის საკუთარს ტაძარს, რომელსაც ბევრი საჭიროება აქვს და კაცი არა ჰყავს შემწე. ზოგი საქმისათვის სულ 6—7 კაპიკი იკრიბება ტაძარში და რადგან ასე მცირე ფულის გაგზავნა სასირცხოა, ძალა უნებურად ამ ფულებს უნდა დაუმატო ცოტაოდენი შენი ღარიბი ტაძრის საკუთარი ფულისაგან.

ეკკლესიის მნათე, სწერს ავტორი, ცდილობს, რომ დღესასწაულ დღეებში თავის ტაძრის სასარგებლოდ მოჰკრიბოს ფულები, რომ ამ ფულებით კრებულისათვის მოიპოვოს შესაფერისი შესამოსელი და ტაძარიც შესაფერისად იქნეს განათებული, ნაცვლად ამისა იგი ვალდებულია ფულები მოჰკრიბოს შორეულ ადგილებში ან უცხოეთში უზარ-მაზარი შენობის ასაგებად. საწყალი გლეხი წირავს თავის გროშს თავისი ძველი ტაძრის სასარგებლოდ, და ამ გროშს კი შემწირველის სურვილის წინააღმდეგ აგზავნიან სადღაც შორს, ან სულ სხვა საქმეზე ხმარობენ. უნებლიედ გვაგონდება მაცხოვრის სიტყვები: „დაე ჯერ გააძღონენ შვილნი". მდიდარ მონასტრებს და ტაძრებს შეუძლიათ დიდი შესაწირავები გამოიღონ სხვა-და-სხვა კეთილ და ღვთის სასიამოვნო საქმეებისათვის და ღარიბი ეკკლესია თუ იძლევა, შესაწირავს. იძლევა ძალ-დატანებით და ასე ძალ-დატანებით შეკრებილ ფულს არ შეგვიძლია უწოდოთ კეთილ-მნებელობითი შესაწირავი. შენი შესაწირავით სადმე დიდ უზარ-მაზარ შენობას აგებენ და რამდენიმე ასი ათას მანეთს ხარჯავენ და შენს ტაძარში არ გაგაჩნია არც კანკელი, არც რიგიანი შესამოსელი და არც საეკკლესიო წიგნები. მდიდარი კაცისათვის საძნელო არ არის შესწიროს 1000 მანეთიც, მაგრამ ღარიბი გლეხისათვის ხან კაპიკიც ძნელი შესალევია. როცა ნებას იძლევიან, რომ მთელს იმპერიაში მოკრიბონ ფულები რაიმე საქმისათვის, ასეთი ფულების შეკრება სავალდებულო არ უნდა იყოს ყველა ეკკლესიებისათვის და არც მღვდლები უნდა გახადონ ვალდებულნი, რომ რაც შეიძლება მომეტებული ფული მოაგროვონ. დაე მღვდლებმა მოუწოდონ თავიანთ მრევლთაგან უფრო შეძლებულთ, რაკა მათ გამოიღონ მცირე რამ შესაწირი ტაძრის ასაგებად. მაგრამ ყოველ დღესასწაულ დღეებში ფულების მოკრება ტაძარში, მლოცველებისათვის ძლიერ შემაწუხებელია. „ჩემი სახლი — სახლია სამლოცველო", ამბობ იესო, ჩვენ კი გვსურს ეს სახლი გადავაქცეოთ ადგილად, სადაც ყოველი წირვის შესრულების დროს ვკრებთ ფულებს ყულაბებით. საეკკლესიო მოამბის რედაქტორი ამ სტატიას დასძენს შემდეგ შენიშვნას:

პატივცემული მოძღვარი, როგორც სჩანს, თავისებური შეხედულებისაა ტაძრებში ყულაბებით ფულების შეკრების შესახებ და არ მოწონს ძალ-დატანება ამ საქმეში, ვინაიდგან ამ შემთხვევაში კეთილ-მნებელობითი შეწირულება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ჩვენ არ გვგონია, რომ ვისმეს უფლება ჰქონდეს, მღვდელს ძალა დაატანოს, რომ შენს ღარიბ ეკკლესიაში რაც შეიძლება მეტი შესაწირავი შეკრიბეო. შეიძლება მრევლის სიღარიბისა გამო, შემოწირულება სრულებითაც არ შემოვიდეს, მაგრამ ამას მღვდელს დანაშაულად ვერავინ ჩაუთვლის. მაგრამ ტაძრებში ყულაბებით ფულების მოკრების საქმეში არის ერთი მხარე, რომელიც საჭიროებს ყურადღების მიქცევას. ტაძარში დვთის მსახურების დროს უნდა სუფევდეს სიჩუმე და მარადებულება და ამ სიწყნარეს და მართებულებას არღვევს ფულების მოკრება ტაძარში. ზოგნი მლოცველნი, რომელთაც ჯიბეში ფული არ გამოყოლიათ, გარბიან ეკკლესიიდამ, ზოგი ხურდას ეძებს ჯიბეში და ამ დროს მის წინ ასვეტილა ყულაბით ეკკლესიის მნათე ანუ კრებულის რომელიმე წევრი და მათზეა მიქცეული მლოცველთა ყურადღება. სწორეთ საჭიროა, [illegible] ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საერწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

—

ხმა მცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

ხშირად მოხდება, რომ მღვდელი, რომელიც სამღვდელო სამსახურისათვის ჩვეულებრივად ნივთიერ სასყიდელს მოელის. მხოლოდ იმ წესს ასრულებს ხალისიანად, რომლისათვისაც ღებულობს ფულად სასყიდელს, ხოლო ვულცივად მოქმედობს იქ, სადაც ამას არ მოელის. ნუ ბაძავ, ჩემო სამღვდელო მოსამსახურენ, ამ ჯურის მღვდლებს, და როდესაც გთხოვენ რომელიმე წესის ასრულებას, უსასყიდლოდ იმოქმედე ისე ერთგულად, თითქოს დიდ ნივთიერ ჯილდოს ღებულობდე. ეცადე, რომ უფრო ერთგულება და ყურადღება მიაქცეო უსასყიდლო წესების ასრულებას. ნუ ბაძავ იმ მღვდლებსაც, რომლებიც, როდესაც იწვევენ სულიერს ზვარში რომელიმე სამღვდელო სამსახურის უსასყიდლოდ ასასრულებლად, გულცივად და უდიერად იქცევიან. იმათ ჰგონიათ, რომ ვითომც მოგებულად და ბედნიერად სთვლიან თავის თავს უსასყიდლოდ წესის ასრულებით იგინი, ვისაც უსასყიდლოდ ემსახურებიან. განა შეიძლება დაეკმაყოფილდე მღვდლის ამ გვარი სამსახურით ჩემდა მომართ? მე ვარ ის ერთად ერთი მიზანი, რომელიც მღვდლებს უნდა ჰქონდესთ სახეში. შეიძლება განა მოეწონო მათ ისეთი შრომა, რომელიც გამსჭვალულია გულცივობით და უდიერობით?

*) იხ. „მწყემსი" № 7 1901 წ.

გაფრთხილდი, მღვდელო, რომ ქვეყნიურმა სიმდიდრემ არ შეგაცდინოს სიმშვენიერით და არ დაგაყენოს იმ გზაზედ, რომელიც ვერ მოგიყვანს ჩემთან.

4. ზოგი სამღვდელო მოსამსახურეთაგანი უმთავრეს მიზნად იდებენ მსოფლიური საუნჯის შეძენას, და ცდილობენ, რაც შეიძლება უფრო მეტი მოიპოვონ. არ უნდათ ყური უგდონ სინდისის ხმილებას ანგარებისათვის და ამბობენ: „მე ვეცდები, რომ ყველა ჩემი ქონება ჩემი სიკვდილის შემდეგ საკეთილო საქმეს მოხმარდეს. მანამდის კი უნდა ვაგროვო ფულებიო". უფრთხილდი, მღვდელო, ამ მაგალითსაც. თუმცა შენ არ გაქვს აკრძალული გონივრულად დაანაწილო ღვთისგან ბოძებული ქონება, რომელიც უნდა დასტოვო სიკვდილის შემდეგ; მაგრამ შენი მოსაზრება—მართლება ფულს ვაგროვებ იმ მიზნით, რომ სიკვდილის შემდეგ მოხმარდეს კეთილს საქმეს ან მსხვერპლად შესწირონ ღმერთს განა იმას არ ნიშნავს, რომ შენი კუთვნილება მსხვერპლად შესწირო ღმერთს. მაშინ, როდესაც შენ აღარ გეკუთვნის და რომლის შენახვა შენ ალარ შეგიძლია? რა საკოდავი მსხვერპლია?

დასასრულ ნუ იუნჯებ, მღვდელო, მსოფლიურ ქონებას შენი ნათესავების სასარგებლოდაც. რასაკვირველია შენ უნდა ზრუნავდე შენს ნათესავებზე, აკმაყოფილებდე მათ საჭიროებას, მაგრამ ამავე დროს უნდა გახსოვდეს საზოგადოდ ყველა ღარიბნი, და არასოდეს არ უნდა გავიწყდებოდენ ღარიბნი შენის სამრევლოისა. დაიცევი ყველა ეს ჩემი მცნებები, წინაღმდეგ შემთხვევაში შენ იქნები მონა მსოფლიურ ზრუნვაში ჩაფლული. თუ შენ გვერდს უქცევ ჩემ მცნებებს, მაშინ შენს გულს ამძიმებს ზრუნვა ნივთიერს სიმდიდრეზე. მაშინ შენს გულს გარემოიცავს ის ფიქრები, რომ ჩვეულებრივი ჯილდო სამღვდელო მოსამსახურისა, არ აკმაყოფილებს შენს მოთხოვნილებას. შენი ცხოვრება მაშინ უფრო ემსგავსება ვაჭრის ცხოვრებას, ვინემ მღვდლის ცხოვრებას. მიხედე ჩემს დამოკიდებულებას ჩემს დედასთან და მამად წოდებულ იოსებთან,— მე დავტოვე იგინი ისეთ მდგომარეობაში, რომ საჭირო პური საკუთარი შრომით უნდა მოეპოვებიათ.

თავი 11. სიყვარული.

1. ესე არს მცნება ჩემი «რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ» (იოან. 15, 12). აი როგორ შევიყვარე მე ხალხი! მათი სიყვარულისა გამო ჩემი ღვთაებრივი სიყვარული დავდევი მსხვერპლად. «მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვარითათვის“ (იოან. 10, 11).

შენც, მღვდელო, ხალხის სიყვარულს შესწირე ყოველივე, თითქმის შენი სიცოცხლეც. შეიბრალე საცოდავი სულები, რომლებიც, ზოგ ჩემ მწყემსთაგანთა გულ-ცოობისა გამო, მოკლებულნი არიან მოძღვრულ მზრუნველობას და ლამის შთაცვივდნენ ჩემ მტერთა მიერ მომზადებულ გენიასა შინა. გაიხსენე, თუ რა თქვეს ჩემზედ: „იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამშვრალ და დაცვივნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქვნ მწყემსი» (მატ. 9, 36).

დეე, შენი თანაგრძნობაც გზა დაკარგულ სულთადმი მიემსგავსოს ჩემს მათდამი თანაგრძნობას;— იყავ მოშქმედი. შესწირე შენი მთელი შრომა ამ საცოდავ სულებს. ერთხელაც არ გაივლო გულში ჩემს ვალს არ შეადგენს ამ კაცზედ ზრუნვაო. თუ კი მე გიყვარვარ, დარწმუნდი, რომ მთელ ქვეყანაზედ არ არსებობს არც ერთი სული, რომლის შესახებ ზრუნვა საუცხოვო იყვეს შენი მოძღვრული სიყვარულით აღსავსე გულისათვის. ყოველ კაცს მოეპყარ სიყვარულით და გულკეთილად, თუ კი შეგიძლია რაიმე შემწეობა აღმოუჩინო.

2. არ კმარა მოყვასთადმი სიყვარულის მარტო სულიერად, მარტო თანაგრძნობით გამოხატვა. შენ თითონ იცი ჩემი მაგალითებიდან, რომ სიყვარულს ჭირვეულთა მიმართ ვხატავდი მით, რომ მათი სხეულის მოთხოვნილებასაც ვაკმაყოფილებდი, «მოვედინ ჩემდა ყოველნი მაშრომელნი და ტვირთ-მძიმენი» (მატ. 11, 28). განა არის სადმე ნათქვამი სახარებაში, რომ მე უარ ვყოფდი ნივთიერი დახმარების აღმოჩენას ვისმესთვის, თუ კი ამას ნამდვილად საჭიროებდა.

მე ვერ მოვითმინე მემზირა შეკრებილ ურიცხვ ლტაკ ხალხთათვის, რომლებიც შიმშილით დაბნედილიყვნენ. ისე რომ ჩემი გული არ აღვსილიყო თანაგრძნობით; (მეწყალვის მე ერი ესე, რამეთუ სამ დღე არს. ვინაიდგან მელიან მე და არა რაჲ აქვს, რა სჭამოს» მარკ. 8, 2). ვჩქარობდი მომეხდინა ერთი უდიდეს სასწაულთაგანი და განმეძღო იგინი. როდესაც ასის თავი მევედრებოდა გამეკურნა მონა მისი, მე მაშინვე წავედი ავადმყოფთან, რათა გამეკურნა იგი („და აღსდგა იესო და შეუდგა მას და მოწაფენი მისნი მასთანა“ მატ. 9, 19). როდესაც სინაგოგას უფროსი იაიროსი, შვილის სიკვდილით გულ-დაწყვეტილი, მოვიდა ჩემთან და-მთხოვა მის შინ მისვლა და მიცვალებულის აღდგენა, მე დაუყონებლივ გაუდექი გზას. მე სრულს კმაყოფილებას ვგრძნობდი იმ წარმოდგენით, რომ ოჯახს ჩემ მიერ სიხარული მიეცემოდა.

3 თუ მე ორხელ უარვყავ ქანანელი დედაკაცის ვედრება მისი ქალის განკურნების შესახებ, ეს იმიტომ, რომ ამით მეტი სარწმუნოება ამენთო დედაკაცის გულში, ჯ იგი გამხდარიყო ღირსი ამ სიტყვებისა: „დიდ არს სარწმუნოება შენი, დედაკაცო“. ასე იმიტომ მოვიქეცი მეთქი, ვამბობ, რომ ჩემის მადლით აღსავსე სიტყვებს: „გეყავნ შენ, ვითარცა ვნებავნ“ უფრო სრული ნუგეშით აევსო მისი გული, და მსმენელ ხალხის გულშიაც სასოება გამეჩინა.

თანაუგრძნე, ჩემო საჭვდელო მოსამსახურენ, მახლობელს ყოველ გასაჭირში და სიჩქარით აუსრულე ყოველივე, რის ასრულებაც შეგიძლია ჩემ მიერ მონიჭებული მადლის მეოხებით. ღარიბნი, დაჩაგრულნი, სუსტნი შენ ში უნდა ხედავდენ სიყვარულით აღსავსე მამას, რომელიც გრძნობს თავიანთი შვილების მწუხარებას, იმ მამას, რომელიც მზად არის გაეშუროს მათკენ მწუხარების ცრემლების მოსაწყვეტად, მათი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამისდა მიუხედავად ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სამღვდელო მოსამსახურენი, როცა ხშირად ხედავენ ხალხის გასაჭირს, მწუხარებას, ეჩვევიან გულცოობას, დამშვიდებით უყურებენ უბედურებს, თითქოს მათ დაჩლუნგებიათ თანაგრძნობის, სიბრალულის გრძნობანი. სიყვარული მახლობლის მიმართ თანდა-თან უგრილდებათ გულში.

4. კიდეე გაძლევ, ხალხთა მოძღვარო, ერთს დარიგებას. როდესაც ხედავ, რომ შენი მახლობელი გაჭირვებაშია, მიეცი შემწეობა შენი საკუთარი საშუალებიდან, რამდენიც შეგეძლოს. ნუ ბაძავ იმ მღვდლებს, რომლებიც, როდესაც ხედავენ სხვის გასაჭირს, სხვებს უქადაგებენ შემწეობის აღმოჩენას,

თითონ კი არაფერს არ აძლევენ უბედურთ და თავს ასე იმართლებენ: ჩვენც ღარიბნი ვართო, ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებაც ბევრი გვაქვსო, ან კიდევ, ვინ იცის ჩვენც რა უბედურება დაგვატყდება თავს მომავალშიო.

მე გეტყვი შენ: ანუგეშე დაჩაგრული მაშინაც, როდესაც თითონ შენ დაჩაგრული ხარ, და ხედავ რომ სხვებში შენზე მეტად არ საჭიროებენ დახმარებას. შეხედე ჩემს მოქმედებას: როდესაც ხალხის ტანჯვათა შესამსუბუქებლად გოლგოთაზე ავდიოდი, ნუგეშს ვაძლევდი კეთილ-გონიერ დედაკაცებს, რომლებიც მომდევდენ და სტიროდენ ჩემთვის („ეიხედა მათ იესო და რქვა: დედანო იერუსალიმელნო, ნუ სტირით ჩემთვის», ლუკ. 23, 28). როდესაც ჯვარზედ აკრული ვითმენდი სიკვდილის მწუხარებას, მაშინაც ნუგეშს ვაძლევდი ჩემს დედას და მოციქულს, რომელიც მე მიყვარდა („იესო, ვითარცა იხილა დედაჲ თვისი და მოწაფე იგი, რომელი უყვარდა, წინაშე მდგომარენი, რქვა დედასა თვისსა: დედა კაცო! აჰა ძე შენი. და მერმე მოწაფესა მას რქვა: აჰა დედაშენი“ (იოან. 19, 26, 27).

როდესაც დაჩაგრული, სხვისი მწუხარების შესამსუბუქებლად, საკუთარს ტანჯვას ივიწყებს, ამითის დიდ ღვაწლს სდებს ჩემს წინაშე.

5. ყოველს შემთხვევაში ერიდე ყალბ სიყვარულს მოყვასთადმი, რომლის სახელით ზოგჯერ სამღვდელო მოსამახურე ჩაერევა ხოლმე მსოფლიურ დავაში. შენის თანამდებობის შეუფერებელს საქმეში ჩარევით უაზროდ იმრავლებ საქმეს, ჰკარგავ ძვირფასს დროს, რომელიც შეგეძლო მოგეხმარებია შენს მყუდრო ხასიათზე შედარებულს საქველ-მოქმედო საქმისათვის. ხომ იცი, მე არ ჩავერიე ორ ძმათა შორის ნაანდერძევ ქონების გაყოფის საქმეში („იესომ რქვა მათ: კაცო ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქვენდა?“ ლუკ. 12, 14). უარ ვყავ რა ამ სადაო საქმეში ჩარევა, მე ვისარგებლე თავისუფალი დროით და მივეც მოძღვრება ხალხს სიძუნწის წინააღმდეგ (ლუკ. 12, 65). მოიქეცი შენც ამ საბით, როდესაც გთხოვენ მსოფლიურ საქმეებსა და დავაში ჩარევას.

(გაგრძელება იქნება).

შეწირულებანი.

I.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით ვულითადი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მრევლმან ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემი თხოვნით საჭირო ნივთები შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ოჯოლის მიძინების ეკკლესიას. აი შემომწირველთა სია: აზ. მურ. იაშვილმან ერთი ხელი მღვდლის შესამოსელი და ერთი ხელი დაფარნები, ყველანი ფარჩისა, ღირებულნი 50 მან., აზ. არჩ. დ. იაშვილმა ერთი წყვილი ხომლი, ღირებული 25 მ., აზ. არსენ მ. იაშვილმან ერთი მაცხოვრის ხატი, ღირებული 7 მ., გ-მა ეფ. ჩუბინიძემ ჯვარცმის წინ დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 12 მ., ალ. ჩუბინიძის მეუღლა ეფემიამ ტაძრის ხატის წინ დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 5 მან.

ზედ მიწერილის ლაშოს წმ. გიორგის ეკკლესიას, რკინის გზის სადგურის აგენტმა, დავით მაღლაფერიძემ ერთი ვერცხლის ბარძიმი ოქროთი დაფერილი და მხატრობიანი, ღირებული 40 მანეთად; ეფ. წითაშვილის ქვრივმა, ელისაბედმა ორი ხატი ერთი მაცხოვრის და მეორე ღვთის-მშობლისა, ღირებულნი 30 მან., სოფ. ბოგვერაძემ ერთი სასანთლე, ღირებული 4 მან., 50 კ., გრ. ბოგვერაძის ქვრივმა ანნამ ილია წინასწარმეტყველის ხატი, ღირებული 6 მ., ბ. წითაშვილის ქვრივმა ბარბარამ ჯვარცმის წინ დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 5 მ. და სულ 184 მან. და 50 კ.

ოჯოლას მაძ. ეკ. მდ. მ. ლოსაბერიძე

II.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა შევსწიროთ ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულ დილიკაურის ღვთის მშობლის ეკკლესიას შემოსწირეს სხვა-დასხვა საჭირო ნივთები: აზ. ვარ. გ. საყვარელიძემ ვერცხლის ოქროში დაფერილი ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი და ორი ბატარა ლანგარი, სულ ღირებულნი 100 მ., აზ. იაგორ მ. საყვარელიძემ

ძეირფასი ღვთისმშობლის ხატი და საცეცხლური, ორივე ღირებული არა ნაკლები სამი თუმნისა; პ. ბარათაშვილისამ ერთი შანდალი, ღირებული 10 მ., გლეხმა ზ. ცერცვაძემ ერთი დიდი შანდალი მაცხ. ხატის წინ დასადგმელი, ღირებული 20 მ. და გ-მა პ. ჩუბინიძემ ჯვარცმის წინ დასაკიდებელი ცხრა ღერიანი სასანთლე, ღირებული 15 მან.

დიდიკ. დვთ.-მშ. ეკ. მდ. მ. ბუაჩიძე.

III.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის „მწყემსის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოდ საყვარელა გოგოძის ქვრივს ანნას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ხრიალეთის ეკკლესიას ერთი კარგი გარდამოხსნა, ღირებული რვა თუმნად და იმ მანდილოსნებს, რომელთაც თვის შორის მოგროვილი ფულით იყიდეს ერთი წყვილი ბაირაღი, ღირებული ორმოც მანეთად. ერთი წყვილი სასანთლეები, ღირებულნი თვრამეტ მან. და ერთი სანაწილე, ღირებული არა ნაკლებ ოც-და-ათი მანეთისა.

მდ. რ. მეგრელიძე

VI.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის" საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ ბასილეთის წმ. ბასილის ეკკლესიის მრევლთაგანს—ისაკი ან. ელენტს, რომელმაც ამავე ეკკლესიის სკოლის შენობას შემოსწირა თექვსმეტ მან. ღირებული მინები ფანჯრებში ჩასასმელად.

სამ. სკ. მასწ. კ. შარაშიძე

V.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული «მწყემსის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, ჩემის და ჩემი მრევლის მხრით შემდეგ პირთ: პეტროვსკში მოვაპრეს ნ. ოქ. კობრაივს, რომელმაც შემოსწირა ძველი ოფეთის მთავარ ანგელოზის ეკკლესიას სხვადასხვა ხატები, ღირებულნი 67 მანეთად, სამტრედიის მცხოვრებმა დათიკო ი. ჩხაიძემ ერთი რწყვილი გვირგვინი, ღირებული 10 მ. და სოფ. უნაგერას მცხოვრებლებმან ნიკო, მიხეილ და დავით ნიკოლეიშვილებმან დიდი ტანის გარდამოხსნა, ღირებული 70 მანეთად.

მდ. ლუკა ჩაჩუა

VI.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ რწმუნებულს ჩემდამო სამრევლოთაგანს თ. პლ. რ. აბაშიძეს, რომელმაც შემოსწირა სოფ. თუზის წმ. გიორგის ეკკლესიას სასაფლაოდ ერთი ქცევა ადგილი, ღირებული ორას მან., ბარბარა ჩაფიჩაძეს, რომელმაც შემოსწირა ერთი დასადგმელი შანდალი, ღირებული შვიდ მან. და თინათი ჩაფიჩაძეს, რომელმაც შემოსწირა ერთი დასადგმელი შანდალი, ღირებული შვიდ მან.

თუზის ეკ. მდ. ბ. ეთეშიძე

კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა 1901 წელს.

გამოფენა გაიხსნება ტფილისში 20 აგვისტოს და შესდგება შემდეგ განყოფილებებად:

მიწად-მოქმედება; მევენახეობა და მეღვინეობა; საბაღე და საპოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები; დეკორატიული ბაღოსნობა; ხეხილის მოჯიშენება და მებოსტნეობა; ტყის მოვლა-მოშენება; შინაური ფრინველი; მერძეობა და საქონლის მოვლა-მოშენება; მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა; მეთევზეობა და მონადირეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები; შინა და სახელოსნო მრეწველობა; საქარხნო მრეწველობა; სამთო მრეწველობა, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება; სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება; სამეცნიერდ-სამოსწავლო განყოფილება; სამხატვრო განყოფილება.

გამოფენის ბიურო და კომისარიატის კანცელარია იმყოფებიან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, და გახსნილია ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე.

პირისპირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ შუადღის 1-ლ საათიდან 2-მდე. კომისარიატის კანცელარიის სადგომში.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ოთ-ხკვირიულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

&

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. 6 თვით «მწყემსი» 2ბ.
— „ „ რუსული „ 3 მ. — „ „ რუსული „ 2 „
— „ „ ორივე გამოცემა 5 „ — „ „ ორივე გამოცემა 3 „

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვლარიდაში, აგრეთვე ქუთაისშაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; სოჩხეთში — ყარაულ ჩავიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ ლ. ხახუაოვთან; ახალსენაკში — ბალალოჩინ მაჟარისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ კაბეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქცია აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ვლარიდაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბოლოს ჩვენ ვთხოვთ ჟურნალის დაბარებაზე შეუძლიათ ამ აადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-ს, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოველად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ეკრძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ეჭ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ეჭ. ფ. კ. გეერატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და სამბეობი ქალი.

ეჭ. ვ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ანვერაციის ფასი გარიგებასვე.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ოფიციალური განყოფილება: განჩინება უწმიდესი და უმართებელესი სინოდისა სამღვდელო პირთა დაჯილდოებაზე.

სალიტერატურო განყოფილება: სად ჯობია სემინარიის შენობის აგება — ქალაქში, თუ მის გარეშე? დეკ. დ. ღამბაშიძისა. — მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა. — ხმა ზემოიმერეთიდან, მღ. ს. ჭუმბურიძისა. — წერილი რედაქციისადმი. — გულ-ახდილი თხოვნა ქართველ საზოგადოების მიმართ. — ჟურნალ-გაზეთებიდან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე:** ხმა მეცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი. — შეწირულებანი.

— განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбащидзе.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Мая 1901 г. ✦ Ценз ръ прот. Е. Елѣевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მთ. 11-.28.

№ 10 | 1883—1901 | 15—30 მაისი

P 38839

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული დეკ. დ. დამბაშიძის მიერ შორაპნის საბლაგოჩინო ოჯ.ის სამდვდელოების კრებაზე.

გაგრძელება *)

თუ რომელიმე წოდებაში საჭიროა, ესრეთ წოდებული, დისციპლინა (უნცროს-უფროსობა, პატივისცემა და მორჩილება), ეს ნამეტნავად სასულიერო წოდებაშია საჭირო და სავალდებულო. აქ ყველაზე მეტი საჭირო და სავალდებულოა თავიანთ უფროსის პატივისცემა, მორიდება და მორჩილება. ამისათვის მედავითნე და მთავარ დიაკონი მორჩილნი უნდა იყვნენ თავიანთ მღვდლისა და არაფერში არ უნდა გამოიჩინონ ისეთი საქციელი თავიანთ მოძღვართან, მრევლის მღვდელთან, რომელიც მათ მრევლის ანუ ხალხის თვალში ამდაბლებს. ეკკლესიის წევრთა შორის ყოველთვის და ყველაფერში მეტის-მეტი კარგი დამოკიდებულება უნდა სუფევდეს. მორიდება, პატივისცემა მედავითნისა თავის მოძღვრისადმი შინით კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ იგი მთლად სიყვარულზე უნდა იყოს დამყარებული. ამისათვის ყოველი უზრდელი საქციელი, თამაშობა, უადგილო შენიშვნები და გასწორება, ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს ხოლმე მლოცველებზე და საზოგადოდ ხალხზე, როცა მედავითნე გამოიჩენს ამისთანა მოქმედებას. ზოგ ადგილას მღვდლებმა შენიშვნის მიცემა იციან ტრაპეზიდან და ეს შენიშვნა ისე ხმამაღლა და ხანდისხან ისეთი მრისხანე სახით გამოიხატება ხოლმე, რომ

*) იხ. „მწყემსი“ № 24. 1900 წ.

ყველა მლოცველებზე ფრიად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მართალია, მედავითნე ყოველ შემთხვევაში უნდა ემორჩილებოდეს თავის მღვდელს და პატივს უნდა სცემდეს მას, მაგრამ ამასთან მღვდელიც არ უნდა იეიწყებდეს თავის მხრით მედავითნის თავმოყვარეობას. მღვდელმა უნდა დაიხსომოს ყველა ის შემცდარი სიტყვები, რომელნიც შეეშალა მედავითნეს და თავისუფლად, ეკლესიის გარეშე, უნდა გაუსწოროს ეს და არა ღვთის-მსახურების დროს. მედავითნეთა საქციელი ხომ მეტის-მეტად შეუფერებელია, როცა კლიროსიდან მღვდელს უსწორებენ ტრაპეზში: „მამაო, ახლა მაგ ასამაღლებელი არ ითქმის, ესა და ეს ასამაღლებელი უნდა სთქვათ“, ან გაჩერდებიან, სანამ მღვდელი არ გაასწორებს თავის მცირე რამ შეცდომას. საღმრთო მოქმედების შეჩერება, ხმის გაწყვეტა ეკლესიაში. მლოცველებში გაოცებას გამოიწვევს და მლოცველთა ყურადღება და სულის მდგომარეობა იცვლება. ხშირად მოხდება, რომ დაღლილ მლოცველს, რომელსაც წაკითხულის ხმა ესმის მარტო, თორემ აზრის გამოტანა და წაკითხული ლოცვის და საგალობელის არა გაეგება რა, ძილი მოუა და გამოღვიძება მაშინ, როცა მკითხველი შეჩერდება!.. ხმის შეწყვეტა თუ მძინარე კაცზედ ასე გასაკვირლად მოქმედებს, რაღა უნდა ვიფიქროთ ფხიზელ მლოცველზე. ამისათვის, მღვდელი და მედავითნე მუდამ უნდა ერიდებოდენ თავიანთ შეცდომების გასწორებას ღვთის-მსახურების დროს ეკლესიაში.

ჩვენს ეკლესიებში არის მეორე ნაკლულევანება შემჩნეული წირვის დროს, და ეს ნაკლულევანება უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მლოცველებზე. ეს გახლავთ მღვდლის და მედავითნის ხმის შეუწყობლობა. ხშირად მღვდელი იწყებს მშვიდობიანს მაღალის ხმით, მედავითნე კი გალობს ძლიერ დაბალის ხმით. ხშირად არავითარი ხმის შეწყობა მათში არ სუფევს და ამით კითხვაც და გალობაც მეტის-მეტად უსიამოვნო ხდება. იმაზე ცუდი არაფერია, როცა მგალობლების, მღვდლისა და მთავარ-დიაკონის ხმა შეწყობილი არ არის. ამ ხმის შეუწყობლობას თითქმის უსწავლელნი მლოცველებიც კი ადვილად ნიშნავენ ხოლმე და შეგნებულნი პირნი კი ნამეტნავად სწუხრან.

ხშირად, როცა მგალობელნი და მედავითნეც გალობას ტ კითხვას მალე ათავებენ, მღვდელი ვერ ასწრობს საიდუმლო ლოცვების წაკითხვას, და ეკლესიაში სიჩუმე ჩამოვარდება, რაიცა ძლიერ ცუდათ მოქმედებს მლოცველებზე. შეგნებული მედავითნე ხელახლა იწყებს გალობას, მაგრამ ზოგიერთი მედავითნე, რომელმაც ერთჯელ იგალობა დადებული საგალობელი, მის განმეორებას ცოდვად რაცხს.

არასოდეს არ უნდა გაბედონ მღვდელმა და მედავითნემ ურთი-ერთ შორის მასხრობა და ხუმრობა, რადგან ყოველი მათი ხუმრობა მრევლზე მოქმედებს ცუდად და მრევლის მათდაში კრძალვით მოქცევას სპობს.

ზოგიერთმა მღვდელმა და მედავითნემ იციან ნამეტანი ხველების ატეხა ისეთ დროს, როცა შესანიშნავი მღვდელ-მოქმედება სრულდება ეკლესიაში. მღვდელი და მედავითნე ნახველს პირიდან იატაკზე აფურთხებს. ეს ნამეტან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მლოცველებზე და ამასთან ნახველის ნიადაგ ხედვა გულს უზიზღებს მხედველს. შესანიშნავი წამებისათვის მღვდელიცა და მედავითნეც მზად უნდა იყვნენ და ხმაც განწმედილი უნდა ჰქონდესთ. მღვდელი უთუოდ უნდა აფურთხებდეს, განგებ საამისოდ მოწყობილ საფურთხში, რომელიც მივარდნილ ადგილას უნდა იყოს, ან თუ ასეთი არა აქვსთ რა, მაშინ ცხვირსახოცში უნდა აფურთხებდეს.

მღვდელსა ტ მედავითნეს მომეტებული ყურადღება უნდა ჰქონდესთ მიქცეული, რომ მათ შესამოსელი რიგიანად ადგეს ტანზე და არა ისე საძაგლად,— მოქცეულად და შეუსაბამოდ, როგორც აქვსთ ხოლმე ზოგიერთებს. ძველ დროში ამას იქნება ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ დღეს დრო და ხალხის შეხედულება შეიცვალა, და, სამღვდელოებაც ახალი დროის მოთხოვნილებისამებრ უნდა იქცეოდეს. ზოგიერთი სოფლის მღვდელი რომ ნახოს ეკლესიაში შემოსილი ქალაქში შემოსილი მღვდლის მნახველმა, გაიცინებს და ბევრ რაიმე სამწუხაროს გაივლებს გულში...

(დასასრული იქნება)

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეკანატების კრება ჟუთაისში 15—22 დეკემბერს 1906 წ.

გაგძელება *)

ერთ თავის კრებაზე, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ, აღძრა კიდევ ეპარქიის საფუტკრეს დაარსებაზე. მიზეზი ამ კითხვის სამღვდელოების კრებაზე აღძრისა იყო ქუთაისის სასულიერო სასწ. მასწავლებელი,—ცნობილი მეფუტკრე რაფიელ ნიკოლოზის ძე ჩიხლაძე. ბ. ჩიხლაძემ შემოიტანა კრებაში წინადადება, რომელიც სამღვდელოების კრებამ სიამოვნებით მოისმინა. აი ეს წინადადება:

„სამხრეთის მშვენიერი ჰავა, ადრე გაზაფხულით და თბილი დღეების სიხანგრძლივით, ხელს უწყობს აქ, როგორც შენიშნაეს ერთი მეფუტკრე, ფუტკრების ბუნებრივ გამრავლებას;—სამრავლე ბაღებისა და საუცხოო ყვავილოვანი მცენარეულობისა—ტყესა და მინდვრებში, იძლევა მდიდარ მასალას თაფლისა და სანთლის კეთებისათვის, ზამთერი ზამთარი კი იხსნის მეფუტკრეს სკებისათვის საზამთრო თბილ სადგომის მოსაწყობ ხარჯებისაგან, რაზედაც აუცილებლად უნდა ფიქრობდეს მეფუტკრე, არა მარტო განაპირა ციკი ჩრდილოეთისა, არამედ რუსეთის საშუალო ადგილებისაც. მართლაც, ამ გვარ სასოფლო მეურნეობისათვის კავკასია და განსაკუთრებით იმერეთი ბუნებისაგან შემკობილია ყოველ ნაირი სასარგებლო პირობებით. ტყეებით დაფარულს მთებში თაფლს იძლევა ყოველნაირი თაფლოვანი მცენარე, რომელიც კვებავს ათასობით და მილიონობით ხის ფუღუროებში მცხოვრებ გარეული ფუტკრის ნაყრებს. ხალხის საცხოვრებელ ალაგებში, სადაც ცოტა ტყეებია, თაფლის წყაროს შეადგენს მინდვრის მცენარეულობა, რომელიც ადვილად ჩნდება ჭოჭოულ უნაყოფო ადგილებში. ყველა ეს ბადავს ჩვენს ქვეყანაში თაფლის სიმდიდრეს და ამით მეფუტკრეობას აყენებს სასურველ პირობებში.

ამის შემდეგ ჩვენ მართლ-მადიდებელ ეკლესიებს არც შეშვენის და არც ხელს მისცემს ცვილის ყიდვა არა ქრისტიანებთაგან, მაგალ. თათართა და ურიათაგან, ეკლესიაში და შინ სახმარებლად, და მასთან წარმოუდგენელ ძვირათ. როგორც ყოველ მხრივ, ისე ამ მხრითაც მეტად უკან ჩამორჩენილნი ვართ ჩვენდა სამწუხაროდ. ამისთანა კურთხეულ ქვეყანაში ჩვენ სამღვდელოებას სხვისთვის უნდა მიეცა მაგალითი, მაგრამ ბევრმა რუსეთის სხვა ეპარქიებმა, როგორც ვოლინისამ და მისმა მეზობლებმა, უკვე დაარსეს ეგრეთ წოდებული საეკლესიო საფუტკრეები. ეს საფუტკრეები ყველგან გამართულია მღვდლებისაგან სამრევლოებში, ყოველ ეკლესიასთან, ძმობის ანუ ეკლესიის საშუალებით და საეკლესიო ან საკრებულო ადგილებში. დასახელებულ ეპარქიაში ამისთანა საფუტკრეები გაიმართა სამღვდელოების საეპარქიო კრებების აზრით, რომ თვითონ თავისი ცვილით ამზადონ სანთლის ქარხანაში წმინდა სანთელი, რადგან უკანასკნელის ფასი თანდათან მატულობს.

საეკლესიო საფუტკრეებს, გარდა თავისი პირველი მიზნისა, სხვა მნიშვნელობაც ეკნება—ზნეობრივი და ნივთიერი.

მეფუტკრეობას კაცის ზნეობრივ აღზრდაზე დიდი გავლენა აქვს, ის აფაქიზებს ზნეობას. მეფუტკრე არის ყველასათვის კეთილი ადამიანი, მას უყვარს თვისი მეზობლები, მზათ არის მოეხმაროს მათ გაპირვების დროს, ის შეადგენს სხვებისათვის შრომასა და მომპირნეობაში მისაბაძავ მაგალითს. მაშ, ფუტკრები მღვდელს ეხმარებიან სამწყოსოთა ზნეობრივ აღზრდაში.

ნივთიერად მეფუტკრეობის სარგებლობა ყველასათვის თვალსაჩინოა: ყვავილებისაგან ფუტკრები აგროვებენ იმისთანა ნივთიერებას—თაფლს, რომელიც უმამათოდ იკარგება ადამიანისათვის; თითოეული წკეთი თაფლი, შეტანილი ფუტკრისაგან სკაში, ადიდებს კეთილ-დღეობას როგორც კერძო პირებისას, ისე მთელი სახელმწიფოსას. არა ნაკლები სარგებლობა მოიქცეს ფუტკრებს სასარგებლო სამეურნეო მცენარეების განაყოფიერებით, რითაც ისინი ხელს უწყობენ მიწის მოსავალს. ამიტომ მეფუტკრეობა—ეს კეთილშობილური ხელობა—ჩვენს ღარიბ სამღვდელოებას რამოდენიმედ წაეხმარება ოჯახშიც.

ეს მქონდა სახეში და მსურდა შემეტანა სარგებლობა ჩვენი სამღვდელოებისათვის, როდესაც მე 1893 და 1894 წლებში გაზ. „მწყემში“ ვბეჭდავ-

*) იხ. „მწყემსი“ № 4 1901 წ.

დი მეფუტკრეობის შესახებ სტატიებს. შემდეგ კი გამოვეცი ცალკე წიგნათ დარიგება მეფუტკრეობისათვის, რომელიც ნეტარხსენებულ გაბრიელის განკარგულებით დაურიგდა სამღვდელოებას ბლაღოჩინების ხელით. ვსცდილობდი აგრეთვე მომეწყო რიგიანად საფუტკრეები ეკკლესიებთან და მონასტრებთან, როგორც მაგალითად ჯრუჭის მონასტერში ჩემგან დადმულია რამდენიმე გასაშლელი სკები.

ყველა ზემოთხსენებული მაბედვინებს მივაწოდო უსასყიდლოთ სამღვდელოების კრებას ჩემი სამსახური, საეკკლესიო და საშკოლო საფუტკრეების გამართვასა და მათ გონივრულ მოწყობაში, რაისათვის მე სწავლის დროს ყოველ კვირაში მექნება სამი თავისუფალი დღე, ზაფხულში—უპირველეს საჭიროების დროს კი, მთელი ოთხი თვე. ეს თავისუფალი დრო მომცემს მე შეძლებას თავისუფლად ვხელმძღვანელობდე რამოდენიმე საფუტკრეს ეპარქიის სხვა და-სხვა ადგილებში".

ამ წინადადებამ მრავალგვარი ·მსჯელობა გამოიწვია დეპუტატებთა შორის. დეპუტატების უმეტესობას ძლიერ მოეწონა ეს წინადადება და ითხოვდა, რომ ათასი მანეთი გადადებულიყო სანთლის ქარხნიდან საეკკლესიო საფუთკრის მოსაწყობად ჭალის მთაში. სამღვდელოების დეპუტატებშივე აღმოჩნდენ ზოგიერთები, რომელთაც მონაწილეობა ჰქონებიათ ესრეთ წოდებულ ·ჭალის მთაში. აღმოჩნდენ მსურველები, რომელნიც კისრულობდენ ფუტკრების გაშენებას, საფუტკრის მოწყობას და მცირე დროის შემდეგ, დიდი სარგებლობის მოტანას ამ გაწყობილი საფუტკრიდან. ზოგიერთი დეპუტატები დიდ შეძოსავალს უქადდა სანთლის ქარხანას. სხვათა შორის ბლაღ. ი. წერეთელმა და მღვდლებმა: ვლ. აბრამიშვილმა, ელ. კაპანაძემ და აბ. იაკობაშვილმა იკისრეს ამ საქმის ხელის მოკიდება და დაწყება. სამღვდელოების კრებაც თანხმდებოდა, რომ მათ მიცემოდა ათასი მანეთი სანთლის ქარხნიდან საფუტკრის მოსაწყობად. ამ დროს დეპუტატმა დავით ღამბაშიძემ ითხოვა სიტყვის თქმის ნება და მიიღო კიდეც.

დეპ. დავ. დ. ღამბაშიძე. წინადადება და მოსაზრება რ. ჩიხლაძისა ძლიერ მოსაწონი და საყურადღებოა, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ყოველივე ისე ადვილად გაკეთდეს, როგორც ზოგიერთები ამბობენ. როცა ფულების აღებაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველივე აღთქმა, ოქროს მთები, აუარებელი შემოსავალი და სხვა ამისთანაები მზად არის და ურიცხვ სიმდიდრეს გვიქადიან. მაგრამ როცა საქმეზე მიდგება ჯერი, მაშინ კი ყველაფერი იცვლება. ქარხნის ათასი მანეთით უნდათ ზოგიერთებს სამ წელში მოეწყოს ისეთი საფუტკრე, რომელიც ყოველ წელში საჭირო სანთლის ცვილი მისცეს იმერეთის საეკ. ქარხანას, ესე იგი 700 ფუთი ცვილი, რაც შეადგენს 14000 მანეთს. ეს ნამეტანი გატაცებულობაა. როგორც გნებავთ, ისე გადაწყვიტეთ ეს კითხვა, მაგრამ მე ურჩევ კრებას, რომ ათას მანეთს სანთლის ქარხნიდან ნურავის ნუ მისცემთ, სანამ საიმედო გარანტია არ იქნება მიღებული იმ კაცებიდან, რომელნიც ამ ფულებს მიიღებენ, რომ სანთლის ქარხანას იგინი უზღვევენ თავის ფულს სარგებელითურთ, თუ ვინიცობაა მათ საქმე ვერ წაიყვანეს რიგიანად. უამპირობოთ მე არავისი არა მწამს რა, რამდენიც უნდა დაგვპირდენ. ყველაზე მეტად იმას შევეყავარ ეჭვში, რომ ჭალის მთაში მესაკუთრე ადგილის მქონეელი არავინ არის; აქვსთ მონაწილეობა, მაგრამ ამ მონაწილეობის უფლებით რომელიმე ადგილის აღმოჩენა და მაზე საფუტკრის მოწყობა, სხვა მონაწილეთა უთანხმოდ შეუძლებელად მიმაჩნია. კიდევ განმეორებით ვიტყვით: უთუოდ უნდა მოეთხოვოს საიმედო გარანტია, რომ ეს ათასი მანეთი ქარხანას თავისი სარგებლით არ დაეკარგოს".

ამ სიტყვის შემდეგ კიდევ იბაასეს ცოტა ხანს და ერთხმად გადასწყვიტეს: მიეცეს ათასი მანეთი ზემოაღნიშნულ პირთა ოთხი წლის ვადით და ოთხი წლის შემდეგ ან ასი ძირი ფუტკარი ჩააბარონ სამღვდელოებას სკებითურთ და ან ათასი მანეთი დაუბრუნონ სარგებლით.

ძალიან სასიამოვნო მოვლენაა სამღვდელოების მოქმედებაში ის, რომ მან მისცა მეფუტკრეობას დასაწყისი ამ ჩვენ ბუნებით მდიდარს, მაგრამ უმეცრების გამო დაღატაკებულ ქვეყანაში, და არ დაიშურა მისთვის ამ თავიდგანვე დახარჯოს ათას მანეთამდე, რაიც საგრძნობელ ხარჯს შეადგენს ჩვენი ღარიბი სანთლის ქარხნისათვის. მადლობის ღირსი არიან ის პირებიც, რომელთაც თავს იდვეს ამ საქმის გამგეობა და პირობა დასდეს, რომ ქარხანამ თუ სარგებლობა არ ნახა, ამ ათას მანეთს სარგებლით მაინც არ დაუკარგავენ.

მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, თუ რა ნაკლი აქვსთ დღეს ამ საქმეს, რომ ის ნაკლი რამდენადაც შესაძლოა მოისპოს და საქმე რიგიან ნიადაგზე დადგეს. სამღვდელოებამ გარდასწყვიტა დაარსდეს ერთი საფუტკრე სადმე, სადაც ამოირჩევენ ზევით მოხსენებულნი საფუტკრის გამგეები, ამ უკანასკნელებს მიეცესთ ასი თუმანი ოთხი წლის ვადით, ვადის გათავებისას მოეთხოვოს მათ ასი სკა და თუ ასი სკა არ ჩააბარონ სანთლის ქარხანას, იმ შემთხვევაში ასი თუმანი მათ უკანვე დაუბრუნონ ქარხანას. ვინ არ გახდებოდა თანახმა ამ დადგენილობისა და სიამოვნებით არ მიიღებდა ას თუმანს, თუნდა მეტსაც ამ პირობით? ოთხი წლის განმავლობაში კი არა, პირველ წელსვე უნდა შეიძინონ მათ ასი სკა ამ ფულით და დანარჩენ სამ წელიწადს ვის უნდა აძლიონ სანთლის შემოსავალი არ ვიცით? არ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი უნდა იყოს ეს სკები, რომელი სისტემის და რა სივრცის? გვეთქმის რამე მაშინ, რომ მათ მანეთიანი და შვიდაბაზიანი სკები მოგვიყარონ? რომ საქმე წაახდინონ, ამ პირობამ ან უცოდინარობით და ან განზრახულებით, მაშინ მეფუტკრეობამ ჩვენში ხომ ნდობა და სახელი სრულიად უნდა დაჰკარგოს ხალხის თვალში. ეხლა კიდეც რომ ივარგოს საფუტკრეთ გამგეებისაგან ამორჩეულმა ადგილმა, ჩვენ მერე გამოგვადგება ის, თუ არა, ისიც საკითხია. რადგან ამ კეთილი საქმის დაბადება ისურვა სამღვდელოებამ, საჭირო იყო, რომ მისთვის მას თვალყური ედევნებია მცოდნე კაცის საშუალებით.

ჩვენის აზრით კარგი იქნებოდა, რომ სამღვდელოება დაკვირვებოდა ბ. ჩიხლაძის მოხსენებას. საფუტკრეები უნდა გახსნილიყო ეკკლესიებთან და შეოლებთან თაფლით მდიდარ ადგილებში და არც იმოდენები, რომ ათასობით დახარჯულიყო ფული. სრულებით საკმარისი იქნებოდა ჯერ-ჯერობით ათი სკა თითო საფუტკრეზე. საფუტკრის გამართვაში მიიღებდა რამდენიმე მონაწილეობას ადგილობრივი ეკკლესია. მღვდელი თუ მასწავლებელი დაინტერესებული იქნებოდა შემოსავლის ნაწილის სარგებლობით და მუყაითად მოეკიდებოდა საქმეს; არც მოელა გასჭირდებოდა, რადგან საფუტკრე არ იქნებოდა დიდი. ქარხანას ეყოლებოდა ერთი მცოდნე პირი, რომელიც დრო-დროზედ ნახავდა საფუტკრეს და შესაფერ დარიგებას მისცემდა საფუტკრის გამგეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ერთმა საფუტკრემ არ იხეიროს, მაგრამ ათსა და თუთხმეტში უმეტესი ნაწილი მაინც იხეირებდა და სრულიად იმედს არ დაგვიკარგავდა. გარდა ამისა, ამნაირი საფუტკრეების ვამართვით, მეფუტკრეობა მალე გავრცელდებოდა ეპარქიის სხვა-და-სხვა კუთხეებში.

დღეს ამ საქმეს სხვა აღარაფერი გაეწყობა: ქარხანამ უნდა ადევნოს თვალყური, რომ საქმე რიგიანად იქნეს დაყენებული და კერძო პირების უცოდინარობით ანუ სხვა რაიმე მიზეზით მეფუტკრეობამაც არ დაჰკარგოს სახელი და ქარხანამაც ზარალი არ ნახოს.



ჩვენი სასისხარულო და საშეუსარო შთაბეჭდილებანი ევროპის საჭელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

უარებელი პავილიონების დათვალიერებამ თავი მოგვაბეზრა. მაგრამ გული მაინც არ გიშვებოდა იმას, რომ ყველაფრისათვის არ გადაგვევლო თვალი. ამასთან გამოფენის დათვალიერებაც ძლიერ გაძნელებული იყო. ლილიდან საღამომდინ ძნელი იყო სულ სიარული და გამოფენის პავილიონების დათვალიერება. საუზმე და სადილი თვითონ გამოფენის რესტორანებში ძლიერ ძვირი იყო, ყოველიფერს მომასისხლად ყიდდენ. თუ ნასადილევს წახვიდოდი, ველარაფერს მოასწრებდი და ბილეთის ფასიც იკარგებოდა. ამისათვის დაუჩქარეთ სხვა-და-სხვა პავილიონების დათვალიერებას. გავყევით სენის მარცხნივ მხარეს, რომელ ადგილზედაც მიყოლებული იყო პავილიონი მექსიკის რესპუბლიკისა. ამ პავილიონში უმთავრესად მიწის მოსავლის ნაყოფი იყო შესამჩნევი.

შემდეგ მექსიკის რესპუბლიკის გამოფენისა იყო

*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1901 წ.

სასახლე ჯარისა და ფლოტისა. ეს შენობა სიგრძით ას ორმოც-და-სამი საჟენი იყო და სიგანით ოცდა-ბუთი საჟენი. ეს სასახლე ორათ იყო გაყოფილი, ერთში იყო გამოფენილი ყოველივე იარაღები საფრანგეთისა და მეორე ნახევარში სხვა სახელმწიფოთა. სენის მარცხნივ მხარეს გაყოლებული იყო იმდენი სხვა-და-სხვა პავილიონები, რომ მათ დათვალიერებას კიდევ მოუნდებოდა კაცი რვა დღე და ამისათვის ვამჯობინე მათი აწერილობის წაკითხვით დავკმაყოფილებულიყავი.

ბევრი რამ იყო ხალხის გასართობი თვითონ გამოფენაზე და მის გარეშე კერძო პირებისაგან გამართული, მაგალითებრ წარმოდგენები და სხვა-და-სხვა სანახავები, რომელთა სანახავად ან დასათ-

შეკვლების ბაღდადონი.

ვალიერებლად ცალკე ახდევინებდენ ფულს ერთი ფრანკიდან ხუთ და ექვს ფრანკამდე. ეს სანახავები და გასართობები ზოგი ისეთი იყო, რომ მათი ნახვა არ ღირდა, მაგრამ ზოგიერთი კი სწორედ შესამჩნევი და ფრიად საყურადღებო იყო. სხვათა შორის ბავშვების აღსაზრდელი სახლი ძლიერ საყურადღებო სანახავი იყო. აქ საინტერესო სანახავი იყო დღენაკრული ბავშვების მოვლა. ეს ბავშვები, რომელთა ზრდა არ იყო ჯერ კიდევ დასრულებული, არარან პატარა ბანკებში და იმნაირ სითბოში იმყოფებიან, როგორი სითბოც მათ ჰქონდათ საშობი. ერთმა ამ სახლის გამგე ქალმა გვითხრა, რომ ამნაირი ზომით და საშუალებით აწ დაწესებულებას ორი ათასი ბავშის სიცოცხლე დაუცავს და ორი ათასი კაცი შეუძენია საზოგადოებისათვისო. ზოგან კაცები ჰყავდათ დაქირავებული და ყვიროდენ ნიადაგ: „მობრძანდით, ბატონებო, ბეტის ბეტი სასიამოვნო, გასაოცარი და საყურადღებო სანახავებია. მობრძანდით, შესვლა ღირს სულ ერთი ფრანკი და ნახევარი. თქვენ აქ ნახავთ ჭერზე მოსიარულე, პირ დაღმა დაკიდებულ ხალხს. მობრძანდით, არა გჯერათ? აი შეხედეთ, (ამ დროს ერთ ფანჯარას გაღებენ და მართლაც თქვენ დაინახავდით, რომ ჭერზე ყირამალა დამსხდარან კაცები და სუფრაზე შეჭეცევიან,—იგინი იცინიან და ხუმრობენ). მოსამსახურეებიც ყველანი ყირამალა დაკიდებულნი დადიან ჭერზე. ზოგი—ხმი კაცი მართლა იხდიდა ფულს და ის არ იცოდა, რომ ყველა ეს სანახავი თვალთ-მაქცური იყო—სარკის შუშის საშუალებით.

ეგვიპტელის დიდ ბლობესი.

საინტერესო სანახავი იყო დიდი გლობუსი. ეს გლობუსი კარგა დიდი იყო; სიგანე ქონდა თითქმის ჩვენებური სამოკი ალაბი. შიგნით ეს გლობუსი კარგი სანახავი იყო. მაგრამ ორ-სამ გზით, როცა ნახვა დავაპირეთ, იგი დაკეტილი იყო და ზოგიერთები ამბობდენ, რომ საშიშო არის მისი ნახვაო და ამიტომ, თითქმის კიდეც ერიდებოდენ. ჩვენი პარიზიდან წამოსვლის დღეს კიდეც მომხდარიყო უბედურება და ორმოც კაკამდინ დაშავებულიყვნენ.

გამოფენის გარეშე იყო გამართული შეეიცარიის სოფელი თავისი მთა-გორებით. ყველაფერი ხელოვნურად იყო გაწყობილი: მთა-გორები, ტბები, წყლები, წისქვილები, ეკლესია და სხვა. ყველა

ესეები წარმოადგენდენ ძველი დროის შვეიცარიას და შვეიცარიელებს. შესვლა ამ შვეიცარიის ᲮᲝ-ფელში ერთი ფრანკი იყო. ამ სოფლის მოწყობა ძვირად დამჯდარიყო და ამბობდენ, რომ ნახევარი დანახარჯი არ დაიფარაო. ყველაფერი აქ მნახველს წარმოუდგენდა ძველი დროის შვეიცარიის სოფლის ცხოვრებას. განსაკუთრებით გასაკვირველი სანახავი იყო ძველი სახლები; ძველი სახლის ხეები ისე დარკილული იყო, რომ რვაასი წლის გეგონებოდათ. ძველი ეკკლესია და წისქვილები მაინც საინტერესო სანახავი იყვნენ თავიანთი ხელოვნებით.

ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲐ.

ფრიად საინტერესო სანახავი იყო მარეორამა. თქვენ შეხვიდოდით ერთი კარებიდამ კიბით მაღლობ ადგილზე და ზემოთ ახვიდოდით დიდ გემზე. აქ ყველაფერი თქვენ თვალისწინ წარმოგიდგენდათ ერთ დიდ ხოლმანდის პალუბას. ეს უშველებელი ხოლმადი აიხსნებოდა ზღვის ნაპირიდან და შესცურდებოდა ზღვაში. ყოველივე ის, რაც ხდება ხოლმე ხოლმანდის ზღვის ბოღოზიდამ გამგზავრების დროს—აქ წარმოგიდგებოდა. ბოლოს წარმოადგენდენ აღელვებულ ზღვას და მიიღებდენ ყველა იმ ზომებს, რაც ხდება ხოლმე ზღვაზე. შეიქნებოდა ერთი რყევა, ფშტვენა, ბრძანების გაცემა ფანჯრების დახურვის შესახებ, რომ აგორებული ტალღები არ შესულიყო შიგ, შეიქნებოდა ერთი ᲭᲔᲥᲐᲚᲘ ᲭᲣᲑᲘᲚᲘ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ, რომელსაც ხოლმანდზე გაჭივრების დროს ნიშნის მისაცემად ხმარობენ. ყოველივე ეს ხდებოდა ღამით; ბოლოს გათენდებოდა, ზღვა დაწყნარდებოდა და ხოლმანდი უახლოვდებოდა გენუიას და გაიღლიდა ნეაპოლში საღამოით. ნეაპოლის მშვენიერი სანახაობა თქვენს თვალწინ იშლებოდა. აქ მომღერალნი ქალები და კაცები, ᲯᲔᲠᲔᲗ ᲜᲐᲕᲘᲗᲘᲗ მოვიდოდნენ ხოლმანდამდინ, მერე შემოვიდოდნენ გემზე, იმღერებდენ და დაუკრავდენ საკრავებზე. ბოლოს აიხსნებოდა ხოლმანდი სამგზავროთ და თავის ჩვეულებრივი რყევით გაემგზავრებოდა. აგერ თქვენ თვალის წინ გამოჩნდებოდა მშვენიერი სურათი სხვა-და-სხვა ადგილებისა—ხმელეთ შუა ზღვის ნაპირებისა, დარდანელისა და ბოსფორისა. ბოლოს, მეტად დამტკბარი ამ მშვენიერ ზღვაზედ მოგზაურობით, ჩამოხვიდოდით ხოლმანდიდან და გამოხვიდოდით ეიფელის კოშკის სიახლოვეს, სადაც ხალხი ᲭᲘᲜᲭᲕᲔᲚᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲤᲣᲡᲤᲣᲡᲝᲑᲓᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒ.

ეიფელის კოშკი აშენებულია სენის მახლობლად. ამ კოშკის შენება დაიწყო 1887 წელს და 1889 წ. დასრულდა ინჟინერი ᲔᲘᲤᲔᲠᲘᲡ მიერ. ეს შენობა ძლიერ შესანიშნავია; მთელს დედამიწაზე ეს შენობა ყველაზე უმაღლესია. იგი სიმაღლით 300 მეტრია (125 საჟენი). ქანდაკება ვაშინგტონისა 671 საჟენია; კელნის სობორო—66 საჟენია. როცა ამ კოშკის მახლობლად სდგეხარ, მაშინ იგი ისეთი მაღალი არ გეჩვენება, რა სიმაღლეც არის ნამდვილად. პირველი სართული სიმაღლით 24 საჟენია, მეორე სართული 51 საჟენი სიმაღლით, მესამე სართული ფანარს ქვეშ არის სიმაღლით 115 საჟენი. აქ შუშის ზალაა, რომელიც იტევს 800 კაცს. ფანარს აქვს სიმაღლე 10 საჟენი. კიბით ადიხარ მრგვალ ივანზე. კოშკის ზემოთ არის ელექტრონის ფანარი, რომელიც ტრიალებს და სამფეროვან სინათლეს სცემს. კოშკის ზემოდამ მეტად მშვენიერი დასახედავია, მაგრამ ეს დამოკიდებულია ტაროსზე. ჩვენ ავედით მხოლოდ ამ კოშკის მეორე სართულზე, ხოლო ჩვენი თანამგზაურნი მესამე სართულზეც. კოშკზე ადიან ელექტრონის ტრამვაით. ამ კოშკის ყველა სართულებში გამართულია სავაჭრო მაღაზიები, რესტორანები და სასტუმროები. როცა კოშკის ზემოდამ დასჩერებიხართ ძირს, კოშკის ძირს მდგომარე ხალხი პატარა ბოვშვების გროვას წარმოგიდგენთ. კაცი ვერ აწერს იმ მდგომარეობას და გულის თქმას, რომელიც იხატება შენში, როცა ამ კოშკიდამ დასჩერებიხარ გადაშლილ არე-მარეს და მთელს პარიჟს.



გამოფენის დიდი ბორბალი.

პარიჟის გამოფენის დიდი ბორბალი მოთავსებულია პირდაპირ უცხოეთის სასახლისა, სადაც გამოფენილია სანოვაგე. სიმაღლე ამ ბორბლისა 43 საჟენია. ეს ბორბალი და მთელი ვაგონები იწონის 41,000 ფუთს. ბორბალი ტრიალებს ღერძის გარეშემო, რომელიც დამაგრებულია ორ ფოლადის ბოძზე. სულ 40 ვაგონია, თითოეულ ვაგონში თავსდება 40 მგზავრი. მიდიხარ მაღლა ნელ-ნელა, მაგრამ ძლიერ კარგ სიამოვნებას გრძნობ, ეს მოგზაურობა განსხვავებულია ეფელის კოშკზე მოგზაურობისაგან, მაგრამ კოშკის ზემოდამ არე-მარეს დათვალიერება უფრო კარგია, ვიდრე ბორბლიდამ.



ქალების სასახლე.

ბურების სახლი.

გვარების გამომცვლელია საუურადღებოდ.

„საეკლესიო მახარებლის“ №-4 №-ში ვიღაცა მღვდელი სთხოვს რედაქციას განუმარტოს მას, თუ ვისთან უნდა მიიქცეს კაცი თხოვნით, რომ თავისი გვარი გამოიცვალოს, როდესაც ეს გვარი სასირცხო და სათაკილო გამოსათქმელია, ან არ სურს და არ მოსწონს იგი? რედაქცია პატივცემული მოამბისა აცნობებს მთხოვნელს, რომ სამღვდელო და საეკლესიო პირნი გვარის გამოცვლისათვის თხოვნით უნდა მიიქცნენ უწმიდეს სინოდშიო. თუ სინოდმა შეიწყნარა თხოვნა, მაშინ სინოდი ობერ-პროკურორს სთხოვს და ეს უკანასკნელი მოახსენებს ხელმწიფეს და მხოლოდ ხელმწიფეს შეუძლია გვარის გამოცვლაო.

ზოგიერთ ჩვენ მკითხველს იქნება კიდეც გაუკვირდეს ეს ამბავი და სთქვას: გვარის გამოცვლას როგორ ვითხოვო... მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია. მართალაც ზოგიერთი რუსული გვარი ნამეტნავად სათაკილოა. აი ერთი შემთხვევა: იყო ერთი აფიცერი, გვარად ორმოცტრ...ძე. ამ აფიცერს ძლიერ ეჩოთირებოდა თავისი გვარი და სთხოვა იმპერატორს ნიკოლოზ პირველს, ამ გვარის გამოცვლა. ამბობენ, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა მოწყალება უყო მთხოვნელს და ორმოცს ოცი მოაკლო და ოცზე დააყენა ეს გვარი. წინეთ უწოდებდენ ორმოც ტრა—ძეს და შემდეგ ოც ტრა—ძეს!.. მართლა, ბევრი ახირებული გვარებია რუსეთში. უწმიდესი სინოდის ჟურნალ «საეკლესიო უწყებაში» ვკითხულობთ 21 წარსული აპრილიდამ: „დათხოვნილ არს თანახმად თავის თხოვნისა ლიტოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე დათვი“. რასაკვირველია, არ ესიამოვნება კაცს, როცა მას დათვს უწოდებენ. ლომის, ვეფხვის, ცხვარის და ამისთანა ცხოველების სახელის გვარად წოდება კიდევ არაფერია, მაგრამ დათვი, მგელი ვირი და ღორი, რასაკვირველია საჩოთიროა. ხშირად იცვლიან გვარს, როცა დიდ სისაძაგლეს და ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენს შენი მოგვარეთაგანი. ხშირად ამისთანა ბოროტ-მოქმედთა გვარები მოაგონებს კაცს იმ საძაგლობას, რაც ჩაიდინა მოგვარე კაცმა. ამს-

თვის, ჩვენის აზრით, სრულებით არაფერი გასაკვირი არ არის, თუ რუსეთში ამისთანა საჭოთირო გვარებს იცვლიან, მაგრამ ვერ აგვიხსნია და დღემდის ვერ გაგვიგია, რატომ არიან ჩვენში ამდენი გვარის გამოცვლის მოსურნენი და რისგან არის გამოწვეული ასეთი ზიზღი თავისი გვარისადმი?

ჩვენ ქართველთა გვარებიც მრავალია ცხოველთა და სხვა-და-სხვა—წყალსა და დედამიწაზე ქვემძრომთა სახელებიდამ გადმოტანილი, მაგრამ ეს გვარები მაგდენად საჭოთირო არ არიან. ჩვენში ყოველ საქმეში ნამეტანი წაბაძვა ვიცით; სრულებით არ დავეძებთ, კარგია, თუ ცუდი რაიმეში წაბაძვა, ან რა ზარალი მოაქვს ჩვენთვინ ამ წაბაძვას. რამე შოგვწონს და ვბაძავთ. აქ უნებლიედ მაგონდება განსვენებულის გენერალ-მაიორის სპირდონ მაჰავარიანის ნათქვამი: „მშობლებმა მიმბარეს, სთქვა განსვენებულმა, ერთ უნტერ-ოფიცერს მეცნიერების სასწავლად. დაგვწყებია აზ, ბუკ, ვედი, ღლაღოლოდობრო და სხვა. ერთი თვე ასოები გვაძახა და ბოლოს ამოსაღები დაგვაწყებია. როცა დალეული არ იყო, კაი მოგცეს ღმერთმა, მაგრამ გადაკრული როცა იქნებოდა, უნდა გაშორებოდი. ორი-სამი წლის განმავლობაში იმისაგან მივიღე იმდენი მეცნიერება, რომ მშობლებმა საკმაოდ დაინახეს. შემდეგ მომცეს მწერლად. მწერლობა უწინ დიდ თანამდებობად ითვლებოდა. ყოველი რუსის ჩინოვნიკის გვარი უთუოდ ან ევზე დასრულდებოდა და ან ოვზე. მეზარბებოდა ეს მათი გვარები და შემძულდა ჩემი გვარი, რადგან ინზე ბოლოვდებოდა. მეც ავიღე და მათის შიბაძვით ხელი მოვაწერე ასე: „მაჰავარიანოვ“. ერთმა რუსის „ჩინოვნიკმა“ მითხრა, რად დაგიმახინჯებია შენი გვარიო? კი არ დავამახინჯე, ბატონო, მოვახსენე მე, უკეთესად დავწერე. ყოველი რუსის გვარი ან „ოვ“-ზე თავდება და ან «ევზე» მეთქი და რა ჩემი უბედურობაა, რომ ჩემი გვარი კი ასე ხარ ბოლოვდება-მეთქი. გაიცინა ამ ჩინოვნიკმა და რალაც უსიამოვნოდ გაიქნია თავი. როცა ჭკუა მომეცა, ბევრი ფინანე ჩემი გვარის გადასწორებაზე, მაგრამ რადგან ერთხელვე დაეჩვიენ, ისინი მაინც მაჰავარიანოვს მეძახენ».

ჭკუით მოდისთ თუ უჭკუობით ზოგიერთ ჩვენ ქართველებს თავიანთი გვარების გამოცვლა, ამას ჩვენ აქ არ გამოუდგებით, მაგრამ ეს ცხადია, რომ კანონით უსინოდოთ არავის შეძლებია გვარის გამოცვლა და თუ სინოდი საჭიროდ დაინახავს, მაშინ იშუამდგომლებს ხელმწიფის წინაშე, რომ მთხოვნელს გვარი გამოეცვალოს.

ზოგიერთებს, რომელნიც რუსეთში გადასულან, იმათ სულ დაუმახინჯებიათ თავიანთი გვარები. მაგალითად ერთი თავადი—წერეთელი გადასახლებულა რუსეთში და თავისი გვარი „წერეთელი“, „წერტელოვ“-ად გადუსწორებია. ერთი ჩხარელი გლეხი კაცი ფანჩულიძე გადასულა რუსეთში; იქ მისი შვილი გამოზდილა და ბოლოს გუბერნატორობაც უშოვია, მაგრამ გვარი კი არ გამოუცვლია.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ვითომდა იგიც ქრისტიანია.

ჭირვეს დრო არის, ეკლესიაში
მდგადელი ლოცულობს, ხალხი კროვდება
და ყველა ერთად სასოებითა
ბერჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება.
აგერ, ხალხთ-შორის, სვეტთან უძრავთ
რომ არის კაცი გაჩერებული,
მან გუშინ ერთ კაცს შუა ბაზარში
ამოაცალა ჯიბიდან ფული;
დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც შოუტანია
და ბერჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია.
აგერ კუთხეში განმარტოებით
რომ არის კაცი სელ-აბერებული,
მან გუშინ მუშას ქარა წაართვა,
ეკლეს-ატარა შრომის შვილი;

დღეს აქ მოსულა, თანგე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, დმერთს ეკედრება,
ვითომდა იაც ქრისტიანია.
აგერ ადსავლის კარების წინა
რომ არის კაცი დაჩოქებული,
მან კუშან ფულში ოვით ძმა კაჭვიდა,
როგორც იუდამ ქრისტე ჯვარცმულა;
დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ეკედრება,
ვითომდა იაც ქრისტიანია.

ვ. რუხაძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზეთ „ნოვოსტი“ ამტკიცებს, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლება არა თუ არ მოითხოვს ხაზინიდან განსაკუთრებულ ხარჯებს, არამედ შეიქნება ხაზინის შემოსავლის ერთ წყაროდ. და ეს ასე იქნება არა მარტო იმიტომ, რომ სწავლის გავრცელება ხალხში არის ფაქტორი ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებისა და ვაჭრობის განვითარებისა; არა, ხალხის განათლება შეიქნება პირდაპირი, უმაშუალო საფუძველი ფინანსიურ პოლიტიკისა. აი რას სწერს ხსენებული გაზეთი:

„სამხედრო ბეგრის წესდების ძალით, იმ ჯარის კაცებს, რომელთაც გაუთავებიათ პირველ-დაწყებითი სკოლა, შეღავათი ეძლევათ—მათი სამსახურის ვადა უფრო მცირეა, ვიდრე სრულებით უსწავლელისა, რადგან ისინი უფრო ადვილად ითვისებენ სამხედრო საქმეს. საქალაქო და სამაზრო სასწავლებლები კიდევ უფრო მეტ შეღავათს იძლევა. აქედან, თუ ყველა ჯარის კაცებს ექნება საპირო ცენზი განათლებისა, რუსეთის ეხლანდელ ჯარის შემცირება შეიძლებოდა 2,5%-ით მაინც, რაც 25,000 ჯარის კაცს შეადგენს. მაგრამ სიფრთხილის გამო ავიღოთ 150,000 იმ მოსაზრებით, რომ ყველა ვერ გაათავებს სკოლას. თუ ეხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხაზინას თითოეული ჯარისკაცის სამხედრო ხელოვნებაში გამოწვრთნა უჯდება 200 მან., ჩვენ დავინახავთ, რომ სამხედრო ხარჯი შემცირდება 30.000,000 მანეთით. სპეციალური გამოკვლევები კი გვიმტკიცებენ, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება დაჯდება სულ 20—25 მილიონი...

გარდა ამისა ხაზინას მოემატებოდა ფოსტის შემოსავალი, რომლის რაოდენობა ყოველთვის დამოკიდებულია სწავლა-განათლების ასეთის თუ ისეთის გავრცელებისაგან.

ეხლა რუსეთში თითოეულ კაცზე მოდის წელიწადში ₽ ფოსტის გაგზავნილი წერილი ან დეპეშა, ამაში როდესაც შვეიცარიაში მოდის 122, ინგლისში—85, გერმანიაში—81 და სხვ. აქედან ცხადია, თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენ განვავითაროთ ფოსტის საქმე რუსეთში... რუსეთის სტატისტიკაც გვიმტკიცებს ცხადათ იმ კავშირს, რომელიც არსებობს ფოსტის საქმის განვითარებისა და განათლების გავრცელების შუა. იმ დროს, როცა პირველად შემოვიდა რუსეთში სახალხო სკოლა ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი უდრიდა $7^1/_2$ მილიონ მანეთს; ეხლა კი იგი უდრის 45 მილიონს და იძლევა 13 მილიონს წმინდა შემოსავალს... გადუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლა, სულ უკანასკნელი გაორკეცებდა ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალს“

სწავლის გავრცელება იქონიებს გავლენას ხაზინის სხვა შემოსავალზედაცა, ამბობს გაზეთი. ხალხი უფრო ამოძრავდება და მაშასადამე რკინის გზას მეტი შემოსავალი ექნება და ის 150,000 კაციც, რომელიც დაუბრუნდება ნაყოფიერ შრომას, რასაკვირველია, შემატებს ხაზინას პირდაპირის თუ არაპირდაპირის გადასახადებით. დასასრულ გაზეთი ამბობს:

„არ არის საჭირო განვაგრძოთ მეტი ლაპარაკი ამ საგანზე; ჩვენის აზრით, მოყვანილ მოსაზრებებიდან და ანგარიშიდან საკმაოდ და ცხადად სჩანს, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება არა თუ საზარალო იქნება ხაზინისათვის, არამედ შეჰმატებს კიდეც მას“.

—

გერმანულ გაზეთ „ჰამბურგერ ნახრიხტენა“-ში ერთი გერმანელი, რომელიც ბურების ჯარში ყოფილა საბრძოლველად, საინტერესო ცნობებსა სწერს გენერალ ბოტაზე:

„ჩემ დღეში არ დამავიწყდება,—ამბობს ავტორი,—ჩემი პირველი შეხვედრა ბოტასთან. მე მასთან გერმანელების რაზმის საქმეზე მივედი. ბოტას ბანაკში 30—40 კარავი იდგა; გარშემო სძოვდნენ ხარები და ცხვრები; აქა-იქ ბურები სჩანდნენ; ამათ ან ეძინათ, ან არა და ფიზიკური ვარჯიშობით ერთობოდნენ. მე მაჩვენეს გენერლის კარავი. მიუახლოვდი და უბრალო ბრეზენტის კარავში წინდიან ფეხს მოვკარი თვალი. გენერალს ეძინა; გაგონილი მქონდა, რომ ბოტას ეჯავრება, როცა მას კვირაობით აღვიძებენ და მოვ-ცადე. კარავთან არც დარაჯი იდგა, არც ადიუტანტი ჩანდა, ჩემზე არავინ მოახსენა გენერალს. ბურების მთავარ-სარდალი მიწაზე გაშოლტილი იწვა ჩემ წინ და ღრმად ეძინა, ისე მაგრა ეძინა, რომ, როცა ერთი საათის მოლოდინის შემდეგ მე ჩავიხველე და გავიარ-გამოვიარე, რომ გამეღვიძებინა, ის არც კი დაინძრა. ბოლოს გავაღვიძე. ბოტა ჯერ გაჯავრდა, მაგრამ, როცა გაიგო ჩემი საქმე, ადგა და დამშვიდდა. ჩემი თხოვნა შეასრულა, შემდეგ ნარინჯები მითავაზა, რომლებიც იქვე კარავში ეყარა და მითხრა: „თქვენ გერმანელი ოფიცერი ხართ?“—დიახ.—„მაშ შემიძლიან ეს წერილი განდოთ. ხმა-მაღლივ წაიკითხეთ ყველა რაზმებში, რომლებშიაც კი ყოფნა მოგიხდებათ და სამი დღის შემდეგ ისევ უკან დამიბრუნეთ“. გამომშვიდობების დროს ბოტამ მაგრად ჩამომართვა ხელი. წავიკითხე წერილი. ლორდი რობერტსის დაწერილი იყო; ლორდი სწერდა ბოტას, რომ თუ ერთი კვირის შემდეგ დაჰყრი იარაღს, მაშინ ერთბაშად 50,000 გირვანქა სტერლინგს მოგცემთო და ყოველს წელს 10,000 გირვ. სტერლ. გაძლევთო. რაც უპასუხა ბოტამ,—ის ყველამ იცის. როცა ბურებს ეს წერილი წავუკითხე, ისინი მხოლოდ ჩუმად გაკვირვების ნიშნად თავს იქნევდნენ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ტფილისში გამოვიდა 1-ლი № რუსულის ყოველ-კვირეულის ჟურნალისა ყოველ დღიურის დამატებით „არგონავტი“. სარედაქციო წერილში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„ჩვენ ბევრს არას ვატყვით ჩვენ კეთილ განზრახულებათა შესახებ, რადგანაც ცრიელი სიტყვა მეტი იქნება... ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენის მოდგაწეობის სახელმძღვანელად იქნება—სადაც შეიძლება ნამდვილი დასურათება ცხოვრების მოვლენათა... ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ „ვინც აძლიერებს ენებათა ღელვას, ის ახშობს გონების სინათლეს“ და ამიტომ ვეცდებით მიუდგომლად და პირუთვნელად ვუყუროთ ყველა პარტიების მოქმედებას; ვეცდებით მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ ხოლმე იმას, რაც მაღლა სდგას პარტიულ ინტერესებზე, სახელდობრ—საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, რომელნიც ყველასათვის უფრო საყურადღებოა“. ღმერთმა კეთილი ქნას და აასრულოს, რასაც ამბობს ჟურნალი!..

* *
*

როგორც გაზეთები იუწყებიან, განზრახვა აქვთ, კლასიკურ გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები შეაერთონ და ახალი ტიპის სასწავლებლები შექმნან. ძველი ენების სწავლება არ იქმნება ამ სასწავლებლებში, მხოლოდ მე-4 კლასიდგან ამ საგნების სწავლა. სავალდებულოა იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც აპირობენ უნივერსიტეტში იურიდიულსა და ბამკურნალო ფაკულტეტებზედ შესვლას.

* * *

„ივერიაში“ ვკითხულობთ: «როგორც შევიტყვეთ, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამრეველო სკოლები აღარ იქნებიან ადგილობრივ ეპარქიების უფროსების უფლების ქვეშ.

* * *

მოგვყავს მოკლედ გაზეთებში გამოცხადებული უმთავრესი პუნქტები საშუალო სკოლების რეფორმისა. განზრახვა არის შემოიღონ ერთი ტიპის საშუალო სასწავლებელი. სწავლის კურსი იქნება შვიდი წელიწადი. შემოღებულ იქნება სწავლება ახალის საგნებისა—სამშობლოს აღწერისა, კანონმდებლობისა და საბუნებისმეტყველო საგნებისა. ბერძნულ ენას ასწავლიან მარტო მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ვარშავის და დორპატის (იურიევის) გიმნაზიებში. ლათინურ ენის სწავლება დაიწყება მეოთხე კლასიდან. პირველი სამი კლასის პროგრამები ისეთივე იქნება, როგორიც საზაგადო განათლების ხასიათის. დაბალ სკოლებში. ამ საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულს შეუძლია უეგზამენოთ შევიდეს ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზედ; იურიდიულსა და საექიმო ფაკულტეტზედ უეგზამენოთ შესვლა შეეძლებათ მათ, ვისაც ლათინური ენა უსწავლია; ფილოლოგიისათვის კი ბერძნული ენაც იქნება საჭირო. იმ კურს-დამთავრებულთ, რომელთაც საშუალო სკოლაში ძველი ენები არ უსწავლიათ იურიდიულ, საექიმო და ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ შესასვლელად უნდა დაიჭირონ ეგზამენები ძველ ენებში შესამჩნევად შემცირებულის პროგრამით ეხლა არსებულთან შედარებით. საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულთ ეხლა უფრო მეტი შეღავათი ექნებათ სამხედრო ბეგრის მოხდის დროს.

* * *

წელს რუსეთის საიმპერატორო სასახლის კაპელლასთან დაარსებულ სალოტბარო სასწავლებელში კურსი დაუსრულებია სულ 30 ყმაწვილს, რომელთაგან სამს საუკეთესოდ შეუსრულებია სწავლა და მოწმობაც ლოტბარის ხარისხისა კარგი მიუღიათ. ამ სამში ერთი ჩვენი თანამემამულეც—ქუთაისის საკათედრო ტაძრის არქიდიაკონის აწ გარდაცვალებულის შარაბიძის შვილი—ნიკოლოზ შარაბიძე გამორჩეა. შარაბიძე ჯერ ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა და უკანასკნელის კლასიდან პეტერბურგში გადავიდა. ნიჭიერს ახალ-გაზდას სურვილი აქვს განაგრძოს სწავლა უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელში. მაგრამ სამწუხაროდ სახსარი არა აქვს. ამიტომ კარგი იქნება, ჩვენი ქველ-მოქმედები ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას და შემწეობას აღმოუჩენდნენ ნიჭიერს ყმაწვილს, რითაც ერთ კაცს შემატებენ ჩვენ ქართმემუსიკეთა მცირე გუნდს.

* * *

9 მაისს პეტერბურგში პირველი კრება ჰქონია აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოებას. როგორც მკითხველებმა უწყიან, ეს საზოგადოება ამ ცოტა ხანში იქმნა დაარსებული. საზოგადოებას ჯერ-ჯერობით ოთხი განყოფილება აქვს: ტფილისსა, ტაშკენტსა, ბუხარასა და ასტრახანში.

* * *

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა მიწერილობა გაუგზავნა რკინის გზის სადგურების უფროსებს იმის შესახებ, რომ, რკინის გზაზე უბილეთოდ ხალხის მოგზაურობის ასაცილებლად, უსათუოდ სადგურიდგან მატარებელში შესვლის დროს ბილეთები მოეთხოვოს ხოლმე მგზავრებს. ეს განკარგულება კი, დარწმუნებული ვართ, მოსპობს რკინის გზაზე ზოგიერთების უბილეთოთ სიარულს! გასაკვირველია, როგორ მიხვდენ ამას?!.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებისა და კეთილმზნეობაზე.

ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე-გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ“ (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

ფსალმ. 12. ღვთის განგებისადმი მორჩილება.

1. მოძღვარო! მთელი შენი ცხოვრება უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ღვთის ბრძანების ასრულებას. საჭიროა, რომ შენი ნებებლობა შეთანხმებული იყვეს ჩემს ნებებლობასთან; საჭიროა, რომ გულში ჩაისახო ჩემი ნებებლობა და მით იხელმძღვანელო ყოველს შენს მოქმედებაში. მე ასე გამოუცხადე თავის თავი ხალხს: „არა ვეძებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებლისა ჩემისა მამისასა“ (იოან. V, 20) გამოუცხადე აგრეთვე, რომ „ჩემი ჭამადი არს, რათა ვყო ნება მომავლინებლისა ჩემისა და აღვასრულო საქმე მისი“ (იოან. 4, 34). დასასრულ მე ვთქვი, რომ „ღირსი არს წოდებად ძმად, დად და დედად ჩემდა მხოლოდ ის, ვინც ყოფს ნებასა ზეციერისა ჩემისა მამისასა“ (ი. შატ. 12, 49). როდესაც გეთსამანიის ბაღში მოციქულს პეტრეს უნდოდა მომშველებოდა მტრების წინააღმდეგ, მე შევაჩერე და უბრძანე: „დასდევ მახვილი ქარქაშსა, სასმელი, რომელი მომცა მე მამამან არა შევსვა იგი?“ (იოან. 18, 11). სასმისი, რომელზედაც მე ვსთქვი, სავსე იყო უძლიერესი სიმწარით, და გადმოდიოდა კიდეებზედ.

2. შენ ვალდებული ხარ, მღვდელო, შენი გულის ყოველი მოძრაობით ასრულო ნება ჩემი. მთელი შენი წადილი იმაზედ უნდა იყვეს დამყარებული; რომ ის იმოქმედო ერთგულად, რაც მე მსურს. აღზარდე შენი სულის სიღრმეში ჩემი ნებისადმი მორჩილება შენი ხორციელი და სულიერი სიკეთის გულისათვის, რომელსაც შენ ძლიერ საჭიროებ, იმ შედეგის გულისათვის, რომელიც მოჰყვება ხოლმე შენს ჩემდა მომართ სამსახურს და საზოგადოდ შენი ცხოვრების მრავალ გარემოებათა.

3. ჩემი ნება, რასაკვირველია, უსამზღვრო სიკეთითა და სიყვარულით არის სავსე. გარეშე ჩემის ნებისა არ არსებობს არც ერთი სიკეთე. მხოლოდ მასშია შედეგდებული ყოველ-გვარი სიკეთე.

ჩემის ნების წინააღმდეგ შენ არ უნდა გსურდეს არც ერთი ღერი თმის მომატება შენს თავზედ. ჩემი ნების წინააღმდეგ შენ არ უნდა გსურდეს არც ნივთიერი საზრდოის გამრავლება სიმშილობის დროს, არც ჯანმრთელობა შავი ჭირის დროს, არც მყუდროება ომიანობის დროს. შენ ვერ წარმოიდგენ, თუ რა ბედნიერებას წარმოადგენს საქმე, რომელიც მე მნებავს, და რომელსაც მე განვაგებ, თუ შენ ამ ჭეშმარიტებას შეითვისებ, მაშინ ჭეშმარიტად ბედნიერი იქნები.

4. ამიტომაც, როდესაც შენს სხეულს ეწვევა უბედურება, სულს მწუხარება, გაიმახვილე სარწმუნოებრივი მხედველობა; და როდესაც შენს სულს მოიკავს სარწმუნოებრივი სინათლე, მაშინ დარწმუნდები, რომ მე ვარ ის, ვინაც ვინებე შენი ჩაგდება მწუხარებაში, მე ვარ ის, ვინაც მოგივლინე უბედურება. ეს წარმოდგენა შენ განუგეშებს, და პირველ უსიამოვნო გრძნობასთან იგრძნობ სიყვარულს და უზენაესს სიხარულს. თუ შენში გაძლიერდება სიყვარული ჩემი ღვთაებრივი განგებისადმი, მოძღვარო, მაშინ გექნება ჩემთან ერთობა სრული, რომლითაც უნდა იყვეს აღჭურვილი ყოველი ჩემი ჭეშმარიტი მიმდევარი. ეცადე ყველაფრით მასიამოვნო მე და სხვას არაფერს. ჩემ მიერ მომენიჭება ყოველი, რასაც კი საჭიროებ, მე შთაგბერავ გონებისა, სულისა და გულის სინათლეს, და ამ სინათლესთან ერთად შენ მიიღებ ძლიერებასაც.

5. შენი ნებებლობის შემოერთება ჩემს ნებებლობასთან, მღვდელო, მიუცილებლად საჭიროა მაშინ, როდესაც ჩემს ქვეყნიერს ეკკლესიას სდევნიან. ეკკლესიის დევნის დროს ბნელეთის მპყრობელს ნებას ვაძლევ თვისი ბოროტების გესლი აგეგოს ჩემს მორწმუნეთ იმიტომ, რომ ამით უფრო

*) იხ. „მწყემსი“ № 9 1901 წ.

გამოვახურვო, უფრო მეტად გავამხნეო და გავაძლიერო ქველ-მოქმედებასა შინა. ეს ის დროა, როდესაც გონებით დაბნელებული ხალხი უმანკოებას დანაშაულობად სთვლის და უწმიდურება ჯილდოვდება. მოიგონე წუთები ჩემი სიკვდილით წამებისა: მე მაშინ ვეუბნებოდი ურიებს: ეს არის ჟამი თქვენი და ხელმწიფება ბნელისა. მოიგონე, როგორ ვიქცეოდი მაშინ მე და როგორი იყვნენ ჩემი სიტყვები. ულრმესი მწუხარებით გულ ავსილი, წამების ცეცხლშიაც ვეძიებდი ლოცვებით ნუგეშს. ჩემებრ შენც ეძიე, მღვდელო, ნუგეში ლოცვებში. გარეშე ლოცვისა შენი წამებული გული ვერსად ვერ იპოვის ნუგეშს. როდესაც მე ვილოცე, ჩემ წინ გამოცხადდა ანგელოსი ნუგეშის მცემელი („დაეჩვენა მას ანგელოსი ზეცით და განაძლიერებდა მას“ ლუკ. 22, 43). შენც განუგეშებს ლოცვის დროს მფარველი ანგელოზი.

6. თუ შენ, ჩემო სამღვდელო მოსამსახურეო, შენი ბუნების სისუსტის გამო სულის სილრმეში იგრძნობ შიშს, რომელიც მე ვიგრძენ—მე თუ ვიგრძენ, ეს ჩემი ნებით იყო,—გაამხნევე თავის თავი დიდ-სულოვნებითა და ჩემდა მომართ მტკიცე სარწმუნოებით, მაშინ მე გაგაძლიერებ ჩემის მადლით, ისე. როგორც ვაძლიერებდი მოწამეთა, რომლებიც ჩემის სარწმუნოების გულისათვის იტანჯებოდენ. როდესაც შენ გდევნიან, სახეში ჩემი მაგალითი გქონდეს. მე დავრჩი მოციქულებთაგან დატოვებული მარტოდ მარტო ურიცხვ ცბიერ მტერთა და გამძვინებულ ბრბოთა შორის. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც შევძელ შემენარჩუნებია სიჩუმე დიდსულოვნებით აღსავსე, და პასუხს ვაძლევდი, ო

იც სავსე იყო დიდებით („რქვა პილატე იესოს: ვინა ხარ შენ? ხოლო იესო სიტყვა არა მიუგო მას. რქვა მას პილატე მე არას მეტყვიან? ანუ არა უწყია ხელმწიფება მაქვს ჯვარცმად შენდა და ხელმწიფება მაქვს განტევებად შენდა. რქვა მას იესო: არა გაქვს ხელმწიფება ჩემი არცა ერთი» (იოან. 19, 9—11).

ვინც ჩემთვის ეწამება, იმან კიდევაც უნდა დაუმტკიცოს მტერს დიდი მნიშვნელობა თვისი წამებისა, რომ მე მინდოდეს თქვენი გაძოხსნა მათი ხელისაგან, ვერავინ ვერ დამიშლიდა ამას. ყოველი გზა, ჩვეულებრივად უცნაური ხალხისათვის, შენც იცი, მღვდელო, ცხადია ჩემთვის. თუ მე მსურდა, შენი წამების დასრულება მოწამებრივი სიკვდილით, მსგავსად ჩემი წამების დასასრულისა, გრწამდეს, რომ იყო ჩემი უდიდესი სიყვარული გამოცხადება შენთვის. არ არის ქვეყანაზედ სხვა რაიმე საშუალება ულრმესი სიყვარულის დასამსახურებლად.

7. თავის თავი მე მივანდევ ზეციერს მამას. შენც ამ სახით მომანდევი თავის თავი მე და მაშინ კი არაფერი სამწუხარო არ გექნება არც ერთ შემთხვევაში. გრწამდეს, რომ ჩემს მტრებს ჩემზედ არაკეთილი უფლება არ ექნებოდათ, რომ ეს ღვთის ნება არ ყოფილიყო. შენ მტრებსაც არ ექნებოდათ შენზედ უფლება, რომ ეს ღვთისაგან არ ჰქონდეთ მიცემული („არა გაქვს ხელმწიფებაჲ არცა ერთი, უკე თუმცა არა მიცემულ იყოს შენდა ზეგარდამო“ (იოან. 19, 11).

იყავი, მღვდელო, ჩემთან; იყავ თავდადებული; მომენდევი მე. ჩემი მადლი იქნება შენი მფარველი და მცხოვნებელი. უმჯობესს შენი სული ვერც კი ისურვებს. მე ისე მოგეპყრობი, როგორც უბრძნესი უფალი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობა ყოველივეს, რაც მას ეკუთვნის და რაც ძვირფასია მისთვის.

(გაგრძელება იქნება).

განცხადებანი.

ხშირად როცა რაიმე უბედურება გვეწევა, მხოლოდ მაშინ ვიწყებთ სინანულს, რომ თავის დროზე რაიმე ღონე არ ვიხმარეთ, რომ ამისთანა უბედურ შემთხვევისაგან თავი უზრუნველ გვეყო. რომ შემდეგში მაინც თავდაცვიდინოთ ნივთიერი ზარალი რაიმე უბედური შემთხვევის დროს, ეველას ურჩევთ თავის დაზღვევას დასაზღვევ საზოგადოებაში — „როსსიაში“. ყოველ ჰირს, რომელიც წლიურად შეიტანს 20-დან 50 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, ვინ რა მოხელეა, შეუძლიათ თავი დაიზღვევოს 10,000 მანეთში სიკვდილის შემთხვევისგან და 10,000 მანეთში, თუ ვინაცობაა დაზღვეული ჰირი დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1000 მანეთიდან 200,000 მანეთამდე.

1900 წ. დამზღვეველმა საზოგადოებამ „როსსიამ“ მისცა უბედურ შემთხვევისაგან დაზარალებულ ჰირთ უმეტეს 1,200,000 მანეთისა.

უფრო დაწვრილებით ჰირობათა შეტყობა შეიძლება საზოგადოების საბჭოსთვეველოში (ჰეტერბურგში № 37, აგენტთან ქ. ქუთაისში ი. ა. მიქელაძესთან ქარ.-სარაის ქუჩა მიხ. სთავად-აზ. ბანკის სახლში და აგენტებთან იმპერიის ეველა ქალაქებში.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, და ე. ბეჭანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მეცხამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღვთისმსახურების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლ-ს ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი ჰანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწაველო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრეველო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწაველაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწაველებაზე, ფასი . . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელშიც განხილული, ბოწონებული და ნება-დართულია კეკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 »
   იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 »
4. გთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. ბარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი. . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . 2—
4. შობა უფლისა . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ბელთუქნელი ხატის ისტორია . . 5 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი . 2—
3. მეფე დავით მესაძე ალმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . 5—
7. შუშანიკი . . . 3—
8. ქეთევან დედოფალი . . 2—
19. არჩილ და ლეონასები . . 5—
10. მეფე დავით III ალმაშენებელი . 5—
1. იგივე ერცელი . . 15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი . 3.—
3. ახოვრება წმ. მოც. ხუოლრის დიდის მთავრის ვლადიმერისა . . 2—
1. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკი სა, ფასი . . . 5—
5. სიკეთილი მართლისა, კონტოელი კილატეს მეუღლის წერილი . . 5—
6 ხმა მოძღვრისა ს მწყესასადმი. სიტ ურ ს შესწავლა იესო ქრისტესი . . 3—
7 შვილების აღზრდელობა წმ-ბერთა ზედ . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ენ ა ოიან ენ ი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ებრძოლოთ მათ . . 3—
10 იუნჯებეთ საუნჯეა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . 3—
12 — ზრ-ამ ე . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით-ფ. 5—
2. ძათელი (მოთხრობა დედებიდან) სურ. 5—
3. ალბერტ ი.ა ძია ზირაქისა, სურათით. 5—
4. იოსები . . . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა ოფ-ფასიანი ხატები ფიცარზე: სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის: მაცხოვარი, ეფერეის ღვთ ს მშობელი, წმიდა გიორგის, ანდრია ბოლიტელის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დალასწულთა. ვინც დაიბარებს ხ ოებს არა ხაკლებ ოცი ა, ივთ ჩენ ნ საქართლოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდა. ამ სთან იმექონება, სქელ ქაღ ლ ბე ნახატი წმიდა ნინანი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპ-ით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამ-ვე ზომისა და ამ-ითანავე სახით წმ-და ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით ალმაშენებელისა ფ. თ-ითი ი 5 კ.

ვინც ზემო ალნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, ძ ს ძანეთზე დავთმობა 20 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დ ებ-ებს არანაკლებ ასი ცალისა, ის ფ-ასეთ გასაგზავნს არ იხლის.

იმექონება აგრეთვე მრავალ-ა პატ-ა აგულ-ბიაც დ ხატები ფერ-ადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით ალმაშენებლისა, თამარისა, ანდ ოია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნ ღ ფულს, მას ბაჯ-ანით დავთმობ. სამ მა-. ხეთი იმექონებიან ეერ-ცლ ია, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

1. ზოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თამარ ბეფე . . . . 25 კ.

იმექონება აგრეთვე შესაფერ-გასაფერ-ია წიგნები და ყოველგ ვარი ბოზმ-ბატ-ს ბლანკები და ამოდენილობანი.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: სიტყვა, თქმული დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ შორაპნის სხმლოღმჩინო ოლქის სამღვდელოების კრებაზე.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტ. კრება ქუთაისში 15—22 დეკემბერს 1900 წ. —ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—გვარების გამოშც�lelთა საყურადღებოდ.—ვ-ითომდა იგიც ქრისტიანია (ლექსი) ვ. რუხაძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და ეკონომია ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და ქეთილ-ზნეობაზე: ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 Мая 1901 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елiевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვარსთვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა ზენა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მთ. 11—28.

№ 11 1883—1901 1—15 იენისი.

P 3839

კიდევ რამოდენიმე სიტყვა საშღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის პენსიების დანიშვნის შესახებ.

წაიკითხე ძირითადი დებულებანი პროექტისა შესახებ პენსიებისა და ერთ ერთებითი შემწეობისა საეკლესიო მსახურთა და მათ ოჯახთათვის. დღეს ჩვენ გვსურს გაუზიაროთ ჩვენს მკითხველს ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც ჩვენში ამ პროექტის წაკითხვამ დაჰბადა. არა ერთ გზის მოგვისმენია სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთაგან გულის შემზარავი ოხვრა იმის შესახებ, რომ ეს დაუღალავი მოღვაწენი მუშაობენ საზოგადო ასპარეზზედ მკირე პენსიის მიღების იმედით და ზოგნი კი არავითარ პენსიას არ ელიან. მართლაც, რომ დაუკვირდეს კაცი, ყოველ მღვდელს ხომ არ შესწევს ძალა იმსახუროს 35 წელი, რომ მიიღოს პენსია 130 მანეთი, ცოლმა კი შვილებითურთ 90 მანეთი. ზოგი მღვდელი ოც-და-ათ წელიწადს მსახურებს ერთსა და იმავე მრევლში, შემდეგ დამბლა დაცემული გამოდის შტატ გარეშ და მას არავითარი პენსია არ ეძლევა. ერთმა მღვდელმა 32 წელიწადი იმსახურა ერთსა და იმავე ეკლესიაზე და სიკვდილის შემდეგ, მადლობის ნიშნად თვისი მრევლისაგან დაიმსახურა ძოგლი, მაგრამ პენსია ვერ მიიღო, რადგან 35 წელიწადს უკლდა $2^1/_2$. წ. დიაკვნები და მედავითნენი ხომ სულ მოკლებულნი არიან პენსიას.

დღეს ახალი პროექტით მღვდლებს პენსიები ემატებათ, დიაკვნებს და მედავითნეებს ახლად ენიშნებათ. პენსიებს [illegible] ოდენობა [illegible]

იმაზე, თუ ვინ რამდენი წელი იმსახურა. ახალი პროექტით პენსია ენიშნებათ 20—30 და 30—35 და მეტ წლამდე, მხოლოდ მღვდელ-მსახურთ და მედავითნეთ, რომლებიც უკურნებელი სენით იქნებიან შეპყრობილნი, ხუთი წლის ხამსახურისთვისაც ენიშნებათ პენსია.—სამსახური მედავითნის და სამრევლო სკოლის თანამდებობაზე ანიჭებს კაცს პენსიას.

მშვენიერი პროექტია! თუ კი იგი სისრულეში მოვიდა. თუ ხსენებული პროექტი გავიდა, სწორეთ გამხნევდებიან სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურენი და მათი მოღვაწეობაც უფრო ნაყოფიერი შეიქნება. მადლობა ღმერთს და მადლობა იმ პირთა, რომელთაც შეიმუშავეს ასეთი პროექტი და კიდეც თაობენ მის განხორციელებას. ღმერთსა ვთხოვთ, რომ ხსენებული პროექტი მალე მოვიდეს ძალაში!..

მაგრამ ამ სიხარულთან ერთად არ შეიძლიან დავიმალო ის სამწუხარო გრძნობაც, რომელსაც იწვევს ქალაქის და სოფლის სამღვდელოების ორ მოპირდაპირე დასად გაყოფა. საქმე იმაშია, რომ ქალაქის ეკლესიების მღვდლებს უნდა დაუნიშნონ პენსია 300 მანეთი, სოფლის მღვდლებს კი 244 მანეთი. ამ ნაირივე განსხვავებაა დიაკვნებისა (150—120 მ.) და მედავითნეთა (120—90 მან.) პენსიებში. ჩემის აზრით ეს განსხვავება საქმის გარემოებათაგან არ არის გამოწვეული. რითი შეგვიძლია ავხსნათ ასეთი გაყოფა? პირველად მითი, რომ ქალაქის მღვდლებს მეტი შრომა აქვსთო ვიდრე სოფლისას, მეორედ—ქალაქში ცხოვრება უფრო ძვირია ვიდრე სოფელშიო. შეეჩერდეთ ჯერ პირველ მოსაზრებაზე. მართალია განა, რომ ქალაქის მღვდლები უფრო მეტს ჯაფაში არიან ვიდრე სოფლისა? არა და არა. საზოგადოდ შრომა სოფლის მღვდლისა უფრო სიმძიმოა და საშიშარი, ვიდრე ქალაქის მღვდლისა. აიღეთ მაგ. მარტო სოფელ-სოფელ სიარული და აუცილებელი ოჯახური საქმეები. მართალია შრომა ქალაქის მღვდლებისა ხშირად გარკვეულია ისეთი თანამდებობით, როგორც მაგალითად საღმრთო სჯულის სწავლებაა დაბალ და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კონსისტორიებში წერა და მზრუნველობა სასულიერო წოდების ღარიბებზე, მაგრამ ასეთი თანამდებობის აღსრულება მძიმე ტვირთი კი არ არის, არამედ ქალაქის სამღვდელოების უპირატესობაა, რომლითაც ნება ეძლევათ ქონებრივი და საპატიო ჯილდოების მიღებისა. აიღეთ სია უმაღლესად დაჯილდოებული მღვდლებისა, რომელი ეპარქიისაც გნებავთ და თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ რა საკოდავია სოფლის სამღვდელოება შედარებით ქალაქის სამღვდელოებასთან: ღვაწლი სოფლის სამღვდელოებისა თითქმის სულ შეუმჩნეველი რჩება ეპარქიალური მთავრობისაგან. საზოგადოდ სოფლის მღვდლები ჯილდოების გაწესრიგების დროს უყურადღებოდ რჩებიან ხოლმე. დაე, თავი დავანებოთ ჯილდოებზედ ბაასს, ვინაიდგან მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ სამღვდელოებაში. ხშირად ეს ჯილდოები სამღვდელოებაში ჰბადავენ არა სასიამოვნო გრძნობათა და შურს. (ამის დასამტკიცებელი საბუთები, სამწუხაროდ, ბევრია). პრინციპიალურადაც რომ ვსთქვათ, ეს ჯილდოები რიღაცა არ შეეფერებიან სულიერი მწყემსის დიდ სამსახურს. დავანებოთ თავი იმაზედ ლაპარაკს, თუ რა უთანასწორობაა ქალაქისა და სოფლის სამღვდელოებას შორის, შესახებ საპატიო ჯილდოების მიღებისა,—სამწუხარო ის არის, რომ იმავე უთანასწორობას ვხედავთ პენსიების გაწესრიგებაშიდაც... შეიძლება ასეთი გაწესრიგების დროს სახეში ქონდათ ის გარემოება, რომ შტატ-გარეთი ან გარდაცვლილი მღვდლის (დიაკვნის და მედავითნის) ცოლ-შვილისთვინ ქალაქში უფრო ძნელი იქმნება ცხოვრება, ვიდრე სოფელში. თუ ამას გამოვიკვლევთ, ესეც დიდი საეჭვოა.

ყველა ზემო ნათქვამიდგან, ჩვენის აზრით, გამოდის შემდეგი დასკვნა: საჭიროა გათანასწორდეს პენსია ქალაქის და სოფლის მღვდლებისა, პირველს ზომიერად მოვაკლოთ და მეორეს მოუმატოთ, თუ ფინანსიურის მოსაზრებით არ შეიძლება, რომ სოფლის მღვდელსაც მზგავსად ქალაქის მღვდლისა დაენიშნოს საპასი მანეთი.



ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

(ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ).

წასულს ყველიერში, ე. ი. ამა წლის თებერვლის თვეში მოვიდნენ ჩემთან სამი გლეხი, სოფელს მუხურის მცხოვრებნი: დიმიტრი ბუიძე, საბა და პ'ავ. ბარბაქაძეები. ამათ მთხოვეს მე, რომ მათთვის მესწავლებია ქართული საეკლესიო გალობა, წირვის წესი და სხვა. ამათი სურვილი იყო, ეს წავლათ კილოზე, სადათ და უბრალოთ ნოტებზე დაწერილი გალობა, რომელიც მათ შემთხვევით მოესმინათ ქალაქ ქუთაისში წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გალობდენ ჩემგან კილოზე დაწერილს გალობას ჩემგანვე შედგენილი მოწაფეთა გუნდი. მე, სასწავლებლებში გაკეთილების ჰქონების მიზეზით, უარი უთხარი. ამ უარის თქმამ მეტის-მეტად შეაწუხა ისინი, დამიწყეს მეტის-მეტი შეწუხება, ხვეწნა, საშველს არ მაძლევდენ. რადგანაც ალარ მომეშვენ და მეც შევატყვე, რომ ძალიან სურვილი ჰქონდათ, შემდეგი რჩევა მივეცი: ეკზამენების შემდეგ სოფელში წამოგყვებით, თუ სხვებიც იქმნებიან ვინმე გალობის სწავლის მსურველები-მეთქი. ამ დაპირებამ ისინი მეტად გაახარა და დიდი მადლობა გადამიხადეს. მსურველები ბევრი იქნებიანო და იმდენი სიკეთე გვიყავით, რომ ეს დაპირება არ შეგვიცვალოო. დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ამის შემდეგ ორჯელ კიდევ მომაკითხეს და დანაპირებზე დადასტურდნენ. პირველს ივნისს მივედი მათს სოფელში. დამხვდნენ ის სამი პირი და მათთან კიდევ სხვებიც, სულ 12 გლეხი (წლოვანობით 30 წლიდგან 50 წლამდის არიან). ამათში ოთხიოდე ისეთებიც ურევია, რომელთაც წირვის წესი სცოდნიათ გადამახინჯებულად, რომელიც კილოს სულ არა ჰგავს. დავიწყეთ სწავლა და ჩემდა გასაკვირლად, საოცარი ნიჭი გამოიჩინეს. ზევით მოგახსენეთ: პირველს რიცხვს დავიწყე-მეთქი, დღეს მეათე რიცხვია კვირა და მშვენიერად ვიგალობეთ მუხურის წმ. გიორგის ეკკლესიაში (გარდა რომელი ქერაბინისა, რომლის დასწავლა ასე მალე ვეღარ მოვასწარითი). ხალხი მეტის-მეტი სიხარულით ისმენდა და ყველას სახეზე სიხარული იხატებოდა; მეტის-მეტად ნასიამოვნები დარჩენენ და გასაკვირლად ის მიაჩნდათ, რომ ჩვენ თორმეტი ერთად ვგალობდით და იმათ უმეტესობას ჯერ გალობა არ გაეგონა გარდა სამის კაცისა ერთად. ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე ხანში შესულმა კაცებმა სამგალითო ნიჭი გამოიჩინეს! თუ ასე იმუყაითეს ამ ორი თვის განმავლობაში, ძალიან მტკიცედ დაისწავლიან, როგორც წირვის წესებს, ისე ბევრ სხვა მიუცილებელ საჭირო გალობებს.

ღმერთმა ინებოს, რომ სხვა მრავალ სოფლებშიაც ალმოჩენილიყვნენ ამ გვარი ნიჭითა და სურვილით აღჭურვილნი. ჩვენი სასულიერო სასწავლებლებიდგან წასული ყმაწვილები ბევრია ისეთი, რომელთაც ხელის უწყობსთ გალობის ნიჭი, იცან კიდეც გვარიანი გალობა, შეუძლიათ, რომ მოამზადონ სოფელში მსურველები და ამით მისცენ გალობის საქმეს დახმარება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ შრომას ასში ერთი არ ტვირთულობს, სიზარმაცეს იჩენს და ერთხელვე დასწავლილს ივიწყებს, ჭკარგავს! ყველა ესენი 'და სხვაც მრავალია, რომელნიც ხელს უშლის სოფლად გალობის გავრცელებას, რომლის შესახებაც ერთხელ გვინდა ამაზე ვრცლად მოვილაპარაკოთ.

რადგან გალობის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ქუთაისში წრევანდელი ქართული გალობის კურსების შესახებ. როგორც წელს, ისე წინეთ ორჯელ იყო ქუთაისში შეკრებილი სამრევლო სკოლების მასწავლებლები კურსებზედ და ქართული გალობის მასწავლებლად ორივეჯელ მე გახლდით დანიშნული. რასაკვირველია, თანახმად უწმ. სინოდისაგან გამოგზავნილი პროგრამისა და კურსების გამგეთა ხელმძღვანელობითა შეუდექით სწავლას. მივყევით რუსულს გეგმაზე შედგენილს პროგრამას, ვსდიეთ და რამდენადაც შესაძლებელი იყო, გავიარეთ: წირვის წესები, უფალო ღაღადეყავები რვა ხმათა, დასდებლები რვა ხმათა, ტროპარები რვა ხმათა, დღესასწაულის ტროპარები და სხვა. ეკზამენზედ აღმოჩნდა, რომ უმეტესობამ გვარიანად დაიჭირა ეგზამენი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისე მკვიდრად არა, რომ მათ ბეჯითად შეძლებოდათ გადაცემა სოფლის სამრ. სკოლის პატარა მოწაფეებზედ. ამ გვარად, სასყიდელი საკმაოდ მივიღეთ, შრომა

მეტის-მეტი გავსწიეთ, როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლეებმა და ნაყოფი კი ისეთი მკვიდრი ვერ მოვიტანეთ, როგორიც სანატრელი და საპირო იყო. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენი სამრევლო სკოლების მასწავლებლების შესაფარდათ ვერ არის გალობის პროგრამმა შედგენილი. ის პროგრამა შეფარდებულია რუსეთის სკოლებზე და მათ მასწავლებლებზედ, სადაც, რამდენი ხანია, მილიონობით ხარჯვენ გალობის გასაუმჯობესებლად ფულებს, გააუმჯობესეს კიდევაც და იქაური მასწავლებლებიც ამ გაუმჯობესებულს გზაზედ ადგიან. ჩვენში კი ორი-სამი წელიწადია, რაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ცალგვერდათ ჰკიდებენ ხელს გალობის საქმეს სასწავლებლებში, თორემ მანამდის ყველამ კარგად ვიცით, თუ რა გზას ადგა ქართული გალობის სწავლება ჩვენს სასწავლებლებში. ამ ნიადაგზე მომზადებული ჩვენი სოფლის მასწავლებლები როგორ შეძლებენ, რომ ისინი რუსეთის სკოლების გეგმაზე შედგენილს პროგრამას მივაყოლოთ!.. როგორც გამოცდილებამ ვვაჩვენა და გარემოებაც გვამხელს, ჩემი აზრია, რომ, თუ შეიძლება, ჩვენმა წლევანდელმა კურსების მეთაურებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ქართულ გალობის მხოლოდ წირვის წესს. სანამ მტკიცედ არ დაისწავლიან წირვის გალობებს, არას გზით სხვა გალობაზე არ უნდა გადვიდენ და ასე ამგვარად შესაძლებელია მასწავლებლებს წაყვეს სახლში მტკიცედ ის წირვის გალობა, რომელიც მუდამ საჭიროა და ამ დროებით დანარჩენს თავი დავანებოთ. გულწრფელად აღვიარებ, რომ მე, რომელსაც ამოდენი ხნის გამოცდილება ვერ შემეწია, ვერ დავძლიე იმ სიძნელეს, რომელიც მასწავლებლების წინანდელი მოუმზადებლობის მიზეზით იყო გამოწვეული, ამ სიძნელეს როგორ გადალახავს და დასძლევს წლევანდელი კურსების—ქართული გალობის მასწავლებელი და როგორ გაივლის მთელს პროგრამას, თუ ისე არ მოვიქეცით, როგორც ზევით ვსთქვით?! მე არ ვიცი, ვინ ასწავლის წრეულს ქართულ გალობას, მაგრამ ვინც უნდა იყოს იგი, ვიცი, რომ იმას ჩემგან წასწავლი ექნება:— მაშასადამე ახალი კაცი და ჯერ კიდევ არა დახელოვნებული სწავლების საქმეში. ღმერთმა ინებოს, რომ მასწავლებელს მოსწავლე სჯობდეს, ეს სიძნელე დაეძლიოს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაგრამ ეჭვი მაქვს...

რაც ამ ბოლოს მოვიხსენიეთ, ამას იმედია, ტრაპაზობათ არ ჩამომართმევენ. გარდა ამისა ნოტებზე დაწერილი სადა კილოს გალობა ჯერ დაბეჭდილი არა გვაქვს (ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ბეჭდვის დაწყება) და თუ ხელნაწერიდან მაინც გადაწერა მასწავლებელმა სისწორით, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ სამივე ხმებზე უნდა გადიწეროს და ამით იხელმძღვანელოს. კიდევ ვიმეორებ ჩემს აზრს: მარტო წირვის წესზე რომ შევჩერდეთ წრეულს და ამაში კარგად მომზადებული წავიდნენ მასწავლებლები სოფლად, შრომა მიზანს მიღწეულად უნდა ჩაითვალოს; თორემ მარტო ფორმის გამოკიდება და პროგრამის*) სდევნა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება.

მდგელი რაჟდენ ხუსდაძე.

სოფ. მუხურა
7 ივნისი.

---

*) შეიძლება ვინმემ იფიქროს: უმაღლესად დამტკიცებული „პროგრამმის“ შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ეს შეცვლა კი არ იქნება, არამედ შეძლებისადაგვარად შესრულება, რომელის ასე თუ ისე სასარგებლო საქმის დაეუნება, ყოველივის თავის შეხედულებისამებრ შეუძლია სამოსწავლო რჩევას.

მდ. რ. ხ.

«მწყემსის» კორრესპონდენცია.

—

სოფ. ჩუნეში (ციხის გვერდი). ს. ჩუნეში მდებარეობს ქუთაისის მაზრაში, 15 ვერსზედ ქუთაისიდან. ჩუნეშს შუაზე ჰყოფს ერთი პატარა მდინარე ყუმი—გუბის წყლის სათავე, და ამიტომ, მარცხენა ნაპირზე, აღმოსავლეთისაკენ მდებარეს, გამოლმა ჩუნეშს ეძახიან, ხოლო მარჯვენა ნაპირზე, დასავლეთისაკენ მდებარეს—ჩუნეშს. ეს სოფელი თითქმის შუა გულია ჩუნეშის საბლაღოჩინო ოლქისა და ამ ოლქსაც მიუღია საბლაღოჩინო მაზრის სახელწოდება. ამ სოფელს მეორე სახელიც ეწოდება—ციხის გვერდი, და მართლაც, მდინარე ყუმის პირად ერთს მაღალ გორაზე, რომელიც ხელოვნურად ამაღლებულსა ჰგავს, არის ციხის გალავნის ნანგრევები. თვითონ ციხე კი ეკკლესიად გადაუკეთებია სოფელს წმ. სტეფანეს სახელზე და დღეს წირვა-ლოცვას ისმენს შიგ. შესანიშნავია, რომ ამ ეკკლესიის კედელი თითქმის ორი საჟენი არის სისქით. სხვა ძველი არხეოლოგიური რამ არაფერი გადარჩენია ჟამთა ვითარებას. მხოლოდ ჩვენ მიუსწარით თვითონ ეკკლესიაში ორი ხელის გულის სიფართე ოქრომკერდით აბრეშუმზე ნაქსოვ ნახატს, რომელიც გარდამოხსნას წარმოადგენს. ცალ გვერდზე ამ ნახატს ხუცური ასო-მთავრულით აწერია: დადებაჲ. აქვე არის დაცული რამოდენიმე ცალი ძველი წვრილი ფული, რომლის ღირებულობა ყველას მოეხსენება. მხოლოდ ჩვენ ვნახეთ საფლავის თხრის დროს ერთი ძველი ფული ვერცხლისა, რომელზედაც დახატულია ცალ გვერდზე კაცის სახე თუშური ქუდის მსგავსად თავდახურული, ხოლო მეორე გვერდზე ფრთა გაშლილი ფრინველი, რომელიც არწივს უნდა წარმოადგენდეს და რომელიც ზის რაღაც სხვა ცხოველზე. კარგად ვერ გამოვარკვიეთ, რა ცხოველი უნდა იყოს ის. ყველაზე უფრო თევზს მიამგავსებს კაცი. ამ ცხოველს ქვეშ რომაული ასოებით აწერია: I N. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე მეორე ძველებური ფული სპილენძისა, რომელსაც ცალ გვერდზე მამალი ახატია და თავზე ქართულად აწერია: ქ. ხოლო მეორე გვერდზე ხუცური ასოებით აწერია რაღაც ქარაგმით, რომელიც ჩვენ ვერ ამოვხსენით. ორივე ამ ფულებს ვარდგენ „მწყემსის“ რედაქციაში შესამოწმებლად და უკეთუ საჭირო იქნება, უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ თბილისის საეკკლესიო მუზეუმს.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამ ეკკლესიის გალავანში, როცა მიცვალებულისათვის საფლავებს ჭრიან, პოულობენ დიდი ზომისა და სისქის რკინა-კრამიტებს და ანგურებს. აგრეთვე იპოება მიწაში ორგვარი ქვა: ერთია ლურჯი, რომელიც გრძელი და რგვალი სვეტივით და შაბივით ტყდება, ხოლო მეორე თეთრი თლილი ქვის ნაჭრები, ერთი-მეორეზედ საგანგებოსავით მოწყობილი და აქა-იქ მოლაგებული იატაკივით. ყოველივე ეს ხალხს ნებას აძლევს იფიქროს, რომ ეს გორა განგებ აუმაღლებია თამარ მეფეს და ციხე აუშენებია. ჩვენში ყოველ ნაციხვარს თამარ მეფეს აწერენ, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ეს უფრო ძველი დროის არ იყოს. არის ამ სოფელში მეორე გორა, რომელსაც ხალხი ნაკოშკარს ეძახის. ამბობენ, ამ ნაკოშკარსა და ზემო-აწერილ ნაციხვარს შუა გაბმული იყო ჯაჭვი და ერთი მეორეს გადასცემდენ მტრის მოახლოვებასო. არავინ იცის ნამდვილად ისტორიულის საბუთით, თუ ეს ნაციხვარი რომელ დროს ეკუთვნის. თუმცა ჩვენის აზრით საჭირო კია ვიცოდეთ, რადგან თვისი მდებარეობით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ძველ დროში. საკვირველია, რომ ამ გორას ოთხივე მხრით გვერდებზე წყაროები გამოუდის, რომელთაგან ერთი მილით არის გამოყვანილი. შესანიშნავია, რომ თუმცა ეს გორა პატარაა, მაგრამ შედარებით კი ძალიან მაღალი. სასიამოვნოა, როცა კაცი ადიხარ ზევით წვეროზე, სადაც ეკკლესია არის აშენებული ვაკეზე, რომლის სივრცე 900 კვ. საჟ. თუ შეიკავს მეტს არა და არე-მარეს დაჰყურებს. მთელი ქვემო იმერეთი, გურია და სამეგრელო ხელის გულივით გადაგეშლება აქედამ თვალ-წინ. სამწუხაროდ არც აქაურ თავადებს ლ—ძეებს მოეპოვებათ ამ ნანგრევების შესახებ ნამდვილი წერილობითი ცნობა და არც შესაძლებელია ჰქონდეთ, რადგან ახლანდელი სალორთქიფანიძო უწინ ნემსაძეს ეკუთვნოდა თურმე და ამ არე-მარეში თ. ნემსაძე ბატონობდა. ვინ იცის, კიდევ იმაზე წინ ვინ ჰფლობდა! სასურვე-

ლია, რომ ვინმე თავს შეიწყენდეს და ყურადღებას მიაქცევდეს ამას. ვინ იცის, იქნება ამით რომელიმე ისტორიულ მოვლენას, ან პირს ნათელი მოეფინოს და გამოირკვეს.

ამავე სოფელში მრევლს აქვს ორი სალოცავი ადგილი, სადაც ძველად საყდრები ყოფილან. დღეს კი არც ერთი არა სჩანს, მაგრამ ხალხი მაინც მიდის ამ ადგილებზე სალოცავად და ხანდა-ხან შესაწირი მიაქვს იმ ხატების სახელზე, რომლების სახელობაზე ყოფილან საყდრები აგებული. შესაწირს, წმინდა თაფლის სანთელს, სანთლის გულს, და წვრილ ფულს, მიწაზე სტოვებენ და მიდიან. ამ ადგილების მოსალოცავად ხშირად მოდიან შორი ქვეყნებიდანაც, თუმცა ძალიან ძვირად. ერთ ამ ადგილთაგანზე ხალხი ილოცავს წმ. გიორგის სახელზე, რომელსაც ახსენებს „წმიდა გიორგი ქედისად". გამოვიკითხე, მაგრამ ვერავინ ამიხსნა, თუ რად უწოდებენ ქედის წმ. გიორგის. ჩვენის აზრით კი რამე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ ხსენებას სხვა რომელიმე ადგილის ხატთან, რადგან აქ, ამ არე-მარეში, ქედისა არ ეწოდება არც ერთ ადგილს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაჭის სოფელ ქედისასთან უნდა იყოს რითმე დაკავშირებული ეს სახელწოდება. ვეცდებით შემდეგში ეს უფრო ნათლად გამოვარკვიოთ და ავხსნათ. ხოლო მეორე ადგილის სალოცავს ეწოდება „წმ. ფერცვალე" და უხმობენ „გუბელაძის სალოცავად", რადგან მხოლოდ ერთი გვარის კაცები ილოცავენ, ვინც უნდა იყოს, აქაური, თუ შორიდან მოსული. ამ ოცი წლის წინად ამ ადგილზე ერთი პატარა ხის ეკლესიაც მდგარა და წირვა-ლოცვაც ყოფილა შიგ. ახსოვთ აგრეთვე, რომ ბოლო ხანებში ეს ეკლესია კარის სალოცავად ჰქონია ერთს აქაურ მებატონეს. როგორ დაბატონებია ეს მებატონე ამ ეკლესიას და მის გარეშემო მდებარე ადგილებს და საკუთრებად გაუხდია, ეს გრძელი ისტორიაა და ჩვეულებრივი ამბავი მებატონესა და ყმის შუა. შემდეგ ეკლესია მოუშლიათ, თუ მისით დარღვეულა, დღეს იქ აღარაფერი აღარ იპოება. მხოლოდ ქამთა ვითარებას გადარჩენია რამოდენიმე ფიცარზე დახატული ხატები. განსვენებული ეპისკოპოზის გაბრიელის განკარგულებით, ეს ხატები შტატის ეკლესიაში დაუსვენებიათ, მაგრამ როგორღაც არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი. ნაცვლად ამისა ხატები ინახებოდენ იმავე მებატონის ერთს ოთახში და, რასაკვირველია, შესაწირიც იქ მიჰქონდათ. რადა თქმა უნდა, ამ შეწიულების ანგარიშის არავინ არაფერი იცოდა. საქმე ამ მდგომარეობაში იყო, რომ ჩვენის მოხსენებისამებრ, ყოვლად სამღვდელო განსვენებულმა ბესარიონ ეპისკოპოზმა ნება-დაგვრთო, ორივე ამ ადგილებზე პატარა სახატეები აეშენებია ხალხს და ყოველივე შეწირულება ცალკე დაბეჭდილ კრუშკაში მოგროვილიყო. ერთს ადგილზე უკვე გაკეთდა ამ გვარი სახატე, სადაც დასვენებულია ფერის ცვალების ხატი, და კრუშკაც სდგას. ხოლო მეორე ადგილზე ახლა აშენებენ და მალე მზად იქნება. იმედია აწი მაინც აღარ დაიბნევა შეწირულება, თუ კი რამ იქნა, და ხალხიც მიეჩვევა, რომ ღვთის ხსენება და ხატის მოლოცვა თანამდებ არს ხატის წინაშე და არა ხის ძირში.

მ. ი—ე ფ—ა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

„Daily News"-მა გამოაქვეყნა ბოტას პროკლამაცია, რომელიც მას ლორდ კიტჩინერთან მოლაპარაკების შემდეგ მიუწერია ბურებისათვის:

„ძვირფასნო ძმანნო! კიტჩინერის წერილი ყველასათვის აშკარადა ჰხდის, რომ ინგლისის მთავრობას სრული ჩვენი გაწყვეტა აქვს აზრადა. ამიტომაც მის მიერ წარმოდგენილს პირობებს ვერაფრის გულისათვის ვერ მივიღებთ. თუ ჩემ მიერ ნათქვამი არა გჯერათ, დაჰხედეთ თვითონ მისს წერილს: ამ წერილში გაცილებით ნაკლები შეღავათია ჩვენთვის დასახელებული, ვიდრე სრულის დამარცხების შემდეგ ინგლისის მთავრობა მოგვანიჭებდა! ინგლისის მთავრობას ჰსურს მოგვცეს საკანონმდებლო საბჭო, რომლის წევრნიც ინგლიელები და ინგლისის მიერვე დანიშნული მოხელეები იქმნებიან. რაც შეეხება მცხოვრებთა მოთხოვნილებასა და საჭიროებას, ამას ინგლისელები

არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ინგლისის მთავრობა მხოლოდ შემდეგს წყალობას გვიჩენს: გვაძლევს ერთ მილიონს სტერლინგს, რომ ამითი ჩვენი ვალი დავფაროთ, მაგრამ ეს მილიონი ვისთვის რა საჭიროა, ნეტა, როდესაც იურისკონსულტების აზრით, თუ რომ ჩვენს მოგებას ინგლისი მიისაკუთრებს, მაშინ ვალიც სავსებით მანვე უნდა გაისტუმროს. ეკვი არ არის, ჩვენს ერს დიდი გაჭირვება მოელის; მაგრამ თუ რომ თავისუფალი აოსებობა მოგვესპობა, სიცოცხლე ან კი რაღად გვინდა? მართალია, სისხლის ღვრა ძნელი საქმეა, მაგრამ მეტად სამწუხარო იქნება ის, რომ მამული დავკარგოთ... მაგრამ გული არ გაიტეხოთ! სასოწარკვეთილება მარტო თანამემამულეთა მიმართ როდია უსამართლობა, იგი სარწმუნოებასაც უარს ჰყოფს. რამდენადაც მტერი უარესად მოგვეპყრობა და მეტს ზიანს გვიზამს, იმდენად უფრო მხნედ უნდა გაუწიოთ წინააღმდეგობა, იმდენად ვაჟკაცურად დავიცვათ ჩვენი უფლებები".

ეს პროკლამაცია საუცხოვო საბუთია იმისი, თუ კიტჩენერის პირობებისა ბოლო რამდენად წინააღმდეგია და მასთან ერთად ყველა ბურებიც, რომლებიც წინამძღოლთა რჩევასა და სიტყვას მუდამ ჰმორჩილებენ და მტრის ძალადობის წინ ქედს არ იხრიან, ძვირფასის თავისუფლებისათვის კვალად იბრძვიან.

* * *

უნივერსიტეტის წესდების და მის ახლანდელ მდგომარეობის გადასინჯვა-განხილვის საქმე ჯერ-ჯერობით შეუჩერებლად მიდის წინ. კიევის უნივერსიტეტის საბჭომ უკვე დაასრულა წესდების გადასინჯვა, სხვა უნივერსიტეტებიც ათავებენ; ასე რომ მასალის შეგროვება მალე დასრულდება და უმაღლეს მთავრობას მალე შეეძლება შეუდგეს რეფორმის საქმეს... როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს, ყველა უნივერსიტეტები, რომელთაც საერო განათლების მინისტრმა მიმჰმართა დაკითხვით, იმ აზრის არიან, რომ უნივერსიტეტს უნდა დაუბრუნდეს წეს-წყობილება 1863 წლის წესდების მიხედვით; უნდა აღდგენილ იქმნას პროფესორთა სასამართლო, სტუდენტების საამაანგო სასამართლო, კასსები და სხვა. ეს ერთსულოვნება და თანხმობა უნივერსიტეტების, პროფესორების, ჟურნალ-გაზეთების, სახელმწიფო მოღვაწეების და სხვათა იმის მომასწავებელია, რომ ახლო მომავალში უთუოდ უნდა მოხდეს სასურველი ცვლილება რუსეთის უნივერსიტეტებში!..

* * *

სემინარიელები სემინარიის წიგნთ-საცავებს აუგებენ და ამბობენ, რომ ხეირიანი წიგნები არ მოეპოვებათ მათ საკითხავად. ამის შესახებ „ნოვოე ვრემიაში" ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„წიგნების არჩევა მოსწავლეთა ბიბლიოთეკებისათვის, სწერს ხსენებული გაზეთი, მინდობილი აქვს მასწავლებელთ—თითოეულს თავის საგანში; მათ მიერ არჩეულ წიგნებს შემდეგ ამტკიცებს სემინარიის საპედაგოგო კრება. ჩვენ წინა სძევს კატალოგი ერთის სემინარიის ბიბლიოთეკისა, სახელდობრ—პოლტავის სემინარიისა, და შეძლება გვაქვს გავიგოთ, რა სულიერ საზრდოს აწოდებენ სემინარიის პედაგოგები თავის მოწაფეთ. ამ კატალოგის განხილვის შემდეგ, არ შეიძლება განცვიფრებაში არ მოხვიდე. სიტყვიერების განყოფილებაში თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ ავტორებს, რომელთაც იცნობს ყოველი მკითხველი. პოლტავის სემინარიის ბიბლიოთეკაში არ მოიძებნება თ. მ. დოსტოევსკის, ლ. ნ. ტოლსტოის, გარშინის, ჩეხოვის, კოროლენკოს და სხვა ახალ მწერალთა თხზულებანი... განჩაროვის თხზულებებიდან ბიბლიოთეკაში არის მხოლოდ „ფრეგატ პალლადა", ტურგენევისა—მხოლოდ „მონადირეს წერილები", რუსეთის. პოეზია აკრძალულია სემინარიელისათვის ლერმონტოვის შემდეგ; ბიბლიოთეკაში არ არის ლექსთა კრება ნეკრასოვისა, ფეტისა, ნადსონისა, აღექსი ტოლსტოისა... ამ გვარადვეა მოწყობილი ბიბლიოთეკაში უცხოელთა ლიტერატურის განყოფილებაც. ამ განყოფილებაში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ბაირონს, ვერც ჰიუგოს, ვერც გოტეს, ვერც სენკევიჩს და სხ."

* * *

„ცნობის ფურცელში" შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „კიდევ ერთი წევრი მოაკლდა ქართველ მოღვაწეთა გუნდს! სრული წელიწადია მას აქეთ, რაც ლად აღნიაშვილს ნათესავებმა და გარეშე პირებმაც კი შეამჩნიეს ერთის უძნელესთა-განის სნეულების ნიშნები—სულის ავადმყოფობისა. ნიშნებმა ცოტ-ცოტად იმატეს და საქმე იქამ-

დე მივიდა, რომ ავადმყოფის სახლში შენახვა და პატრონობა შეუძლებელი შეიქმნა... თითქმის სამი თვეა, რაც ის ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სულით-ავადმყოფთა განყოფილებაში იმყოფება. ექიმები იმის შველის იმედს არ იძლევიან.

„ქართველ საზოგადოებაში იშვიათი მოვლენა არ არის, რომ მოღვაწე თავისს სიცოცხლეს სიღარიბეში ატარებს და ავადმყოფობის დროს უკიდურესს მდგომარეობაში ვარდება. ეს ქართული—ასე რომ ვსთქვათ—კანონია და არ ასცდა ეს კანონი ლადო აღნიაშვილსაც. კარგადმყოფობაში ლადო რასაც თვისს შრომით შოულობდა, დაუზოგველად ახმარებდა გაჭირვებულ ახალგაზდა ქართველებს, ქართული სიმღერების ნოტებზედ გადაღების საქმეს, ქართული წიგნების გამოცემას და სხვ. ახლა მას თითონ უჭირს, საავადმყოფოს მცირედი გარდასახადის სახსარიც კი არ მოეპოვება და ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული შეიქმნა».

დიახ და როდის ხდება ეს? იმ დროს, როცა სადილ-ვახშმებზე და დროს გატარებაზე აუარებელი ფული დახარჯულია და დღესაც იხარჯება ჩვენში და შემდეგში კიდევ რამდენი ფულის დახარჯვაა განზრახული, ამას ვინ მოსთვლის!..

* *
*

„პეტერბ. ვედომ."-ს მე-148 №-ში დასტამბულია ბ. კორაბლიოვის საყურადღებო წერილი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ავტორი წერილის 1-ლ ნახევარში შეეხება საქართველოს ისტორიას, მის ტანჯვასა და ვაებას წარსულში, მის გმირობას სამშობლოს დაცვისათვის; შემდეგ მის დასუსტებასა და, ბოლოს, რუსეთთან შეერთებას. საქართველოო, ამბობს, სხვათა შორის, ბ. კორაბლიოვი, ძველთაგანვე იმედით შეჰყურებდა ერთმორწმუნე რუსეთის ერს და ამიტომ, 100 წლის წინად, სრულის ნდობით თავის ნებით შეუერთდა მას. იმედი მშვიდობიანად განვითარების შესახებ მალე გაუმართლდა ქართველ ერს: სასტიკი ბრძოლა მაჰმადიან ერებთან დასრულდა და ქვეყანა შეუდგა სამოქალაქო მოღვაწეობას და კულტურულ მუშაობას. ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერი შეიქმნა, როდესაც ქვეყნის მართვა ჩაებარა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. ნამდვილის მამობრივის მზრუნველობით მოეპყრა კავკასიის ერებს დიდი მთავარიო, ამბობს კორაბლიოვი და განაგრძობს:

„დიდი მთავარი ჩაუკვირდა ქვეყნის ისტორიასა და ცხოვრებას, მხედველობაში იღებდა ქვეყნის საუკუნეთა ანდერძსა და გარდმოცემამ, ყურადღებით არკვევდა მცხოვრებთა საჭიროებას, ერისადმი სიყვარულით და ნდობით მოქმედებდა და ამრიგად მიჰყავდა შორეული ქვეყანა წარმატების გზაზე და ხელს უწყობდა მის კულტურულ შეერთებას რუსეთთან. უავგუსტოესის მმართველის ბრწყინვალე მოქმედებას კეთილი შედეგი მოჰყვა; კერძო ინტერესებმა ადგილი დაუთმეს საერთო მისწრაფებას; პოლიტიკური საგანი საერთო, საზოგადო შეიქმნა არა მარტო ქართველებისა და სომხებისათვის, რომელნიც წინადაც სრულის ნდობით უყურებდნენ რუსეთს, არამედ მაჰმადიანთათვისაც; რუსეთის მეფის სახელს ყველა აღტაცებით იხსენიებს; რუსული ენა შეიქმნა არა მარტო სახელმწიფო ენად, არამედ მეორე დედა-ენადაც. პოლიტიკურ და კულტურულ საგანთა და ინტერესთა ერთობამ კეთილად იმოქმედა კავკასიელებზე: განავითარა ისინი და დაჰპადა სრულიად კულტურული საზოგადოება".

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ამგვარი შეხედულება კავკასიის ერებზე შეიცვალა. სამწუხაროდ, რუსულის პრესის ერთმა ნაწილმა დაიწყო სხვაგვარი ტენდენციების გავრცელება. კავკასიაში გაჩნდნენ რუსები, რომელნიც უფრო სიმდიდრესა და ბედს ეძებენ, ვიდრე სახელმწიფო სარგებლობას; მათ თავისებურად გაიგეს რუსეთის დანიშნულება კავკასიაში და შეიქნა საოცარი განგაშია:

„მათ დაიწყეს გულთამხილაობა; დაიწყეს კავკასიელ ერების გულსა და სულში ჩხრეკა და აღმოაჩინეს, რომ რუსეთს შიში მოელის კავკასიისაგან, რომ გულითადი მეგობრობა კავკასიელთა და მათ შორის ქართველებისა რუსეთთან ნამდვილი თვალთმაქცობა და ფარისევლობაა. ავისებურად გაიგეს ამ ვაჟბატონებმა რუსეთის გამარჯვების საქმე! მათის აზრით, რუსეთია საქმე მხოლოდ მაშინ იხეირებს კავკასიაში, როდესაც დევნას დაუწყებენ

მკვიდრთ,—ამ მტერთ რუსეთის იმპერიისა. არა ერთხელ გამოთქმული ქართველების მიერ სურვილი რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებისა, მათ ფარისევლობად აღიარეს. ეს ვაჟბატონები ყველგან სეპარატიზს ჰხედვენ და ქადაგებენ ქართველთა დევნას და მათ უფლებათა შეზღუდვას".

დრო არისო, სწერს ეს რუსის მწერალი, თავი დავანებოთ ამ უსამართლობასო. დრო არისო შევიგნოთ, რომ უფრო სარგებლობას მოგვცემს ძმობა და სიყვარულობით მოქცევა კავკასიელთა და აღმოსავლეთის ხალხთა, ვინემ მტრობა და შეძულებაო.

* *
*

როგორც «ცნობის ფურცელი» იტყობინება, ინჟინერ ა. დ. მიხაილოვს 31 მაისს უკვე შეუტანია ქალაქის გამგეობის კასაში გირაო ოცი ათასი მან. და ამ ცოტა ხანში შეუდგება ქუთაისში მილებით წყლის გაყვანას. მართალია, ბ. მიხაილოვს დღეის იქით, პირობის ძალით, ექვსი თვის ვადა კიდევ აქვს გეგმის წარმოსადგენად, მაგრამ ის ამ ვადით სარგ ბლობას არ აპირებს და, როგორც მან კერძოდ განაცხადა, 15 ივანობისთვემდე წარმოადგენს გეგმას, რომელსაც ქალაქის საბჭო 25 ივანობისთვეს განიხილავს. მილები უკვე გამოწერილი ყოფილა და ამ ერთ კვირაში კიდეც მოუა ქუთაისში. ამ გვარად იწყება და სრულდება ეს მეტად სასარგებლო და საჭირო საქმე, რომელზედაც ბევრს იმედი დაკარგული ჰქონდა და რომელმაც ბევრს უადგილო და ახირებული აზრი გამოათქმევინა.

კარგი იქნება ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს და შეიძენდეს მიხაილოვისაგან შემდგარ ამხანაგობის პაიებს, რომელნიც ერთის წლის შემდეგ, ეჭვი არ არის, სარგებლობას მოიტანენ და გაძვირდებიან. სჯობია ისევ ჩვენ ვისარგებლოთ ამ საქმით, ვიდრე სხვა ვინმემ.

ადგილობრივმა სამეურნეო საზოგადოებამ—«კოლხიდამ", რომელსაც აქამდის სიცოცხლის არა ეტყობოდა-რა, დაიწყო მოქმედება, მან ასწია აბრეშუმის პარკებზე ფასი ფუთში 6 მანეთიდან ცხრა მანეთამდე და ათასი მანეთის პარკი იყიდა. საზოგადოების გამგეობას იმედი აქვს საზღვარ-გარეთ ფასი აიწევს და საზოგადოება ბევრს მოიგებს.

ახალი აბზები და შენიშვნები.

საქართველოს ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს, გორის ეპისკოპოსის კირიონის წინადადებით, მუზეუმის საპატიო წევრებად აურჩევია: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, პროფესორნი კონდაკოვი, პოკროვსკი, პეტროვი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი.

ამავე მუზეუმის კომიტეტი შესდგომია მუზეუმის ხელნაწერების და ძველი წიგნების აღწერის გამოცემას, რომელიც შეუდგენია ისტორიკოს-არხეოლოგს თ. ჟორდანიას.

*
* *

როგორც „ივერიაში" ვკითხულობთ: განსვენებულ კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ 6000 მან. შეუწირავთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტისათვის სათავად-აზნაურო სკოლაში ერთის სტიპენდიის დასაარსებლად კ. ი. ზუბალაშვილის სახელზედ.

*
* *

წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოსაცდელ იურიდიულ კომისიაში ხუთასამდე სტუდენტი იჭერდა ეგზამენს. მათ შორის სამმა ქართველმა გაათავა წელს: ნ. გამრეკელმა, გ. ჩაბრიევმა და ლ. ბახტაძე. ბახტაძე სახალხო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის გარდაწყვეტილებით ექსტერნად იყო დატოვებული კომისიის ეგზამენებზე. იურიდიულ ფაკულტეტის ყველა საგნებში გამოცდის შემდეგ, ამ უკანასკნელს სახელმწიფო კომისსიამ პირველი ხარისხის დიპლომი მიუსაჯა.

* *
*

როგორც გაზ. «Заставa»-ს ბელგრადიდგან დეპეშით ატყობინებენ, სერბიის მეფე ალექსანდრე და მისი მეუღლე დედოფალი დრაგა ამ მოკლე ხანში პეტერბურგში მიდიან თურმე. ამ დროს პეტერბურგს ესტუმრებიან ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი და ბოლგარიისა ფერდინანდი. პეტერბურგიდან დედოფალი დრაგა კავკასიის სამკურნალო წყლებზედ გამოემგზავრება, სადაც რამდენსამე კვირას დაჰყოფს.

* *

სამმართველო ქუთაისის სასულიერო სემინარიისა აცხადებს, რომ განმეორებითი და დამატებითი ეგზამენები სემინარიის ზეგო კლასებში, პირველ კლასს გარდა, დაიწყება ოც აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები პირველ კლასში შეესვლელთათვის 22 აგვისტოს 1901 წელსა.

* * *

საშუალო სკოლის რეფორმის კომისიის დადგენილებით, 1901—1902 სამოსწავლო წლიდანვე მოისპობა ლათინური ენა პირველ და მეორე კლასში და ბერძნული—მესამე და მეოთხეში. დანარჩენ კლასებში ამ წელს სწავლა ძველის წესით იწარმოებს. გამორიცხულ საგნების მაგიერ, პირველ ორ კლასში ასწავლიან ბუნების-მეტყველებას და მიუმატებენ გეოგრაფიის კურსს. რეალურ სასწავლებლებში პირველ და მეორე კლასში შემოიღებენ ისტორიის სწავლებას და გაადიდებენ მათემატიკის კურსს პირველში და გეოგრაფიისას და ბუნებისმეტყველებისას—მეორეში. 1902—1903 სამოსწავლო წელს შესცვლიან გიმნაზიების პირველ ხუთ კლასს, 1903—1904 წელს კი დანარჩენ სამს. ბოლოს 1905 წელს მოისპობა მერვე კლასი და ცვლილებაც დასრულდება.

საშუალო სკოლაში კურს დამთავრებულთ, გარდა უმაღლესს სასწავლებლებში შესვლისა, ექნებათ სხვა დანარჩენი უფლებებიც, რომელიც ჰქონდათ კლასიკურ. გიმნაზიაში კურს დამთავრებულთ.

* * *

ბათუმში, შუადღის დროს, ნავთსადგურის ახლო ოთხი შეიარაღებული ადგილობრივი მცხოვრებელი როტშილდის ქარხნის არტელშჩიკს იარაღევე თავს დაეცნენ და 13,000 მანეთამდე წაართვეს, ბოროტ-განმზრახველებმა იარაღვის მხლებელი ქარხნის დარაჯი მოჰკლეს.

* * *

ამას წინეთ თოფურიას საავადმყოფოში გასტეხეს კასა, რომლიდანაც წაიღეს 4,000 მანეთამდე. ეგვი მიიტანეს კასსირ ბ. ა. მ—ძეზე, რომელიც დაკავებულ იქმნა. მაგრამ დღეს, როგორც შეიტყვეთ, ფულების მომპარავი აღმოჩნდნენ სულ სხვა პირნი, რომელთაც ბ. კასსირისთვინ ღამით მოუპარავთ გასაღები, გაუღიათ კასა, ამოუღიათ ფულები, კასა დაუკეტელი გაუშვიათ და გასაღები კი ისევ ბ. კასსირის ჯიბეში ჩაუდევთ.

წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა 30 მოწაფემ. ამათში პირველი ხარისხით სწავლა დაამთავრა 13 კაცმა, რომელთაგან სამს ყმაწვილს, როგორც ამბობენ, უპირებენ სასულიერო აკადემიაში გაგზავნას.

* * *

8 ივნისიდან დაიწყო იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების პედაგოგიური კურსები. კურსებზე გამოწვეულია 50 მასწავლებელი. წელს სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად გარეშე პირები არ არიან მოწვეულნი. თვითონ მასწავლებლები აძლევენ გაკვეთილს სამრევლო სკოლების მეთვალყურის მ. მელ. კელენჯირიძის ზედამხედველობით. გაკვეთილებზე ესწრება ქუთ. სას. სასწ. რექტორი არქიმანდრიტი მ. ბენიამინი და ამავე სემინარიის მასწავლებელი ბ. კასაბიანი.

* * *

«С.-П. Вѣд.»-ის მე-148 №-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ამ სათაურით: „საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო". ამ უკანასკნელ დროს ამ გაზეთში შესანიშნავი სტატიები იბეჭდება.

* * *

წელს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სწავლა დაასრულა სულ 58 კაცმ. ამათგან 7 ქართველია.

* * *

უკვე დასრულდა ეგზამენები ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში; სწავლა დაასრულა სულ 21 ყმაწვილმა, რომელთაგან ოთხი ქართველია, ლ. დიასამიძემ ვერცხლის მედლით დაასრულა სწავლა.

* * *

ვაჟთა მეორე გიმნაზია დასრულა 23-მმა კაცმა, ამათში 9 ქართველია.

* * *

ტფილისის წმინდა ნინოს სახელობის დედათა სასწავლებლის მე-7 კლასში წელს სწავლა დასრულა 45 მოსწავლე ქალმა; ამათგან 14 ქართველია.

* * *

5 ივნისს გათავებულა ეგზამენები ერევნის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც სწავლა დასრულებია 15 კაცს; მათ შორის ორი ქართველია: პეტრე სიმონის ძე ვარდანაშვილი, რომელმაც მიიღო საუკეთესო სწავლის ჯილდოდ ოქროს მედალი, და ესტატე მიხეილის ძე პაატაშვილი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობისა სარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

—

ᲮᲐ. ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲬᲔᲛᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყოე თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

თავი 13. ლოცვა.

1. ჩემი სახელი ემმანუილია. და ნიშნავს: «ჩვენთანა ღმერთი („და უწოდეს მას სახელი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით ჩვენთანა ღმერთი" მატ. 1, 23). გახსოვდეს. მღვდელო, ჩემი ღვთაებრივი არსებობა, გახსოვდე მე, როგორც ღმერთი, გახსოვდეს, რომ მე მარადის შენთანა ვარ. ჩემი უსამზღვროობისა გამო შენთან ახლოს ვიმყოფები. წეტარება შენს სულს, თუ ის, გარეშე მადლისა კიდევ გრძნობს სიტკბოებას მასთან ჩემი ღვთაებრივი არსებობისა გამო. ის უმაღლესად ბედნიერია, თუ ჩემი ღვთაებრივი არსებობა მასთან ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის, თუ ჩემი არსებობა მასთან დღიური საზრდოა. მოვლენ დღენი, როდესაც ამ საზრდოს გავანაყიერებ ცხოველი გრძნობით სიხარულისა, და უტკბესი ნუგეშებით. ღვთის არსებობის გრძნობა სამ გვარია. პირველად ჩვენ ვგრძნობთ მისს არსებობას მისი უსამზღვროობისა გამო. ამ გვარი არსებობა მისი ერთნაირად საგრძნობელია ცოდვილთათვისაც და მართალთათვისაც, და უსულო საგანთათვისაც. ამ არსებობაზედ ამბობს მოციქული პავლე: „მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით, და ვართ (საქ. 17, 28). მეორედ, კაცს აქვს ბრძენული ნიჭი იგრძნოს ღვთის არსებობა. მისი მადლითურთ ღმერთი იმყოფება თვისი მადლით მართლის სულში. ამ გვარ არსებობაზე ამბობს მახარობელი იოანე: «უკეთუ ვისმე უყვარდე მე, იტყვის მაცხოვარი, სიტყვანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამანცა ჩემმან შეიყვაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მისთანა დავადგრეთ, (14, 23). მესამე სახე ღვთის არსებობისა მისი სიყვარულის დადგრომაა კაცში. კეთილშობილური სული ხშირად გრძნობს ამ გვარ არსებობას და სიახლოვეს ღვთისას მით, ღმერთი ამხნევებს, ანუგეშებს, უმაღლებს გრძნობებს მას და ანიჭებს სიამოვნება-სიხარულს. ეს ის არსებობა არის ღვთისა, რომლის შესახებ ამბობს ფსალმუნთა საგალობელი: „დაფარნე იგინი საფარველისა პირისა შენისასა, აღძვრისაგან კაცისა" (30, 21). არც შენში, არც გარეშე შენისა არა არს რა ისე მახლობელი შენთვის, ვითარცა მე, ღმერთი შენი, უფალი შენი. სცან შენი გული, როგორც ცხოველი კიდობანი, რომელშიაც იმყოფება ჩემი უსამზღვრო დიდება. უწინარეს ლოცვისა ასძარი შენში ეს სარწმუნოებრივი გრძნობა-აზრი, და მაშინ შენი ლოცვა გამსჭვალული იქნება სულისა და გულის სიცხოველით. სული წმიდა მაშინ მოგანიჭებს მადლს და მაშინ იგრძნობ, რომ მე ვარ ემანუილ. ე. ი. შენთანა ღმერთი.

2. მე მაგალითით გასწავლე, მღვდელო, ლოცვა, გასწავლე, თუ როგორი უნდა იყვეს შინაარსი ლოცვისა. მოგეცი სახე ლოცვისა, ეცადე გაახორციელო ეს მოძღვრება შენს პრაკტიკულ ცხოვრებაში.

საზოგადო ლოცვის შესახებ დაიცევი წესი, რომელიც დადგენილია ჩემი ეკკლესიის მიერ სულის წმიდის ჩაგონებით. ეს წესი გიჩვენებს შენ რიგს, დროს და სახეს ლოცვისას. რაც შეეხება შენს კერძო ლოცვას, ამისათვის არ გესაჭიროება რაიმე სახით შედგენილი წესი, თუ კი შენში ღვივის და ძლიერია კეთილშობილური გრძნობა, აზრი და მოქმედება.

3. მოიგონე, როგორ ვლოცულობდი მე თითონ გეთსამანიის ბაღში და ჯვარზედ. მაშინდელი ჩემი ლოცვა მოწმობდა ჩემს სრულს მორჩილებას ზეციერი მამის ნებებლობისადმი. გეთსამანიის ბაღში მე ვევედრებოდი ღმერთს: „მამაო ჩემო! უკეთუ

*) ი. „მწყემსი" № 10 1901 წ.

შესაძლებელ არს, თანა წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ» (მატ. 26 39).

ჯვარზედ კი ესთხოვდი: „მამაო, ხელთა შენთა შეევედრებ სულსა ჩემსა» (ლუკ. 23, 46). მაშასადამე, როდესაც შენ ლოცულობ, ითხოვე მადლი, რომელსაც საჭიროებს შენი გული, რათა მიაღწიო შენი ნებელობის სრულს ერთობას ჩემს ნებებლობასთან, და სავსებით შეავედრო თავის თავი ხელთა ჩემთა.

4. მე მრავალი მაგალითი გიჩვენე ლოცვისა. მიაქციე ყურადღება, მღვდელო, იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე ლოცვა გეთსამანიის ბაღში სამჯერ გავიმეორე („და დაუტევნა იგინი, და კვალად წარვიდა მესამედ და ილოცა და მასვე სიტყვასა იტყოდა» მატ. 26, 14).

აქედგან შენ ისწავლე, თუ რამდენად საჭიროა გამეორება მუდარებისა, წრფელი გულით და ცხოველი სარწმუნოებით შენი ვედრებისა, რომ მიიღო ღვთისაგან ის, რასაც ითხოვ. ხშირად ადრე ავდგებოდი და წავიდოდი მარტო სალოცავად („და განთიად რიჟჟრაჟს ოდენ აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა“ მარკ. 1, 35). გაქვნდეს ეს მაგალითად, მღვდელო! მე არა ერთხელ და ორხელ გამიტარებია მთელი ღამე ლოცვაში („და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“ (ლუკ. 6, 12).

ჩემი მაგალითისამებრ, შენც, მღვდელო, ადექი ადრიანად სალოცავად, და გამოირჩიე მყუდრო და განმარტოვებული ადგილი, რათა აიცილო ყოველივე ის, რასაც შეუძლია გონება გაგიფანტოს. ასეთ მყუდრო ადგილად დაესახე მე სახარებაში შენიეე ოთახი: „რაჟ მს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰხშე კარი შენი და ილოცე მამისა შენისა ფარულად“. (მატ. 6, 6). შენ არ ძალგიძს მთელი ღამე ლოცვაში გაატარო დაუძინებლად. მზვრამ ყოველს შემოხვევაში, თუ შეგიხვდეს ღამის თევა, აღახვენ შენი გონება ჩემდა მომართ, აღანთე შენს გულში კეთილშობილური და მხურვალე ლტოლვილება და მოიგონე ამავე დროს ჩემი წინასწარმეტყველის სიტყვები: «ღმერთსა აღიპყრენით ხელნი თქვენნი წმიდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა“ (ფსალ 133, 2).

5. მაგრამ, ვინაიდგან შენ სცხოვრობ სოფელში, რომლის ყალბი სიმშვენიერე და მაცდუნებელი ქარაფშუტაობა ათას ნაირ საფრხეს გიგებენ შენ, ამისათვის მოგეცი შენ მეორე სახე ლოცვისა, რათა არ მოიშორო გუნებიდან რჭმენა უკვდავებაზე და არ გაირყვნა გული. ეს არის ფიქრი ქვეყნიური და ზეციური სიკეთის მნიშვნელობაზედ. გონივრულად მსჯელობა ამ საგანზედ ცხადად დაგიმტკიცებს შენ ერთის სიკეთის უმნიშვნელობას და მეორის უსაზღვრო დიდებას. ამიტომაცაა, როს ჩემი სახარება და ყველა წმიდანები დაუცხრომლად გირჩევენ შენ ამ გვარ მსჯელობას. ამასთან ერთგულად დაიცევ კეთილშობილური წესები წმ. ეკკლესიისა. საეკკლესიო წესები შეგანარჩუნებენ და გაუძლიერებენ შენს სულს ლოცვისადმი მიზიდულებასა და კეთილ შობილურს ფიქრებს.

როდესაც შენ ცხოვრებას ლოცვებში და ფიქრებში ატარებ, მაშინ შენ კარგად იგრძნობ, თუ რა სიტკბოება მოაქვს ჩემთან ერთობას. შენი სული დასტკბება ჩემთან ყოფნით, თითქოს ხილული თვალებით მიცქეროდე შენი გული აინთება სიყვარულის სიცხოველით და დამკვიდრდება შენსა და ჩემს შუა მტკიცე ღვთაებრივი ერთობა. მაშინ შენი ლოცვა, ვითარცა კეთილ-სუნნელოვანებით აღსავსე საცეცხლური, აღემართება ზევით, ჩემი ღვთაებრივი საბრძანებლის წინაშე. შენი ლოცვა მიაღწევს ზეცას, როგორც ერთხელ ადიოდა ჩემი დიდ-სულოვნებით აღსავსე ვედრება სემს ზეციერ მამასთან. მაშინ შენი ნებებლობა მიაღწევს. სრულს ერთობას ჩემს ნებელობასთან,—და ეს შეგაძლებინებს შენ მიიღო ყოველივე, რასაც ითხოვ ლოცვაში.

6. გახსოვდეს აგრეთვე, რომ არ დაიწყო ჯრც ერთი საქმე, რაც უნდა პატივსადები იყვეს, ისე, რომ წინდაწინ არ ილოცო მაზედ. რომ თვალ წინ

დაგიყენოს ჩემი მაგალითი, სახარება მრავალ ჯერ მოგითხრობს, რომ, როდესაც ქვეყნიური ცხოვრების დროს რაიმე საყურადღებო საქმეს შეუდგებოდი, წინდაწინ ყოველთვის ვილოცვიდი. მაგალითად მოციქულების არჩევის წინად მთელი ღამე ვილოცე („და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა აღევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ. და ვითარცა განთენა დღე, მოუწოდა მოწაფეთა თვისთა და გამოირჩია ათ-ორმეტი მათგანი, რომელთა მოციქულად უწოდა“ ლუკ. 6, 12, 13). ჩემი წამების დღის წინედ, სანამ მივეცემოდი მტერთა დასასჯელად, სამი საათი ვილოცე (მატ. 26, 39). მაშასადამე ლოცვით გამოიხატებოდა ჩემი მოამზადება რომელიმე საქმისათვის.

თუ შენ ბეჯითად ემზადები ყოველივე საქმის დაწყების წინედ მხურვალე ლოცვით, მაშინ შენს თითოეულ განზრახვაში, სიამოვნებას პოებ და თვით, გარეგნობით, უმცირესი საქმეები დიდ სამსახურად ჩაგეთვლებიან. ჩემი სურვილია დაგეხმარო შენ მადლითა და ძლიერებით.

ჩვეულებრივი ლოცვები, რომლებსაც იტყვი ყოველს დროს და განსაკუთრებულნი ვედრებანი, რომლებსაც გარდიხდი შენის ცხოვრების შესანიშნავ მოვლენის დროს, არ კმარან შენის სულისთვის. შენი სული, მღვდელო, საჭიროებს კიდევ, რომ რამდენიმე ხნობით შესწყვიტო ჩვეულებრივი ცხოვრება, გაშორდე სხვა ადგილს მყუდროდ, მარტოდ, რათა დაისვენო ჯაფის შემდეგ, ლოცვებითა და კეთილშობილური გრძნობების ამაღლებით მოიკრიბო, შეიესო დახარჯული ძალ-ღონე შემდეგი მოძღვრული შრომისა და მოქმედებისათვის.

(გაგრძელება იქნება).



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეკლესიო კითხვების განმარტება.

კით. შეიძლება თუ არა იკურთხოს გვირგვინი იმ შემთხვევაში, როდესაც სასძლოს მამა ნათლია სასიძოსი?

მიგ. უწმიდესი სინოდისაგან დადგენილია, რომ ნათესაური კავშირი მომრქმელთა და მონათლულთა შორის იყოს ცნობილი და ამიტომ გვირგვინის კურთხევა აღკრძალულია შემდეგ პირებზედ: 1) ნათლიასა და ნათლულის დედის შორის; 2) ნათლია ქალსა და ნათლულის მამის შორის.

კით. ჩვეულებრივად, ფიცის მიღების დროს ასწევენ ხოლმე ორ თითს მარჯვენა ხელისას; ზოგიერთ სახელმძღვანელოებში კი ნაჩვენებია, რომ დაფიცების დროს თითები ისე უნდა იყოს დაწყობილი, როგორც პირჯვრის წერის დროსო. რომელია კანონიერი და უფრო სწორი?

მიგ. უეჭველად ისე, როგორც ნაჩვენებია სახელმძღვანელოებში, რადგანაც მარჯვენა ხელის ორი თითის აწევას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

კით. შეუძლია თუ არა დედათა მონასტრის კრებულს იქონიოს საეკლესიო ბეჭედი, და თუ არა, როგორ უნდა დაამოწმოს სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები უბეჭდოთ?

მიგ. თანახმად უმაღლესი ბრძანებისა (უქაზი უწმ. სინოდისა 4 ლუკ. 1836 წ). საკრებულო, საეკლესიო ბ სასაფლაოს ეკლესიებმა და აგრეთვე მონასტრებმა უნდა იქონიონ საკუთარი ბეჭედი, ერთნაირ ზომაზედ მოჭრილი საეკლესიო საბუთების დასამოწმებლად. ამიტომ, თუ მონასტრის კრებულს არ აქვს ბეჭედი, უნდა მონასტრის მთავრობასთან ერთად გამოსთხოვოს ნებართვა ადგილობრივ ეპარქიალურ მთავრობას ბეჭდის შესაკეთებად.

კით. როდესაც მამაკვდავი ბავშვი ინათლება უმიმრქმელოდ შიშისა გამო სიკვდილისა და მღვდლის და ბავშვის დედ-მამის მეტი სხვა კაცი ვერ იპოვონ, მაშინ ყრმით ემბაზს გარშემო შემოვლაზე ყრმა ვის უნდა ეკავოს?

მიგ. ახირებული კითხვა არის. ასეთი შემთხვევა იშვიათად უნდა მოხდეს. და რომ კიდეც მოხდეს, რა მიუცილებელი საჭიროა, მაინცა და მაინც; ემბაზის გარეგ სიარული? ნუ თუ არ იციან, რომ ბავშვი მონათლულად ირიცხება მარტო წყალში ჩაყვანითაც კი—დადებული სიტყვების წარმოთქმის შემდეგ.

კით. ტაბელის მაღალ დღესასწაულებში, ხელმწიფის დაბადებისა და სხვათა გვირგვინის კურთხევა შეიძლება თუ არა?

მიგ. შეიძლება.

კით. მეზვერის, ფარისევლის და სულის წმინდის მოსვლის კვირაში ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილი არის, ამის გამო იმ კვირეებში—სამშაბათს და ხუთშაბათს საღამოს გვირგვინის კურთხევა შეიძლება თუ არა?

მიგ. შეიძლება.

კით. თუ ეოთ ეკკლესიაში ერთ დღეს ორჯერ წირვის შესრულება არ შეიძლება ერთსა და იმავე ოდიკზედ, ასე მაინც არ შეიძლება, რომ ჯერ ერთმა მღვდელმა ერთ ეკკლესიაში სწიროს და მერმე მეორე მღვდელმა წაიღოს იგივე ოდიკი მეორე ეკკლესიაში და სწიროს იმაზედ იმავე დღეს?

მიგ. ესეც ახირებული კითხვა არის. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ეკკლესია უოდიკოთ.

კით. საეკკლესიო ტიბიკონში სწერია თოკით შეკვრა ხის ტრაპეზისა, მაგრამ ქვის ტრაპეზს თოკით შეკვრა უნდა თუ არა?

მიგ. თოკის შემოვლებას ტიბიკონი იმიტომ კი არ უჩენს, რომ ტრაპეზი არ დაინგრეს; ქვის იჭნება იგი თუ ხის ყოველ შემთხვევაში რიგია თოკის შემოვლება ტრაპეზზე.

შეწირულებანი.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოთ აღნიშნულ პირთა, რომლებმაც შემოსწირეს ს. ქვედა მაღლაკის წმ. გიორგის ეკკლესიას ფულები, რომლებითაც მოპოებულ არს შემდეგი ნივთები: თ. ჯოვოხაძემ განსაზავებელი, ღირებული 9 მან. 20 კ.; ლ. ქოჩაკიძემ გვირგვინები, ღირებული 13 მ.; ს. ჯოვოხაძემ ემბაზი, ღირებული 15 მან.; ზ. ჯოვოხაძემ პურის საკურთხი, ღირებული 10 მ.; სტ. გოგისვანიძემ სამიროთნე კოლოფი, ღირებული 3 მანეთად; მ. არაბიძემ დაფარნები, ღირებული 15 მან.; ვ. გოგისვანიძის მემკვიდრეებმა სამრეკლოსთვის ხის მასალა, ღირებული 10 მან., ც. კობეშაიძის ასულის სახელზედ მაცხოვრის და ღვთის მშობლის ხატები, ღირებული 16 მან.; აზ. მ. ქუთათელაძისამ ერთი ოლარი, ღირებული 3 მან.; ალ. ჯოვოხაძემ ერთი მოდიდო დასაკიდი ჭაღი, ღირებული 13 მან. და ამავე ეკკლესიის მრევლთაგანმა ქალებმა ერთი რწყვილი სასანთლეები და ერთი მორჩილი დასაკიდი ჭაღი, ღირებული 38 მან. სულ 145 მ. 20 კ.

მდ. იასონ ჭორჭოლიანი.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე, აგრეთვე რწმენებულის ჩემდამა მრევლის—ოსეთის მხრით სოფ. წედისის მცხოვრებს ვასო (გლეხია) შიოს ძეს მაისურაძეს, რომელმაც შემოსწირა ოსეთის—კუდაროს ხეობაში, კობიეთის ახლად აშენებულს ეკკლესიას ერთი რწყვილი დაფარნები და ერთი ტრაპეზზედ გადასაფარებელი, ღირებულნი ხუთ თუმნად.

კუდაროს ეკ. მდ. ე. მაისურაძე.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით დამბაძიისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭელაძეების, და ე. ბეჟანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მეექვსე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღვთისმეტყველების ისტორიული მოკლე აღწერა. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. Oთხლთა და გარდაცვლილებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . 60—
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ; ამაღლებ-ს ნიშნებით—ფასი
3. დაწყებითი გაკეთილები საღმრთ ლის სწავლებაზე. ფასი .
4. ახალი სასულიერო კონსისტორ დებულება—ფასი .
5. მღვდელთათვის საიდუმლოდროს საპარო ს.ხელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და რეა-დართულია კეკლიის საექიმო რჩევ-სავან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის, დაკვესა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი.

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფ-ს დავით აღმაშენებ. . 25 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვ-ის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ლირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ¿თავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზსეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლ-ს დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის [illegible]
3. [illegible]

6. მოწყმენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მ-წ.მე რაჟდენი, სურათით, ფასი	5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი	2—
3. მეფე დავით მესაჰე ალმაშენებელი	5—
4. თამარ მეფე, სურათით	5—
5. გიორგი თავწმიდელი	10—
6. იოანნე ზედაბნელი	5—
7. შუბანიკი	3—
8. ქეთევან დედოფალი	2—
19. არჩილ და ლეონასაძე	5—
10. მეფე დავით III ალმაშენებელი	5—
1. იგივე ერეკლე	15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანეს ოქროპირი, სურათებით — ფასი	5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ — ფასი	3—
3. ცხოვრება წმ. მოწ. ხუროის დიდის მთავარის ელადიმირისა	2—
4. ანგრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი	5—
5. სიკ დილი მართლისა, კონტაკელი კილატეს მეუღლის წერილი	5—
6 ხმა მოძღვრისა ს მწყესთანდ., საუბრ-ს შ.წყალ-ი ივრ ქრ სტეანი	3—
7 შ.ლ.ბის მოვალეობა-ბ.ბ.ლ.თ.ვ.ბ.	3—
8 ბ.ბ.ბ.ლ.ბის მოვალეობა შ.ლ.თ.ვ.ბ.	3—
9 [illegible] ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ეძებოთ მათ	3—
[illegible]	3—
	3—

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იფ-ფასიანი ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრისა, ეფერის ღვთ ს-მშობლი, წმიდა გიორგის, ალექსი მოლიქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღ სასწაულთა. ეინც დაიბარებს ხატებს არა ხაკლებ ოცი ა, იმათ ჩენს საქართველოში ყველგან ფოტოს გასაგზავნი არა გარდახდება. ამ სთან იმექონება სქელ ქ-ღ ლ-ზე ნახატი წმიდა ნინანი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით ალბომში წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. იმ-ვე ხომისა და ამ-ითანავე სახით წმ და ნინო ქართველთ განმანათლებელია და დავთ ალმაშენებელისა ფ. ოთოი 5 კ.

ეინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმანისა, ის ანგიზეზე დავთმობა 20 კ. ეინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დ ბ-ეს, არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფ-ასეთ გ-ასაგზ-ნ-ა ორ ოხერ.

იმექონება აგრეთვე მრავალ-ა ბ-ა-ა გულ-ა-ა-ა

№ 12 1883—1901 15—30 ივნისი

მწყემსი

ოფიციალური გაზეთ-ფილეგა

იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის სასწავლებლის რჩევისაგან

იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის ქალების სასწავლებლის რჩევა აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა სასწავლებელში შემსვლელთათვის დანიშნულია 27, ხოლო განმეორებითი გამოცდა 28 აგვისტოს.

მეშვიდე 1901—1902 სასწავლო წლიდან სასწავლებელში იქნება ყველა კლასები გარდა მეექვსისა.

ვაკანსიები იმყოფნებიან შემდეგ კლასებში: VI, V, IV, II და უნცროს მოსამზადებელში მიახლოვებით: VI კლასში—27—37; V კლასში 20—30; IV და II კლასებში არა ნაკლებ სამ-სამი ვაკანსიისა და უნცროს მოსამზადებელში 38 ვაკანსია.

თხოვნები სასწავლებელში მიღების შესახებ, შეტანილ უნდა იქნენ სასწავლებლის რჩევის სახელზე 15 აგვისტომდე და თხოვნასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნენ შემდეგი საბუთები: მეტრიკული მოწმობა სინოდ. კანტორისა (და არა მეტრიკული წიგნებიდან აღმოწერილობა); 2) ყვავილის აცრის და საზოგადოდ ტანმრთელობის მოწმობა და 3) თუ მოსწავლე ქალი გადმოდის სხვა სასწავლებლიდგან, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს მოწმობა იმ სასწავლებლისა, სადაც ის უწინ სწავლობდა.— თხოვნები, რომლებთან ერთად არ იქმნებიან წარმოდგენილნი ზემოთ დასახელებულნი საბუთები, არ იქნებიან მიღებულნი რჩევისაგან, ხოლო ფოშტით გამოგზავნილნი თხოვნები უამ საბუთებიდ, უყურადღებოდ დარჩებიან იმ მოსწავლე ქალთა სიების შედგენის დროს, რომელთათვის თისარგენ ეგზამენები უნდა დაიჭირონ.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამმართველოისაგან.

სამმართველო ქუთაისის სასულიერო სემინარიისა აცხადებს, რომ განმეორებითი და დამატებითი ეგზამენები სემინარიის ზემო კლასებში, პირველ კლასს გარდა, დაიწყება ოქ აგვისტოს, ხ[illegible]ლო მისაღებ[illegible] ეგზამენებ[illegible] პირველ [illegible]ში [illegible]ლელთათვის 22 აგვისტოს 1901 წელსა.

ღერბის გადასახადის ახალი წესდებულება

ამ სტატიაში ახალი წესდებულება ღერბის გადასახადის შესახებ, უმაღლესად დამტკიცებული 1900 წ. 10 თებერვეს და მოქმედებაში შესული 1 მარტიდან 1901 წელსა, სისრულით არაა მოყვანილი, არამედ შემოკლებით იმდენად, რამდენადაც ის შეეხება და უნდა სრულდებოდეს. საქმეებში, რომელიც უნდა განიხილოს სასულიერო სასამართლომ და სასულიერო უწყების დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა.

ახალს წესდებულებას შემოაქვს ღერბის გადასახადი ორ-გვარი; მარტივი, რომელიც განსაზღვრულის რაოდენობით გარდახდება ქალალდებს, აქტებს და საბუთებს და თან შეზომილი, რომელიც ინგარიშება აქტში გამოყვანილი ჯამის სარგებელთან შეფარდებით (სტ. 8). აქ იმექონების სახეში მხოლოდ მარტივ (უბრალო) ღერბის გადასახადი და ამასთანავე ერთი ხუთ დაწესებულ რაოდენობა-

თაგანისა (სტ. 11), და სახელდობრ 60 კაპეიკიანი, რადგან მხოლოდ ეს ღერბის გადასახადი და ამ რაოდენობითა შეესაბამება ზემოდ დასახელებულს საქმეებს.

1. საზოგადო დებულებანი.

1. მარტივი (უბრალო) ღერბის გადასახადი 60 კაპეიკიანი თითოეულს თაბახზედ უნდა გადახდებოდეს:

ა) კერძო პირთა და დაწესებულებათ კერძო საქმეთა გამო გაგზავნილს ან მორთმეულ მმართველობითს, გამგეობითს დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა სახელზედ თხოვნებს, განცხადებათა, საჩივარს, პასუხს, პასუხის მიცემას, ჰაზრის დარღვევას და ჰაზრსა რომელიმე პირის ან საგნის შესახებ (სტ. 14 მუხლი 1).

ბ) წარდგენილს ნაჩვენებს ქადალდებთან ერთად, მთხოვნელთა სურვილისამებრ ან კანონის მოთხოვნილებით. ასლებს ამა ქადალდთა (დედნებთან თანასწორად სტ. 12) და მათთან წასადგენთა საბუთთაგან და საზოგადოდ დამატებათაგან. გარდა ამ საბუთთა ასლებისა, რომელსაც მცირე ზომით გადახდება ღერბის გადასახადი (სტ. 14. მუხლი 1); ნამდვილი საბუთები (დედნები) და დამატებანი, უკეთუ ის წარედგინება მართებლობითს დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა (როგორც წინად [illegible] ხარჯის გადანახადი) არ საჭიროებს ცალკე ღერბის გადასახადის მიცემაში (შენიშვნა მეორე მუხლისა სტ. 14).

გ) მიცემულს ანუ გაგზავნილს მმართებლობითის, გამგეობითის დაწესებულების ან თანამდებობის პირთა მიერ კერძო პირთა და დაწესებულებათა მიმართ, სპასუხოთ მათის წერილობითის ან სიტყვიერის (უკეთუ ეს უკანასკნელი შესაძლებელია სადმე) თხოვნისა: უწყებათა და განცხადებათა, რასაც საქმის არსებითი მხარე მოითხოვს ანუ რომლის მიცემის შესახებ შუამდგომლობა მთხოვნელი (სტ. 15 მუხლი 1 და დარიგება ღერბის ხარჯის შესახებ პარაგ. 24, მუხლი 3). ასლებს გადაწყვეტილებათა და განჩინებათა და ყველა საქმის წარმოებითის ქადალდებისას; ოფიციალურს ცნობებს იმ საქმეებისას, რომელიც წარმოებს ან გათავდა, მოწმობებს სხვა-და-სხვა სახისას, როგორც მაგალ. აქტებს, რომელიც მრეკლამეობრივს მდგომარეობას და პირს შეეხება (სტ. 14 მუხლი 3).

დ) საქმის წარმოებასთან დატოვებულს ასლებს ნაჩვენები აქტებისა და ანუ საბუთებისას, რომელსაც აძლევენ კერძო პირს ანუ დაწესებულებას მმართებლობითის დაწესებულების ანუ თანამდებობის პირის საქმის წარმოებიდან, უკეთუ ასეთი ასლები, ღერბის ხარჯის გადანახადი, საქმეში არაა და უკეთუ ეს ასლები საქმესთან უნდა დარჩეს. (სტ. 83 და დარიგება პარაგ. 24 მუხლი 4)

ე) ხელწერილებისათვინ, რომელსაც აძლევს მთხოვნელთა სურვილისამებრ მმართებლობითი დაწესებულება ანუ თანამდებობის პირი თხოვნის მიღების შესახებ, საკმაოა 15 კაპ. ღერბის მარკა (სტ. 15 მუხლი 3).

2. თუ ერთს ქადალდზედ მოთავსდება რამდენიმე აქტი, საბუთი ანუ ასლი, მაშინ თითოეულის აქტისა, საბუთისა და ასლისათვის საჭიროა საკუთარი გადასახადი ღერბისა იმ სახით, რომ მთელის გადასახადის საზოგადო ჯამი ამ ქადალდისა შესდგეს თითოეულის საბუთის კანონიერის გადასახადიდან, რომელიც ერთს ქადალდზეა მოთავსებული. (სტ. 5 და დარიგების პარაგ. 6).

3. შეიძლება ღერბის გადასახადის მიცემა შემდეგის სახით:

ა) ღერბის ქადალდზედ დაწერით (სულ ერთია ერთს თუ რამდენსამე თაბახზედ), რომელიც ღერბს იმდენ ფასად, რამდენი ფასის მიცემაც საჭიროა ღერბის ნიშნებში (სტ. 8. მუხლი 1); ღერბის ქადალდი ორის ჯურისაა: სამ აბაზიანი და მანეთიანი (დამატ. 34 დარიგებისა).

ბ) შთაკერებით უბრალო ქადალდზედ დაწერილ საქმეებში ღერბის ქადალდისა, ღერბულისა იმ ფასად, რა ფასიც დასჭირდება ღერბის ნიშნებს ამა თუ იმ საბუთისათვის (სტ. 80 მუხლი 2

გ) ღერბის მარკების დაკვრით იმ საბუთებზე, რომელიც დაწერილია უბრალო ქადალდზედ... ღერბის მარკებიც ექვსნაირია: შაურიანი, ორშაურიანი, სამშაურიანი, ოთხაბაზიანი, სამაბაზიანი და მანეთიანი.

დ) ნაღდი ფულის მიცემით, ღერბის ქადალდის ან მარკების ნაცვლად, ანუ ხაზინის ხელწერილის წარდგენით, რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული ის, რომ მთხოვნელმა შეიტანა ხუთდრი ღერბის გადასახადი ხაზინაში (სტ. 8. მუხლი 4 სტ. 84 და დარიგების პარაგ. 80 და 81 და სტ. 92 და 93).

4. დიდხნობას ღერბის გადასახადისათვის მნიშვნელობა არა აქვს (სტ. 6).

ე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრატიულს მმართებლობითს დაწესებულებაში და თანამდებობის პირს ერთს თხოვნასა რამდენიმე საგნის შესახებ აძლევს ვინმე, და ან რამდენიმე პირი ან დაწესებულება ერთს თხოვნას აძლევენ იმ საზოგადო საქმის თაობაზედ, რომელიც მათ შეეხება, ღერბის ხარჯი გადახდება არა შუამდგომლობათა და მთხოვნელთა რიცხვის, არამედ იმ ფურცელთა რიცხვის მიხედვით, რომელზედაც მოთავსებულია თხოვნა (დარიგ. § 25, მუხლ. 6).

ᲞᲝᲚᲘᲡ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲘᲡᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ. ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲞᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲘᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐ ᲙᲕᲐᲚᲐᲓᲕᲔ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲐᲓ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲑᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡᲐ. ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲜᲔᲚᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘᲓ. ᲛᲔᲠᲛᲔᲗ ᲬᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔᲓ—ᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲓᲔᲜ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲔᲠᲜᲘ.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 2-Ს, ᲓᲦᲔᲡᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ. ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲙᲘᲡᲐ ᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲡᲝᲑᲝᲠᲝᲡᲐᲡ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ. ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲗ-ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲓ. ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲗᲝᲜᲘᲡᲐᲗᲐ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲗ (ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲘᲜᲐ) ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ ᲛᲝᲛᲖᲛᲔᲓᲔᲜ. ᲯᲔᲠᲔᲗ ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢ ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲐᲠᲘᲒᲐ ᲖᲔᲓ ᲛᲝᲐᲑᲔᲡ. ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐᲜ ᲐᲜᲐᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ: ᲮᲣᲗᲘᲜᲘ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲨᲕᲘᲓᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲜᲘ ᲐᲠᲮᲘ-ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲜᲘ. ᲬᲘᲠᲕᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲛᲓᲔ. ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲗ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲠᲕᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢ ᲡᲐᲐᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲛᲓᲔ. ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ ᲔᲮᲣᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲢᲠᲐ (ᲕᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲛ. ᲐᲗᲐᲜᲐᲡᲘ ᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲚᲐᲕᲠᲐᲨᲘ) ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲝᲓ ᲨᲔᲛᲙᲝᲑᲘᲚᲘ. ᲛᲘᲢᲠᲐᲡ ᲨᲣᲐᲖᲔ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ ᲣᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲝᲑᲘᲚᲘ ᲯᲕᲐᲠᲘ. ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲜᲘ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲢᲠᲘᲡᲐ, ᲥᲣᲚᲘᲗ-ᲑᲐᲠᲢᲣᲚᲘᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ. ᲐᲥᲐᲪ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝ. ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐ ᲬᲘᲠᲕᲐ, ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲓᲐᲛ, ᲛᲘᲐᲬᲧᲔᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ, ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲗ ᲒᲐᲣᲪᲘᲠᲕᲔᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲐ, ᲒᲐᲠᲜᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲗᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲘᲜᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲕᲔᲚᲐᲓ. ᲐᲥ ᲘᲧᲝ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲤᲘᲪᲙᲐᲠᲖᲔ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ: «ᲘᲝᲐᲙᲘᲛ III ᲙᲕᲚᲐᲓ ᲐᲦᲣᲤᲜᲘᲚ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲓ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲑᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡᲐᲖᲔ; ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲗᲐᲜ. ᲒᲖᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲗᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲣᲜᲜᲔᲚ-ᲛᲤᲨᲕᲔᲚ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲖᲛᲘᲗ ᲓᲦᲒᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲐᲕᲐᲗ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲡᲣᲚᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲜᲘ, ᲓᲐ ᲖᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲬᲙᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲗ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲪᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ: ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲗᲘᲗ, ᲥᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲠᲝᲜᲐᲗᲗᲐ ᲖᲐᲠᲗᲐ ᲠᲔᲙᲘᲗᲐ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲑᲘᲜᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲣᲜ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲜᲝᲛᲠᲗᲨᲘ ᲬᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲦᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲗᲐ—ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲢᲠᲐᲞᲔᲖᲘ (ᲡᲐᲓᲘᲚᲘ) ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲝᲗ, ᲘᲗᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲨᲔᲕᲔᲜᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ. ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲚᲔᲕᲔᲡ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ, ᲘᲕᲓᲠᲔ ᲛᲔᲦᲪᲠᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲦᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲗᲐ. ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲔᲦᲪᲠᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲮᲓᲝᲛᲗᲐ ᲐᲦᲙᲐᲖᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲔᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲚᲘᲛᲘᲜᲔᲜᲘᲡᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲛᲝᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ, თათრულის ანგარიშით, ᲧᲐᲠᲐᲘᲘᲓᲐᲛ ᲬᲐᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪᲐ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲠᲓᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ—ᲡᲐᲒᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ. ᲒᲖᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲣᲜᲜᲔᲚ-ᲛᲤᲨᲕᲔᲚ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲖᲛᲘᲗ ᲓᲦᲒᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲐᲕᲐᲗ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲡᲣᲚᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲜᲘ, ᲓᲐ ᲖᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲬᲙᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲗ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲪᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ: ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲗᲘᲗ, ᲥᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲠᲝᲜᲐᲗᲗᲐ ᲖᲐᲠᲗᲐ ᲠᲔᲙᲘᲗᲐ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲑᲘᲜᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲣᲜ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲕ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲜᲝᲛᲠᲗᲨᲘ ᲬᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲦᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲗᲐ—ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲢᲠᲐᲞᲔᲖᲘ (ᲡᲐᲓᲘᲚᲘ) ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲝᲗ. ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲚᲔᲕᲔᲡ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ, ᲘᲕᲓᲠᲔ ᲛᲔᲦᲪᲠᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ ᲦᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲘᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲗᲐ. ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲔᲦᲪᲠᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲮᲓᲝᲛᲗᲐ ᲐᲦᲙᲐᲖᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲔᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲚᲘᲛᲘᲜᲔᲜᲘᲡᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲛᲝᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲔᲪᲘ

ქართველთა ძმათა, დაწყნარდით და ღმერთი თქვენ —ქართველების საქმეს კარგად წაიყვანო". მამა იონამ სიმდაბლით თაყვანისცა მარჯვენაზე ამბორის ყოფით. მერმეთ მოართვეს საგანგებო პატარა ნავი, რომელსა შინა ჩაბრძანდა მათი უწმიდესობა და მოიქცა იმ ნავიდამ ჩვენსკენ; გამოგვემშვიდობა სიმდაბლით სამ გზის თავის დაკვრითა, და ჯვარის გამოსახვითა, ლოცვა-კურთხევა გადმოგვცა. მერე მიიყვანეს პატრიარხი გემზე, აბრძანდა მისი უწმიდესობა თავისი მიტროპოლიტებით და კოსტანტინეპოლის უწმიდესი სინოდის წევრებით. მეათე ჟამის დასასრულში დაიძრა გემი და წავიდა კოსტანტინეპოლისკენ.

ასე მოხდა პატრიარქის იოაკიმ III-ს ისევ კოსტანტინეპოლის კათედრასა ზედა მიბრუნება.

ბერ-მონაზონი სიმონ ქართველი.

ჩვენის კორრესპონდენტისაგან გამოგზავნილ ცნობას საჭიროდ ვრაცხთ დაუმატოთ მოკლე ბიოგრაფია ახლად დანიშნული—კონსტანტინეპოლის პატრიარქის იოაკიმ მესამისა.

პატრიარქი იოაკიმე მესამე დაიბადა 18 იანვარს 1834 წელს კონსტანტინეპოლში. სახელად დაარქვეს ხრისტე.—პირველად სწავლა დაიწყო მან სატახტო ქალაქის სახალხო სკოლაში. აღიკვეცა თუ ამა ბერად, ხელ-დასხმულ იქმნა დიაკვნად და განწესებულ ბერძენთა მართ-მადიდებელ წმ. გიორგის ეკკლესიაში—ვენაში, სადაც მშვენიერად შეისწავლა ნემეცური ენა. 12 ნოემბერს 1860 წ. იქმნა გადმოყვანილი კონსტანტინეპოლში, მეორე მთავარ-დიაკვნად პატრიარქი იოაკიმე მეორის დროს. როცა მისმა პატივისმცემელმა პატრიარქმა იოაკიმე მეორემ უარი განაცხადა პატრიარქად დარჩენაზედ, მან თავი დაანება პატრიარქთან სპატიო თანამდებობას. 10 დეკემბერს 1864 წელსა ღირსმა იოაკიმემ მიიღო სამიტროპოლიტო კათედრა ქალაქს ვარნაში. ცხრა იანვარს 1874 წელსა გადაყვანილ იქმნა თესალონიკეში. 4 ოქტომბერს 1878 წელსა იგი აღყვანილ იქმნა მსოფლიო პატრიარქად. პატრიარქობის თანამდებობაზედ მან დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტეს ეკკლესიას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მან მშვენიერად-იცის თათრული ენა, რუმინიისა და ნემეცური ენები. აქვს დიდი სწავლა-განათლება ღვთის-მეტყველებისა და ნიჭი დიპლომატური. სასტიკად უკრძალავდა სასულიერო წოდებას და ხალხს პოროტ მოქმედებათა და ამისთვის მრავალ ეპირკულიარებს და ეპისტოლეებს მეტყველდა. 1880 წელში გამოსცა წეს-წყობილება ბოსნიისა და გერცოგოვინის სამრევლოების შესახებ. 1879 წ. დათანხმდა, რომ სერბიის სახელმწიფოში სასულიერო წოდებას მიეცემოდა უფლება თავიანთ საქმეების მართვა-გამგეობისა.

ყველაზედ უფრო შესანიშნავია მის მსახურებაში თავ-გამეტებითი თავის გამოდება და დაცვა ბერძენთა ხალხის იმ უფლებათა, რომელნიც მინიჭებული ჰქონდათ კონსტანტინეპოლის პირველ დამპყრობელის—მაგომეტ II-საგან და რომელიც დამტკიცებული იყო მისი მემკვიდრეებისაგან. სულთანმა აბდულ გამიდმა 1883 წელში მოითხოვა, რომ ბერძნის მღვდელ-მთავრები და მთელი სამღვდელო და საეკკლესიო პირნი მიქცეულიყვნენ საერო წოდების სასამართლოებში და იქ უნდა მომხდარიყო ყოველივე მსჯავრი და განსამართლება მათზედ. ამასთან შეზღუდული იყო ყოველივე უფლებანი მსოფლიო პატრიარქისა. პატრიარქმა, იოაკიმე მესამემ არ მიიღო ეს განკარგულება და მოითხოვა სულთანისაგან, რომ გაეუქმებია იგინი. სულთანმა არ შეცვალა თავისი განკარგულება. ამისათვის იოაკიმემ უარი განაცხადა პატრიარქობაზედ. 30 მარტს 1884 წელში. უწმიდესმა სინოდმა, რომელიც თანაგრძნობდა რა ზატრიარქ იოაკიმეს, არ აირჩია სხვა პატრიარქი. პატრიარქი იოაკიმე გადადგომის შემდეგ წავიდა ათონში და დაბინავდა წმ. ათანასეს ლავრაში, ივერიის მონასტრის ახლოს. თუმცა იგი აქ დაუყუდებულის ცხოვრებას ატარებდა, მაგრამ ყველა პატივს სცემდა; ყველა მართლ-მადიდებელ ბერძენთა თვალი მისკენ იყო, როცა პატრიარქის კათედრა დაიცლებოდა ხოლმე. ალექსანდრიის პატრიარქის—სოფრონის გარდაცვალების შემდეგ, 22 აგვისტოს 1899 წელს, ალექსანდრიის სამწყსო მიიქცა იოაკიმესაკმი თხოვნით, რომ მიეღო პატრიარქობა და დაეკავებია წმ. მოციქულის მარკოსის ადგილი, მაგრამ იგი არ დათანხმდა. დღეს, როგორც ყველამ იცის, იგი ისევ დაუბრუნდა წმ. იოანე. ოქროპირის ტახტს, მიიღო რა მიწვევა მთელი კონსტანტინეპოლის ეკკლესიისა, რათა დაიკავოს ბან ფრიად ძნელი და მძიმე პასუხის საგებელი ადგილი მსოფლიო პატრიარქისა. მთელი კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აღტაცებით ეგებება მის პატრიარქად დანიშვნას და ჩვენც, საცოდავ ქართველებს, რომელნი მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრად ცოდნია მას, გვეკუთვნის სიხარული ამისთანა კეთილი კაცის პატრიარქად დანიშვნისა გამო.

ᲓᲔᲙ. Დ. ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ყოველი სული აქებდით უფალსა.

(ზაფხულის დიდ.)

ვიშ! რა საამური დილაა! რა სასიამოვნო სანახაობაა! რა ყურთა სმენის დამტკბობი ხმები ისმის! ირგვლივ შემოზღუდული გორაკები, შუაში მწვანე ხავერდის მსგავსი მიფენილ-მოფენილი ბუჩქნარ-კორდები თვალს იტაცებენ. ათას გვარი ხეები, მათ თავებზე უცხო გვარად, ურიცხვ ფერადებათ აჭრელებული ყვავილთა თაიგულები და ბალახები სასიამოვნო სუნსა ჰფენენ არე-მარეს. ადამიანთა ფეხის ხმა მიდუმებულია, რადგან განთიადს ღამის სიწყვდიადე ჯერ კიდევ არ გაუფანტავს. ადრეა, ჯერ კიდევ ცისკრის დროც არ არის და ადამიანს, უფლისგან პირდაპირ გადმოცემული ლოცვა „მამაო ჩვენო“ არ წარმოუთქვამს სადიდებლად თვისის შემოქმედისა და თვისდამი შვიდი თხზენის დასაკმაყოფილებლად. ირგვლივ გორაკები, თვალ-უწვდენელ კედლებს წარმოადგენენ და ქვეყანა წმიდა სადიდებისმეტყველ ტაძრად შექმნილა; ზეცა მაღლიდგან დიდებულ გუმბათად წამომდგარა; ურიცხვნი ვარსკვლავთა კრება წმიდა ლამპრებად ანათებენ და ეს დიდებული ტაძარი ცისკრის სალოცავად არის მოწყობილი... აქ არა სჩანს არც შემოსილი მღვდელი, არც მთავარ-დიაკონი და არც ჩვეულებრივი მგალობელთა გუნდი. აქ შეყრილა მთელი ქვეყნის მფრინველთა გუნდი, დაუსწრია ადამიანისთვის და განთიადისას ცისკარს ლოცულობს! მათი მწყობრი, შეხმატკბილებული გალობა ადამიანის ყურს ენით გამოუთქმელ სიამოვნებით ატკბობს! თუმცა ჯერ კიდევ მშიერი კუჭი აქვსთ ამ განთიადისას, მაგრამ საკმლის საძებრად არ ბიივლტიან, არ ეჩქარებათ; ლოცვად სდგანან და შემოქმედს უგალობენ ათასგვარ ხმებზე დაწყობილს სძილის-პირებს! ამჩნევ, რომ მაჯი ლოცვა წმიდაა, უმანკო და გულში სიამოვნება გიღვივის; შენატრი მათს სიწმიდეს, მათს უმანკოებას და გული გითქვამს, რომ შენც ასე წმიდა იყო წინაშე შემოქმედისა; მაგრამ ამაოდ! ადამიანს ძლივს-ძლიობით რვა ხმაზე აქვს დაწყობილი ღვთის სადიდებელი გალობა; მფრინველთა კი ათასს ხმებზე დაუწყვიათ. ადამიანთა გული ათას გვარ ბიწით აღვსილა და ლოცვის დროსაც ვერ ახერხებს, რომ წინაშე შემოქმედისა უმწიკვლო გულით წარსდგეს და ისე ილოცოს, ვერ იშორებს გულიდგან სიმწიკვლეს! მფრინველთა გულნი კი წმიდათა წმიდაა, უცოდველი! ადამიანი დაწოლის დროს ჰფიქრობს: დილას რა გვარად მოაწყოს კუჭის საზრდოსთვის მუშაობა და ასში ერთი თუ მოიგონებს, რომ „მამაო ჩვენო“ მაინც არის ილოცოს! მფრინველნი კი თითქოს ერთი მეორეს მოლაპარაკებოდეს: დილას ერთად მოვიყაროთ თავი და ერთად ვილოცოთო. ნამდვილ ცისკრის დროს, ყველა ერთად შედგომიან ლოცვას და შემოქმედს უგალობენ ათასს-გვარს ხმებზე, ტკბილად დაწყობილს სადიდებელს „პარაკლისს“! აქ გაგონდება: სასულიერო მგოსანი დიდი წინასწარმეტყველი დავით უსათუოდ ამ სანახაობით გატაცებული იტყოდა: „ყოველი სული აქებდით უფალსა!“ კურთხეულ არს, უფალო, შენი დიდებული სახელი! ყოველს შენს ქმნილებაში ცხადათ სჩანს შენი უცვალებლობა, შენი სასწაული, შენი უკვდავ-ქმნილი განაჩენი! ყოველი შენი ქმნილება უცვლელად ასრულებს შენს განჩინებას გარდა შენგან ხატად და მსგავსად შექმნილი არსებისა. „ყოველი სული აქებდით უფალსო“—ამბობს წინასწარმეტყველი და აქებს კიდევაც ყოველი სული. ჩვენ კი, ადამიანები კრიჭაში ჩავდგომივართ ზეციურ მცნებას და თითოეული მცნების დასარღვევად, საკუთარი ჩვენგან შედგენილი ათასი უკულმართი მცნება დაგვიმარხავს სულსა და გულში: შეგვისისლხორცებია: შური, მტრობა, ერთმანეთის სიძულვილი, ღალატი, ვერცხლის მოყვარება, დიდების მოყვარება, უსამართლობა, ტაცება, პირში ფერება, პირს უკან ზრახი, გაუმაძღრობა, სხვისი დაცინვა, თავის-თავის არ დაკვირვება, თავის თვალში „დვირეს“ დაუნახავობა, სხვის თვალში ბეწვის ძებნა, კეთილის არა ჰქმნა, სიცუდის მსწრაფლად მითვისება და სხ. და სხ...

„ყოველი სული აქებდით უფალსა“ და აი ამ მაქებელთა შორის კი, ჩვენ ვითომც და პირველი ადგილი გვიჭირავს, როგორც უფლის ხატად შექმნილს პირმეტყველს ცხოვარს! შეგვინდეო, უფალო, ჯიუტობა და დარღვევა შენის მცნებისა!

კაცი სიკვდიდმდე ვერა გრძნობს
არარაობას თვისსასა,
სიკვდილის დროსაც არ იტყვის:
რად ვითვისებდი სხვისასა!

—

მოკვდავ ხორცისთვის ნაძარცვი
სიმდიდრე, ნაწვავ ნადაგი,
მოკვდება, აქვე დასტოვებს
სული დარჩება ღატაკი.

—

არ ახსოვს, ამა სოფლისა
წარმავალია ყოველი...
უკვდავი მხოლოდ სულია
ნათლით მოსილი ცხოველი.

რ—ს—ლი.

სოფ. მუხურა
29 მაისი 1901 წ.

კანონი და სიმართლე.

საზოგადოების სხვა და სხვანაირი უფლებრივი დამოკიდებულება.

კაცი ღვთისაგან დადგენილ არს ორი სამყაროის—ხილულისა და უხილავის, არსებითისა და სულიერის საზღვარზედ; ცხოველურ სხეულში კაცი ატარებს ანგელოსისებურ სულს. თვით უმაღლესი და კეთილშობილური მისი მისწრაფებანი მხოლოდ მაშინ ფასდებიან, როდესაც იგინი განხორციელდებიან საქმით. ეს მისწრაფებანი მიუხედავად მათი ღირსებისა, ხდებიან სასაცილონი, როდესაც იგინი სისრულეში არ მოდიან. ამიტომ გარეგან მხარეს ადამიანის მოქმედებისას ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებითი ყურადღება: კაცს აფასებენ ხოლმე მისი საქმეების მიხედვით. ამიტომ ადამიანის ცხოვრება ყოველთვის ემორჩილებოდა და დღესაც ემორჩილება გარეგან განსაზღვრულ კანონებს. საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურზედ როგორც ველური კაცის ოჯახში, ისე მაღალ-კულტურულ სახელმწიფოებში თქვენ ხედავთ კანონების კრებულს, დაწერილებს ან დაუწერელს, რომელიც საზოგადოების ყოველი წევრისთვის სავალდებულოა. ეს ვალდებულობა, როგორც შემზღუდველი ყოველი პიროვნების კერძო სურვილებისა, იწვევდა წინააღმდეგობას ან რაიმე ცუდი საქციელის ჩადენით, კანონის დებულებათა დარღვევით, ან არა და მოსაზრებული, სისტემატიური უარ-ყოფით და დარღვევით იმ საფუძველისა, რომელზედაც მტკიცედ სდგას ყოველი საზოგადოება, ან არა და უფლებრივი წეს-წყობილების თეორეტიული უარ-ყოფით. ზოგიერთ უმანიურ მოსაზრებათა გამო, როგორიც არის მაგალითად მომმეთა კეთილ-დღეობაზე ზრუნვა, რომ იგი არ შეავიწროვო და არ შეაწუხო. ხშირად ასეთი წინააღმდეგობანი ისეთი გულწრფელობით არიან ხოლმე გამოწვეულნი, რომ უნებლიედ იბადება კითხვა: აქვს თუ არა უფლება საზოგადოებას, რომ რომელიმე თავისი წევრი ასე შებოჭოს კანონებით? ასეთი კითხვა იბადება იმის გამო, რომ თანამედროვე მოქალაქობრივი ურთიერთობა იმდენად რთულია, რომ იგი არამც თუ აიძულებს კაცს დამორჩილდეს ამ შეზღუდვას, არამედ იძულებულ ჰყოფს შეზღუდოს სხვაებიც—ხან სალდათათ ყოფნის დროს, ან როგორც „ჩინოვნიკმა", ან როგორც მსაჯულმა. ამნაირი კითხვის გარდაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველის მხრით განვიხილავთ საზოგადოებას და ამ საზოგადოებაში თვითოეული კერძო წევრის მნიშვნელობას.

ოჯახის და საზოგადოების საჭიროება ადამიანის ცხოვრებისათვის.

თითონ ადამიანის გაჩენისათვის საჭიროა „საზოგადოება" ქმრისა და ცოლის, რომელსაც ეწოდება ოჯახი. ადამიანი ისეთი სუსტი იბადება ქვეყანაზედ, რომ ის უსათუოდ დაიღუპება, თუ მას მოაკლდა ოჯახის მოვლა და მფარველობა. ახლად დაბადებულის გონება დარჩება განუვითარებელი, რომ მახლობელი წრე არ ანვითარებდეს მას თვისი აზრებით, რომლებსაც ისინი ბავშვის ლულლულს შეუწყობენ ხოლმე. წარმოიდგინეთ ადამიანი, დღიდგან მისი დაბადებისა, მოკლებული გონიერ არსებათა წრეს და წინა თაობის გამოცდილებას. მას მთელი თავისი ცხოვრება უნდა მოენ-

დომებია, რომ გამოეგონა ცეცხლის ხმარება, შვილდ-ისრის მოწყობა ან თიხის ჭურჭლის კეთება. ასეთ გაუწვრთნელს ველურიც კი დიდ ბუნებისმეტყველად და ფილოსოფოსად ეჩვენებოდა. კაცურ ლაპარაკსაც კი ვერ ისწავლიდა, რადგან ვერავის გაუზიარებდა თავის აზრებს. ვერასოდეს იგი ვერ გაიგებდა ზნეობრივი ცხოვრების არსებობას, რომელიც იბადება გონიერ—თავისუფალ არსებათა ერთობისაგან, თუ პირველ დღიდგანვე არ უგრძვნია სიტკბოება დედის განუსაზღვრელი სიყვარულისა, მოკლებული ყოფილა ჭეშმარიტს ზრუნვას მის გარშემო მყოფთაგან. ასე განუვითარებლად რჩებიან მხედველობის ორგანოები ქვემძრომ პირუტყვთა. კაცი თითქმის თვისი არსებობის უმეტეს დროს საჭიროებს ოჯახის მოვლას, სანამ თითონ არ ისწავლის ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თვითონ ოჯახის არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ მოზდილი წევრები არ არჩენდნენ და არ იცავდნენ პატარეებს და სუსტებს; თუ ესენიც თავის მხრივ არ დაემორჩილებოდენ დიდებს, რომელნიც იცავენ პატარეებს ფიზიკური ხიფათისაგან, როგორც მაგალითად: გაცივებისა, დაწვისა ან მოწამვლისაგან. ოჯახის მთელი ცხოვრება იმაზეა მიქცეული, რომ უფროსების ხელმძღვანელობით და მხედველობით იზრდებოდნენ პატარაები. აი სად არის სათავე ყოველგვარი უფლებისა, რომელიც ძალადობრივი ზომებით იცავს კაცის ცხოვრებას და საკუთრებას. ზრდასთან ერთად ადამიანის ცხოვრება რთულდება. იბადება და რთულდება მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვები, რომელთაც იწვევს ხილული ქვეყნის სხვა-დასხვა მოვლენათა თვისების, მიზეზების და მდგომარეობის შეტყობა და რომელ კითხვათა გადაწყვეტას კაცს არ შეუძლია მიწვდეს „საკუთარი მოსაზრებით". მხოლოდ წინა თაობის და მრავალი პირის გამოცდილება აძლევს აღმოცენების საშუალებას მეცნიერებას, ხელოვნებას და მრეწველობას. მხოლოდ რამოდენიმე ოჯახის კავშირი ჰქმნის დიდ ძალას გარეშე მტრისგან დასაცავად. ოჯახი დიდი ზრდის შემდეგ წარმოადგენს ტომს, ტომი კი რთული ორგანიზაციის შემდეგ წარმოადგენს სახელმწიფოს. ოჯახის უფროსებიდგან და პატრიარქებიდგან უფლება გადადის კერძო პირების ხელში: იმ კერძო პირების ხელში, რომელთაც ან ირჩევენ, ან დარომლებიც ძალით მოიპოვებენ ასეთ უფლებას. მაგრამ მიზანი იგივე რჩება: ყოველი პირის ცხოვრების და ქონების დაცვა და ზნეობრივი განვითარებისათვის საშუალების მიცემა. მოციქული გვიბრძანებს ვილოცოთ „მეფეებისა და ყოველთა უფროსთათვის", რომლებიც იცავენ ჩვენ პიროვნულ და ქონებრივ წესიერებას, «რათა მშვიდობით და მყუდროებით ვსცხონდებოდეთ ყოველითა ღმრთის მსახურებითა და სუფშიდითა (ა ტიმ. 2, 2). და აი ამა მხრითაც სახელმწიფო არის საღმრთო დაწესებულება. კეთილ-დღეობის დასამყარებლად ღმერთმა წარღვნის შემდეგ აღუთქვა ნოეს: ვინც კაცის სისხლს დაღვრის, იმავე ადგილას მისი დაიქცევა, რადგანაც იგი არის შექმნილი მღვთის ხატად (შექმნა IX, 6).

რასაკვირველია, რომ ვინც ჩვენ გვიცავს, იმას უჯერით და მის სასარგებლოდ ვსწირავთ ზოგიერთ ჩვენ სურვილებს. თუ ჭკუა საზოგადოდ იმდენია, რამდენიც თავი, მაშინ, რასაკვირველია, ჭკუაზედ უფრო ბევრი სურვილი იქმნება. ეს სურვილები მთელს მილიონს მოქალაქეთ სულ სხვადა-სხვა ნაირი აქვსთ. ისტორიაში მოხსენებულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც სიამოვნებდენ დიდი ქალაქის დაწვით ან სასიამოვნო სანახავად მიაჩნდათ, როცა მხეცები გლეჯდენ ადამიანთა კარვებში. ისეთი პირნიც იყვნენ, რომელთაც სურდათ თვისი მოყვასნი გაეხადათ თავის სიამოვნების და თვით-ნებობის საგნად, მხოლოდ მონებით კი ესარგებლნათ, როგორც უენო პირუტყვებით. საკმარისია მცირეოდენობა ასეთ გრძნეულ გვამთა, რომ დანარჩენი საზოგადოების უმეტესობის ცხოვრება აუტანელი გახლდეს და ყოველი საზოგადოება დაიშალოს. და აი, სახელმწიფო ლაგმავს თავის წევრებს: რომ თვითეულმა შეიკავოს თავი ასეთი სურვილებისგან, რომდენადაც ეს სურვილები ავნებენ სხვის პიროვნებას, სამაგიეროდ სხვისგანაც ისარგებლოს—რომ სხვაც არ შეეხოს მის ინტერესს. აქ თავისუფლების შეზღუდვა კი არ იქონიება სახეში, არამედ უზრუნველ-ყოფა ყველა მოქალაქეთა თავისუფლებისა, რის გამოც დაფარულ იქნება საზოგადოების თვით არსებობაც.

კანონების ზნეობრივი საფუძველი.

კანონი—თვისი არსებობის დროგვარად შეიცავს თავისუფლებას. კანონი ეხება იმათ, რომელთაც შეუძლიათ როგორც მისი აღსრულება ისე დარღვევაც. „მართალსა სჯულ არ-უძს, არამედ უსჯულოთა და ურჩთა და უმსახურებელთა და ცოდვილთა“ (1. ტიმ. 1, 9). ისეთებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ თავისუფლების მოხმარება, ავათმყოფობისა, ან პატარაობისა გამო, კანონი კი არ არის დადგენილი, არამედ მზრუნველობა. ამაშიაც მთავარი განსხვავება კაცობრიული კანონებისა ბუნებრივიდგან, რომლებიც წარმოდგებიან საჭიროებისაგან. ბუნებრივ კანონს ყოველთვის აქვს განსაზღვრული წრე, რომელშიდაც ის მოქმედებს, კაცობრიული კანონი კი განსაზღვრავს მარტო იმას, რაც შემდეგში უნდა იქმნეს შესრულებული. კანონი მარტო გარეგნად კი არ ეხება ზნეობას, არამედ თვისი შინაარსითაც. თვითონ კანონი ექვემდებარება სიმართლის მზრივ შეფასებას, შეთანხმება კანონისა სიმართლესთან იწოდება სამართლიანობად. წაართვით იმას ზნეობრივი საფუძველი, და დაუტოვეთ მხოლოდ ვალდებულება ყველასათვის და უფლებას ნუ განარჩევთ კერძო ნახტომებისგან, მაშინ კანონი გადიქცევა უკანონობად. უფლებრივი თანასწორობა—გახლავსთ ზნეობრივი, იმას გარეთ იგი კარგავს თავის მნიშვნელობას. მართალი ის კი არ არის, ვინც ყველას აგინებს, არამედ ის, ვინც ყველასაგან შესაფერის მოქმედებას თხოულობს; ის კი არა, ვინც ყველას უარს ეუბნება ვალის გადახდაზედ, არამედ ის, ვინც ყველას თანასწორად აძლევს ვალს. ეგვიპტის ფარაონის უქაზი—ბავშვების გაყლეტის შესახებ იმიტომ არ გახდა იმაზედ სამართლიანი ვინაიდგან ყველა ებრაელებისათვის თანასწორად სავალდებულო იყო და არა ზოგიერთებისთვინ მარტო. სამართლიანია მხოლოდ ერთობა და შესაფერისი შეზღუდვაა; მხოლოდ რა არის რიგიანი და რა არა—ამას გაარჩევს სვინიდისი.

(დასასრული სქენა)

‹მწყემსის› კორესპონდენცია.

(რაჭის მაზრიდან)

მაისის თვის დამლევს, ნაშუადღევის მეოთხე საათზე, საშინელი სეტყვა მოვიდა ჩრდილოეთის მხრით. სეტყვა კაი ბერძნული თხილის კაკლის ოდენა იყო; სეტყვამ იმ ზომამდე გააფუჭა მოსავალი: პური, სიმინდი და ვენახები ღვიარაში, ბოსტანაში და ჩორჯოში, რომ სოფელ ბოსტანას გლეხებმა დახნეს ის ადგილები, სადაც შემოსული პური იყო და საადრო სიმინდი დათესეს. ხალხის კვნესას და ოხვერას საზღვარი არა აქვს. უსწავლელმა ხალხმა ეს უბედურება დააბრალა აბრეშუმის ჭიას, რომელიც ბოსტანაში ორასამ გლეხს ჰყავდა. ხალხში აუხირდა აბრეშუმის ჭიის პატრონებს და უშველი სიტყვებით სწყევლიდა მათ. თუმცა აქაური შტატ-გარეთი მოხუცი მღვდელი ა. შ. უბტკიცებდა ხალხს, რომ ეს უბედურება ჩვენი ცოდვების მიზეზია და არა აბრეშუმის ჭიისა, მაგრამ გაბრაზებულმა ხალხმა არაფერი გაიგონა. აბრეშუმის ჭია ვისაც ჰყავდა, მოსპეს, რადგან ხალხის წყევის შეეშინდათ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ხალხს ვერ უშველა აბრეშუმის ჭიის მოსპობამ. ამ თვის 14, დილით ადრე პირველზე უარესი სეტყვა მოვიდა. რაც პირველ სეტყვას გადარჩა, ის ამ მეორედ მოსულმა სეტყვამ გაანადგურა, და გაანადგურა არა თუ მარტო ბოსტანაში, ღვიარაში და ჩორჯოში, არამედ სადმელში და მის ზემოთ სოფლებში და საწულიკიძეოში—რიონ გალმა. რომელ სახლსაც ფანჯრები დასავლეთის მხრით ჰქონდა, სულ დალეწა. კოხის ანუ სეტყვის გროვა ორასამ დღეს ეყარა მიწაზედ გაუმდნარი; ამ სეტყვის წყალობით სრულიად მოესპოთ საზრდო სოფ. ღვიარას და ბოსტანას მცხოვრებთ. მთავრობამ განკარგულება მოახდინა, დაზარალებული სოფლები ასწერეს და შეიძლება რამე ნუგეში მოუვიდეს. მაგრამ პირუტყვი რითი გამოკვებონ ამ ზამთარში, ეს კი აღარ იციან საწყლებმა.

მ. ა. შ—

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„მოსკოვ. ვედომ.“ ეხლა გერმანელთ ეცნენ. გაზეთი სწუხს და სჩივის იმის გამო, რომ რუსეთის დასავლეთ საზღვარზე გერმანელები სცხოვრობენო. კატკოვისეული გაზეთი აფრთხილებს მთავრობას და ამბობს, რომ საშიშია სახელმწიფოსთვის, რომ მის საზღვარზე არა რუსები სცხოვრებენო. ხოლო რადგანაც თითქმის ყველა განაპირა ადგილებში არა რუსები სჯარობენ, „მოსკოვ. ვედომ.“-მა უნდა მოითხოვოს ყველა არა რუსთა გადასახლება თავიანთ მიწა-წყლიდან. ასე გამოდის ლოდიკით!

„დასავლეთის საზღვარზეო, სწერს გაზეთი, გერმანელი მეტი სცხოვრობს, ვიდრე რუსიო. უმთავრესად ეს ასეა პოლონეთში და ბალტიის მხარეში. პოლონეთის ათ გუბერნიაში ათას რუსზე 1040 გერმანელი მოდის; ხოლო ბალტიის მხარეს ათას რუსზე 2000 გერმანელი მოდის“.

მერე, რა არის გასაკვირველი, რომ ბალტიის მხარეში, გერმანელთა ძველის დროის სამფლობელოში, გერმანელთა რიცხვი მეტია?! არაფერი, მაგრამ იქვიან გაზეთს ყოველგან მტერი ეჩვენება და მოუსვენრად არის.

„ჩვენ არა გაგვიკვირდებაო, ამბობს ამის გამო გაზეთი «ნოვოსტი», რომ «მოსკ. ვედომ.“ მალე მიაქცევენ მთავრობის ყურადღებას იმაზე, რომ ფინლიანდიაში ფინნები სცხოვრობენ, პოლონეთში პოლონელები, კავკასიაში ქართველები, პოლტავაში მალოროსსები და სხვა. სჩანს, მოსკოვის გაზეთს ჰსურს, რომ არა რუსი აღარ ცხოვრობდეს რუსეთის იმპერიაში, არამედ გადასახლებულ იყოს სადმე ცის სივრცეში».

* *
*

როგორც «Times»-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყება, სახელმწიფოთა მიერ დანიშნული თანხა სამხედრო საზღაურისა ნამდვილს ჯამს თურმე არ წარმოადგენს იმისას; რაც ჩინეთმა სახელმწიფოთა სასარგებლოდ უნდა გაიღოს, რადგანაც სახელმწიფოთ აზრად თურმე არა აქვთ აქედგან უკვე წაღებული და მითვისებული ჩინეთის სიმდიდრე გამორიცხონ. ასე, მაგალითად, გერმანელებმა რომ ფიზიკური ობსერვატორიის მოწყობილებანი წაიღეს, ეს არად ჩაუთვალეს და არ უანგარიშეს, აგრეთვე რუსებმა რომ ყიმდიდრე და ბიბლიოთეკა წაიღეს, იმას არ უთვლიან ჩინელებსა; საფრანგეთიც, მაგალითად, 3.720,000 გირვანქა სტერლინგსა თხოულობს კათოლიკეთა დანგრეულ მისსიების საზღაურადა, მაგრამ მისსიონერთაგან უმეტესობამ უკვე მიიღო საზღაური, რადგანაც შეშინებულნი შეძლებულნი ჩინელნი და მოხელენი მაშინვე იხდიდნენ თურმე ზარალის საზღაურს, ოღონდ სიაში ნუ ჩაგვწერთ და მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარებს ჩვენს სოფლებსა და სახლებზედ ნუ მიუთითებთო. ეკვი არ არის, მისსიონერების ასეთი საქციელი ჩინელებს არაფრად მოსწონთ და მათდამი სიძულვილს მხოლოდ აორკეკებს, რაიცა მათი ხსოვნიდგან დიდხანს არ აღმოიფხვრებაო. პროტესტანტთა მისსიების ზოგიერთმა წარმომადგენლებმაც მოისურვეს ასრე მოქცეულიყვნენ და ჩინელებისათვის მეტი დაეცინა, მაგრამ საზოგადოების აზრისა შეეშინდათ და განზრახვა აქვთ, რაც-კი ამ გზით ჩუმად წაუღიათ, ყოველივე გამოაქვეყნონ და საზღაურის საზოგადო თანხიდგან გამორიცხონო. კარგია, ამათ მაინც უსინიდისნდათ!

* *
*

„Ostasiat Lloyd“-ში სათაურით: „დასასრულს ვეღირსეთ თუ არა?“ წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ნათქვამია: „ამ ორმოცის წლის განმავლობაში ევროპასთან დამოკიდებულებიდგან ჩინეთმა ერთობ ბევრი ისარგებლა და ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ თითონ ევროპიელებმა-კი იოტის ტოლათაც კი ვერა ისარგებლეს რა და ვერა ისწავლეს რაო. ჩინელები დაპირებით ბევრსა ჰპირდებოდნენ ევროპიელებსა, მაგრამ ასრულებით კი არაფერს უსრულებდნენ და იმითი ხელმძღვანელობდნენ ამ შემთხვევაში, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი დაფარული აზრი და წადილი აქვს და შეუძლებელია ამის გამო ერთმანერთთან შეთანხმებითა და მხნედ დაიცვან თავიანთი ინტერესებიო. ამიტომაც ძალიან ადვილია ერთი მეორეს მივუსიოთ, გადავემტეროთ, მათი საერთო მოქმედება მთლად დავცაროთ და არარაობათ ვაქციოთო. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩინელები ამ მხრივ მართლები არიან და იგივე დამტკიცდა ამ ბოლოს დროის ამბებით, რამაც ჩინელებს რწმენა და იმედი ერთი ორად გაუმტკიცა. ჩინელები, ეკვი არ არის, ჩუმ-ჩუმად იცინიან, როდესაც ჩვენს შორის განხეთქილებასა ჰხედავენ და მხოლოდ მოხერხებულს დროს უცდიან, რომ ჯავრი როგორმე იყარონო, სწერს გაზეთი».

ახალი ამბები და შენი შენები.

ოკვირველია ჩვენი თავად-აზნაურების საქციელი. მთელს რუსეთს პატიჟობენ სეკდემბრისთვის და ჯერეთ კიდევ გარდაწყვეტილი არა აქვსთ რა. „კვირას, 24 ივნისს, როგორც „ივერია“ გვატყობინებს, განსაკუთრებულ კომისიას, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის ი. ვ. საგინაშვილის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონებია საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულებისა გამო დღესასწაულის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე ქუთაისის თავად-აზნაურთა მიერ არჩეული კომისიის წევრნი, დადგინა, დანიშნოს ხელმეორედ კვირას, პირველ ივლისს, ტფილისის და ქუთაისის საიუბილეო კომისიების შეერთებული სხდომა დღესასწაულის მოწყობის საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

* * * მომავალ გამოფენაზედ გასართობების მოწყობის საქმე ორის თვის განმავლობაში დაახლოვებით გამოანგარიშებულია: საზანდარი—800 მან., დუდუკი—400 მან., მესტვირე—50 მანეთი, მომღერალთა გუნდი და ცეკვა—1,500 მან., რუმინელთა და იტალიელთა ორკესტრი—1000 მან., ხიმებიანი ორკესტრი—3000 მან., რუსთა გუნდი—2,000 მან., შანსონეტები—1000 მან. ნეტავი ეს ბარჯი შემოვა?

* * * მომავალ სამოსწავლო წლიდგან ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გახსნილი იქმნება ზოგიერთის კლასის პარალელური განყოფილებანი.

* * * რამდენი ფული იხარჯება საზედაშე ღვინის სასყიდლად რუსეთის იმპერიაში? „საეკლესიო მოამბეში“ არის დაწვრილებითი ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენი ფული იხარჯება საზედაშე ღვინის სასყიდლად რუსეთის იმპერიაში—ერთი წლის განმავლობაში. საზედაშე ღვინის ხარჯი უდრის მილიონ ნახევარ მანეთს.

როგორც უწმიდესი სინოდის უქმეშევრდომილეს ანგარიშებიდან სჩანს, 1897 წელში მთელს იმპერიაში ყოფილა 723 საკუთუბულო ტაძარი, 2182 ათასი მონასტრის ეკლესია, 1825 ათასი სასახლის, 4608 ეკლესია ზედ-მიწერილი, 4162 ათასი სასაფლაოსი და 256 ერთ-მორწმუნეთა და სრულიად 48,161 ათასი. თითეული ბოთლი ღვინო უანგარიშნიათ 90 კ. და ამ ანგარიშით გამოდის, რომ მილიონ ნახევარი მანეთის ღვინო დახარჯულა ამ წელში.

* * * თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას წარსულ წელში ჰქონია შემოსავალი 417,052 ათასი მანეთი, ხოლო ხარჯი 166,945 მანეთი. აქედამ გამოდის, რომ წმინდა მოგება დარჩენილა 250,107 ათასი მანეთი. რასაკვირველია დიდი სარგებლობა დარჩება, თუ იმისთანა ფოშტის კანტორები იქონია სხვა და-სხვა ადგილებში, როგორიც არის ყვირილის ფოშტის კანტორა. ყვირილაში ფოშტა-ტელეგრაფის კანტორა გახსნეს ისეთ სახლში, სადაც ხალხის დასადგომი ზალა არის სიგრძით ორი არშინი და სამი ჩარექი, სიგანით ორი არშინი!.. ამ პატარა ოთახში იღრჩობა ხალხიც და მოსამსახურენიც და გამკითხავი არავინ არის...

* * * „ივერიაში“ ვკითხულობთ: საქართველოს საეკლესიო მუზეუმს მოუვიდა ამ დღეებში ჩვენის ვეისტორიეს თ. ეორდანიასაგან ასზედ მეტი ხელნაწერი, რომელთა შორის ერთი პოლიმსესტია (ძველი ნაწერი ტყავი გადარეცხილი და ახლად დაწერილი).

* * * უწმ. სინოდის განკარგულებით, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს გაეგზავნა 3000 მანეთის ღირებულობის წიგნი საეკლესიო სკოლებისათვის დასარიგებლად; ამას გარდა, საბჭოს ფულად მიეცა 3000 მან. სასწავლო საგნებისა და ნივთების შესაძენად იმავე სკოლებისათვის.

* * * ამას წინეთ ჩვენ ახალ-ამბებში შეცდომით გვქონდა დაწერილი: „ბ. თოფურიას საავადყოფოში ბოროტ-გამზრახველებმა «კასა» გააღეს და ფულები წაიღეს, რომელი გასაღებიც ბ. კასირმ—ძს მოპარეს ჯიბიდან“. როგორც ეხლა გამორკვა, საქმე სულ სხვანაირად ყოფილა: ამ სამი წლის წინეთ ხსენებული კასა შესაკეთებლად ყოფილა ფ. ვ—ძის ქარხანაში, სადაც ერთ თავ ოსტატს გაუკეთებია გასაღები. და აი, იმ დროს, როცა ბ. თოფურია საზღვარ-გარეთ წაკიდა და კასაშიც ფულები კარგა ბლომად ეგულვებოდა, გაბრიყვებულა ერთი იქვე მოსამსახურეთაგანი და ჩაუდენია ქურდობა, რაც უკვე იცეინ. ჩვენმა მკითხველებმა.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. როგორ უნდა იწერებოდეს საეკლესიო საბუთებში კაცი, განსაკუთრებით გლეხთაგანი, რომელსაც შეუსრულებია სალდათის სამსახურის ვადა და შინა სცხოვრობს? ასეთი პირი გლეხად უნდა იწერებოდეს, თუ სათადარიგო ჯარის კაცად, რადგან მან, თუმცა გაათავა სალდათად მსახურების დრო, მაგრამ ორმოც-დახუთ წლამდე მაინც გაწვეულ იქმნება ომიანობის დროს?

მიგ. სიტყვა სალდათი წოდება არ არის. სახელმწიფო ბეგარაში სამსახურის დროს ყოველი კაცი იწოდება „მდაბალ მოსამსახურედ“ და არა „გლეხად“. როცა რომელიმე პირი ხუთი წლის სამსახურს შეასრულებს, მერე აღარებითი სიაში უნდა იწერებოდეს იგი «სათადარიგო მდაბალ მოსამსახურედ». ყოველ ადგილას ამ წოდებით უნდა იწერებოდეს, აგრეთვე, ასევე უნდა იწერებოდეს საეკლესიო საბუთებშიაც. (იხილე უქაბი უწმ. სინოდისა 28 თებერვლიდან 1889 წელსა № 2 და 9 თებერვლიდან 1895 წლისა).

კით. შეუძლია თუ არა მღვდელს, რომელსაც შვილები არა ჰყავს, არ გადიხადოს სასულიერო სასწავლებლის შესანახავი ფულები, რომელიც ყოველ მღვდელს ხდება?

მიგ. არ შეუძლია.

კით. ვალდებულია თუ არა სტაროსტა, რომ მან სხვა-და-სხვა საჭირო მოწმობების და გამოწერილობათა ბლანკები იყიდოს ეკლესიის ფულით?

მიგ. ვალდებულია.

კით. მედავითნეებმა ვისთან უნდა აღიარონ აღსარება, მრევლის მღვდელთან თუ მოძღვართ-მოძღვართან?

მიგ. მედავითნეები აღსარებას უნდა ამბობდენ მოძღვართ მოძღვართან ან სხვა მრევლის მღვდელთან, რომელთაგან მიცემული მოწმობა უნდა წარედგინოს მოძღვართ-მოძღვარს წლის გამთავეს. (იხ. სტატია სასულ. კონსისტ. 69).

კით. ვთქვათ მედავითნე მიმქმელად არის ბავშის ნათელაზე, სხვა მედავითნე არ არის, შეიძლება იგივე მედავითნე დაინიშნოს მიმქმელადაც და მედავითნეთაც ხელი მოაწეროს მეტრიკაში?

მიგ. შეიძლება, არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის, რომ მან ხელი მოაწეროს მეტრიკაში მედავითნეთ.

კით. შეიძლება თუ არა გამოტირილის შესრულება და პანაშვიდის ვარდახდა იმ დღეებში, როცა იდღესასწაულება ხელმწიფის იმპერატორიცის და მემკვიდრის სახელწოდება, დაბადება, ან გვირგვინოსნობა და ტახტზე ასვლა?

მიგ. არ შეიძლება არც გამოტირილის შესრულება და არც პანაშვიდის გადახდა. ეს აკრძალულია უწმ. სინოდის უქაზით 11 ივნისიდან 1724 წლისა. მღვდელი ვალდებულია გააფრთხილოს თვისი მრევლი, რომ ამ დღესასწაულ დღეებში განსვენებულის გამოტირილის და განსვენების დღე არ დანიშნოს.

კით. რუსეთში სამღვდელოებას მიწები აქვს მიცემული საზოგადოებისაგან, საქართველოს საეკლესიოში კი ამისთანა მიწები მღვდლებს არსად არა აქვსთ. როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ მღვდელს აქაც მისცენ მიწები და ვის უნდა სთხოვონ ეს?

მიგ. კრებულთა ასეთი ადგილები უნდა სთხოვონ სამრევლოებს, რომ მათ მისცენ მიწები ეკლესიის კრებუთა სასარგებლოდ, თუ კი საზოგადოებას აქვს ასეთი თავისუფალი მიწები. თუ საზოგადოებას თავისუფალი მიწები არა აქვს, მღვდლებს შეუძლიათ ეპისკოპოსის საშუალებით გამოითხოვონ სახელმწიფო მიწები, თუ კი ასეთი მიწები იშოვნებიან ეკლესიების კრებულთა მახლობლად *).

---

*) ეს უკანასკნელი კითხვა ცალმხრივ გმნილია „საეკლესიო მოამბიდან“ და ეჭვსანილია ალბად ქართველი მღვდლისაგან. სამწუხაროა, რომ კითხვის მიმცემ მღვდელს არ სცოდნია, რომ რუსეთის და საქართველოის სამღვდელოებათა მდგომარეობა ძალიერ დაშორებულია ერომანერთან დრამისა და სხვა შემოსავალის ადგილის შესახებ. არ სცოდნია ამ მოძღვარს, რომ ჩვენში თითეული მოძღვრისთვის რამოდენიმე დესიატინა მიწის მიცემა შეუძლებელია, რადგან ხშირად მთელი მრევლის მიდამო 150 დესიატინას არ აღემატება. რუსეთში ზოგ ადგილს დესიატინა მიწა დარს მანეთიდან ხუთ მანეთამდე და ჩვენში კი სამოცი მანეთიდან 2000 მანეთამდე...

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ეურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 ;
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 ;
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ოვირაღაში**, აგრეთვე ქუთაისშიაც. **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შოთ ქუთუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; **სენაკში**—ყ რ ა ბ ჩ ე ი ძ ე ა ს თ ა ნ; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტაიშვილთან; **ახალსენაკში**—ბლაგოჩინ მ ა ბ ა რ ი ს ტ ა რ ქ კ ლ ი ნ დ ა რ ე ბ ი ლ თ ა ნ.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** დეისაძე, სახლებში და **ვგირაღაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარუშეჰკუნარებთ ეურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ხშირად როცა რაიმე უბედურება გვეწევა, მხოლოდ მაშინ ვიწყებთ სინანულს, რომ თავის დროზე რაიმე დონე არ ვიხმარეთ, რომ ამისთანა უბედურ შემთხვევისაგან თავი უზრუნველ გვყოფ. რომ შემდეგში მაინც თავიდან ავიცდინოთ ნივთიერი ზარალი რაიმე უბედური შემთხვევის დროს, ყველას ურჩევთ თავის დაზღვევას **დასაზღვევ საზოგადოებაში**—„**როსსიაში**". ყოველ ბირს, რომელიც წლიურად შეიტანს 20-დამ 50 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, ვინ რა მოხელეა, შეუძლიათ თავი დაზღვევინოს 10,000 მანეთში სიკვდილის შემთხვევისაგან და 10,000 მანეთში, თუ ვინიცობაა დაზღვეული ბირი დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1000 მანეთიდან 200,000 მანეთამდე.

1900 წ. დამზღვეველმა საზოგადოებამ „**როსსიამ**" მისცა უბედურ შემთხვევისაგან დაზარალებულ ბირთ უმეტეს 1,200,000 მანეთისა.

უფრო დაწვრილებით ბირობათა შეტყობა შეიძლება საზოგადოების სამმართველოში (ბეტერბურგში **№ 37**, აგენტთან ქ. ქუთაისში ი. ა. მიქელაძესთან ქარ.-სარაის ქუჩა მის. სათაგად-აზ. ბანკის სახლში და აგენტებთან იმპერიის **ყველა ქალაქებში**.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განკოფილება: იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის სასწავლებლის რევისაგან.—ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამმართველოისაგან.—ღერბის გადასახადის ახალი წესდებულება.

სალიტერატურო განყოფილება: წერილი ზმიდათონიდამ.—ყოველი სული აქებდით უფალსა, რ—ს—ლისა.—კანონი და სიმართლე.—„მწყემსის" კორესპონდენცია, მ. ა. შ—ძისა.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები დაბეჭდილ-შენები.

საბირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკვო კითხვების განმარტება.

—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 іюля 1901 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елѣевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Цѣнецкой ул.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მთ. 11—28.

№ 15. 1883—1901 1—15 აგვისტო.

გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და სუფელნი მისი გუნდისათვ ს.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გრაფ ტოლსტოის სურს მოახდინოს ქვეყანაზე ისეთი ცვლილება, რომელიც დღემდის თავში არავის მოსვლია. ის ურჩევს ამ ცვლილების შემოღებას არა მარტო ერთ რომელიმე საზოგადოებას, ან ერთ რომელიმე სახელმწიფოის ხალხს, არამედ მთელ ქვეყნიერებას, მთელ კაცობრიობას. გრაფი ტოლსტოი ებრძვის მთელ კაცობრიობას და ქვეყნიერების ბოროტებას*). იგი ხმა მაღლა გაიძახის: „გავსწორდეთ ყველანი და მაშინ ყველა კარგად ვიცხოვრებთო". ასეთი მიმართულება გრაფ ტოლსტოისა გარწმუნებსთ თქვენ, რომ იგი არც ისეთი ურწმუნოა, როგორც სხვები. გრაფ ტოლსტოი თვითონ მოგვითხრობს, რომ იგი ხშირად ვარდებოდა ხოლმე შეცდომაში და ურწმუნობაში. იგი, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ხშირად ეძლეოდა ამა ქვეყნის ამაო გასართობებს და ხშირად კითხულობდა შოპენგაუერის ფილოსოფიას, მაგრამ ესეებიც ვერ აკმაყოფილებდა მის მდიდარ გონებას და ისევ სარწმუნოებაში ჰპოებდა იგი სულის დროებით კმაყოფილებას. ბოლოს არც ერთმა სარწმუნოებამ აღარ დააკმაყოფილა იგი და მთლად ურწმუნო შეიქნა. გრაფ ტოლსტოის სწამს ღმერთი, მაგრამ ამ ღმერთს ქვეყნიერებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და ქვეყანაზე

*) იხ. „მწყემსი" № 13 1901 წ.

რაც ხდება, ეს ყოველი ღვთის გაუგებლად და შეუტყობლად წარმოებსო.

ერთი სიტყვით, გრაფ ტოლსტოი მეტად ახირებული აზრისაა ქრისტეს ყოველგვარ სწავლა-მოძღვრების შესახებ. იგი ზოგი საგნების შესახებ ისეთ შეცდომაში ვარდება, რომელიც უსწავლელ კაცსაც კი არ მიეტოვება. ავიღოთ, მაგალითებრ, ერთი მისი ახალი მცნება: „არასოდეს ბოროტებას არ უნდა ეწინააღმდეგო“. პირველ ბოროტებად მიაჩნია მას სალდათად კაცის გაწვევა. იმის აზრით, სალდათობა სრულიად უნდა მოისპოს. სალდათს რომ თოფის სროლას ასწავლიან, ბრძანებს გრაფი, ეს დიდი ცოდვა არის, რადგან ეს სწავლა იმისთვის არის საჭირო, რომ ხუთის დროს კაცი მოკლან და კაცის კვლა ხომ წინააღმდეგი არის ღვთის წინაშეო. კარგი, დაუჯეროთ გრაფს, რომ სალდათად წაყვანა ბოროტება არის, მაგრამ თუ ბოროტებას არ უნდა ეწინააღმდეგოს კაცი, რაღად ურჩევს იგი, რომ წინააღუდგეთ, სამხედრო სამსახურში კაცების გაყვანასო? სწორეთ ახირებული აზრია... ვსთქვათ ერთბაშად დათხოვონ ჯარები, ნეტავი თუ გვითავდებეს ტოლსტოი, რომ რომელიმე ურწმუნო ხალხი ან სხვა რომელიმე ქრისტიანე სახელმწიფო არ შემოესევა ჩვენ სახელმწიფოს და არ დაიმორჩილებს? რამდენი ლაპარაკი იყო სახელმწიფოთა შორის, რომ ყოველივე დავა და უკმაყოფილება ერთი-ერთ შორის ხუთით და ლმიანობით კი არა, სამედიატორო სამართლით თავდებოდესო და ამაზედაც არ დათანხმდენ, თორემ ჯარების დათხოვნაზე ვინ დათანხმდება! შესანიშნავმა გააგის კონფერენციამ მრავალი მსჯელობის და სხდომების შემდეგ გადასწყვიტა, რომ ტყვიებს, რომელთაც „დუმ-დუმი“ ჰქვიან, ხუთის დროს ნუ ვიხმართო და ჩვეულებრივი ტყვია რამდენიც უნდა იმდენი ისროლონო!.. ტყვია დუმ-დუმი როცა მოხვდება კაცს, მერე, ხორცში შესული, სკდება და კაცს საოცარი წვალებით ჰკლავს, სადაც უნდა მოხვდეს...

ტოლსტოის აზრით საჭიროა მხოლოდ ხუთი მცნების ასრულება; აი ეს მცნებები: 1) კაცი ყველასთან მშვიდობიანად უნდა იყოს, არავინ არ შეაწუხოს და არავისთვის ცუდი არ უნდა ისურვოს, 2) უნდა წმიდათ ცხოვრობდეს; 3) არ უნდა იფიცოს; 4) არასოდეს არავითარ ბოროტებას არ აღუდგეს წინ და 5) უარი უნდა განაცხადოს თემობის განსხვავებაზე. ამის მეტი კაცისთვის საჭირო არა არის რა გრაფ ტოლსტოის აზრით. ღმერთს სულიერად უნდა ემსახუროს კაცი და არა ნივთიერად. ვისაც სურს ნამდვილი ქრისტიანი და რიგიანი კაცი იყოს, ეს ხუთი მცნება უნდა დაიმარხოსო. ამათ გარდა ეკკლესიაში სიარული, ლოცვა, მარხვა ზიარება და მონანება სრულებით მეტია გრაფ ტოლსტოის შეხედულებით და არავითარ სარგებლობას არ აძლევს კაცს. ვინც ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხოვრობს ქვეყანაზე, იმას არაფრის არ ეშინია; იმას სიკვდილისაც არ ეშინია, რადგან დარწმუნებულია, რომ კიდეც რომ მოკვდეს ხორციელად, სულიერად მაინც არ გაქრება, არამედ იარსებებსო.

თვალი გადავავლოთ ამ ხუთ მცნებას, რომელსაც გვიქადაგებს ტოლსტოი. გამოვიკვლიოთ და შევიტყოთ, რომ ეს ხუთი მცნება, მართალა, გრაფ ტოლსტოისაგან არის შედგენილი და ჩვენი ეკკლესიის სწავლის წინააღმდეგია თუ არა.

პირველ სავალდებულო მცნებად გრაფ ტოლსტოის მოყავს ის, რომ მშვიდობა ვიქონიოთ ყველასთანა. თუ ვისმეს ყური უგდია იმისათვის, რასაც კითხულობენ ეკკლესიაში, თუ ვისმეს გულდასმით წაუკითხავს საღმრთო წერილი, ის დაგვერწმუნება, რომ ჩვენი ეკკლესიაც იმას ასწავებს და თხოვილობს, რომ მშვიდობა ვიქონიოთ ურთერთ შორის ქრისტიანებმა. თუ ამას არ ასრულებენ ზოგიერთები, თუ ეკკლესიის თხოვნა, მოწოდება და ვედრება არ არის შესმენილი, აქ ეკკლესია კი არ არის დამნაშავე, არამედ თვით ქრისტიანები, რომელნიც ზნეობით არ არიან სრულნი; ეს ბრალია მათი ზნეობითი სიმდაბლისა და არა ეკკლესიისა. აბა დაფიქრდეს გრაფი ტოლსტოი, ბევრი არიან მის თაყვანის მცემელთა შორის ისეთები, რომელნიც მტკიცედ ასრულებენ მის მოძღვრებას? და ვინ არის ამ შემთხვევაში ბრალეული თვით გრაფი, თუ მისი მიმდევარნი, რომელნიც თაყვანს სცემენ მას, მაგრამ მის მცნებას კი არ ასრულებენ?.. თუ გრაფ ტოლსტოი კარგად დააკვირდება საქმეს და გამოიკვლევს, უნდა დარწმუნდეს, რომ ქრისტიანეთა ეკკლესია არის მარტო ერთად ერთი მქადაგებელი ყოველ კაცთან

ადგილები, რომელნიც ძველად განვე ქართლ-კახეთის სამეფოს ეკუთვნოდნენ. ტრაქტატით, ირაკლის ეკუთვნოდა ტიტლო „უმაღლესობა“. ეს ტრაქტატი გამოაცხადეს ტფილისში 20 აგვისტოს და 20 ნოემბერს. ჩამოვიდა პეტერბურგიდან ინვესტიტურის ნიშნები, დედოფლის გრამოტა ტრაქტატის სატიფიკაციით.

II.

ქართლ-კახეთი 1783-ის ტრაქტატიდან ირაკლი II-ის სიკვდილამდე.

როგორც მოხსენებული გვაქვს, ზემო მოყვანილი ხელშეკრულობა ეკატერინე დიდისა და ირაკლი მეორისა, დიდის ამბით გამოცხადებული იყო თბილისში 20 აგვისტოს; ნოემბერში კი ჩვენ მეფეს ჩამოუტანეს ეს ხელშეკრულობა ეკატერინეს ხელმოწერილი და დამტკიცებული. შემდეგ, როგორც ეს ჩვეულება იყო, წარჩინებულ პირებს დაურიგეს საჩუქრები და ორდენები. ირაკლიმ ერთგულებაზე შეჰფიცა რუსეთის იმპერატორებს; თავადი გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა ირაკლის წარმომადგენელად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე; ნოემბერშივე ჩამოვიდა თბილისში ორი ბატალიონი რუსის ჯარისა. ორივე მხარე მეტად კმაყოფილი იყო: ირაკლი იმიტომ, რომ ვგონა — მშვიდობიანობის და — ხელშეუშლელის ცხოვრების და ვანვითარების ხანა დაუდგა საქართველოსო, და ეკატერინე მეორე კი იმიტომ, რომ სისხლ-დაუღვრელად, უმსხვერპლოდ ასეთი ძვირფასი განძი შესძინა რუსეთის იმპერიას, რაც იყო და არის საქართველო. „ქართულ საქმეებისთვის ერთხელ კიდევ გმადლობ, სწერდა ეკატერინე პოტიომკინს, — შენ ნამდვილი გულითადი ჩემი მეგობარი ხარ. Voilà bien des choses en peu de temps (ამოდენა საქმეები ასეთ მოკლე ხანში!) ევროპის შურიანობას დამშვიდებით შეეცქერი, რაც უნდათ, ის იუბედონ, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ (დუბროვინი ტომი II გვერ. 11)“.

ამ გვარად ქართლ-კახეთის სამეფო შეიქნა რუსეთის იმპერიის ნაწილი და ამითი გადაწყდა საქართველოს დანარჩენ ნაწილების ბედიც, არა თუ საქართველოს, მთელის კავკასიისა და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებისაც.

მიუხედავად გაუნათლებლობისა და ყოველის მხრით უკან ჩამორჩენისა, ამ უკანასკნელებს კარგად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა რუსის ჯარის საქართველოში დაბინავება: ისინი მიმხვდარნი იყვნენ, რომ, თუ რუსეთი საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, მათი დამოუკიდებლობის დღენიც დათვლილი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ 1783-ის წ. ხელშეკრულობა შეიქმნა ირაკლისა და მისი ერისათვის წყაროდ დაუსრულებელ უბედურებისა და ტანჯვა-წამებისა.

ადერბეიჯანის ხანები და მთელი სპარსეთი შეირყა, როცა გაიგო რუსეთის ჯარის ჩამოსვლა საქართველოში. მთელი მცირე აზია-იმის მოლოდინში იყოო, ამბობს ბუტკოვი, რომ რუსეთი, საქართველოში ფეხ-მომაგრებული, მათ დაუწყებს ცემას და ბოლოს ხელში იგდებს. ყირიმის დაპყრობას იმის მეათედი შთაბეჭდილებაც არ მოუხდენია ოსმალეთის მაჰმადიანებზე, როგორიც იქონია საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, და მართლიც იყვნენ ოსმალეთის პოლიტიკოსები, როცა აგრე აფასებდნენ ამ დიდ-მნიშვნელოვან ისტორიულ აქტს ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთი არ სცხრებოდა, მუდამ აქეზებდა ლეკებსა და თათრებს ქართლ-კახეთზე და — არ ზოგავდა არც ფულს, არც სხვა საშუალებას ამისათვის. მისი მიზანი იყო შეეგონებინა ირაკლისათვის, თუ რამდენად სავნებელი იყო ქართველობისათვის რუსეთის ჯარების თბილისში ჩამოსვლა

„რუსეთის ჯარების საქართველოში მოსვლიდანაო, ამბობს ბუტკოვი (ტ. II, გვ. 177), მისთვის (საქართველოსთვის) ყველაფერი უფრო ცუდი შეიქნა; საქართველოს მორჩილი და ქვეშევრდომი მაჰმადიანები ალარ ემორჩილებოდნენ კელავინდებურად; ადერბეიჯანში დაჰკარგა მან ძველი გავლენა და მოაკლდა ის ძვენი, რომელიც იმათგან მოდიოდა. განჯა თითქმის ჩამოშორდა საქართველოს, ერევანი ხარკს არ იძლეოდა, შუშის ხანმაც შესწყვიტა ამდენი ხნის კავშირი ირაკლისთან. ყველა ამ ზარალის მაგიერ საზღაური არა მიუღია რა ქართლ-კახეთის მეფეს“.

ეს კიდევ არაფერი, ახალციხის ფაშა და ავარიის მბრძანებელი ომარ-ხანი დიდის ჯარით მოდიდიოდა ირაკლის წინააღმდეგ. ირაკლი ხედავდა ყველა ამას. იცოდა, თუ რა საშინელი უბედურება მოელოდა მის ქვეყანას, ამიტომ შიკრიკს შიკრიკზე უგზავნიდა „ლინიაზე“ მდგარ რუსის ჯარის უფროსს და შემწეობას სთხოვდა. მაგრამ შემწეობა არ

სჩანდა, და ის რუსის ჯარი კი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, ერთობ მცირე იყო (სულ 1800-მდე კაცი). ომარ-ხანმა მოიარა ქართლი, ბევრი სოფელი დაანგრია, დიდ-ძალი ტყვე წაიყვანა და ახალციხეში გადავიდა. საქართველო უკიდურესს მდგომარეობაში იყო. თვითონ ირაკლის სიტყვით, საქართველო ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ყოფილა შაჰაბაზის შემდეგო. შაჰაბაზის საშინელი მძვინვარებაც ხომ ნაჩვენებ გარემოებათა შედეგი იყო: კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი სცდილობდა რუსეთთან დაახლოვებას, წინააღმდეგ დიდ მოურავის, გიორგი საკაძის პოლიტიკისა, წერილს წერილზე და დესპანს დესპანზე უგზავნიდა რუსეთის მეფეებს—მიშველეთო, და მერე იმ დროს, როცა რუსეთს შინაურ საქმეებიდან ვერ მოეცალა და ყირიმი დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. ბოლო ამ პოლიტიკისა ყველამ იცის—ნახევარი კახეთი სპარსეთში გადაასახლეს და დღესაც იქ სცხოვრობენ, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულნი.

ირაკლის ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ამ დროს ულ პოტიომკინთან იყო. მეფე ეკითხებოდა თავის წარმომადგენელს, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა რუსეთის სრულის ნდობის მოპოვება—ირაკლიმ ეგონა, რომ პირობის აუსრულებლობა და საშინელ გასაჭირის დროს დახმარების არ აღმოჩენა მისი უნდობლობით მოდიოდა რუსეთის მთავრობას მეტად არ მიგვანია, მოვიყვანოთ გარსევან ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენები საშუალება საქართველოს გაჭირვებულ მდგომარეობის შველისა. პოტიომკინი უნდა გაეხადნა ირაკლის თავის ვასსალად (მორჩილ მთავრად) და სამთავროდ მიეცა მისთვის კავკავიდან მთელი მთიულეთი. ამითი საქართველო დიდ სარგებლობას ნახავს, სწერდა ელჩი ირაკლი მეორეს, დარიალი გახდება ძლიერი და ოსებს საბოლოოდ დაამშვიდებსო; გზა უშიშარი შეიქნება, ანაზური ევროპიელი ქალაქი გახდება, გაივსება ფაბრიკებით, ხელობის ხალხით და ვაჭრობით და თან-და-თან საქართველოშიაც შემოვა წესი ევროპიულის ცხოვრებისაო. ამასთანავე ჭავჭავაძე ატყობინებდა მეფეს ერთს საიდუმლოდ გაგებულს ამბავს: ვითომც პოტიომკინს გაწბრახვა ჰქონდა ირაკლის სიძეც გახდომოდა. ამიტომ ელჩი ურჩევდა მეფე-დედოფალს, წინდაწინვე დარწმუნებულიყვნენ 18 წლის ანნას მორჩილებაში და გაეგრილებინათ მეფისწულის სიყვარული რევაზ ერისთავისადმი (ანნა ბატონიშვილს მართლა უყვარდა ეს ერისთავი და გაჰყვა კიდეეც მას ცოლად).

დახმარება არ იყო, მაგრამ ირაკლი ააინც თავის პატარა ძალ-ღონით სცდილობდა აწეწილ საქმეების გამობრუნებას. 1787-ში შეჰკრიბა 6000 ქართველი ჯარის-კაცი, თან წაიყვანა თბილისში მყოფის რუსის პატარა ჯარი და გასწია ყარაბაღისაკენ თავის ქვეყნის შემაწუხებელთა წინააღმდეგ. ბუტკოვის მოწმობით, საქმეთა მიმდინარეობა ისეთი იყო ჩვენის მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეზე, რომ ირაკლის უთუოდ უნდა გაემარჯვნა და ამით ცოტა ხნით მაინც სული მოეთქვა, მაგრამ აქ ისევ განმეორდა ტოტლებენის ისტორია: სრულებით მოულოდნელად რუსის რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ბურნაშოვს მოუვიდა პოტიომკინის ბრძანება დაუყონებლივ დაბრუნებულიყო თავის ჯარით რუსეთის საზღვრებში. რამდენი არ ემუდარა ირაკლი მეორე და სხვებიც ბურნაშოვს დარჩენილიყო მხოლოდ თორმეტი დღე, რუსის პოლკოვნიკი არ დასთანხმდა და სამს დღეში გაუდგა რუსეთის გზას. ირაკლიც იძულებული შეიქნა, რასაკვირველია, მიეტოვებინა დაწყებული საქმე და დაბრუნებულიყო სახლში. ამ გვარად საქართველოდან გაიყვანა რუსეთის მთავრობამ ის პატარა ჯარიც, რომელიც ტრაქტატის შეკვრისათანავე იყო გამოგზავნილი. წინაღმდეგ ხელ-შეკრულობის განსაკუთრებულ არტიკულების მეორე მუხლისა, საქართველოში აღარ იყო დამხმარე ჯარი რუსეთისა.

რაღა დარჩენოდა ირაკლი მეორეს? მეფის თხოვნით დაამბრუნეს საქართველოში მისი შვილი ანტონი, საქართველოს კათალიკოსი, და ელჩი ჭავჭავაძე. ამის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა; თითქმის ძველი განწყობილება განაახლა ირაკლიმ ხანებთან, ოსმალეთიც ნაკლები იქვიანობით უყურებდა-მას. საქმეთა ამ გვარ მიმდინარეობის დროს გასაკვირველი არ იყო, რომ ირაკლიმ არ გაუგონა პოტიომკინს და კინკლაობა არ დაუწყო ოსმალეთს, როგორც ამას პოტიომკინი ურჩევდა. საქართველომ შეისვენა და ცოტა სული მოითქვა.

მაგრამ ეს შესვენება ხანგრძლივი არ ყოფილა. ირაკლი მაინც რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფად ითვლებოდა და სპარსეთის შაჰი ამას ვერ ითმენდა.

რადგან იგი გურჯისტანს თავისად სთვლიდა—აღა-მა-მად-ხანი ემზადებოდა საქართველოში შემოსევისათვის. რუსეთმა არ იცნო აღა-მაჰმად-ხანი სპარსეთის კანონიერ მბრძანებლად და საქართველოს გაოხრებით სურდა მას რუსეთის შური ძიებაც. ტანჯული და წამებული მეფე ხედავდა ქვეყნის განსაცდელს. სთხოვდა შემწეობას რუსეთს—ან მი შველეთ, ან პროტექტორატზე ხელი აიღეთ, რადგან ამისთვის უფრო აცმევენ ჯვარს ჩემს ერსაო, ძაგრამ ამაოდ. გუდოვიჩი სწერდა ირაკლის. რომ „нынѣ отправлять въ Грузію войска за благо не пріемлется“ და ურჩევდა ენერგიულად შესდგომოდა ქვეყნის დაცვის საქმეს. აღა-მაჰმად-ხანმა დაიმორჩილა ერევნისა და განჯის ხანები, მიიღო სომეხთა კათალიკოსისაგან 100,000 მანეთი სამხედრო ხარჯისათვის და გამოსწია საქართველოსაკენ. შუშიდან ერთხელ კიდევ მისცა მან წინადადება ირაკლის ეცნო სპარსეთის უაღრესი ხელმწიფება საქართველოზე, მაგრამ მეფემ უარი შეუთვალა, რადგან კიდევ იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი მას არ მიატოვებდა უშემწეოდ. სპარსეთის ჯარი შემოვიდა ქართლში. ~~ხალხი სულით დაუცა~~ და გარბოდა მთებში. საშინელი დღე დაუდგა ქართლ-კახეთის სამეფოს. გამწარებული და თავგანწირული მეფე კრწანისის ველზე შეება თაკის პატარა ჯარით 60,000 სპარსელს. ქართველები იძლიენენ. აღა-მაჰმად-ხანმა აიღო ტფილისი და ქვაქვაზე არ დაუტოვებია.

მხოლოდ სპარსელების წასვლის შემდეგ გენერალ გუდოვიჩს მოუკიდა ბრძანება დახმარება აღმოეჩინა ირაკლისათვის, როგორც რუსეთის ვასალისათვის. ეს დახმარება ჩამოვიდა ტფილისში 1795 წლის დეკემბერში. ირაკლი ისევ გამხნევდა და შეუდგა მოღალატე ხანების დასჯას. 1796-ში რუსეთი იძულებული შეიქმნა ომი გამოეცხადებინა სპარსეთისათვის რუსეთის საკუთრო ინტერესების დარღვევისათვის, მაგრამ მანიფესტში, სადაც ახსნილი იყო სპარსეთის გალაშქრების მიზეზი, ნაჩვენები იყო მიზეზთა შორის აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გამოლაშქრებაც. რუსეთის ჯარიც იმარჯვებდა, მაგრამ ამასობაში კვდება ეკატერინე მეორე და რუსეთის ტახტზე ადის პავლე პირველი. 1796 წლის დეკემბერში რუსის ჯარების უფროსს მოეცა ბრძანება შესწყვიტოს ომი სპარსეთთან და ჯარებით უკან დაბრუნდეს.

ქართლ-კახეთის შესახებ პავლე პირველი თავის დედის პოლიტიკას ადგა; იგი უარს არ ამბობს იმ უფლებაზე, რომელიც მიანიჭა მას 1783 წლის ხელშეკრულობამ, და რაც შეეხება ამავე ხელ-შეკრულობაში აღნიშნულ მოვალეობას, აი რას სწერდა იგი გენერალ გუდოვიჩს: «თანახმად მეფე ირაკლისთან დადებულ ხელ-შეკრულობისა, თქვენ წესისამებრ უნდა მოეპყრათ ამ მფლობელს, შეაგონოთ მას, რომ კეთილ განწყობილებაში იცხოვროს რუსეთის მეკობარ მფლობელებთან, რათა საპიროების დროს შეერთებულის ძალით წინ აღუდგნენ ჩვენს მტრებს...

აღა-მაჰმად-ხანთან შერიგება გვიანღა იყო და შეუძლებელიც, ამიტომ ირაკლიმ, გაიგო თუ არა პავლე პირველის ტახტზე ასვლა, გაგზავნა პეტერბურგს ელჩი თ გარსევან ჭავჭავაძე. ეს უკანასკნელი მეფის სახელით სთხოვდა რუსეთის იმპერატორს არ მოეკლო თავისი მფარველობა ქართლ-კახეთისათვის, დაემტკიცებია მეფის ტახტის მემკვიდრედ მეფის ძე გიორგი და ებრძანებია რუსის ჯარებისათვის საქართველოში დარჩენა, სანამ საჭირო იქნებიან. ეს ჯარები უნდა ჩამდგარიყვნენ ~~ქართლ-კახეთის~~ ციხეებში, რომელნიც ამ გვარად რუსების ხელში გადადიოდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში იმპერატორი პავლე არავითარ პასუხს არ აძლევდა ირაკლის წარმომადგენელს, მხოლოდ 1797 წლის ბოლოს შეატყობინეს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ „მისს თხოვნას საქართველოში ჯარების გაგზავნის შესახებ, ეხლა ვერ დააკმაყოფილებენ“. მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა პირდაპირ წამოაყენა კითხვა—ძალაშია, თუ არა 1783 წლის ტრაქტატი? თუ ძალაშია, ელჩი თხოულობს აღიქმულ დახმარებას, თუ არა და, მაშინ რუსეთმა უარი უნდა სთქვას უაღრეს ხელმწიფობაზე. მოგვყავს რამდენიმე ადგილი გარსევან ჭავჭავაძის ნოტიდან (1797, 31 დეკემბერი), რომელიც მან წარუდგინა რუსეთის იმპერატორს: «ვნებავს თუ არა, დიდებულო ხელმწიფევ, ძალაში შეინახო ეს ხელ-შეკრულობა (1783) და ინებებ თუ არა აღთქმული შემწეობა აღმოუჩინო ჩემს მეფეს, რომელიც ამ ხელ-შეკრულობის პირობით უკიდურესს მდგომარეობამდეა მიყვანილი? ან თუ რაიმე მიზეზების გამო ჯერ შეუძლებელია მისი სისრულეში მოყვანა, კეთილ ინებეთ და გამოიყვანეთ გამოურკვეველ

მდგომარეობისაგან და ლოდინისაგან მთელი საქართველო, რათა მეფე ჩემი და მისი ხალხი, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაცვივნულნი, ამ წმინდა ტრაქტატის მიზეზით სრულებით არ დაიღუპნენ». გარსევან ჭავჭავაძე თხოულობდა, რომ თუ შემწეობის აღმოჩენა არ ჰსურდა რუსეთის მთავრობას, ნება მიეცათ ირაკლისათვის «სამეფოსათვის საჭირო განწყობილება" მოეწყო ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობლებთან.

მაგრამ მხოლოდ ირაკლი მეორეს არ დასცალდა კიდეც ეზრუნა თავის სამეფოსათვის. 11 იანვარს 1798 წელს წამებული გვირგვინოსანი გარდაიცვალა ქ. თელავს, სადაც მეფე გადმოსახლდა თბილისის დანგრევის შემდეგ. მას არ რგებია წილად, ასეთის ხანგრძლივის თავ-განწირულის ცხოვრების შემდეგ, მშვ-დობიანად სიკვდილი. („ცნ. ფ.")

ახალი საშუალო სკოლის სასწავლო ჰანის კონსპექტი.

საზოგადო ტიპის სკოლისათვის.

1) საღმრთო სჯული. სამ უნცროსს კლასში სწავლობენ ძველ და ახალ აღთქმას, მოკლე კატეხიზსს დაბალ სასწავლებლების პროგრამის მიხედვით და ღვთის მსახურების ახსნას. უფროს კლასებში რჩება უცვლელად რეალურ სასწავლებლის პროგრამაზ.

2) რუსული ენა, სიტყვიერება და ლოღიკა. რუსულ ენის სწავლების დროს უმცროს კლასებში მიზნად უნდა ჰქონდეს, უმთავრესად, დაასწავლოს ბავშვებს ცხადად და გარკვევით გამოსთქვან აზრი, როგორც ზეპირად, ისე წერითაც. მოსწავლე სწორად და გამოთქმით უნდა ჰკითხულობდეს მოთხრობებს, რომელნიც მის ჰასაკს შეეფერებიან, და შეეძლოს წაკითხულის მოთხრობა ზეპირად და წერითაც. სამშობლო ენის გრამატიკა იმდენად უნდა შეისწავლონ, რომ მოსწავლეს მეოთხე კლასში უშეცდომოთ შეეძლოს წერა.

მე-IV კლასში. სისტემატიური გამეორება სინტაქსისა და ეტიმოლოგიის. კითხვა და თარგმნა ოსტრომირის სახარებისა, გარჩევა სლავიანურ ფორმებისა და მათი შედარება რუსულ ფორმებთან. მეხუთე კლასიდან იწყება სიტყვიერების შესწავლა, ე. ი. კითხვა და გარჩევა რუსულ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისა, მაგრამ ამასთანავე ყოველ კლასში რამდენიმე დრო უნდა მოანდომონ უცხოეთის ლიტერატურას საუკეთესო თხზულებების შესწავლასაც.

მე-V კლასი. კანტემირი, ლომონოსოვი, დერჟავინი, ფონ-ვიზინი, კრილოვი, კარამზინი, ჟუკოვსკი.

ოდისეა, ილიადა, დანტეს რამდენიმე ნაწყვეტი.

მე-VI კლასი. გრიბოედოვი, ზაგოსკინი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენიევი, გონჩაროვი. ზღაპრები, „ბილინები" და სახალხო ლეგენდები.

შილლერი, გეტე, ბაირონი.

მე-VII კლასი. ოსტროვსკი, ლ. ტოლსტოი, ა. ტოლსტოი, დალი, გრიგოროვინი, დოსტოევსკი, კირილე და მეთოდე, ნესტორის მატიანე, „სლოვო ო პოლკუ იგოროვე".

სოფოკლი, სერვანტესი, შექსპირი, მოლიერი.

ლოღიკიდან უნდა გააცნონ მოსწავლეს ახროვნების უმთავრესი წესები და მეთოდები (სინტეზი, ანალიზი, ცნებათა წარმოშობა) დაწვრილებითი ცნობები სილოგიზმების შესახებ არ უნდა ასწავლონ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წერით ვარჯიშობას მეხუთე კლასიდან; ტემებს კავშირი უნდა ჰქონდეს რუსულ ენის და ისტორიის სასწავლო კურსთან, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, ეს ტემები განყენებულის ხასიათისა უნდა იქმნენ. მეშვიდე კლასში თავისით უნდა შეიმუშაონ და დასწერონ მოსწავლეებმა არა ნაკლებ ორი ტემისა.

3) ლათინური ენა, IV და V კლასი. ეტიმოლოგია, მოკლე სინტაქსისი, ვარჯიშობა თარგმნაში და ხრისტომატიის კითხვა.

მე-VI კლასი. გამეორება სინტაქსისისა საჭირო დამატებით და ქრისტომატიის კითხვა, კითხვა ლორნელ ნეპოტის ადვილ ადგილებისა.

მე-VII კლასი. ადვილ პროზაიკებისა და ოვიდის მეტამორფოზის ნაწყვეტების კითხვა. ლათინურ ენის სწავლებას მიზნად უნდა ჰქონდეს მოსწავლის

იმდენად მომზადება, რომ მას შეეძლოს ადვილ ავტორების გარჩევა და უმაღლეს სასწავლებელში სალიტერატურო მასალით სარგებლობა.

4) ახალი ენები. სკოლაში ასწავლიან ორ ახალ ენას, გერმანულსა და ფრანგულს. ერთ-ერთის სწავლება დაიწყება, მოსწავლის მშობლების სურვილით, პირველ კლასში, მეორესი—მესამეში. ახალ ენის სწავლების მიზანია, რომ სკოლაში კურს დამთავრებულს შეეძლოს სრული გაგება ადვილ ისტორიულ და ბელლეტრისტიულ თხზულებებისა. პირველ კლასებში უკეთ ენის სწავლება უნდა დაიწყოს ეგოდ წოდებულ ბუნებრივ მეთოდის მიხედვით.

I კლასი. იმ საგნების სახელების შესწავლა, რომელიც მოსწავლეს გარს არტყია, ზოგიერთ მოქმედებისა და განყენებულ ცნებათა სახელები, მოკლე წინადადებანი ხსენებულ სიტყვების საშუალებით შედგენილი; დაფიდან გადმოწერა წინდაწინ შესწავლილ სიტყვებისა და ტექსტისა.

II. კლასი. უფრო მეტი საგნების სახელების შესწავლა; უფრო ვრცელ წინადადებათა შესწავლა; ადვილ ნაწყვეტების (პროზა) კითხვა; ადვილ წინადადებათა ზეპირად დასწავლა.

III კლასი. უფრო რთულ ნაწყვეტების (პროზა) კითხვა, მოკლე და ადვილ ნაწყვეტების ზეპირად სწავლა.

შენიშვნა. პირველ 3 კლასში მოსწავლეები გზადაგზა უნდა ეცნობოდნენ გრამატიკის უსაჭიროესს მასალას (კანკელარია და ბრუნვა).

IV კლასი. კითხვა და თარგმნა უფრო ვრცელის ტექსტისა. მოკლე ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა.

V კლასი. იგივე, რაც მეოთხეში.

VI კლასი. კითხვა და თარგმნა უპირატესად ისტორიულ შინაარსის წერილებისა და ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა.

VII კლასი. კითხვა და თარგმნა à livre ouvert ისეთ წერილებისა და თხზულებებისა, რომელნიც შეეფერებიან მოსწავლის განვითარებას. საჭირო გრამატიკულ ცნობებს იძენენ მოსწავლენი მე IV, მე-V და მე-VI კლასებში.

ბ) მეორე ახალი ენა იწყება მე-III კლასიდან, სადაც ასწავლიან ისევე, როგორც პირველ ახალ ენას პირველ კლასში; მე-IV კლასში იმასვე, რასაც მეორეში და მესამეში ერთად და შემდეგ კი ორივე ენა თანაბრად მიდის.

6) ისტორია. პირველ ორ კლასში—ეპიზოდიური სწავლება რუსულის ისტორიისა. მესამე კლასში—მოკლე სისტემატიური კურსი რუსულ ისტორიისა. მე-IV-ეში ძველი ისტორია და საშუალო კარლოს დიდამდე; მე-V-ეში საშუალო ისტორია მე-XV-ე საუკუნის ბოლომდე და რუსული ისტორია მონგოლების შემოსევამდე; მე-VI-ში—მე-XVI-ე და მე-XVII-ე საუკუნოები და რუსული ისტორიიდან პეტრე დიდამდე; მე-VII ე კლასში—მე-XVIII-ე და მე-XIX საუკუნოები საზოგადო და რუსეთის ისტორიისა.

ისტორიის სწავლების დროს ყურადღება უნდა მიაქციონ არსებით მხარეს და არა წერილმანებსა და ქრონოლოგიურ ცნობებს.

მათემატიკის საგნების კურსი თითქმის იგივეა, რაც ეხლა არსებობს, მხოლოდ განაწილებულია შვიდად, რვის მაგიერ.

7) გეოგრაფია. I-ლ კლასში გეოგრაფიულ ტერმინოლოგიისა და ცნობების გაცნობა, რუქის კითხვა, გლობუსი. მეორეში—მოკლე მიმოხილვა ევროპის გარეშე ქვეყნებისა (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანია): ჰიდრო და ოროგრაფია, ჰავა და ხალხი. მესამე კლასში (3 საათი)—ევროპის ის ნაწილები, რომელიც რუსეთს საზღვრავენ ან რომელთანაც რუსეთს უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს (საფრანგეთი, ინგლისი, საკანდინავია, ავსტრ-უნგრეთი, სლავიანთა ქვეყნები, ბალკანეთი, ოსმალეთი და გერმანია (1 საათი) და ევროპისა და აზიის რუსეთის მიმოხილვა (2 საათი); მეოთხე კლასში—ევროპის გეოგრაფია; მეხუთე და მეექვსე კლასებში რუსეთის გეოგრაფია და სამშობლოს შესწავლა.

8) სამართლის შესწავლა. VI კლასი. სამართლის ენციკლოპედია; მოკლე ახსნა თუ რა არის სამართალი; სამართალი და ზნეობა; ჩვეულება და კანონი. საკანონმდებლო, სამოსამართლო და ადმინისტრატიული სამართალი; სახელმწიფო წყობილებათა ფორმები: ევროპის უმთავრესს სახელმწიფოების წყობილებათა ფორმები. მე-VII-ე კლასი. რუსეთის სახელმწიფო სამართალი; რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებანი; ძირითადი კანონები; მართვის ორგანოები; მოკლე ახსნა, თუ რა არის სამოქალაქო სამართალი და პროცესსი, სისხლის სამართალი და პროცესსი.

9) ბუნების მეტყველება იწყება პირველ კლასიდან. პირველ სამ კლასში ბავშვს უნდა ასწავლონ შეგნებულად უყურის ყველაფერს, რასაც ხედავს, რაც ესმის და სხვა. ამ კლასებში ბუნების მეტყველების სწავლებას არ უნდა ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი. მე-IV-ე კლასი. მოკლე კურსი მინერალოგიისა და ქიმიისა (ამ საგნის სწავლება შეიძლება მხოლოდ პრაქტიკულად, გამოცდილებით); მე-V-ე კლასი—ძალიან მოკლე, მაგრამ სისტემატიური კურსი ზოოლოგიისა და ბოტანიკისა. მე-VI-ე კლასი—მოკლე კურსი საზოგადო ბიოლოგიისა. მე-VII-ე კლასი—ანატომია და ჰიგიენა.

სავალდებულო სწავლის შესახებ უცხოეთში.

საავალდებულო სწავლის შემოღებას თანდათან მომეტებულ ყურადღებას აქცევს რუსეთის საზოგადოება. საავალდებულო სწავლის შემოღება აუცილებელი ხდება, როცა ადგილობითი მკვიდრნი რაიმე მიზეზისა გამო არ აგზავნიან ყმაწვილებს სახელმწიფო სკოლებში. პრუსიაში ძლიერ სასტიკად სდევნიან იმ მშობლებს, რომელნიც თავიანთ შვილებს არ აგზავნიან სასწავლებლებში.

პრუსიის სახალხო განათლების მინისტრს შეუდგენია ახალი პროექტი საავალდებულო სწავლის შესახებ და გაუგზავნია ძაზრების მთავრობათათვის განსახილველად. აი უმთავრესი მუხლები ამ ახალი პროექტისა: ყმაწვილმა უსათუოდ უნდა იწყოს სკოლაში სიარული ექვსის წლის რომ შესრულდება; ამ ვადის გაგრძელება შეიძლება ადგილობით პირობათა მიხედვით მხოლოდ მთავრობის მხრით, ხოლო როცა ყმაწვილი ფიზიკური ანუ გონების მხრით რაიმე მიზეზისა გამო დანიშნულ ვადაზე ვერ იწყებს სწავლას, მაშინ ვადის გაგრძელების მოწმობა ეძლევა მას ოლქის ინსპექტორისაგან. სწავლება სრულდება მე 14 წელიწადზე; მთავრობამ უნდა დაადგინოს, ბავშვებმა წლის დამლევს უნდა დაიბარონ ეგზამენი სწავლის დასრულებისა, თუ ერთ წელიწადში ორ-ჯერ. პირველ შემოხვევაში ბავშვები, რომელთაც შეესრულდათ თორმეტი წელიწადი, მშობლების თხოვნით ამთავრებენ სწავლას სასწავლო წლის პირველი ნახევრის შესრულებისას. ბრმა და ყრუ ბავშვებიც ვალდებული არიან იარონ სასწავლებელში, თუ მათ მახლოპლად არიან შესაფერი სასწავლებლები. ყრუ და მუნჯ ბავშვებისათვის სწავლის ვადა სრულდება მეთექვსმეტე წელიწადზე. საავალდებულო სწავლისაგან თავისუფალნი არიან მხოლოდ ის ბავშვები, რომელნიც სწავლობენ რომელიმე სახელმწიფო სასწავლებელში ანუ სახლში იმ პროგრამით, რომელიც არსებობს სახალხო სკოლებში. თუ ბავშვები არა პატივსადები მიზეზებისა გამო საავალდებულო ვადის შესრულების შემდეგ არ იწყებენ სიარულს სკოლებში, მაშინ ისინი ძალით მოყავთ სკოლებში. მშობლები ანუ აღმზრდელები, რომელნიც ყოველ დღე არ გაგზავნიან ბავშვებს სკოლებში, თითოეულ დღეში იხდიან ჯარიმად ორ მარკას; თუ დამნაშავეთ ამ ფულის გადახდა არ შეუძლიათ, მაშინ მათ აპატიმრებენ სამი საათიდამ ორ დღემდე (დაპატიმრების სამაგიეროდ დამნაშავეს შეუძლია რაიმე მუშაობა შეასრულოს საზოგადოებაში). სამუშაოს გამგეთ, რომელნიც იჭერენ სამუშაოზე იმ ბავშვებს, რომელთაც შესრულებული აქვსთ სასწავლებელში სიარულის ვადა, ხდებათ ჯარიმად ერთი ანუ ერთ ნახევარი მარკა. მშობლები და აღმზრდელები ვალდებულნი არიან დაუმზადონ ბავშვებს სასწავლებელში ქალების ხელ-საქნარ საათვის საჭირო მასალა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სემინარიელების უნივერსიტეტში მიღების შესახებ ლაპარაკობს „ნოვოე ვრემია“-ც. გაზეთის სიტყვით, სემინარიელებს დღეს იღებენ ვარშავის, იურიევის და ტომსკის უნივერსიტეტებში არა იმიტომ, რომ სემინარიელების ინტერესი და სარგებლობა დაიკვან, არამედ სახელმწიფო ინტერეს-სარგებლობისათვის. სახელდობრ, სახეში აქვთ განაპირა ქვეყნების გარუსების საქმე.

«რუსეთის სემინარიელები, ამბობს სუვორინის გაზეთი, ნამდვილი რუსები არიან და ამიტომ უეჭველად რუსეთის ელფერს დასდებენ ყველაფერს, რუსეთის კულტურას გაავრცელებენ ყველგან; სადაც-კი მივლენო- მაშასადამე ვარშავასა და იურიევში მათი დაბინავება სასურველია სახელმწიფო ინტერესების მხრით“.

მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, მარტო სახელმწიფოს ინტერესი არ უნდა გვქონდეს სახეშია; საჭიროა თვით სემინარიელების სარგებლობასაც მივაქციოთ ყურადღება.

„სემინარიელების შრომის მოყვარეობა და შეცადინეობა ყველამ კარგად იცის, რომ ისინი საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი უმაღლესის სწავლის მიღებისათვის, ეს ცხადია; მოვიგონოთ ის დრო, როდესაც სემინარიელებს დაუბრკოლებლივ იღებდნენ ყველა უნივერსიტეტებში: მაშინ ისინი საუკეთესო სტუდენტებათ ითვლებოდნენ, ბევრი ჩვენი ბრწყინვალე ფრაფესორები სემინარიების მოწაფენი იყვნენ. სიტყვის გაგრძელება არ გვსურს და ამიტომ მხოლოდ ორს ვასახელებთ; პროფესორს ვიშნეგრადსკის, შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ცნობილს ისტორიკოსს და კლიუჩევსკის. ცოდ-ძალი სემინარიელი იღვწის ახლა სახელმწიფო და

საზოგადო სამახსოვრში; სემინარიელებიდან ბევრია მშვენიერი ექიმი. ამრიგად, ცხადია, უნივერსიტეტი მოგებაში იქნება, თუ სასულიერო წოდების პირთა შვილებსაც გაუღებს კარებს“.

* * *

იტალიანური გაზეთები დაწვრილებით აღგვიწერენ ერთ ბავშვს, რომელიც ამას წინად დაბადებულა და რომელიც საოცრად ჰგავს თურმე ეშმაკს, როგორსაც სურათებზე ხატავენ. ეს „ეშმაკი“ სიცილიაში დაბადებულა, სოფელ არაგონში. იმისი დედა ახალგაზდა ლამაზი ქალია თურმე. ახლად დაბადებულ ბავშვს შუბლზედ ორი დიდი მოძრავი რქა ჰქონდა, თითო უფრო პატარა რქა ყურებს უკანაცა ჰქონია. თვალები მეტად დიდი აქვს თურმე, პირზედაც კი უფრო დიდი. ამასთან მრგვალი და გადმოვარდნილი. რამდენად თავი დიდი ჰქონია ამ ბავშვს, იმდენად ტანი პატარა. ხელები და ფეხები მსხვილ მავთულა მიუგავს თურმე. ყველა ამას გარდა უშველებელი, გრძელი კუდი აბია, რომელსაც თავისუფლად იქნევს თურმე. ამ უცნაურ ბავშვის დედას უთქვამს, თურმე, რომ ფეხმძიმობის დროს ყოველ დღე ეკლესიაში დავდიოდი და იქ დიდხანს ვუყურებდი ერთს სურათს, რომელზედაც ეშმაკი იყო დახატულიო. ახლად დაბადებული ბავშვი ძალიან ჰგავს თურმე ამ ეშმაკს.

ახალი აბზები და შენიშვნები.

„მწყემსის“ მკითხველებს შეტყობილი აქვსთ, რომ 1893 წლიდგან დაწყებულია ს. მათხოჯში დედათა სავანე. 1895 წლიდგან ამ სავანის ბლაღოჩინად სასულიერო მთავრობამ დანიშნა დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელსაც მიანდო მზრუნველობაც ეკლესიის აშენებაზე. ეკლესია ქვიტკირისა უკვე დამთავრდა. მათი მეუფების, ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის წარდგენით მათხოჯის დედათა სავანე დაამტკიცა უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა იმდენი დანების რიცხვით, რამდენისაც სავანე შეიძლებს შენახვას. ამნაირათ, გასაოცარი გულმოდგინეობა და სურვილი დანებთა სავანის დაარსებაზე უკვე დაჯილდოვდა. დღეს საზრუნავია ნიადაგი წყაროს გამონახვა სავანის არსებობისათვის და სრული იმედი არის მათი მეუფება მისგან დაგვირგვინებულს მათხოჯის დედათა სავანეს აღმოუჩენს საშუალებას არსებობისათვის, რაზედაც დანები დიდათ იმედოვნებენ.

* * იმერეთის ეპარქიის საქალაქო გაბრიელის სკოლაში მისაღებ მოწაფეთაგან, როგორც სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, მთხოვნელებმა უთუოთ უნდა წარმოადგინონ მეტრიკული მოწმობა მიღებული სინოდის კანტორიდანო, მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, შეუძლებელია. ეს უნდა ყოფილიყო გამოცხადებული 2—3 წლის წინეთ, რადგან ყველამ კარგად იცის, თუ რამდენი დრო უნდება კანტორიდან მოწმობის მიღებას ბ ra საძნელო საქმეა ეს...

* * „ცნობის ფურცლ.“ ვკითხულობთ; «თანახმად მინისტრთა დადგენილებისა, უმაღლესის ბრძანებით გაფქმებულ იქმნა ტფილისის ქალაქის საბჭოს 26 მარტის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საბჭოს ხმოსანთა არჩევნები ერთ საარჩევნო კრებაზე მოხდესო; ტფილისის საქალაქო თვითმართველობას დაევალა მოახდინოს ეს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო კრებაზე. რისთვისაც ქალაქი დაყოფილ იქმნას უბნებად; უბნების რაოდენობის აღნიშვნა მიენდო კავკასიის მთავარ მართებელს».

* * „ნოვ. ობ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: «გამოცხადდა, რომ ფინანსთა მინისტრს ნება მიეცა დაუყოვნებლივ დანიშნოს თავის შეხედულებით ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე განსაკუთრებულის მინდობილობით“.

* * სოფ. არდონიდან (კავკავის მაზრა) „ცნ. ფურც.“ სწერენ: „10 ივლისს სოფელ არდონში, კომისია დეკანოზის კოსმა ტოკაევის თავმჯდომარეობით შეუდგა ოსური სახარების შესწორებას. კომისია შესდგებოდა: ორი დეკანოზისა და ხუთი მღვდლისაგან—ოსთაგან. აი მათი გვარებიც, დეკანოზნი: კოსმა ტოკაევი, ნიკოლოზ ჯიოევი; მღვდელნი: ალექსი გატუევი, ალექსანდრე ცალიკოვი, ალექსანდრე ცაგოლოვი, მოსე ქოციევი და ხარლამპი ცომაევი. განიხილა რა კომისიამ სახარება, აღმოჩნდა, რომ უწინდელი თარგმანი სახარებისა, ე. ი. 1861 წლის, მშვენიერი ყოფილა, ამიტომ კომისიამ შეასწორა მხოლოდ სიტყვები, ისიც ზოგ-ზოგი და ცხრამეტ ივლისს სულ დასრულა სახარების შესწორება».

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, რომ პოლიციის ყოველი მოხელე და პოლიციელი ვალდებულია ყოველთვის და ყოველგან, როგორც თავის შეხედულობით, ისე კერძო პირების მოწვევით, აასრულოს თავისი ვალდებულება და ნება არა აქვს აიცდინოს თავიდან მოვალეობის აღსრულება იმ საბუთით, რომ უბანი მისი არ არის ან დაღალულია. მაშ, ამის შემდეგ, იმედია, კაცს რომ გლეჯდენ, აღარ გეტყვიან: ჩემი „უბანი“ არ არისო...

*** პეტერბურგში ჩამოვიდა ბარონ-დე-ბაი, რომელიც საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროს გამოუგზავნია სამეცნიერო მიზნით; დე-ბაი პეტერბურგიდან მოსკოვის გუბერნიაში მიდის, შემდეგ-კი კავკასიაში ჩამოვა. მართალია, ველიჩკო აღარ დახვდება აქ, მაგრამ სხვებიც ბევრ სიტყვებს და შესხმას დაამზადებენ...

*** სარატოვის გუბერნიაში სრულებით არაფერი არ მოსულა პური, სამას სამოცდა-ერთი ათასი ქცევის ნათეს მიწაზე. შვრია ას-ოცდა-ხუთი-ათას ნათეს ქცევაზე და აგრეთვე ფეტვი ას-ოცი-ათას ნათეს ქცევაზე.

*** „ცნობის ფურცლის“ რედაქციას უმაღლესი ბეჭედითი სამმართველოისათვის უთხოვნია, რომ ნება დართოს ზოგიერთ შესანიშნავი მოსამსახურე პირთა სურათების დაბეჭდვისა. ეხლა როგორც გვაუწყებს რედაქცია, მართებლობას მოწყალება უყვია და ნება დაურთავს დაბეჭდოს ხოლმე მოსამსახურე პირთა სურათები „ცნობის ფურცელში“...

*** „კავკაზში“ ვკითხულობთ: 30 აგვისტოს მღვდლის ცარიკოვსკის ორმოცი წელიწადი შეუსრულდება მღვდლობის სამსახურშიო. იგი მთავარ ეპისკოპოსისაგან არის 1861 წ. დანიშნულიო, მაგრამ არ ამბობს რომელ ხარისხზე იყო ნაკურთხი; მსახურებს 1864 წლიდანო და 1886 წლიდან 1891 წლამდე მღვდლობის სამსახურს არ ასრულებდაო. მაშ საიდან არის ორმოცი წელიწადი?..

*** პარიზში ერთ პრეფექტს აღუკრძალავს ხალხისათვის ქუჩაში გაფურთხება. ეს განკარგულება იმ აზრით არის მოხდენილი, რომ ჭლეკი არავის გადაედვას სნეულისა და ჰაერი წმიდა და უვნებელი იყოს ყველასათვის. ნეტავ ჩვენ ქალაქებში ღამ-ღამობით სხვა უწმინდურებას არა ღვრიდენ აივნებიდან ქუჩაში, თორემ გაფურთხებას ვინ დაეძებს!..

*** ნაპოლეონ მესამის-მეუღლე ევგენია უკანასკნელ დღეშიაო, იწერებიან. ნერვების აშლილობით ყოფილა ავად და იწერებიან ხშირად თავბრუ ესხმის და გრძნობა დაკარგულიაო. ამ დროს ბოდავს, ხან ქმარს ემუსაიფება და ხან შვილსაო. თავბრუ დასხმისა და ბოდვის დროს, თავისი თავი ისევ იმპერატრიცა ჰგონია და კიდეც ბრძანებლობსო. როცა გამოეღვიძება და გონში მოვა, ტირის თურმე, სიკვდილს ნატრობს და ასე წვალობსო. ვინ იფიქრებდა, თუ ერთ დროს ასეთ დიდებულს იმპერატრიცას, შესანიშნავ ლამაზს და ყველასაგან სადიდებელ პირს, ამისთანა უბედური დრო მოელოდა, როდესაც მას აღარავინ ყურადღებას აღარ აქცევს!.. დიახ, ეს ფაქტი ზოგიერთებისთვის ჭკუის-სასწავლებელია!..

*** როგორც „ცნ. ფურცელ“-ს ატყობინებენ, საქართველოს სასულიერო მთავრობას წარუდგენია უწმინდეს სინოდში მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს საეკლესიოსაში სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობა მოთავსებულ იქმნეს ერთის კაცის ხელში; ამისათვის დაყენებულ იქმნება სამრევლო სკოლების ინსპექტორი, რომლის განკარგულებათ აღასრულებენ ეხლანდელ სამრევლო სკოლებში ზედამხედველების ნაცვლად ინსპექტორის თანაშემწენი; ინსპექტორს ამ მოსაზრებით იმდენი თანაშემწე ეყოლება, რამდენიც ეპარქიაა საქართველოში.

*** ხმები ისმის, რომ თ. სიმონ წერეთელი ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არ დაუმტკიცებიათ. მის მაგიერ დამტკიცებულია ხსენებულს თანამდებობაზე ექიმი თ. სიმონ ლორთქიფანიძე.

*** ჩვენ მივიღეთ ბ. ზაქარია ჭიჭინაძისაგან გამოცემული ფოტოგრაფიული დიდი სურათი ირაკლი მეფის პატარაობის დროს. სურათი მშვენიერად არის გაკეთებული და ფასიც ისეთია, რომ ეს სურათი ყველა მსურველს შეუძლია მოიპოვოს.

*** ჩვენ მივიღეთ აგრეთვე ბ. ზაქ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული წიგნი სახელად ‹ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში (XVII—XVIII საუკ.)›. ეს წიგნი ძლიერ საინტერესო საკითხავია და ღირს 25 კაპ.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. შეუძლია თუ არა მდგომელს იქონიოს სახლში თოფი ან რევოლვერი და გაჭირვების დროს თავი დაიფაროს ან იარაღებით? დაისჯება თუ არა მდგომელი, ან რა სასჯელი მოელის მას, ვინიცობაა მან თოფით ან რევოლვერით მოკლა ავაზაკი, რომელიც მას თავზე დაეცა?

მიგ. არც სამოქალაქო და არც საეკლესიო კანონებში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მდგომელმა არ უნდა იქონიოს სახლში თოფი ან რევოლვერი და გაჭირვების დროს არ დაიფაროს თავისი ან თავის ნათესავთა სიცოცხლე. ამიტომ ის მდგომელი, რომელმაც გაჭირვების დროს თოფით ან რევოლვერით მოკლა ბოროტ-გამზრახველი, არ ისჯება არც საამქალაქო და არც საეკლესიო კანონებიო. მაგრამ, ვინაიდან წმ. გრიგორი ნოსელის დადგენილების მესუთე მუხლის ძალით უნებლეთ მკვლელიც კი, რომელიც უწმინდურდება ამ უწმიდური საქმის ჩადენით", უნდა მიეცეს მეორეშეთა სასჯელს და „ითვლება ეფიერსად მდგომელობის მადლისა",—ამ კითხვაში აღნიშნულს მდგომელს უნდა ალეკრძალოს მდგომელობა. რამდენადაც ვიცით, უწმიდესი სინოდი ძალიერ სასტიკად იქცევა მსგავს შემთხვევაში და არაფისთვის და არა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებისა გამო საღვთის არავის აძლევს. სწორედ ამითი აიხსნება ცნობილი ცირკულიარის გამოცემა 15 დეკემბრიდამ 1886 წ. № 22, რომლითაც ნაბრძანებია გამორიცხვა სასულიერო სასწავლებლის იმ მოწაფეთა, რომელთაც ალმოუჩნდებათ შინ ან გზაში თოფი ან რევოლვერი, ვინაიდგან სახეში აქვთ, რომ ბოლოს ამ სასწავლებლების მოსწავლენი მდგომელი იქნებიან.

კით. მაცვალებულთა წესის აგება უსათუოდ ტაძარში უნდა მოხდეს? ან როგორ უნდა მოიქცეს მდგომელი იმ შემთხვევაში, როცა ექიმი ნებას არ აძლევს მიცვალებულის ტაძარში შესვენებაზე და ითხოვს, რომ სამლოცველოში აეგოს წესი? გადდებულია თუ არა მდგომელი დაემორჩილოს ამ მოთხოვნილებას?

მიგ. ექიმის მოთხოვნილება კანონიერია, თუ ასეთი მოთხოვნილება გამოწვეულია ან მითი, რომ გარდაცვალებული კადამდები სენით იყო ავად, ან მით, რომ გარდაცვალებული მეტად გახრწნილია. ამისთანა შემთხვევებში, განსაკუთრებით როცა მიცვალებული ეკვალით არის გადაცვლილი, მდგომელებს მიწერილიც აქვთ, რომ წესი აუგონ მიცვალებულთ ან მათსავე სახლებში, ან სასაფლაოზე და ტაძარში არ შესვენონ (უქაზები 18 ოქტომბრიდამ 1755 წ. და 14 ნოემბრიდამ 1830 წ.).

კით. არის თუ არა წმადანების სახლებში მადიცა და თამარი?

მიგ. არქიმანდრიტის სერგის მიერ ადმოსავლეთის სრული იერუსალიმის წმინდანებში ორივე მოხსენებულია, როგორც წმადანები, თამარის შესახებ ნათქვამია, რომ მისი ხსენების დღესასწაული დანიშნულია წმ. მენეფსაცხებელ დედათა დღესო.

კით. შეუძლია თუ არა დაქვრივებულს მდგომელს შევიდეს უნივერსიტეტში და ვის უნდა გამოთხოვოს ამის ნება-რთვა—უწმიდეს სინოდს, თუ საერო განათლების მინისტრს?

მიგ. ასეთ შემთხვევაში არც უწმ. სინოდის და არც საერო განათლების მინისტრის ნება-რთვა საჭირო არ არის; საჭიროა ამ შემთხვევაში მდგომელმა გამოითხოვოს ლოცვა-კურთხევა თავისი მდგომელმთავრისაგან და შემდეგ ქალაქდი უნდა შეიტანოს უნივერსიტეტში, რომ ნება მისცენ მას იქ შესვლისა.

კით. შეიძლება თუ არა ჯვრის წერა 14 მაისის წინა დღეთ?

მიგ. საეკლესიო დადგენილებათა შორის პირდაპირ დაშლილია ჯვრის წერა ხელმწიფის ტახტზე ასვლის და გვირგვინობნების წინა დღეთ (უმაღლესი ბრძანება 25 ივნვრიდამ 1839 წ.).

კით. საბალდრიანო ოლქის საეკლესიო კრებულთაგან ალრჩეული საზოგადო მოძღვარი, თუ მას არ შეხვედრია რაიმე დაბრკოლება, რჩება ამ თანამდებობაზე სანამ შეუძლია, თუ ეოველ მესამე წელს უნდა იქნეს ხელახლად არჩეული?

მიგ. იგი რჩება ხსენებულს თანამდებობაზე, სანამ მას სამსახური შეუძლია.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ოჩ კვირეულ გამოცემათა ჟურნალს

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ „რუსული „ 3 მ.	— „ „რუსული „ 2 „
— „ „ორივე გამოცემა 5 „	— „ „ორივე გამოცემა 3 „

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირიდაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შო ქუჩაზე-ლთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაკარიოვთან; სიჩხერაში—ყ ა ა ნ ა ჩ ა ვ ა ძ ი ს თ ა ნ ; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაგოჩინ მ ი ა ა ი ტ ა ნ ; კალინდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიან კაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორიეგ ა ო ე ბ ; ს ა ს (მ ა ნ ე თ ა ბ .

რედაქტორია აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ყვირიდაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე ჩცხოერებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული ДИДИ СУРАТИ ყოველად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ხშირად როცა რაიმე უბედურება გვეწევა, მხოლოდ-მაშინ ვიწყებთ სანანულს; რომ თავის დროზე რაიმე ღონე არ ვიხმარეთ, რომ ამისთანა უბედურ შემთხვევისაგან თავი უზრუნველ გვეყო. რომ შემდეგში მაინც თავადმ აკაცდინოთ ნივთიერი ზარალი რაიმე უბედური შემთხვევის დროს, ყველას ურჩევთ თავის დაზღვევას დასაზღვევ საზოგადოება—„როსსიაში". ეოველ პირს, რომელიც წლიურად შეიტანს 20-დან 50 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, ვინ რა მოხელეა, შეუძლიათ თავი დაიზღვევოს 10,000 მანეთში სიკვდილის შემთხვევისაგან და 10,000 მანეთში, თუ ვინიცობაა დაზღვეული პირი დაშავდ.

დაზღვევა შეიძლება 1000 მანეთიდან 200,000 მანეთამდე.

1900 წ. დამზღვევველმა საზოგადოებამ „როსსიამ" მასცა უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ პირთა უმეტეს 1,200,000 მანეთისა.

უფრო დაწვრილებით პირობათა შეტყობა შეიძლება საზოგადოების სამმართველოში (პეტერბურგში № 37, აგენტთან ქ. ქუთაისში ი. ა. ჩიქვანაძესთან ქარ.-სარაის ქუჩა მახ. სათავად-აზ. ბანკის სახლში და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში. 4—4

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ლიტერატურა განყოფილება: გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და სულელნი მისი გულისათვის. დეკ. დ. ღამბაშიძისა—მეექვსე საბალაღჩინო ოლკი ბორჩალოს მაზრაში. მღ. ს. ბიდაშვილისა.—საქართველოს რუსეთთან შეერთება.—ახალ საშუალო სკოლის სასწავლო პლანის კონსპექტი.—საველდებულო სწავლის შესახებ უცხოეთში.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საჩირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკეო კითხვების განმარტება.
—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 августа *1901 г.* ✦ *За Цензора Илья Перадзе*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейгадзе на Цѣменской ул.

№ 19 1883 —1901 1—15 ოქტომბერი

მწყემსი

ოფიციალური განკოფილება

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

25 ივლისიდამ 1901 წლისა № 4, 42 ეპარქიის 356 უფრო ღარიბ კრებულთ შორის 121,215 მანეთის სამუდამო ჯამაგირებად განაწილების და საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებაში 18,000 მანეთის გადაცემის შესახებ, რათა ეს ფულები განაწილებულ იქნეს ქართლის, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების კრებულთ შორის.

უქაზისაებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდალნი ობერ-პროკურორისა, 23 იანისიდამ ამა წლისა № 15,411, ა) 42 ეპარქიების 356 უფრო ღარიბ კრებულთ შორის 121,215 მანეთის 58 კ. სამუდამო ჯამაგირებად განაწილების შესახებ, რომელიც დარჩა იმ თანხისაგან, რომელიც დანიშნული იყო ხაზინიდამ თანახმად მე-6 § უწმიდესი სინოდის საფინანსო ხარჯთა აღრიცხვით 1901 წ. შესანახად ქალაქის და ეპარქიის სამღვდელოებისა და ბ) იმავე თანხისაგან 18,000 მანეთის საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებაში გადაცემის შესახებ, რათა ამ ფულებიდამ კანტორის მახლობელი მხედველობის ქვეშე, დაენიშნოს ღარიბ კრებულთ სამუდამო ჯამაგირი ქართლის, იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებში. ბრძანეს: თანახმად ამა მოხსენებისა უწმიდესი სინოდი ადგენს: 1) ნებადაერთოს სახაზინო მართველობას, რათა 12 თებერვლიდამ ამა წლისა უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად დანარჩენი დამატებითი თანხისა ქალაქის და სოფლის სამღვდელოების შესანახად გადადებულ 200,000 მანეთიდამ ა) 121,215 მარ. 58 კ. განაწილებულ იქნეს, პირველ იანვრიდამ 1901 წ., სამუდამო ჯამაგირად 42 ეპარქიის 356 უფრო ღარიბ კრებულთ შორის, თანახმად აქვე წარმოდგენილ უწყებათაებრ და ბ) 18,000 მანეთი გადაეცეს საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებაში, რომ ამვე კანტორის უმახლობელეს მხედველობის ქვეშ. 1901 წ. სამუდამო ჯამაგირი დაენიშნოს ეკკლესიის კრებულთ ქართლის, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში, თითოეულ ეპარქიაზე 6,000 მანეთი, თითოეული ეპარქიის აღნიშნულ უწყებათა თანახმად; 2) დღეს გასანაწილებლად დანიშნული ფულები მიეცეს კრებულთ პირველი იანვრიდამ ამა მიმდინარე წლისა, მთელი წლისა, მაგრამ იმ პირობით, რომ ჯამაგირი მიეცესთ ნამდვილად ნამსახური დროისათვის იმ სამრევლოებში, რომელთათვისაც დანიშნულია ჯამაგირი. ვინაიდგან ამის გამო უსათუოდ დარჩება ფულები. ამიტომ წარსული წლების მაგალითებისაებრ, ეპარქიების მღვდელ-მთავრებს ნება მიეცეს უწმიდესი სინოდისაგან განსაკუთრებითი ნება-რთვის გამოუთხოვნელად, გაუნაწილონ ეს დანარჩენი ფულები დანარჩენ ღარიბ კრებულთ, ერთ დროებით შესაწევრად ამა წელში, და სიები ამა კრებულთა

წარუდგინონ სახაზინო სამმართველოს, რათა ამ ღარიბ კრებულთაც დაენიშნოსთ, თუ შესაძლებელი იქნება, მუდმივი ჯამაგირი ხაზინიდამ მომავალი წლიდამ; 3) ხელახლად მიეწეროს ეპარქიების მღვდელ-მთავრებს, რომ უწმიდესი სინოდის მიერ მათ-დამი მიცემული უფლება, რომ ერთ დროებითი შემწეობის მზგავსად გაუნაწილონ უფრო ღარიბ კრებულთ დანარჩენი ფულები, შეეხება მხოლოდ იმ დანარჩენ ფულებს, რომელიც გადარჩება დღეს დანიშნული (121,215 მან. 58 კ. 18,000 მან.= 139,215 მან. 58 კ) და ისიც ამავე წელში მისაცემ ფულებიდამ, და არა სხვა დარჩენილ თანხიდამ, რომელიც დანიშნულია სამღვდელოების ჯამაგირებად თანახმად განკარგულებისა, რომელიც მოხდა როგორც ამა მიმდინარე წელში, ისე წინა წლებში, ვინაიდგან დანარჩენი ფულები, თანახმად სახელმწიფო რჩევის უმაღლესად დამტკიცებული აზრისა, 24 აპრილიდამ 1884 წ., ჩარიცხულ უნდა იქნეს უწმიდესი სინოდის სპეციალურ თანხის რიცხვში და შეიძლება დახარჯულ იქმნეს მხოლოდ სინოდის შეხედვისამებრ; 4) მიეწეროს საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორას; რომ როცა მან გაანაწილოს მის განკარგულებაში გადაცემული 18,000 მანეთი ღარიბ კრებულთ შორის ქართლის, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში, ვრცელი სიები ამ გვარ კრებულთა, რომელთაც ახლად დაენიშნება ანუ მოემატება ჯამაგირი 1901 წლიდამ, წარედგინოს უწმიდეს სინოდთან არსებულ სახაზინო სამმართველოს და 5) ვინაიდგან ყოველ წლობით სამართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებაში გადაეცემა ხოლმე ხარჯ-გამოურიცხველი თანხა, რომ იგი განაწილებულ იქნეს საეკლესიოს-ის ღარიბ კრებულთა შორის ჯამაგირებად, მიენდოს უწმ. სინოდთან არსებულ სახაზინო სამართველოს, რომ ამ სამართველოში შესული კერძო თხოვნები საქართველოს საეკლესიოის კრებულთა, რომ მათ დაენიშნოსთ ჯამაგირი ხაზინიდამ, დაბრუნებულ იქმნეს საქართველო-იმერეთის კანტორაში, რომ ეს თხოვნები მიღებულ იქნენ სახეში, როცა კანტორა გაანაწილებს კრებულთ შორის მის განკარგულებაში გადაცემულ ფულებს. ამ დადგენილობის ჯეროვანად აღსრულებისათვის, გადაეცეს ამ დადგენილობის ამოწერილობა სახაზინო სამმართველოს, ხოლო საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორას და 42 ეპარქიის მღვდელ-მთავრებს გაეგზავნოს დაბეჭდილი უქაზები თითოეული ეპარქიის შესახები სიებითურთ მაზრების, სამრევლოების და კრებულთა შესახებ, რომელთაც დანიშნული აქვსთ ჯამაგირები.

უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება დაჯილდოება ქვემოდ დასახელებულ სასულიერო პირთა წმიდა ანნას მესამე ხარისხის ორდენით იმ სამსახურისათვის, რომელიც ამ ორდენის დებულების მე-459 სტატიაშია განმარტებული: მეოთხმეტე მუხლში: კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლათა მისიონერ—ინსპექტორისა სოხუმის ეპარქიაში მღვდლის ტარასი ივანიცკისა—მეთუთხმეტე მუხლში: იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის საფირჩხიას ამაღლების ეკკლესიის მღვდლის ივლიანე აბესაძისა, იმავე ეპარქიის, სოფლის ქვედა-ჭკვაშის ეკკლესიის მღვდლის ნიკოლოზ ფრუიძისა, იმავე ეპარქიის, სოფლის ძუნკურის ეკკლესიის მღვდლის დავით სირბილაძისა, იმავე ეპარქიის, სოფლის სამტრედიას ეკკლესიის მღვდლის ერმალოზ კანდელაკისა, გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სოფლის ბახვის ეკკლესიის მღვდლის დიმიტრი ქიქოძისა.

ხელმწიფე იმპერატორმა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ყოვლად უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ, თანახმად ამავე სინოდის განჩინებისა, ყოვლად უმოწყალესად ინება წარსული ივლისის 14-ს რიცხვსა, წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენის ბოძება ორმოც-და-ათის წლის სამსახურისათვის, იმერეთის ეპარქიის ხუნჯულორის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლის გიორგი შენგელიასათვის.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. Ѳსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 19 1883—1901 1—15 ოქტომბერი.

P 38839

ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა.

II.

წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი ჰიერუსალიმსა.

(დასასრული *)

ჯვრის მონასტერი მდებარეობს იერუსალიმიდან ო�sაც ვერსის სავალზე. ნამდვილი, სარწმუნო ისტორია ამ მონასტრისა იწყება XI საუკუნიდგან, ე. ი. იმ დროდგან, როდესაც ეს მონასტერი იმ სახით გაშენდა, რა სახითაც ჩვენამდის მოახწია. იმის შესახებ, თუ წინედ, მე-XI საუკუნემდი, ამ ადგილზე რა იყო, ისტორიკოსები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. არქიეპისკოპოსი ტიმოთე მოგვითხრობს, რომ ის ადგილი, სადაც ახალ ჯვარის მონასტერია გაშენებული, ჯერ ისევ IV საუკ. შეიძინა ქართველთა პირველ ქრისტიანე მეფემ ბირიანმა, რომელიც ვითომ წმ. ნინოს, ქართველთა განმანათლებელის რჩევით გაემგზავრა კონსტანტინეპოლში კონსტანტინე დიდის სანახავად,—იქიდგან კი წავიდა იერუსალიმში... მირიანის შემდეგო, ამბობს ტიმოთე, დიდი და ძლევა-მოსილ მეფემ ვახტანგ გორგასლანმა აღაშენა მრავალი მონასტრები იერუსალიმში და მის ახლო მახლო ადგილებში და გაგზავნა იქ ქართველთა რაზმი ამ მონასტრების და მათი მამულების დასაცველად.

ბოლოს, ტიმოთესივე სიტყვით, მოვიდა პალესტინაში ვიღაც ღირს-საქები კაცი შავშეთიდგან—პროხორე და დაბინავდა წმ. საბას ლავრაში. მეფემ ბაგრატ კურატპალატმა (1027—1072) გაუგზავნა

*) იხ. „მწყემსი" № 17—18 1901 წ.

მას ფულები ჯვრის მონასტრის და მასში თავ-შესაფარის აღსაშენებლად, რაც მან მართლაც პირნათლად აღასრულა **).

თუმცა მართლაც ტიმოთეს ამ მოთხრობას ამართლებს და მას ეთანხმება თვით მხატვრობა ჯვრის მონასტრისა, ანტონინ არხიმანდრიტისაგან 1643 წ. ნანახი, ე. ი. თუმცა მონასტრის კედლებზედ დახატულნი არიან მირიან, ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატი და პროხორე,—მაგრამ მაინც მას არ ეთანხმება ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე. აი ის რას ამბობს ამ საკითხის შესახებ: „იმ მოთხრობას, ვითომც მირიან მეფეს შეეძინოს ადგილი იერუსალიმში და ვითომც ვახტანგ გორგასლანს დაეპყროს პალესტინა, გადმოგვცემენ მხოლოდ ქართული წყაროები. ამ მოთხრობას მანამდის ექნება ლეგენდარული ხასიათი, სანამ არ დამტკიცდება უტყუარი ფაქტებით და საბუთებით [2]). დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს იმას, რომ ჯვრის მონასტერში შენახულან სურათები მირიანის და ვახტანგ გორგასლანისა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართლა მონასტრის ფრესკები უფრო ძველს დროს ეკუთვნიან, ვინემ ამას ანტონინი უჩვენებს (1643 წ.) [3]). ეს აზრი ჩვენი ცნობილი ისტორიკოსისა, თუმცა ყურადღების ღირსია, მაგრამ მას არ ეთანხმებიან საერთოდ ყველა ის ცნობები ჯვრის მონასტრის შესახებ, რომლებსაც კი დღემდის მოუღწევიათ, —პირ იქით, ტიმოთეს მოთხრობას ყველა ერთხმად ემოწმებიან.

თითქმის ყველა მოგზაურები 1384 წლიდგან, ამბობს ტაბლერი, ერთხმად იმეორებენ, რომ ჯვრის მონასტერი აღშენებულია იმპერატრიცა ელენესაგან (კონსტანტინე დიდის დედა), მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ მოიპოება. უფრო სარწმუნოა ის, განაგრძობს ტაბლერი, რომ ჯვრის მონასტერი აღშენებულია ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლანისაგან მე-V საუკუნეში იმ მიწაზე, რომელიც კონსტანტინე დიდმა აჩუქა მირიან მეფეს. ტაბლერის აზრით პროხორე შავშეთელმა მხოლოდ განაახლა ჯვრის მონასტერი, ის მას არ აღუშენებია პირველად.

მართლაც, როგორც სჩანს ერთი ხელნაწერისაგან, რომელიც ჯვრის მონასტერშია დაწერილი, პროხორე იყო მხოლოდ განმაახლებელი და არა დამაარსებელი ამ მონასტრისა [4]). მონასტრის საბუთებიდან ისიც სჩანს, რომ პროხორეს მართლა დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის მონასტრის განახლება-აღყვავებაში; მან თურმე შეკრიბა აქ მრავალი ბერები: მწიგნობრები, გადამწერლები, მხატვრები და სხვა [5]).

1099 წ. ჯვაროსნებს, რომლებმაც დაიპყრეს იერუსალიმი, ამ მონასტერში უნახავთ მშვენიერი საკრებულო ეკლესია. მონასტრის აღყვავებას მოწმობენ სეულფი (მოგზაური 1102 წ.) და რუსის „პალომნიკი“ დანიელი (1106—1107 წ.); ეს უკანასკნელი დიდად აქებს ჯვრის ეკლესიას და მის მხატვრობას [6]).

იერუსალიმში ფრანგების მფლობელობის დროს, 1099—1138 წ., ჯვრის მონასტერი ეკუთვნოდა ქართველებს და წინამძღვრად იყო მასში ქართველი: იმ დროის მწერლები ამ მონასტერს ყოველთვის უძახიან „monasterium qeorqianum“ [7]).

მე-XIII საუკ. პირველ ნახევარში მაჰმადიანებმა წაართვეს ჯვარის მონასტერი ქართველებს და გადააქციეს მეჩეთად, მაგრამ 1305 წ. ისევ უკანვე დაუბრუნეს ქართველებს.

1320 წ., მოგზაურების სიტყვით, ჯვარის მონასტერი ეკლესიებით ეკუთნოდა ქართველებს. 1520 წ., როდესაც იერუსალიმი ოსმალებმა დაიპყრეს, უკანასკნელთ მოხსენდა, რომ ჯვარის მონასტერი ქართველების საკუთრებაა.

მე-XVII საუკუნეში ჯვარის მონასტერი მთლად განახლებული იყო არხიმანდრიტი ნიკოლოზ ჩო-

---

**) „მოგზაურობა წმ. ადგილებში“—არქიეპ. ტიმოთესი, გვერდი 95.

[2]) ქართველთა იერუსალიმში გალაშქრების და მის დაპყრობის შესახებ, როგორც გვახსოვს, დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ თ. ჟორდანიას სტატია. ავტორი, თუ ხსოვნა არ გვღალატობს, ამტკიცებს ამ ფაქტს.

[3]) Труды V арх. съѣзда въ Тифлисѣ 1881 г.— იხ. ბაქრაძის სტატია.

[4]) „Описаніе Грузинскихъ памятниковъ въ св. Землѣ и на Синаѣ“, გვ. 83—ა. ცაგარლისა.

[5]) Каталогъ рукописей монастыря св. Креста (Правос. Палест. Сборникъ, т. IV, стр. 142—147)— ა. ცაგარლისა.

[6]) Путешествіе Даніила: Изд. Прав. Пал. общ. Спб. 1885 г., გვ. 83-

[7]) Памятн. Груз. стар. въ Св. Зем. и на Син. გვ. 94. ა. ცაგარლისა.

ლოყაშვილის და სამეგრელოს მფლობელის ლევან დადიანისაგან. ეს მონასტერი, ტობლერის სიტყვით, საქართველოდგან იღებდა კერძო შემოწირულების გარდა, 12 ათას პიასტრს. მე-XVII საუკ. ბოლოს, როდესაც მონასტერს 100,000 ტალერი დაედო მაჰმადიანებისა, ეს ფულები მთლად ქართველებისაგან იქმნა გადახდილი.

მე-XVIII ს. პირველ ნახევარში სხვათა შორის ჯვრის მონასტერი ინახულა შესანიშნავ რუსის მოგზაურმა ბარსკიმ. ბარსკი ამბობს, რომ ჯვარის მონასტერი შესანიშნავად მორთულ-მოკაზმულიაო („внутрь зело благозрачно"). ამასთან ის დასძენს, რომ ეკლესიებში მრავალი სურათებია საქართველოს მეფეთა და პატრიარხთა; რომ მონასტერი აღშენებულია საქართველოს მეფის ტატიანისაგან(?) (უნდა იყოს „დადიანისაგან") და სხვა და სხვა... [8]) ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც ამ მონასტერში ყოფილა წასულ საუკუნის მეორე ნახევარში, აქ უნახავს ბევრი ქართველი ბერები და აუარებელი ქართული წიგნები [9]).

1820 წ. მოგზაურს შოლცს ჯვარის მონასტერში უნახავს ოთხასამდის ქართული ხელნაწერები; ტიშენდორფსაც 1846 წ. უნახავს აქვე თითქმის იმდენივე [10]).

1858 წ. აქ ყოფილა რუსი არქიმანდრიტი ლეონიდე და უნახავს ერთს კუთხეში უპატრონოდ მიყრილი «груду грузинскихъ рукописныхъ книгъ, оставленныхъ на жертву сырости, червей и зеленыхъ скорпіоновъ"... *) და მართლაც ვის უნდა მოეარნა, შეენახა და ეზრუნა ამ ძვირფას ქართველთა ნაშთებისათვის, როდესაც ქართველთა ოფლით და ჭონგით აღშენებული მონასტრისაგან მე-XVIII საუკუნეში ბერძნებმა მთლად განდევნეს ქართველები. მათ ისარგებლეს იმისთანა დროთი, როდესაც საქართველო განსაცდელში იყო პოლიტიკურად და დაისაკუთრეს ქართველთა ძვირფასი ნაშთი. დღეს აქ, სავალალოდ, ერთი ქართველი ბერიც არ მოიპოვება! სწორედ რომ „დრონი მეფობენ და დრონი გლახაკობენ"... [2])

ჯვარის და ივერიის მონასტრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოსთვის. აქ პირველად აღენთო ლამპარი ქართველთა სწავლა-განათლებისა. აქ გადაითარგმნა თავდაპირველად საეკლესიო წიგნები. აქ დაიწერა მრავალი საღვთისმეტყველო, ისტორიული და ფილოსოფიური ორიგინალური თხზულებები. აქ დაარსდა შესანიშნავი წიგნთსაცავები, რომლებითაც სარგებლობდა ყველა სწავლა-მეცნიერების მწყურვალე ქართველი. აქ არსებობდა შკოლა კოლიგრაფიისა. აქვე იწერებოდა და მერე ათასობით იგზავნებოდა საქართველოს ყოველს კუთხეში მრავალი წიგნები. [3])

ამ მონასტრებში დაწერილი და აქვე გადაწერილი წიგნები ბლომად მოიპოვებიან დღესაც ევროპის ყველა შესანიშნავ ბიბლიოთეკებში (პარიზში, ბერლინში, რომში, პეტერბურგში და სხვ.). აქვე იზრდებოდა და ფრთებს ისხამდა ქართველების ეროვნული თვით-ცნობიერება. აქ ვარჯიშობდა ქართველთა გონება და აქვე საკვირველის სიცხადით მტკიცდებოდა მათი ნიჭი. აქ აღიზარდნენ ისეთნი მაღალ-ნიჭიერნი ქართველთა მწერალნი, როგორნიც იყვნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, პატრიწი, შოთა რუსთაველი და სხვ. აქვე „დამშვენდა, დატკბა, შემოუშვადა ენა ივერთა", რომლის „სმენა დღესაც გვატკბობს ამერ-იმერთა". აქვე...

„მაგრამ რისთვის და რად გვინდა მის მოგონება,
რაც რომ ეოფილა, წარსულა და ადარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულს სტანჯავს,
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზდაპარსა ჰგავს?" [4])

ია. ვერთაგავა.

ქ. სიმფეროპოლი.

---

[8]) Странствованія В. Г. Барскаго по св. мѣстамъ съ 1723—1747 г. I т., стр. 335.

[9]) „მოგზაურობა..." ტიმოთესა, გვ. 148—149; 154 156; 158—162.

[10] „Описаніе Груз. Намят...", გვ. 101—ა. ცაგარლისა.

*) „Чтенія московскаго общества Истор. и древностей» 1871 წ. II განყ. I ტ., გვ. 8—9.

[1]) წყაროები ჯვარის მონასტრის შესახებ, გარდა ზემორე ნაჩვენებისა: „ქრონიკები"... თ. ეორდანიასი 148—155; 130, 177; «საქართ. ისტორია"—ბაქრაძისა გვ. 224, 259; 280—286; „Истор. Груз. церкв." ვ. იოსელიანისა —80 გვ. „Жур. Мин. Нар. Просв." ტ. 40, გვ. 222; «Православ. Палес. Сборн." вып. 10, гв. 37—42, 47—48; «Труды V арх. съѣзда", гв. 328—215...

[2]) «Очерки по Истор. Груз. словест. вып. I»—ხახანაშვილისა.

[4]) ლექსები ვ. ორბელიანის, გვ. 52.

მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო სასოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

გაგრძელება *)

ადამიანს თანდაყოლილი და ღრმად ჩანერგული აქვს თვის ბუნებაში ლტოლვილება ღვთისადმი; მას სურს შეუერთდეს უფალს მთელის თვისის არსებით; მას სწადს ყოველი თვისი მოქმედება, მთელი თვისი ცხოვრება შეუთანხმოს ღვთაებრივს ნებას. ხოლო თუ რანაირი უნდა იყოს მისი ცხოვრება, თუ როგორ შეუძლია მას მოიპოვოს საბედნიერო ცხოველი კავშირი ღმერთთანა, ამას იგი ტყობილობს შინაგან ბუნებრივ—ზნეობით კანონისაგან, ანუ სინიდისისაგან, და გარეგან წერილობით—ზნეობრივ კანონისაგან, ანუ საღმთო განცხადებისაგან, საღმთო წერილისაგან. შინაგანი ზნეობრივი კანონი არის ნიჭი ღვთისაგან კაცისადმი მოცემული, და იგი ასწავლის მას, თუ რა უნდა ქმნას მან და რას უნდა ერიდოს, თუ რა არის. კეთილი, ღვთისათვის სასიამოვნო და ადამიანის სულისათვის სასიკეთო, და რა არის ბოროტი, კაცის სულის დამღუპველი და ღვთის განმარისხებელი, და ნება დართულ კეთილ-მოქმედებისთვის აჯილდოებს მას, გვრის კმაყოფილებას, სიხარულს, ხოლო აკრძალულ ბიწიერ ქცევისათვის სჯის, ქენჯნის, აღავსებს მას უსიამოვნობით. გარნა, უფრო ცხადად, გარკვევით, დაჭეშმარიტებით კაცი გებულობს მას, თუ რა არის საჭირო ნამდვილის უტყუარის ბედნიერების შესაძენად, ღმერთთან დასაკავშირებლად, გარეგანის წერილობითის კანონისაგან, ანუ განცხადებისაგან. უფალმა სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა წმ. კაცების პირით კაცობრიობას აუწყა, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება, თუ როგორი უნდა იყოს მისი ცხოვრება. აი ეს ორი კანონი—სინიდისი და განცხადება—გვეუბნება, რომ ადამიანმა უნდა აქოსადიდოს უფალი, უნდა ადიდოს როგორც საქმით, ისე სიტყვით, როგორც კეთილ-მოქმედებით, ისე სიტყვიერის მსახურებით, ანუ ლოცვით. სიტყვიერის ღვთისმსახურების, ანუ ლოცვის საჭიროება წარმოსდგება თვით ჩვენის ბუნების თვისებისაგან. ჩვენს სულსა და ხორცს შუა ისეთი მჭიდრო კავშირია, რომ ყოველივე სულიერ მოძრაობას თვისთავად თან ყვება შესაფერი გარეგანი მოძრაობა; ყოველი აზრი, გრძნობა და სურვილი გამოიხატება სხვა-და-სხვა სიტყვებითა, სახის გამომეტყველებით და სხეულის ნაწილების მოძრაობით. ამიტომ რელიგიური (სარწმუნოებრივი) აზრებიც, გრძნობები და სურვილები ამ აუცილებელ კანონს ემორჩილებიან; ისინი სულში წარმოშობისათანავე ცხად იყოფიან, ხდებიან თვალ-საჩინო ამა თუ იმ სიტყვებითა და მოქმედებებით. ამას გარდა, როცა რელიგიური აზრები, გრძნობები და სურვილები სიტყვებით წარმოითქმიან, მაშინ ისინი, როგორც საერთოდ, ყველა სულიერნი მოძრაობანი, უფრო ცხადი, ნათელი და ძლიერი ხდებიან; მაშინ ადამიანი უფრო ცხოვლად და ღრმად იმსჭვალება იმათ მიერ. გარეგანი სიტყვიერი ღვთისმსახურება არის ორნაირი, კერძო, რომელიც ყოველ ადგილსა და დროს, ყოველ ადამიანის მიერ სრულდება, და საზოგადოებრივი, რომელიც ერთს დაწესებულს ადგილს, ე. ი. ეკკლესიაში, დადებულ დროს და დადგენილ პირთა მიერ; ესე იგი სამღვდელო მოსამსახურეთა მიერ სრულდება. ქრისტიანენი უნდა ემსახურებოდნენ უფალსა, უნდა ლოცულობდნენ როგორც კერძოდ, თვის სახლში, ისე ტაძარშიც, შემდეგის მიზეზებისა გამო. ქრისტიანენი, როგორც ერთის სარწმუნოების მიმდევარნი, როგორც აღნთებულნი სიყვარულითა ერთის მაცხოვრისადმი, როგორც გამსჭვალულნი ერთნაირის აზრებითა, გრძნობებით და სურვილებით, ვალდებულნი არიან იქონიონ ერთობა, კავშირი ყოველივე საქმეში, კერძოდ, ლოცვაშიც; ისინი უნდა დიდებისმეტყველებდენ უფალსა ერთითა პირითა და ერთითა გულითა; ხოლო ესეთი ერთობა უფრო ცხადლივ გამოიხატება საეკლესიო საზოგადოებრივ ღვთისმსახურებაში. შემდეგ, გამოცდილი და შემჩნეულია, რომ თუ კაცი რაშელიმე საქმეს მარტოდ ადგია და თანამომქმედნი არა ჰყავს, იგი ვერ იჩენს ჯეროვან სიხალისეს, სიცხოველეს, მუყაითობას თვის საქმეში; ხოლო თუ მასთან ერთად სხვებიც მოქმედებენ, მაშინ იგი სხვების მაგა-

*) იხ. „მწყემსი“ № 17—18. 1901 წ.

ლითით წაქეზებული უფრო ბეჯითად და მხურვალედ ეკიდება საქმეს. აგრეთვე, როცა ადამიანი ეკლესიაში სდგას, მლოცველებს ხედავს, მაშინ იგი უფრო გულით, კრძალვით და სასოებით ლოცულობს და მთელის თვის არსებით ისწრაფვის ღვთისადმი; და ხშირად, კიდევაც რომ არ უნდოდეს ლოცვა, მაინც იძულებული გახდება ცოტახანს მაინც აღაპყროს ღვთისადმი გონება და გული; და ამით მის სულის ზრდას ხელი ეწყობა. მერე, ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანეთა უდიადესი უმრავლესობა ისეთ პირობებში არის, რომ მათ არ შეუძლიათ თავისუფლად, ხელშეუშლელად ილოცონ თვის სახლში; ტაძარში კი ყველას შეუძლია ილოცოს დაუბრკოლებლად.

საეკკლესიო საზოგადოებრივი ღვთისმსახურება საღამოდან იწყება, მიხედვით იმისა, რომ ქვეყნის არსებობა, როგორც საღმთო წერილი მოგვითხრობს (შექმნა 1, 5), საღამოთი დაიწყო. საღამოს ჟამს სრულდება ეგრედ წოდებული მწუხრი. ეს ღვთისმსახურება შესდგება ისეთის ლოცვებისა, სადგალობლებისა, საკითხავების და მოქმედებისაგან, რომლებიც შეეფერებიან იმ დედა აზრს, რომლის გამოსახატავადაც იგი დაწესებულია. საღამოის სიბნელე მოგვაგონებს ძველის აღთქმის დროთა, რომელნიც ახალის აღთქმის დროთა შედარებით, აჩრდილად ითვლებიან. მწუხრი თვისის შინაარსით თვალწინ გვიყენებს ძველის აღთქმის დროთა უმთავრესს შემთხვევებს: 1) ქვეყნის შექმნას, 2) პირველთ კაცთა ნეტარებით შდგომარეობას სამოთხეში, 3) მათ შეცოდებას, 4). ღვთის მიერ მიცემულ აღთქმას მაცხოვარზე, 5) კაცობრიობის რწმენას მხსნელისადმი და 6) ხალხის მომზადებას მაცხოვრის მისაღებად წინასწარმეტყველებათა და მომსწავებლობათა საშვალებით. ამის გამო, ქრისტიანეს, მწუხრის მოსმენის დროს, მმართებს მოგონება იმისა, თუ როგორ შექმნა ქვეყანა ყოვლის შემძლებელმა და ყოვლად სახიერმა ღმერთმა, თუ როგორი უპირატესობა მისცა მან ადამიანს სხვათა ქმნილებათა წინაშე, შეამკო უმაღლესის ღირსებებით და დაასახლა ედემის ბაღში, თუ როგორ დაახლოებულები იყვნენ პირველი ადამიანები ღმერთთან და რა ბედნიერებაში იმყოფებოდენ, თუ როგორ გარდავიდნენ იგინი ღვთის ნებას, დაარღვიეს მისი მცნება, მისცეს ადგილი თვის ბუნებაში ცოდვას, განდევნილ იქმნენ სამოთხიდან, თუ როგორ მისცა ყოვლად მოწყალე ღმერთმა შეცოდებულ კაცობრიობას იმედი ცხოვნებისა მაცხოვრის მოსვლით სოფლად, თუ როგორ ილტვოდა კაცობრიობა ღვთისადმი, ელოდებოდა მაცხოვრის მოსვლას და ემზადებოდა მის მისაღებად.

განვიხილოთ ცალ-ცალკე მწუხრის უმთავრესნი წარმოთქმანი, საგალობელნი, საკითხავნი და მოქმედებანი იმ რიგზე, რა წესითაც ისინი სრულდებიან, მისდევენ ერთიმეორეს. დიდ დღესასწაულებში მწუხრი სრულდება შეერთებით იმ საეკკლესიო სამსახურთან, რომელსაც სახელად ქვია ცისკარი და რომელიც ჩვეულებრივ დილით, გათენებისას სრულდება. როცა მწუხრი ცისკართან ერთად სრულდება, მაშინ ამ ღვთისმსახურებას უწოდებენ ღამისთევად; უწოდებენ ღამისთევად მისთვის, რომ ზოგიერთ მონასტრებში ეს საეკკლესიო სამსახურნი, საღამოს დაწყებულნი დილამდის გრძელდებიან, და ასე მლოცველები მთელს ღამეს ლოცვაში ატარებენ, ათევენ. ღამის თევა განსხვავებულის საესებითა, განგრძობით და ბრწყინვალებით სრულდება. ჩვენ აქ ვილაპარაკოთ ღამისთევის ლოცვაზე, ჯერ მწუხრზე.

მწუხრის დაწყების წინ საეკკლესიო მსახურნი: მღვდელი და მთავარ-დიაკონი შეიმოსებიან, პირველი შეიმოსს ოლარსა და ფელონს, მეორე სტიხარსა და გინგილასა. სიწმიდე ადგილისა და სიდიადე ღვთისმსახურებისა მოითხოვს, რომ სამღვდელო პირთა საეკკლესიო სამსახურის აღსრულების დროს ეცვათ განსაკუთრებული, ბრწყინვალე სამოსელი და არა ჩვეულებრივი, სოფლიური ტანთსაცმელი. ამას გარდა, განსაკუთრებითი სამოსელი სამღვდელო პირთათვის საჭიროა სანიშნებლად იმისა, რომ მათ ღვთისა და საზოგადოებისაგან მიღებული აქვთ მონდობილება და უფლება მღვდელ-მოქმედებისა. ოლარი, კისერზე ჩამოსაკიდებელი და წინ დაშვებული გრძელი, ჯანიერი სამოსელი, არის ნიშანი მღვდლობის მადლისა და გამომეტყველი იმისა, რომ მღვდელს ზედ ადგას იესო ქრისტეს უღელი, რომ იგი ემორჩილება მაცხოვარს და ავრცელებს მისს სწავლა-მოძღვრებას. ფელონი, განიერი, უკანიდან გრძელი, წინიდან მოკლე, უსახელოებო სამოსი, მოასწავებს იმ სამოსელს, რომელიც მოასხეს მაცხოვარს წვალების დროს: და იგი უნდა გვაგონებ-

დეს, რომ მღვდელი ღვთისმსახურების დროს წარმოადგენს თვით უფალსა იესო ქრისტესა, რომელმაც შესწირა ფვისი თავი კაცობრიობის გამოსახსნელად ცოდვისაგან. ასე, როცა ვიხილავთ მღვდელს, ოლრითა და ფელონით შემოსილს, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი არის მომაგვარე მაცხოვრისა, რომ იგი თვით ღვთისგან არის დაყენებული ერის დასამწყსველად, კაცთა ზეასაყვანად ღვთისადმი. სტიხარი, სწორე, გრძელი და სახელოებიანი სამოსელი, არის ნიშანი ცხოვნებისა, დამშვიდებულ სინიდისისა, უმანკო ცხოვრებისა, გინგილა, გრძელი, ლენტის მსგავსი, მხარზე გადაკიდებული სამოსი, მოასწავებს ანგელოსის ფრთებსა. ამგვარად, მთავარ-დიაკვნის სამოსელი მოასწავებს იმას, რომ იგი აღჭურვილია სულიერის სიწმიდით და ემგზავსება ანგელოსს, რომელიც ღვთის საყდრის წინაშე სდგას და მას ემსახურება.

სანამ სამღვდელო პირნი შეიმოსებოდნენ, მანამ რომელიმე საეკლესიო მოსამსახურეთაგანი საკრეტეელში, კანკელის წინ და ყოველგან ეკლესიაში ხატების წინ სანთლებს დაანთებს. სანთლების აღნთება, ერთის მხრით, ნიშნავს მას, რომ ღმერთი არის წყარო სინათლისა, რომ იგი ყოველსა მორწმუნეს განანათლებს მადლითა და ჭეშმარიტებით, და მეორეს მხრით, იმას, რომ ქრისტიანე მხურვალის (ცეცხლი, ალი) და წმიდის (თაფლის სანთელი) გულით უნდა ლოცულობდეს. მლოცველები ღვთისმსახურების დაწყებამდისავე უნდა მოემზადნენ ლოცვისათვის. მათ უნდა დაუტეონ ყოველივე სოფლიური ფიქრი და ზრუნვა, აღამაღლონ თვისი გონება ღვთისადმი, გაითვალისწინონ სიდიადე და მნიშვნელობა იმ საქმისა, რისთვისაც ეკლესიაში შეკრებულან, წარმოიდგინონ დიდებულობა და სიწმიდე ღვთისა, შეიგნონ თვისი ცოდვიანობა და უღირსობა ღვთის წინაშე და ამით გაიმსჭვალონ ღრმა კრძალულებითა უფლისადმი. რომ უფრო ჯეროვანად მოამზადონ თვისი თავი, განაწყონ თვისი სული ღვთის საეედრებლად, ამისთვის მათ უნდა მიაპყრონ თვისი თვალი და დაკვირდნენ წმ. ხატებს. უფალის მაცხოვრის და წმინდანების სახეების და მათ ცხოვრებიდან სხვა-და-სხვა შემთხვევების გამოხატულებათა ხილვით, გონება დაფანტული და ბიწიერ ფიქრებით დამძიმებული ადამიანი უფრო ადვილად მოაშორებს თვისს ყურადღებას ქვეყნიურ საგნებს და დაამყარებს ზეციურ საგნებზე, უფრო ნათლად და ცოცხლად წარმოიდგენს მაცხოვარსა და წმიდანებს და მათ მოქმედებებს; ხოლო ამ მოგონებით მას დაებადება ღრმა და ძლიერი სურვილი ამა სოფლიურ ცხოვრების უარყოფისა, საუნოებათა შესისხლხორცებისა და ღმერთთან ცხოველის კავშირის მოპოებისა.

ეპ. ბ.

(შემდეგი იქნება)

ნინოს ჯვარი.

პირველი ექსარხოსი საქართველოისა მთავარ-ეპისკოპოსი ვარდაპი, რომელიც კარდიცკაია რუსეთში—ნიჟნი-ნოვგოროდში.

პირველი ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსთაველი.

ბ ნ ივ. კერესელიძის მოსაგონარად,

ზოგიერთი კეთილი კაცი, როგორც თავის ცხოვრებაში, აგრეთვე თავის ცხოვრების შემდეგაც ქველ-მოქმედებით შესამჩნევია ხოლმე. განსვენებული გიორგი ქართველიშვილი ყველამ კარგად იცის, რა გულკეთილი და ქველ-მოქმედი კაცი იყო. მის დამარხვის დროს ჩვენ ქართველთა სასირცხოდ საზოგადოებამ შენიშნა, რომ განსვენებული ივანე კერესელიძის საფლავი თითქმის მივიწყებულა და რომ ბ. იოსებ მერკვილაძეს არ დაენიშნა რამდენჯერმე საფლავის ადგილი უბრალო სახელ-გვარის წარწერით—ვერც არავინ მიაგნებდა მას. ჩვენ ბევრს არაფერს ვიტყვით ბ. ივანე კერესელიძეზე—რადგანაც ყოველმა შეგნებულმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს, თუ ვინ არის იგი. ეს ის კაცი იყო, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინად დაიწყო ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა და ამნაირად აწვევდა ხალხს ბეჭუჭრი სიტყვის კითხვას. თუ კი რაიმე სამსახური მიუძღვის დრო-გამოშვებით გამოცემათ ხალხის გონებრივ წინმსვლელობაში—მაშინ ბ. ივანე კერესელიძის ჟურნალსაც ამ მხრით თვალსაჩინო ადგილი გაუწევია ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში—და ისიც იმ დროს, როდესაც ეს საქმე მეტად ძნელი იყო და არავინაც მაზედ არა ჰფიქრობდა. ეხლა კი მადლობელი შთამამავლობა იმდენ სამაგიეროსაც არ უწევს ამ მოღვაწეს, რომ უბრალო ლოდით მაინც სახსოვრად გახადოს იგი შემდეგი შთამამავლობისათვის, რომელიც იმედია უფრო შეგნებულად პატივისმცემელი იქმნება თავისი მოღვაწეების.

ამ დღეს ბ-ნ იოსებ მერკვილაძეს უთავებია და შეუკრებია შეწირულება შეგნებულ დამსწრეთა შორის და შეუგროვებია სულ 133 მან. 25 კაპ. შემწირველთა შორის არის თუმნისა და ჯუთი მანეთის შემწირველნიც. სხვათა შორის შეუწირავთ თ-დ ილ. ჭავჭავაძეს ერთი მანეთი და ნიკოლოზ ზებედეს ძეს ცხვეთაძეს სამი შაური, ზოგიერთს სომხებს კი შეუწირავთ თითო მანეთი.

7 ოქტომბერს კრება იყო დანიშნული ივ. კერესელიძის საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ მოსალაპარაკებლად. თუმცა განცხადებაში ეწერა: „კრებაზედ დასწრება ყველას შეუძლიან“-ო, მაგრამ მაინც მთელს თბილისის ქართველობაში მხოლოდ შვიდი აღმოჩენილა, რომელთაც გამოუჩენიათ ყურადღება ამ საქმისადმი. ამ პირთ დაუვალებიათ სოფრომ მგალობლიშვილისთვის, მოელაპარაკოს მოიჯარადრეს, თუ რამდენად დაჯდება ალგეთის ქვის ლოდის ჩამოტანა თბილისში, სიგრძით 3, სიგანით 2 და სიმაღლით 1 ალაბისა, აგრეთვე ირგვლივ მოაჯირის გაკეთებაც.

დიდი შეცდომა მოუა საზოგადოებას, თუ ალგეთის ქვა ამჯობინა კურსების მშვენიერ კასალ ქვას, რომელიც თითქმის მეტი აღარ დაჯდება და გაძლებით კი საუკუნოა. ჩვენ გვინახავს ალგეთის ქვის ლოდი, რომელიც მოკლეს ხანში დაშლილიყო, ამიტომაც ვაბრთხილებთ კომიტეტს, რადგანაც საკეთილო საქმე განუზრახავთ, ამ შეცდომაში მაინც ნუ ჩავარდებიან.

თ ე მ ი დ ა.

ვიხილე კაცი მე თემიდაში
დასატანჯავად გამზადებული,
მას ვარს ეხვევნენ ეროვა ჯალათთა
შურის ძიებით ადტეინვებულნი.

—

საზარლარს ბრალს სდებდენ უმანკო კაცსა
შური და მტრობა განმვინვებული,
და მომაგონდა მაშინ მართალი
თხემისა ადგილს განქიქებული.

—

არავინა სჩნდა მშველი მართლისა
სიცრუემ სძლია სიმართლე წრფელი,
ჯმუნვით ხედვიდა ახალს თემიდას
მველის თემიდის უმანკო მსხვერპლი.

—

ვიხილე კაცი მე თემიდაში
ივუდის ბუხლით გამტეუნებული,
და წარმომიდგა მაშინ უფალი
გოლგოთის მთაზე ჯვარ-კიდებული...

ქაიხსრო გელოვანი.

მეფის ძე
იოანე ბატონიშვილი.

კაიოზ მდგელ-მთავარი.

მწარე ფიქრები

ასწორეთ შესანიშნავი სტატია წავიკითხე რუსეთის ერთ საეპარქიო ჟურნალში. ერთ კაცს გრაფ ტოლსტოის სურათი ჰქონებია სახლში, მაგრამ იმ დროიდან, რაც გრაფი შეაჩვენეს, იმ კაცს გრაფის სახე შეშლილად და საშიშრად ეჩვენება თურმე. ეს მიტომო, ამბობს ავტორი, რადგან ეშმაკი დაეპატრონა გრაფს შეჩვენების შემდეგ და ამიტომ მისი პირის სახეც შეიშალაო. მეორე იწერება, რომ მე ეშმაკი დავინახე გრაფის სურათის თავზეო. ძლიერ გვაკვირვებს უკანასკნელის აზრი. ეშმაკი ხომ სულიერი არსება აზის და მან როგორ დაინახა იგი?!,

თურმე ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ჩვენისთანა სოფელში მიყრუებულთ არ ვიცით!.. დავიწყე გაზეთების კითხვა და შესანიშნავი ამბავი წავიკითხე. ერთ დიდებულს ინგლისელ მთავარეპისკოპოსს მიუწერია თავის სამწყსოსთვის, რომ ჩვენ სწორეთ მიტომ ვერ ვაჯობეთ და ვერ ამოვსწყვიტეთ ბუერები, რადგან შეცოდებული ვართ ღვთის წინაშეო. შემდეგ ეს მთავარ ეპისკოპოსი ევედრება ყველას და ურჩევს, რომ ერთ-ერთი დღე ვიუქმოთ, ვილოცოთ, რომ ღმერთმა მოგვიტეოს ჩვენი ცოდვები და შემდეგ ღმერთი მოგვცემს ღონეს, ხერხს და ძალას, რომ სულ გადავაშენოთ ბუერებიო!.. ღმერთო, რა დროს შევესწარით! ბუერები ხომ ქრისტიანებია და ისინიც ხომ ლოცვილობენ ღვთის წინაშე და ევედრებიან დაგვიფარე, ღმერთო, ინგლისელებისაგანო?.. კრიუგერი მოსესა და არონივით ლოცვილობს თავის მემამულეთათვის... აქ რომელს გაუგონოს ღმერთმა?..

სოფლის ხუცესი.

ეკონომიის საკითხიდან.

—ზეკარდამო შთაგონება, ეს—ელვა არის, რომელსაც ეველა ვერ დანახავს.

—ჭეშმარიტ დიდ-კაცად ის იწოდება, რომელიც სხვათა სასარგებლოდ ცხოვრობს

—დიდი კაცი მით არის ადგილად შესატყობი, რომ მას ეოველ საქმეში პირველად საზოგადო სარგებლობა აქვს სახეში.

—დიდი კაცები კარდაცვალებაის შემდეგ უფრო იქცევენ ეურადღებას, ისე როგორც ვარსკვლავნი თავის გაქრობის შემდეგ.

—თუ სასელმწიფოში დიდი საქმე არა არის რა კასაკეთებელი, არც დიდი კაცები იქნებიან.

—მხოლოდ დიდ კაცებს აქვსთ დიდი ნაკლულევანება.

—დიდად იწოდება მხოლოდ ის, რაც მტკიცეა. მტკიცეა მხოლოდ სიმართლე.

—ის, რომელიც ჯავრს იერის კაცზე და ცდილობს მტრობით კარდაუხადოს შეურაცხეოფა, არ იწოდება გულ-კეთილად და დიდ-კაცად.

—წოდება დიდებულობისა ვერ დაჯილდოებს კაცს იმ თავისუფლებათ, რომელსაც დაკარგეენ ხოლმე, როცა ხელმწიფეად კახლდებიან.

—ჭეშმარიტი დიდებულება მდგომარეობს მასში, რომ თავის თავი დაეჭირო რაკასაც.

—კაცის დიდება და ბრწყინვალება გულშია და არა თავში.

—ჭეშმარიტი კაცის სადიდებლად საჭირო არ არის სხვის დამდაბლება.

ჭეშმარიტ დიდებულ კაცებს როგორც მათი დიდებულობის დროს ისე მათ დამდაბლების დროსაც აქებენ და ადიდებენ.

ისტორიო მასალა.

უგანათლებულესო მეფის ძევ
მოწყალევ ხელმწიფევ!

ამას წინათ ჰასანას ხელით წიგნი გებოძებინათ, პასუხი მოგახსენე; თქვენის უგანათლებულესობის შეუძლოთ ყოფნაც მესმის და თქვენც მოგეწერათ. იარანალისაგან თქვენთან მოწერილი წიგნის ასლი გეთხოვნათ, ისევ ამ ჰასანას ხელით გაახელ. ამაზე საარშუნოთ ღონდა ბრძანდებოდეთ, რომ მე თქვენ ტყუილს არას მოგწერ; თუ დამიჯერებთ, თქვენი სრული ეეშმარიტი სიტყვა იარანალს ნესევტაევს, დიახ კარგი კეთილი კაცია; ყოვლისფრით თქვენთვის კეთილს ეცდება. თქვენიც მანდ დაგვიანება არა სჯობს. აქაური საქმეები კარგად მოხსენებული არა გაქვს; ღმერთსა ვფიცავ, ამ ოც დღეზე შეიტყოფ, რომ რამდენს რიგათ ჯარები წამოვა. ესენი არა მალევენ, მასუკან ოომ კიდეც მოპძანდეთ, მაგდენი პატივი არ გექნებათ და ეხლა ეამია. იარანალს კიდევ ჩემთვის თქვენ გამოისათ დიახ კარგი წიგნი მოეწერა; შენ ნუ მომიკვდები, დიდათ ბედნიერი იქნები, რომ მობძანდეთ. გუდოვიჩიც მოდის, ამ თხუთმეტ დღეზე ქალაქს შეეძოვა, ეწინ რომ ლინიაზე გუდოვიჩი იყო, ის არის. ახლა რომ თქვენი წიგნი მოეეა ამ იარანალს, იმას უჩვენებს, ამისთანა კაცი კარგია, რომ თქვენთან მოლაპარაკე იყოს. რაც ფიქრი გაქვს, სწორეთ მოსწერე იარანალს; ნუ დაჰფარავ და ნურც შენს სიტყვას შესცვლი, თორემ ესენი ბრაფერში არ ეენდობიან. ჩემი რჩევა ხომ ეწინაც მომიწერია: აგრე მანდ ცხოვრებას აქ რომ ღაქერილი იყო, ის გირჩევნია. თქვენ იმისი ფიქრი გაქვსთ, რუსეთს წამიყვანენო; ღმერთს ერწმუნე, თქვენ რომ თქვენის ნებით მობრძანდეთ და მეფობას გარდა, რასაც არზით ხელმწიფესა სთხოვთ, იმას აღგისრულებს, მე აქამდის ვიცი. (თუ გეპრიანება, ვისაც თქვენ მანდ ენდობით, ის გამოგზავნე). ამ ჩემი წიგნის პასუხს ნულარ დააგვიანებ. იარანალს სწორე წიგნი მოსწერე; მეც ასეთი წიგნი მომწერე, სწორე იყოს, რომ გუდოვიჩს უჩვენო; ეგება ღმერთმან ქნას, თქვენთვის ერთი კარგი საქმე გარიგდეს. ამაზე კარგი ხათირჯამი ბრძანდებოდეთ, რომ მე შენ ტყუილს და სიცრუეთ არას მოგახსენებ, ვინცავინ თქვენ გახლავან, როდესაც თქვენ მობძანდებით, ვისთვისაც გნებავთ წყალობასაც გაურიგებთ. სხვას ჩემს სიტყვას, კიდევ ეს ჰასანა მოგახსენებს და ნება თქვენია. ამას წინათ რომ თქვენგან კაცი დავიბარე, თუ გნებავდეს ვისაც ენდობოდე გამოგვიგზავნე და ისევ მალე გაახლებ.

ენკენისთვის 3 (3)
ქნკ. უედ (1806).

იოსებს

ქ. ბრწყინვალეს თავადს ბებუთოვს

მეფის ძე ალექსანდრე

სიყვარულით მოგიკითხავთ. მერე თქვენი წიგნი მოგვივიდა მაჰმადას ხელით, მოგვეწერათ, რომ სამთავ იარანლებს წიგნი მისწერეო; მე ხომ იმ ახალ მოსულებს ვერცერთს ვერ ვიცნობ; მე რათ უნდა მივსწერო წიგნი, მაგათან რა საქმე მაქვს. ლენერალ მაიორს ნესვეტაევს წიგნი მეეწერა და რაც სრული ჩემი ჰაზრი იყო, იმის პასუხი მივსწერე და კიდევ როცა რომ იმათი წიგნი მამივა, მაშინ იმათაც პასუხს მოვახსენებ. მეორე ამას რომ მწერ ხათირჯამი იყაო, მიენდე რუსებსაო და მერე მოწყალებას მოიღებს ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და ბედნიერი შეიქნებიო, ეს არ იცი, რომ მე მაგითი ხათირჯამი არ გავხდები; ჯერ რომ შენ ხათირჯამი არა ხარ, წამიყვანე(ნ) თუ საქართველოში დამაყენებენ, მე როგორ გერწმუნო ან იმ ღუდოვჩს როგორ ვერწმუნო; ეგ ის ღუდოვიჩია, რომ მეფეს ერეკლეს ამთენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმის მიზეზით მაჰმადხანს ვეღარც სწორედ შეება და ვეღარც შეურიგდა და მოვიდა მაჰმადხან და წაახდინა ქალაქი და თუ ის არ დაინდო და ისე მაატყუა, მე როგორ ვერწმუნო, რომ დამინდობდეს, და კიდევ ეს არ იცი, რომ თუ კი მოველ და მოვენდე, ალბათ რომ რაკი მანდ მოვალ ხელმწიფეს კიდეც ენახავ, კიდეც ვისაქმებ და საქმესაც გავრიგებ; მაშინ ან შენი შემწეობა რათ მინდა და ან სხვისა...

ენკენისთვის კთ (29)
ქრკ. 494 (1806)

ალექ-სანდრე.

ქ. მის ბრწყინვალეს თავადს ბებუთოვს

მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ. მერე შენი წიგნი მომივიდა და საკურლათ ხაჩ-ქარად მაშურებ და ასე ჩქარა ჩემი მოსვლა როგორ იქნება. თუ თითონ ხემწიფის ხელწერილი არ მომივა, მე არც ღუდოვიჩის სიტყვით მოვალ და არც სხვის სიტყვით. არ იცი რომ მე ეგენი არათა ჩანს და არც არათ ჩავაგდებ. თუ თითონ ხემწიფის ხელ-წერილი არ მომივა, არც შენს სიტყვას ვერწმუნები და არც მაგათს. მახლას ეს არის, რომ რუსეთში რაც იარანალები არიან, სუყველას წიგნი რომ მომივიდეს არც ერთს ერთ ფულად არ ჩავაგდებ, თუ ხემწიფის ხელწერილი არ მომივიდა არც ვერწმუნები და თუ ჩემი მოსვლა უნდა ხემწიფიდან ერთი ხელ-წერილი მომიტაინონ, რომ დავერწმუნო და კიდეც მოვალ და კიდეც ვემსახურები ხემწიფეს. და ასე არ იქნება, მე ამ წიგნის მიწერ-მოწერით არც მოვალ და არც იქნება და ნურც იმედი გაქვსთ. რომ მოვიდე მე ამეებითა. ღვინობისთვის იბ (12),

ქრკ. 495 (1807)

ალექ-სანდრე

„მოამბე“ № 2 1900 წ.

ახალი ამბები და შენი შენები.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს მოლოცვის დეპეშები მოუვიდა რუსეთისა და კავკასიის სხვადა-სხვა ადგილებიდან, დაწესებულებათა, მინისტრთა, მმართველთა და კერძო პირთაგან. მოგვყავს ზოგიერთი დეპეშა:

ბერსტორფიდან, ხელმწიფე დედოფლის მრჩამ ფოდორეს ასულისაგან: «მეტად მასიამოვნა იმ გრძნობებმა, რომელიც გამოთქმულია თქვენსა და თავ. ლორთქიფანიძის დეპეშებში. ვეულოცავ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობათ სასიხარულო დღის იუბილეის და გულითადათ ვუსურვებ ძვირფასს კავკასიას ბედნიერებასა ჩვენის საყვარელის სამშობლოს სასახელოდ და სასიხარულოდ. მრჩამ“.

სპალიდან, ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისაგან: „გულითადათ ვმადლობ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობათ იმ გრძნობებისათვის, რომელნიც გამომიცხადეს დეპეშებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღის დღესასწაულის გამო. ცხოველის ყურადღებით თვალ-ყურს ვადევნებ დღესასწაულებს და ჩემს ლოცვას ვუერთებ ქართველის ერის ლოცვას სამშობლო მხარის კეთილ-დღეობისათვის. ალექსანდრა“.

დიდი მთავრის სერგი მიხეიდის ძისაგან: „გულითადათ ვულოცავ თავად-აზნაურობას დღევანდელ მნიშვნელოვან დღეს. ღრმად ვწუხვარ, რომ, თუმცა დიდი სურვილი მქონდა, ვერ ვისარგებლე თქვენის მოწვევით და ვერ მივიღე მონაწილეობა ჩემის სამშობლოს დღესასწაულში სასიხარულო ისტორიულ დღის სახსოვრად».

ფინანსთა მინისტრის ვიტტესი: „საქართველოს თავის ნებით რუსეთთან შეერთების ასის წლის დიდი მნიშვნელოვან დღესასწაულის დღეს გულითად მოლოცვას ვუგზავნი ქართველთა სახელოვან თავად-აზნაურობასა და მთელს კავკასიის მხარეს. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მკვიდრ ნიადაგზე დაამყარა კავკასიის მხარის დამშვიდება და შემდეგ მისი სწრაფი კულტურული და ეკონომიური განვითარება. როგორც რუსი და ამასთანავე საქართველოში დაბადებული, გულწრფელად ვუსურვებ მთელს დედა-მიწაზე უმდიდრეს ქვეყანას—საქართველოს—განვითარებასა და აღყვავებასა და ყოველივე კეთილს ვუსურვებ საქართველოს თავად-აზნაურობას, რომელმაც ბევრი შრომა გასწია და ბევრი სისხლი დაღვარა თავის მამულის—საქართველოსი და საერთო სამშობლოს—რუსეთის კეთილ-დღეობისათვის. საქართველოს სახელოვან წარმომადგენელებში ყოველი რუსი დიდი ხანია უკვე ხედავს მფარველთა და მოღვაწეთ არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელის რუსეთის იმპერიისას“.

ზღვათა მინისტრის ტირტოვისაგან: „ზღვათა უწყება უერთდება რუსეთისათვის ღირს-სახსოვარ დღის დღესასწაულს,—იმ დღისას, როდესაც რუსეთი და საქართველო შეერთდნენ, და გულითადათ უსურვებს განაპირა ქვეყნებს შეკავშირდნენ მეფისა და სამშობლოს სასახელოდ».

იუსტიციის მინისტრის მურავიოვისაგან: „სამწუხაროდ, არ შემიძლიან დავესწრო საქართველოს სამეფოს რუსეთთან თავის ნებით შეერთების ასის წლის დღესასწაულს. გულითადათ გმადლობთ მოწვევისათვის და გულწრფელად გილოცავთ დიდ-მნიშვნელოვან დღესასწაულს“.

ნიკოლოზ ფურნოვისაგან: «ვულოცავ სახელოვან ქართველ თავად-აზნაურობას საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლიწადის შესრულებას. ვუსურვებ საქართველოს აღყვავებას. დღეს ჩამოვედი მოსკოვში და დღესასწაულებზე ჩამოსვლას ვეღარ მოვასწრებ. გიგზავნით წერილს“.

ვლადიმირის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ, გოლიცინისა: „მეტად ვწუხვარ, რომ გარემოებანი შეძლებას არ მაძლევენ ვისარგებლო თქვენის მოწვევით და ჩამოვიდე თქვენს დღესასწაულზე დასასწრებლად. პირადათ ჩემთვის საქართველო სამშობლოა და საყვარელი მხარე, რადგანაც დედის მხრით მეფე ვახტანგ თეიმურაზის ძის შთამომავალი ვარ. მეფე ვახტანგის შვილს არჩილს 1700 წელს ებოძა ნიეგოროდის გუბერნიაში მამულები, რომელიც მემკვიდრეობით დამჩა თავად გიორგი ალექსანდრეს ძის გრუზინსკისაგან. უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ვლადიმირის თავად-აზნაურობისაგან ნამდვილი რუსული მოლოცვა ქართველ თავად-აზნაურთ, რომელიც შეგროვილა საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების დღესასწაულზე. აღყვავდეს საქართველო და სახელოვანი ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც საუკუნოდ შეუერთდა წმინდა რუსეთს ერთობით, რუსეთის მეფეთადმი საერთო სიყვარულით და რომელიც რუსეთის თავად-აზნაურობასთან ერთად მზად არის იცოცხლოს, იმოღვაწოს და მოკვდეს საერთო სამშობლოსათვის».

ბორჯომიდან, დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან: «გთხოვთ, გადასცეთ პოლკოვნიკ გვათუას, თავად ამილახვარს და ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ახალგაზდა წარმომადგენელთ, რომელნიც ჩემთან იყვნენ საპატიო დარაჯებათა და მხლებლებად, უგულითადესი მადლობა მუყაოთ სამსახურისათვის, რომელმაც მეტად მასიამოვნა. მიხეიდ“.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. მკერდის რომელ მხარეზე უნდა იყოს დაკიდებული ძმობის და სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოს ნიშნები, მენდლებს ზემოთ, თუ ქვემოდ?

მიგ. ორივე ეს ნიშანი უნდა ატარონ მკერდის მარცხნივ მხარეზე, მენდლებს ქვემოდ.

კით. რა უფლება აქვს საბჭოში სასულიერო უწყების წარმომადგენელს (დეპუტატს)? აქვს თუ არა მას ხმა, განსაკუთრებით, როცა ირჩევა ქალაქის თავი?

მიგ. სასულიერო მთავრობის წარმომადგენლის უფლებანი განსაზღვრულია სამოქალაქო დადგენილებით (გამოცხადებულია „სასულ. უწყებებში“ 1892 წ.) და უმთავრესად სასულიერო მთავრობის წარმომადგენლის უფლება იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიცვას სასულიერო უფლების ინტერესები, როდესაც ამ ინტერესებს ეხება ქალაქის თვით-მართველობა, ამ კითხვების განხილვის დროს მას უმეტესი ხმა აქვს; მაგრამ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭის ყრის დროს, აგრეთვე იგი არც კენჭის ყრით ინიშნება (იხ. სამოქალაქო დადგენილობა §§ 32 და 43).

კით. შეუძლია თუ არა მრევლის მღვდელს მღვდელ-მთავრის ნება-დაურთველად საჩივარი შეიტანოს ვისმეზე, როცა ვინმე საეკლესიო მიწის შესახებ დავას განაცხადებს ანუ ნივთიერად რაიმე ზარალს მისცემს მისდამი კუთვნილ ეკლესიას?

მიგ. უმართებელესი სენატის განმარტებით (დადგ. სამოქ. კასსაც. დეპარტამენტისა 1882 წ. № 119), მღვდელ-მთავრისაგან კანონიერი უფლების მიუცემლად სამღვდელო მოსამსახურეთ შეუძლიათ დაიწყონ საქმე, როცა ვინმე უკანონოდ დაიფლობს ეკლესიისადმი კუთვნილ საკუთრებას და ამით მფლობელობას დაურღვევს ეკლესიას; ყველა სხვა საქმეების შესახებ სამოქალ. სამსაჯ. წესდების მე-1285 მუხლის ძალით მღვდლისათვის საჭიროა ნებართვა ადგილობითი მღვდელ-მთავრისაგან.

კით. სამრევლო სკოლის მასწავლებელს მიეცემა თუ არა ჯამაგირი, როცა ზაფხულის თვეებში არ ასწავლის?

მიგ. კანონით ერგება, თუ საქმით დათხოვნილი არ არის იგი, რადგან ჯამაგირი მთელი წლით ეძლევა და არა თვეობით.

კით. სხვა ქრისტიანეთა აღმსარებელი შეიძლება დაინიშნოს სამრევლო სასწავლებლის მზრუნველად?

მიგ. მღვდელთ-მთავრის შეხედულებისამებრ შეიძლება ქრისტიანეთა სხვა აღმსარებლებიც დაინიშნონ და დამტკიცდენ სამრევლო სკოლების მზრუნველებად.

კით. ვინ იგულისხმება აღსარებით სიაში „სამხედროებად?“ საზოგადოდ იწერებიან აღსარებითი სიაში „სამხედროებად“ თავად-აზნაურნი და კანონიერია ეს თუ არა? სალდათად გაწვეულნი უნდა იწერებოდენ აღსარებით სიაში თუ არა?

მიგ. ძველის დროიდან «სამხედრონებად» იწერებოდნენ თავად-აზნაურნი, მაგრამ ეს ჩვენის აზრით, შეცდომა უნდა იყოს. დღეს „სამხედრონებად იწერებიან ისინი, რომელნიც ჯარებში მსახურებენ. ამის შესახებ ამას წინედ განმარტებაც იყო ჩვენს გამოცემაში. სამხედრონების მაგიერ უნდა იწერებოდეს თავად-აზნაურნი და არა სამხედრონი, რადგან სათაურიც ამას ამტკიცებს. სალდათად გაწვეულნი, რომელნიც სამსახურის გამო აღარ არიან სამრევლოში, აღსარებითი სიაში სრულებით აღარ ირიცხებიან და როცა დაბრუნდებიან, მაშინ ისევ იწერებიან; მაგრამ უნდა იწერებოდენ თავის წოდებით და არა მარტო გლეხად.

კით. არის რაიმე ისეთი ქაღალდი მისაცემი მღვდლისაგან მრევლზედ ან გამოწერილობა ან მოწმობა, რომლისთვისაც მანეთიანი ან ოთხ-აბაზიანი გერბის მარკა ითხოვებოდეს?

მიკ. არ არის. მღვდლისაგან მისაცემ ქალაღლებზე ითხოვება მარტო სამ აბაზიანი გერბის მარკა. ზოგიერთი მღვდლები უკანონოდ ახდევინებენ ოთხ-აბაზიან და მანეთიან მარკას გვირგვინის საკურთხ მოწმობებზე.

კით. შეიძლება თუ არა ხელ-მოუწერელი დაბეზღებითი წერილით მიეცეს მღვდელი გამოძიებასა და პასუხის გებაში?

მიკ. მომქმედი კანონებით აკრძალული არის საქმის და გამოძიების დაწყება და პასუხის გებაში მიცემა ხელ-მოუწერელი დაბეზღებითი წერილების გამო. მაგრამ კონსისტორიის 153 მუხლის თანახმად. მღვდელზე საქმის ძიება შეიძლება დაწყებულ იქნეს საჩივრების გარდა მღვდელ-მთავრისაგანაც იმ ცნობებით, რომელთაც მისდამი მიუღწევია—როგორი გზითაც უნდა იყოს. გამტყუნება და სამართალში მიცემა მღვდლისა შეიძლება კანსისტორიის 156 მუხლის თანახმად გამოცემული და დამტკიცებული საქმით.

კით. არის თუ არა სახელი მაგდალინა?

მიკ. ეს სახელი არსად წმიდანების სიაში არ არის. მაგდალი ადგილის სახელია და მიტომაც არის ნაჩვენები მარიამ მაგდალინელი.

1901 წლის 1-დ აგვისტოდან ქალაქ ბუქარეტში (რუმინიაში) გამოდის ფრანგულ-რუსულ ენაზე საეოველკვირაო გაზეთი

‹პრავოსლავნი ვასტოკ›

(„მართლ-მადიდებელი აღმოსავლეთი“)

ამ გაზეთში უმთავრესი მონაწილეობა აქვს

ნ. ნ. დურნოვოს.

წლიური ფასი გაზეთისა გაგზავნით ერთი თუმანია, ნახევარი წლისა—სუთი მან.

გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბაროთ: Bucaresti—Roumania. Strada Doamnei, 16 Redaction „L'Orient Orthodoxe“ ‹Православный Востокъ›.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან დაინერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი:

ოფიციალური განყოფილება: განჩინება უწმიდესი სინოდისა.—უმაღლესი ჯილდოები.

სალიტერატურო განყოფილება: ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. იპ. ვართაგავასი.—მართლ-მადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება. კაპახიძისა.—ბ-ნ ივ. კერესელიძის მოსაგონარად.—თემიდა (ლექსი) ქაიხოსრო გელოვანისა.—მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა.—გონების სალაროდან.—საისტორიო მასალა.— ახალი ამბები და შენიშვნები.

საჯირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკლო კითხვების განმარტება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 октября *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ᲨᲔᲜᲘ ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ᲔᲡᲠᲔᲗ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ᲚᲣᲙ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 22 **1883—1901** 15—30 ნოემბერი.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების საყურადღებოდ.

თუ კარგად დააკვირდება კაცი იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელი დროის კრებათა მოქმედებას, ადვილად შენიშნავს იგი, რომ სამღვდელოების სამ უკანასკნელ კრებაზე არც ერთი შესანიშნავი და საყურადღებო მსჯელობა და საქმის გარდაწყვეტილება არ ეოფილა, თუმცა კითხვები, რომლებზედაც მსჯელობა ჰქონდა ხოლმე კრებას, ეოველთვის საპატიონი და საყურადღებონი იევნენ, რამდენიმე კითხვა, კრებაზე გარდასაწყვეტი, უსაფუძვლოდ იდებოდა მეორე კრებისათვის და-აცა ამ საბით მიდის დრო. ავიღოთ, მაგალითებრ, წინა კრებაზე განსახილველი კითხვა სასწავლებლის გაეოფის და მოსამზადებელი კლასების დახურვის ან სხვაგან გადატანის შესახებ. კითხვა სერიოზული იეო, მაგრამ რით დაბოლოდა ეს კითხვა კრებამ? ორი დღის მსჯელობის შემდეგ კრებამ დადგინა: «გარდაიდგას ეს კითხვა მეორე კრებამდის». განა ეს კმაროდა? შეიძლება ამ კრებაზედაც ამნაირი განჩინების დადგენა მოისურვოს ვინმემ! მაკრამ ეს უშვილის საქმეს? წინანდელ კრებებზე ორ-სამ დღეში კეთდებოდა ის, რასაც წარსულ წელს

კრებამ მოანდომა ათი და თორმეტი დღე. და რატომ მოხდა ეს? მიტომ, რომ არც ერთმა ორატორობის მოსურნე დეპუტატმა სასწავლებლის წესდებაში არ ჩაიხედა, კრების მოქმედება, ეურნალების შედგენა და საქმის მსჯელობა არ შეუთანხმა სინოდისაგან დამტკიცებულ წესდებას. გაგრძელდა კრება და საქმე კი ბევრი არა გაკეთდა რა მიტომ, რომ თავსმჯდომარემ მისცა ნება კარეშე ჰირებს ორ-ორ საათობით სიტყვების გაგრძელებისა, რომელ სიტყვებსაც არავითარი კავშირი არ ქონდა კრების საქმეებთან. გაგრძელდა კრება მისთვის, რომ თითოეულ დეპუტატს სურს ილაპარაკოს და სიტყვების წარმოთქმაში ივარჯიშოს... ტყვილ უბრალოდ იკარგება დრო იმისთანა კითხვების მსჯელობაზე, რომლის გადასაწყვეტად ძიუცილებლად საჭიროა კამისიის დანიშვნა და ამ საშუალებით საქმის გამორკვევა.

საჭიროდ მიგვაჩნია და სასურველიცაა, რომ კრებამ მიაქციოს ეურადღება იმ წესის მტკიცედ აღსრულებას, რომელიც არსებობს კრებების მოქმედების შესახებ...

დრო მვირფასია კრებისათვის. დღეგანდელმა დრომ ბევრი ისეთი კითხვები აღძრა და წინ დაუყენა სამღვდელოებას, რომ იმათი გვერდის ავლა და უეურადღებოდ დატოვება ეოვლად შეუძლებელია. ეველამ გაიგო, რომ ტფილისის სემინარიაში სამი სასწავლებლიდან ცამეტი ქართველი, სასულიერო წოდების შვილები, ძლიეს მიიღეს, ალბად სხვებმა ეგზამენი ვერ დაიჭირეს. ჩვენს სემინარიაში, მადლობა ღმერთს, ბევრი იქნენ მიღებულნი, მაგრამ ეველას მიღება არც აქ მოხდა. სად წავიდნენ ის ბავშვები, რომელთაც ოთხ კლასიან სას. სასწავლებლები გზავნიან სემინარიებში შესასვლელად, მაგრამ ადგილის უმეტონებლობის მიზეზით იქ უარს ეუბნებიან? სამღვდელოებამ უნდა იფიქროს რამე თავიანთ შვილების აღზრდაზე.

სხვა-და-სხვა ზომებია მიღებული, რომ სასწავლებლებში იქმნენ მიღებულნი მარტო სასულიერო წოდებაში მოსაშსახურეთა შვილები. დანარჩენ მღვდლის შვილებს და შვილიშვილებს უარს ეუბნებ..ან. თუ მიიღებენ, სწავლის უფლებისათვის ბლომათ სთხოვენ ფულებს. საჭიროა სამღვდელოების კრებამ ამას მიაქციოს ეურადღება და ამ დარჩენილ ჰირთათვისაც იფიქროს რამე, იმედია, სამღვდელოების კრება მიაქცევს ეურადღებას ეველა იმ კითხვებს, რაც აწმეო დრომ მალაუნებურად წინ დაგვიენა და რასაედაც ჩვენს მოფიქრებას და გარდაწყვეტილებას ითხოვენ...

დეკ. დ. ღამბაშაძე.

ფრიად სასიამოვნო მოვლენა!

ჩვენ მრავალ გზის გვქონია საუბარი ჩვენს მკითხველებთან იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენ მონასტრებს ქართველების სვე ბედზედ და სარწმუნოების და ზნეობის ამაღლებასა და განმტკიცებაზე ხალხში. დღეს კი ჩვენი მონასტრები ძლიერ უფერულ მდგომარეობაში არიან. ჩვენ შევიტყვეთ, რომ მამა ამბროსი ხელაიას, რომელმანც ამ წელში დაასრულა ყაზანის აკადემიაში კურსი კანდიდატის ხარისხით, განუცხადებია სურვილი ჰელიშის მონასტერში წინამძღვრობაზე, გარდაცვალებული არხიმანდრიტის დანიილის ნაცვლად. მამა ამბროსის თუ ჩვენში არა, რუსეთში მაინც დიდი

ადგილის მიღება შეეძლო. მაგრამ თავისი ქვეყნის მონასტრების არა სანატრელმა მდგომარეობამ აიძულა იგი უარი ეთქვა სხვა ქვეყანაში სამსახურზე და ამისთანა მცირე ადგილზე აღირჩია სამსახური. პატივი მის მამულის სიყვარულობას! პატივი და ქება მის გაბედულებას და თავმდაბლობას. ჭეშმარიტად მკვნესარი გული იხარებს და დაკარგული იმედი გიბრუნდება მომავალზე. იქნება ღმერთმან ინებოს და შევესწროთ, რომ ჩვენ მონასტ.ხელახლავ გავიგონოთ ძველებური კითხვა და სულისა და გულის დამატკბობელი გალობა! იქნება შევესწროთ აგრეთვე იმასაც, რომ ამ მონასტრებიდან გაისმას მაღალი და გამამხნევებელი ხმა, სარწმუნოების და ქრისტიანული კეთილ ზნეობის აღმამაღლებელი, საქართველოს სამწყსოთადმი! ჭეშმარიტად შესანიშნავი და სასიხარულო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში მამა ამბროსის მიერ (ხელაიას) ასე მცირე ადგილზე სამსახურის აღრჩევა!..

დეკ. დ. დამბაშიძე.

«საქართველოს ეკკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკკლესიას: ბერძნებთან ერთად, თუ შემდეგ?» *).

ბერძნების ეკკლესია განშორდა დასავლეთის ეკკლესიას 1054 წელს ქრ. შობის შემდეგ. ამ დროს საქართველოს ეკკლესიას უკვე სრული ავტოკეფალობა ჰქონდა მოპოებული [1]). მაგრამ ამ დამოუკიდებლობით მას არ უბოროტსაგებლნია; იგი უწინდებურადვე იკავდა კავშირს (სულიერს კავშირს, რასაკვირველია) მსოფლიო ეკკლესიასთან,—არა მარტო აღმოსავლეთის ეკკლესიასთან, არამედ დასავლეთისასთანაც. ამის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია მე-XI—XIII საუკუნეების ქართულ საეკკლესიო გუჯრებში ნახმარი ფრაზა: „ხუთთა პატრიარქთა“ (ე. ი. კოსტანტინოპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის და რომის). აი ამ ფრაზის ნიმუში. მეფე ამტკიცებს გუჯარს თავისი ხელით, ხოლო კათალიკოზი, მეფისავე ბრძანებით, აგვირგვინებს მას შემდეგნაირი წყევა-შეჩვენებით: 1058 წელსა. „ესე ვითა... ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისსიმისსა დაუწერია..., მე გიორგი კათალიკოზი მოწამეცა ვარ დაწერილსა მათსა. აწ ვინც ვინ რამანც გვარმან კაცმან რასცა ჟამსა, ვითა მათსა დაწერილს სწერია, უქციოს და დაშალოს დაწერილი მათი..., ჰრისხამსცა მამა, ძე და სული წმიდა, წმიდა ღვთის მშო-

---

*) ჩვენ მოგვივიდა რომიდგან ერთ ქართველ პატრისაგან წერილი, რომლითაც იგი გვთხოვს შემდეგი კითხვის განმარტებას:

„საქართველოს ეკკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკკლესიას? ბერძნებთან ერთად, თუ შემდგომ?“

რადგანაც ეს საკითხი სხვებისთვისაც არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული, როგორც საეურადღებო მოგვლენა ჩვენი საეკკლესიო ისტორიის მხრით, ამისთვის ვბეჭდავთ აქვე საპასუხოდ ჩვენი თანამშრომლის შენიშვნას. რედ.

[1]) საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობის შესახებ ჩვენ გვაქვს სპეციალური ხელნაწერი მონოგრაფია, რომელს ბეჭდვისთვის ვამზადებთ. ამ მონოგრაფიაში ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნაზე:

საქართველოს ეკკლესიას დამოუკიდებლობა ერთბაშად არ მოუპოებია. ეს იყო შედეგი ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა. ამ პროცესში ჩვენ გავარჩიეთ სამი მომენტი: 1) დდიდან ქრისტიანობის მიღებისა საქართველოს ეკკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს (324—495 წწ.); ვახტანგ გორგასლანის მეფობაში მან მოიპოვა „არა სრული ავტოკეფალობა“ (493—495 წ.); 2) უფრო მეტი უფლებები დამოუკიდებლობისა შეიძინა ჩვენმა ეკკლესიამ მე-VIII საუკუნეში, არბების შემოსევის კამა, ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს († 751 წ.) ნებართვით; 3) მე-XI საუკუნეში კი საქართველოს ეკკლესია, როგორც სჩანს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ადწერიდან, თავისთავს სთვლიდა სრულიად კანონიერ დამოუკიდებელ ორგანიზმად, რასაც ერთი საუკუნით კვინ საგსებით ამოწმებს ანტიოქიისავე პატრიარქი, ცნობილი საეკკლესიო კანონისტი, თეოდორე ბალზამონი თავის „წმ. მოციქულთა და მსოფლიო კრებათა კანონების“ განმარტებაში.

ბელი და კრულადმცა არიან დაუსაბამოის სულის სიტყვითა, წმიდათა მოციქულთა მადლითა, ექვსთა კრებათა მადლითა, ᲗᲣᲗᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐ ᲯᲕᲐᲠᲘᲗᲐ“... და სხვ. [2]). ამ რიგად, სწორა ოთხი წლის უკან; შემდგომ საბერძნეთის ეკკლესიის დასავლეთის ეკკლესიისაგან განყოფისა, საქართველოს ეკკლესიის თავი, კათალიკოზი გიორგი, შესაძლოდ ჰრაცხს მსოფლიო პატრიარქთა შორის მეხუთე „პატრიარქიც“ მოიხსენოს, ᲔᲑ. Ი. რომის პატრიარქი ანუ პაპა. ცხადია, იმ დროს (1058 წელს) საქართველოს ეკკლესია არ სცნობდა საჭიროდ საბერძნეთის ეკკლესიისათვის მიებაძნა; იგი მაშინ თავს უკვე იმდენად დამოუკიდებლად ჰრაცხდა, რომ შეეძლო დამოუკიდებელი აზრი ექონია ამა თუ იმ მსოფლიო ხასიათის საეკკლესიო მოვლენათა შესახებ, როგორიც იყო, მაგალითად, რომის და კონსტანტინოპოლის ეკკლესიათა განხეთქილება. ამავე აზრს ადგა საქართველოს ეკკლესია მე-XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, როგორც სჩანს იმავე საეკკლესიო გუჯრების განხილვიდან. მაგალითად, თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისადმი მიცემულს გუჯარში (1189 წელს) ვკითხულობთ: „მეცა ბლახაკი ქრისტეს მიერ კათალიკოსი თეოდორე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ. ვინ და რამანცა ბვარმან კაცმან რასაც ჟამსა, რაისაცა მიზეზის მოღებითა ხელ ყოს. შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს... ᲗᲮᲣᲛᲔᲢᲗᲐ მოციქულთა, შვიდთა კრებათა მადლითა, ᲗᲣᲗᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐ ᲯᲕᲐᲠᲘᲗᲐ კათოლიკე ეკლესიისა“... და სხვ. [3]). მსგავსსავე წარწერას ვპოებთ მე-1259 და 1250—1260 წლებს ქვეშე [4]).

ამ სახით, თითქმის ლიონის უნიამდე (1274 წ.), საქართველოს ეკკლესია, თავის კათალიკოზთა პირით სახალხოდ აღიარებდა თავის განუწყვეტელ სულიერ კავშირს დასავლეთის ეკკლესიასთან, როდესაც ამ უკანასკნელის მამათ-მთავარს — პაპას „კათოლიკე ეკკლესიის“ პატრიარქთა რიცხვში აღიარებდა. ასეთი უტყუარი ფაქტები ჩვენი ისტორიისა. შეიძლება უკიდურეს ორთოდოქსალებს ჩვენი ამგვარი დასკვნები არ მოეწონოსთ, მაგრამ რა ვქნათ: ფაქტების წინააღმდეგ მსჯელობა ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ აღვიარებთ მხოლოდ მას, რასაც ფაქტები გვეუბნებიან“.

ს. გ—ძე.

ᲩᲥᲘᲛᲘ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

(გაგრძელება*)

ერთი დღე გადავდევით ქალაქ ვერსალის დასათვალიერებლად. ამიდი მშვენიერი იყო. დილის ცხრა საათზე გავემგზავრეთ და ერთი საათის შემდეგ მივედით. გზა დიდი არ არის, მაგრამ მატარებლები გზაში ხშირად ჩერდებიან სადგურებზე ხალხის წასაყვანად. გარეგანი შეხედულება ქალაქისა სასიამოვნოა. ქალაქი სუფთა და კოჭნიაა. ტრამვაიები არის ელექტრონით გამართული. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი დღეს 70,000-მდეა. ქალაქში სახლები მშვენიერია, აგრეთვე მშვენიერი სანახავია ციხე და ბაღები და, განსაკუთრებით შესანიშნავია შადრევანები, მაგრამ ყოველივე ეს ხალხს იმდენად არ მიიზიდავდა სანახავად, რომ აქ არ იყოს შესანიშნავი სასახლე თავისი შესანიშნავი მუზეუმით. ეს მუზეი დაარსებულია ლუი ფილიპეს ბრძანებით და თაოსნობით 1832 წელს; მის მოსაწყობად თავისი საკუთარი ფულებიდან მას დაუხარჯავს თუთხმეტი მილიონამდე. შემდეგ ყველა მართებლობას, როგორც იმპერატორებს ისე რესპუბლიკას თუ უმატებია მუზეის გამშვენება და მომატება, თორემ არა დაუკლიათ რა. ვერსალის მუზეუმი შესდგება უმთავრესად ახალი დროის შესანიშნავი

[2]) იხ. თ. ჟორდანიას: „ქრონიკები“ წ. I, გვ. 204—205.

[3]) თ. ჟორდანია, „ქრონიკები“ წ. II, გვ. 75.

[4]) იხ. იქვე. წ. II, გვ. 140: რკინის გუჯარი. და გვ. 152 შიომდვიმის სიგელი. ამ უკანასკნელში: «ᲥᲔᲛᲘᲗᲐ კრებათა მადლითა და ᲗᲣᲗᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐ ᲯᲕᲐᲠᲘᲗᲐ; ქართლისა კათალიკოზთა ᲯᲕᲐᲠᲘᲗᲐ» და სხვ.

*) იხ. „ᲐᲕᲬᲔᲛᲘᲡ“ № 10, 1901 წ.

ისტორიული მხატვრობისაგან განსაკუთრებით. აქ თითქმის ყველა მხატვრობას ნახავთ, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ერთ დღეს ყველა ზალების დათვალიერებას ვერ მოასწრებს კაცი. რომ არსად გაჩერდე და მარტო სასახლის ყველა ზალები დაიარო, საათ ნახევარი მოუნდები. ჩვენ უმთავრესი ზალები დავიარეთ და დავათვალიერეთ შესანიშნავი მხატვრობანი ისტორიის მხრით. კაცი აქ ნახავს სულ ძველი დროის ყოველ ისტორიულ სურათებს. არ არის გამოტოვებული არც ერთი პატარა შემთხვევა საფრანგეთის ბრძოლისა ყოველ სახელმწიფოებთან. ვერ ნახავთ ერთ სახელმწიფოს არა თუ ევროპაში, არამედ აზიაშიაც, რომ საფრ. ჯარი არ შესულიყოდეს თვით სატახტო ქალაქებში. რამდენჯერ შესულა საფრ. ჯარი ბერლინში, ვენაში, რომში და სხვა პატარა სამთავროებში. რუსეთის სახელმწიფო ხომ შორ არის პარისზე, მაგრამ 1812 წელში მოსკოვიც დაიპირეს. სადაც კი ჩხუბი ქონიათ და გაუმარჯვნიათ, ყველა ამისთანა შემთხვევების სურათებით არის სავსე ვერსალის შესანიშნავი სასახლის ზალები. არ არის დატოვებული არც ერთი შესანიშნავი გენერალი, ჯარის უფროსი, შესამჩნევი სალდათები და მებაირაღეებიც, რომ მათი სახეც არ დაეხატოთ და ქვეყნის საჩვენებლად არ გაეხადოთ. რომ დათვალიერებ ყველა ზალებს და ისტორიულ სურათებს, როცა კარგად დახედავ ამ სასახლეში იმ ერთ დიდ ზალას, რომელშიც ძველ დროში და დღესაც იკრიბებიან ხოლმე სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად და საბჭოდ და პრეზიდენტის აღსარჩევად, მაშინ წარმოგიდგებათ თქვენ თვალ წინ ერთ დროს დიდებული საფრანგეთი თვისი ძლიერებით, რომელიც როგორც კი ხელს აიშვერდა და დაიძახებდა „ციც“, ყველანი გაჩუმდებოდნენ და კრძალვით შეჩერებოდენ პასუხის გაუცემლად. დღეს იგი „ციც“-ს კი არავის უბეღავს, პირიქით ლაქიად გამხდარა, მეგობრობასა და დახმარებას სთხოვს ისეთებს, რომელთაც ორმოცი წლის წინად ყოველისფერში მასხარად იგდებდა...

სწორედ გასაკვირველია, რომ ამისთანა შესანიშნავი სასახლე პარიეში კი არა ვერსალშია. როცა მესამე სართულიდან დაათვალიერებთ ვერსალის სასახლის მიდამოებს, ბაღებს და შადრევნებს, თქვენს გონებაში რჩება ისეთი შესანიშნავი სურათი, რომელსაც არც ერთი ქვეყნის სურათი არ დაჩრდილავს და რომელიც უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ წაიშლება მნახველის გონებაში. სასახლე არის მაღლობ გორაზე და ყოველი მხრით დაბლობი ადგილები მის გარშემო, სწორედ მშვენიერი სანახავია. ხეების ტოტები მეტის-მეტად ხელოვნურად და საამოთ არიან შეკრილნი. ზოგი წარმოადგენს ზვინის სახეს, ზოგი შაქრის თავსა გავს და ზოგან თაღებია გადასული და სულ ჩრდილით არის დაფარული სასეირნო გზა. მერე არ იკითხავთ რა ხეები არიან? ჩვენებური კვინცხის ხეები!..

შადრევანები ხომ შესანიშნავნი არიან. სწორედ იმ დროს დავესწარით იქ, როცა შადრევანები აუშვეს. მეტის მეტად სასიამოვნო სანახავი იყო. ზოგიერთი შადრევანი, რომელნიც ჩვენ პეტერგოფში გვინახავს და რომელნიც ვერსალის შადრევანების გეგმაზეა გაკეთებულნი. საღამოზე ისევ პარიზში დავბრუნდით.

ქალაქ პარიზის ყველა სანახავებზე შესანიშნავი და საყურადღებო ლუვრის სასახლე და მისი მუზეუმია. ეს არის ერთი უზარმაზარი სასახლე რიეოლის ქუჩის და სენის მდინარის შუა, შესანიშნავი გეგმისა სხვა დანარჩენ საზოგადო შენობათა შორის. შესანიშნავია ეს სასახლე როგორც გეგმით, ისე ყველა იმით, რაც მასშია მოთავსებული. ამ ადგილას 1223 წელში ყოფილა სასახლე ფილიპე ავგუსტინის დროისა, მაგრამ ფრანციასკო პირველმა ბრძანა, რომ ყოველგვარი შენობა ამ ადგილზე მოეშალათ და დღევანდელი შენობა გამართათ. 1510—1575 წწ. სასახლეს შეადგენდა ჯერეთ დასავლეთის მხრით სასახლის შენობები. ეს ადგილი იწოდებოდა ძველი ლუვრის შენობად და ძველი დროის საუკეთესო ხელოვნებად აღიარებენ. ეს ნაწილი ლუვრის სასახლისა, რომელიც დაწყებული იყო გენრიხ მეორის დროს, გაგრძელებული იყო სენის მდინარემდის. ამ სასახლეში სცხოვრებდა კატერინა მედიჩი თავისი შვილით—კარლ მეცხრამეტით. 19 აგვისტოსს 1572 წელსა შესრულდა ქორწინება მარგარიტა მარგარიტასა და ნავარის კაროლზე, ბოლოს საფრანგეთის კაროლად გენრიხ V მეოთხედ წოდებულზე. ქორწინების ხუთი დღის შემდეგ, 25 აგვისტოს, გამოიცა ბრძანება ღამით გუგენოტების ამოჟლეტის შესახებ. შემდეგ

რამოდენიმე ნაწილი ამ შენობისა კიდევ დაანგრიეს, მაგრამ ბოლოს ისევ ააშენეს. შენობას ბევრი მოემატა მეფე ლიუდოვიკ მე-XIV დროს. ლიუდოვიკ მეთუთხმეტის და ლიუდოვიკ მეთექვსმეტის დროს აღარაფერი მიმატებია სასახლეს, რადგან ისინი უმეტეს ნაწილად არ სცხოვრობდენ ამ სასახლეში. ისინი უმეტესად სცხოვრობდენ უფრო ვერსალში, სერენენმენში და ტიუილერის სასახლეში. რევოლიუციის დროს შენობას არაფერი მომატებია. ამ სასახლის გადიდება დაწყებულ იქმნა ნაპალეონ პირველის დროს; შენობამ შემოუარა ყოველი კუთხით ლუვრის სასახლის შინაგან ეზოს და ბოლოს მიყვეს ხელი სასახლის შიგნივ მორთულობას და მუზეუმების მოწყობას. ბოლოს ამდენი ხნის დაწყებული შენობა დაამთავრა ნაპოლეონ მესამემ მისი იმპერატორობის დროს 1851—1856 წლებში. შენობას მოუნდა კიდევ 75 მილიონი ფრანკი და დასრულდა კიდეც. ამ სასახლის ყველა შენობა წარმოადგენს ერთ უდიდეს და ლამაზ შენობას არა მარტო ქალაქ პარიზში, არამედ მთელს ევროპაში. ამ სასახლეს დიდი ადგილი უკავია და მრავალი შენობებიც არის ამ სასახლეში, მაგრამ ისე არიან მოწყობილნი, რომ ერთი მეორესთან შეწყობილნი არიან და ბოლოს შიგნითაც ყველა სანახავები შესაფერისად დალაგებულნი არიან თავ თავის ადგილას. ჩრდილოეთის მხრით ორი ფლიგელი აქვს მიშენებული, თვითეული სიგრძით არის ორას-ოცი მეტრი. (მეტრი ხუთი ჩარექია). ძირა სართულში სიგრძეზე არის გაყოლებული, ესრედ წოდებული, პორტიკები და ამ პორტიკებში არის ამართული 86 დიდი ქანდაკება შესანიშნავი ფრანცუზებისა და მათ ზემოთ სხვა-და-სხვა ალეგორიული სურათები. ლუვრის სასახლის წიგნთ-საცავი, რომელშიაც სხვა-და-სხვა შესანიშნავი ხელნაწერები იყო რიცხვით ოთხმოც-და-ათი ათასამდე, მთლად დაიწვა, როცა კომუნისტებმა ტიუილერის სასახლეს ცეცლი წაუკიდეს 24 მაისს 1871 წელსა. 21 მაისს ამ სასახლეში შეცვინდა ინსურგენტების ჯარი და უბრძანა მეკარეს, რომ რამდენიმე ზალაში მოესხათ ნავთი და ცეცხლი მოეკიდებინათ, მაგრამ მეკარე არ დათანხმდა და არ აასრულა მათი ბრძანება. მერე შეაგდეს ზალაში თავისი ცოლიანად ეს მეკარე და წაუკიდეს გარედან ცეცხლი სასახლეს. დილით მოუსწრო მართებლობის ჯარმა გენერალ დუეს კამანდობით და გადაარჩინა სასახლე მთლად დაწვას და ეს მეკარეც ცოცხალი გადაარჩინა მისი ცოლით.

ლუვრის მუზეუმი მეტის-მეტად შესანიშნავია და ამ უზარმაზარ სასახლის მრავალ ზალებში იმდენი შესანიშნავი ნივთები არის, რომ მნახველს ეგონება ეს მუზეუმი კი არა სხვა-და-სხვა შესანიშნავი სანახავების საწყობიაო. ამ მუზეუმის მნახველთა რიცხვი მეტად ბევრია ყოველთვის. წინა დროებში აქ მეკარეები მნახველების ქორგებს და ხელსაბიჯგ ჯოხებს მიიბარებდენ და როცა დაუბრუნებდენ პატრონებს, ისინიც ათ სუს, ე. ი. თითო შაურს აძლევდენ საჩუქრად. ამნაირად შეკრებილი ფული წლის განმავლობაში გროვდებოდა ორმოც-და-ათი ათას მანეთამდე. ჩვენ დავათვალიერეთ ლუვრის მუზეუმები ამნაირად: პირველად დავათვალიერეთ მუზეუმი მხატვრობისა. თქვენ აქ ნახავთ ყველა შესანიშნავი პირების სურათს და საღმრთო ისტორიიდამაც მრავალ სურათებს, როგორც საფრანგეთის სკოლისას, ისე ევროპის ყველა სახელმწიფო სკოლებისას.

სურათების მუზეუმს მეტის-მეტად დიდი ადგილი უკავია და ამისათვის სწორეთ აქ მოუყრიათ თავი იმდენი სურათებისათვის, რომ არსად ამის მსგავს არ შეხვდებით. აქ არის 18 ათასი სურათი იტალიის სკოლისა, 87 ისპანიისა, 82 გერმანიისა, 2152 ფლამანდიის სკოლისა, 1071 გოლანდიისა, 11 ათასი თვით საფრან. სკოლისა, 11 ათასი ინგლისის სკოლისა, 82—ინდიის სკოლ., 9—ჩინეთისა და 200—სურათამდე ფოლადზე და ფიცარზე გაკეთებული მხატვრობაა. მთლად ყველანი არიან 36 ათასი სურათი.

მუზეუმი ხეზე და თუთბეზრე ამოჭრილი სურათებისა. ამ განყოფილებაშია 4600 ხეზე, თუთბერსა და ფოლადზე ამოჭრილი სურათია. აქ ნახავთ ყველა სასახლეების და ბაღების სურათებს.

მუზეუმი საშუალო საუკუნეების ქანდაკებათა. აქ თქვენ ნახავთ ყველა შესანიშნავ პირთა ისტორიულ მოთხრობათა და საღმრთო მოქმედებათა ქანდაკებას.

ახალი დროის საფრანგეთის ქანდაკებათა განყოფილება.

მუზეუმი ასურეთის ხელოვნებისა. აქ ნახავთ ასირიანების და ბაბილონელების დროის ხელოვნება

თა, რომელნიც სცხოვრობდენ 4500 წლის წინეთ ჩვენი დროისა. ამ უკანასკნელ დროს ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიწყეს მიწის თხრა ასურეთის და ბაბილონის ქვეყნებში და შესანიშნავი სიძველენი ჩაიგდეს ხელში.

ეგიპტის მუზეუმი. ამ განყოფილებაში მეტის-მეტად შესანიშნავ ეგვიპტის ნივთებს ხედავს მოგზაური და კვირდება, თუ როგორ მოიტანეს ეს უზარმაზარი ნივთები ამ სიშორე ადგილიდან.

ყველა ამ ეებს გარდა ბევრი რამ ვნახეთ და ბევრი რამ დავათვალიერეთ და შევიტყვეთ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა დაუთვალიერებელი და უნახავი. ბევრ რამეს მოგითხრობდით კიდევ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ყველაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ეს სასარგებლოთ არ მიაჩნიათ ზოგიერთებს.

ჩვენი ცნობის მოყვარეობა, ჩვენი სული და გული პარიზის დათვალიერებით, გამოფენის ნახვით და ფრანგების ცხოვრების ცოტად თუ ბევრად გამოკვლევით დაკმაყოფილდა და უმეტეს სასიამოვნო შთაბეჭდილებას აღარ მოველოდით. პარიზიდან ინგლისისკენ გავემგზავრეთ და რაც იქ ვნახეთ, შემდეგ მოგითხრობთ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

კიდევ რაოდენიმე სიტყვა იმერული ტირილის შესახებ.

ყოველი მღვდელი მოვალეა უღრტვინველად და გულმოდგინებით ასრულებდეს თვისის მწყემსთმთავრისაგან მოსდენილ განკარგულებას ჯერ მაშინაც, როდესაც ეს განკარგულება არ ეთანხმება მის საკუთარ რწმენა-შეხედულებას და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განკარგულება გამოწვეულია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დამყარებული ადამიანური გრძნობით და საზოგადო სარგებლობით. ასეთ გძნობაზე არის დამყარებული ყოვლად სამღვდელო ლეონიდის განკარგულება შესახებ იმერული ჩვეულებისა მიცვალებულთა დასაფლავების დროს და ამიტომ დიდის თანაგრძნობით მიიღო იგი ბრა თუ მარტო სასულიერო წოდებამ, საერო წოდების უმეტესობამაც კი. გლეხობამ მაშინვე მოსპო ზარი და ნახევრობით მაინც შეამცირა უსარგებლო ხარჯი მიცვალებულის გასვენების დროს. თავად-აზნაურობაში თუმცა ჯერეთ მიცვალებულზე ხარჯი შესამჩნევად არ შეუმცირებიათ, მაგრამ ზარი კი იქაც უმეტესობამ მოსპო და მის ნაცვლად აქა-იქ შემოიღეს მგალობელთა მიპატიჟება. ადრე თუ გვიან, ამ ჩვეულებას გლეხობაც შემოიღებს, რადგან აქ საძნელო არაფერია და მოსაწონი კი ბევრი. თუ კი ადრე თითო-ოროლა აბაზს მოზარეებს აძლევდენ უმსგავსო ღრიალისათვის, რა დიდი საქმე იქნება იგივე საშრომელი მგალობლებს მისცენ? ამნაირად, იმერული ზარი მალე ისტორიას გადაეცემა და რამოდენიმე ხნის შემდეგ მას ისე გაკვირვებით მოიგონებენ, როგორც ეხლა იგონებენ ადრინდელ ქვითინს მიცვალებულზე.

ხშირად საზოგადოება ძალაუნებურად ასრულებს რომელიმე ცუდ ჩვეულებას: რომ კიდეც გრძნობდეს მის სიცუდეს, კერძოდ ყველა ერიდება თითონ მოსპოს იგი, ვაი თუ სხვებმა დამზრახონო, და ერთმანერთის ცქერითა კი, როგორც მოგეხსენებათ, სახლი ივსება მტვერითა. ამის შემდეგ კი ყველას საბუთი ეძლევა უარყოს ეს ცუდი ჩვეულება, მაგრამ, რუსული ანდაზისა არ იყოს, ოჯახი უმახინჯოთ არ იქნება. თუ ეს ანდაზა მართალია, რა გასაკვირველია, რომ ამ დიდ ოჯახშიაც, რომელსაც საზოგადოება ქვია და მრავალი კერძო ოჯახებისაგან შესდგება, აქა-იქ. გონებითა და ზნეობით მახინჯი ადამიანები გამოერიონ. ზოგიერთები გაიძახიან: „ვის შეუძლია ამის „ზაპრეშენია?“ ვინ დამიშლის ზარს და მით მომისპობს დედა-ენასს?!“ ამის მთქმელს სრულებით არ გაეგება რა არის დედა-ენა და ვერც დაარწმუნებ, რომ ზარი დედა ენა კი არა, სამარცხვინო ღრიალია. ზარის დამცველნი ამასაც ამბობენ საბუთად, რომ ზარი ტირილის უცოდინარს, ან ისეთს, ვისაც სრულებით არ ეტირება მიცვალებული, შეძლებას აძლევს იტიროს იგი. კიდეც ეს არის ჩვენი მიმუნობა, რომ ვტირით იქ, სადაც არაფერი გვეტირება და ვმხიარულობთ, სადაც სხმხიარულო არაფერი გვაქვს. რაიცა შეეხება ტირილის უცოდინარობას, აქაც ზარი რა შუაშია? ტირილი უნებლიეთი ფსიხოლოგიური გრძნობის გამომხატველია და მას არავითარი ცოდნა არ სჭირ-

დება, ვისაც ეტირება მიცვალებული, კიდეც იტირებს. მაგრამ ჩვენ საცოდავებს ყველაფერზე დამახინჯებული და ვიწრო შეხედულება გვაქვს: ზარის მოსპობაში დედა-ენის მოსპობას ვხედავთ და ერთი მტკაველი მიწის დაკარგვაში კი მამულის, ე. ი. სამშობლო ქვეყნის დაღუპვას. აი ამის მაგალითიც: ერთ სოფელში ორ წოდებას პატარა ადგილზე დიდი ხნიდამ დავა ქონდათ და ეს დავა-ჩხუბი ორი კაცის სიკვდილით გათავდა. ერთის გასვენებაზე ვინმე განთქმულმა მომტირალმა ზარი (რომელიც მაშინ დიდ პატივდებაში იყო) გააჩუმებინა და „რეჩით“ დაატირა მიცვალებულს: „შენ აღინთე დაუშრეტელი ლამპარი, შენი სიკვდილი არ არის სიკვდილად ჩასათვლელი, რადგან თავი შესწირე მამულს!“ დიდება შენდა, ღმერთო! კაცმა ერთი მტკაველა მიწისათვის თავი მოიკლა, ცოლ-შვილი აატირა, სული წაიწყმიდა და კიდევ თავზე დასტირიან: „ნეტავი შენ, მამულს თავი შესწირეო!“ ასე დაქუცმაცდა ჩვენი გრძნობა-გონება. ვითომ ძველებს ვბაძავთ, მაგრამ არ ვიცით, რაში და რანაირად? მე კი ამას ვიტყვი: ყოველთვის და ყოველ ხალხს ყოლია და ყავს მოწინავე კაცები, რომლებთაც უმეტესობა უგონებს და მათი ცოდნა-გამოცდილებით სარგებლობს; ასეთი- კაცები ჩვენც გვყვანან და ხშირად მათი გავიგონოთ და ჩინელებივით მარტო ძველთა ჩვეულებას ნუ მივსდევთ, ნამეტურ არა მოსაწონს, თორემ კიდევ უფრო დავიქვეითებთ როგორც ზნეობრივათ და გონებრივად, ისე ნივთიერადაც.

მღ. სიმონ ჭუმბურაძე.



საიქიოდან.

არ შეუშინდე ჩემს სიკვდილს,
გულ-მხნედ იყავი, დედაო,
ჩემს ცხედარს სისხლით ნუ ღებავ,
მშვიდად უცქირე, დედაო.

—

რას გარგებს შფოთვა, გოდება,
რას ელი მისგან. დედაო,
მოგიკვდი შვილი, ხომ ხედავ,
ველარ აღმადგენ ვერაო.

—

რამდენიც უნდა იქმუნვო,
მუქთად დაშვრები, დედაო,
მაშ რად იმოკლებ შენ ვადას
მად სიცოცხლისას, დედაო.

—

სულს ესმის შენი გოდება,
იტანჯვის ცოდვით, დედაო,
მაგრამ სხეული ქვად ქმნილი
ვერ გაძლევს ნუგეშს, დედაო.

—

დიდის ხნით მძიმე სნეულმა
ბევრი გაშრომე, დედაო,
დღე და ღამ ძილი არ გქონდა,
თავს მევლებოდი, დედაო.

—

ვიღა მოგიზღავს იმ ვალსა,
რაც მე დამდევი, დედაო,
არას შურავდი შენ ჩემთვის,
ოღონდ გეშველა, დედაო.

—

კურთხეულ იყავ, მშობელო,
მოპირნახულევ დედაო,
ღმერთმან მოგიზღოს ნაცვლადი,
რაც მე მმსახურე, დედაო.

—

შენ შენი ვალი მშობლისა
ხომ მოიხადე, დედაო,
მაშ რაღათ შფოთავ და გმინავ,
რად იკლავ გულსა, დედაო.

—

სამარის ხვედრი რომ ვიყავ,
ეს ხომ იცოდი, დედაო,
მაშ დღეს მიმეცი სამარეს,
შენ მხნედ იყავი, დედაო.

—

ილოცე ჩემთვის, ვეღირსო
სულიერ უკვდავს შვებასო,
ღრმა სასოებით გონებდე
ღვთის ნება-განჩინებასო...

ქაიხოსრო გედოვანი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ახალი ექსარხოსი მაღალ ყოვლად სამღვდელო ალექსი.

მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსი საქართველოისა ფლავიანე უმაღლესის უქაზით მიცემულის უწმიდესი სინდისადმი. გარდაყვანილ არს მთავარ-ეპისკოპოსად ხარკოვის ეპარქიაში. ექსარხოსად საქართველოში უმაღლესის სახელობითი უქაზით დანიშნულია ვიატკის ეპისკოპოსი ალექსი. აი მოკლე ცნობები ახალი ექსარხოსის მსახურებისა. ის ერის კაცობაში—ალექსი ალექსის ძე ოპოცკი მღვდლის შვილია. დაბადებულია 1837 წელში პსკოვის გუბერნიაში. უმაღლესი სწავლა დასრულა პეტერბურღის აკადემიაში 1863 წელში. 1864 წ. იგი დაინიშნა ვილნის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და მასწავლებლად. 1866 წელში ეკურთხა და დაინიშნა მრევლის მღვდლად ნიკოლოზის სამრევლოის ეკკლესიაში ქალაქ ვილნოში-ვე. 1871 წელში დაინიშნა წინამძღვრად სოფიის საკრებულო ტაძარში და დარჩა ამ ადგილზე ოცი წელიწადი. 1891 წელში დეკანოზი ალექსი დაქვრივდა და ბერად შედგა, შემდეგ არხიმანდრიტობა მიიღო და დაინიშნა რექტორად ლიტოვის სასულიერო სემინარიაში. 1893 წ. იგი ეპისკოპოსად იქმნა აღყვანილ და დაინიშნა ნიჟინოვგოროდის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსად ბალახნინის ეპისკოპოსის წოდებით. 1896 წელში ქორ-ეპისკოპოსი ალექსი დაინიშნა ვიატკის ეპისკოპოსად და დღემდის იქ მსახურებდა.

წმიდა ნინოს სახსოვრად დასაარსებელის საზოგადოებისათვის.

მოწიწებით ვავლებთ თვალს ქართველ ხალხის საპოლიტიკო და სარწმუნოებრივს განუწყვეტელს ბრძოლას წარსულ ათას ხუთასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის მტრებთან, რომელნიც მუხრუჭივით გარს ერტყნენ საქართველოს და სცდილობდნენ—შეერყიათ საუკუნოებით დამკვიდრებული მართლ-მადიდებლობა და აღეგავათ პირისაგან ქვეყნისა თვით საქართველო.

მოწიწებით ვავლებთ თვალს ყოველივე ამას და გვაკვირვებს ის სიმხნე და გმირობა, რაიცა გამოიჩინა ამ განუწყვეტელს ბრძოლაში ქართველმა ხალხმა.

უზარ-მაზარი შენობები ქართულ ეკლესიებისა და მონასტრებისა, დღემდის დაცულნი კავკასიის ყოველს კუთხეში, მაჩვენებელია ქართველ ხალხის სარწმუნოებრივის ძალისა და მაღალის კულტურისა.

ამ ეკლესია-მონასტრების ნაშთები მაჩვენებელია აგრეთვე იმისიც, თუ რა მაღალს ხარისხამდე ასულა ქართული ხეროთ-მოძღვრების განვითარება; მათი ზედწარწერანი და ჩუქურთმები ხშირად ძვირფასი ჰასალა არის გმირულის ისტორიისათვის რიცხვით მცირე, მაგრამ სულით ძლიერის ქართველის ერისა.

ეს ნაშთები უტყვი მოწმეები არიან ქართველ ხალხის ისტორიულის ცხოვრებისა; ისინი თავის დღევანდელ, სანახევროდ დაქცეულ, მდგომარეობითაც მოუთხრობენ მომავალ თაობას სახელოვანს, სისხლის ღვრითა და საგმირო საქმეებით სავსე წარსულს წინაპრებისას.

დახავსებულნი ნაშთნი უზარ-მაზარ ეკლესია-მონასტრებისა თავიანთ მრავალ-საუკუნოების ხნოვანებით საყვედურის კილოთი ამცნებენ თანამედროვეთ თავიანთს ძალას, ცხოველ-მყოფელობასა და არსებობის უფლებას. ათას ხუთასის წლის განმავლობაში ისინი იყვნენ მოწმედ ქართველ ხალხის განუწყვეტელის ბრძოლისა შემოსეულ მძვინვარე მაჰმადიანებთან. ამ ეკლესია-მონასტრებმა ღირსეულად დაიმსახურა „საომარ“ ადგილების სახელი; დღემდის დაცული გალავნები ქონგურებით და შიგ დატანებულ სათოფურებით საუკეთესო საბუთია ამისი.

ასეთს ეკლესია-მონასტრებში ძველი ქართველები იძენდნენ სარწმუნოებას, იმედს, ძალას და მათის მეოხებით იბრძოდნენ დასაცველად მართლ-მადიდებლობისა, რომელსაც ედავებოდნენ მათ სხვა-სხვა ერნი. ეს სხვა ხალხნი შურით შეჰყურებდენ საქართველოს აღორძინებას და ცდილობდნენ დაესუსტებინათ ბიზანტიის კეთილნაყოფიერი გავლენა ამ ქვეყანაზე.

როგორ დავაფასოთ ამ წმინდა სავანეთა სულიერი გავლენა ჩვენს წინაპრებზე? ვინ იცის, ეს გავლენა ეგების ისეთი იყო, რომ მხოლოდ მას უნდა დაუმადლოთ თანამედროვე ქართველებმა თუ მართმადიდებლობა შევირჩინეთ.

ამიტომაც სამართლიანობა გვავალებს ახლანდელ ქართველებს ვიზრუნოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა, ამ წმიდა სავანეთათვის, თორემ თუ ჩვენ არ ვუშველეთ, მათს არსებობას ძირს უთხრის დროთა სტიქიონი.

ერთმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო ნებით შეუერთდა რუსეთს და მშვიდობიანობა დამყარდა ჩვენს მხარეში.

თუ მდელვარე წარსულში, როცა სულ და ბრძოლა, ცეცხლი და მახვილი, ქართველი ეკლესიაში იკრებდა თავის ძალას, ამ მშვიდობიანობის დროს მით უფრო აუცილებლად საჭიროა მისთვის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და სულიერი განათლება. და სად, თუ არ ამ წმიდა სავანეებში, ამ ცხოვრების წყაროსა და ცხოვრების მომნიჭებელ ადგილებში უნდა დაეწაფოს ქართველი ერი სასულიერო აღზრდას, აქ უნდა მოიპოვოს მან ზნეობრივი სიმტკიცე და მოსვენება ცხოვრების საჭირბოროტო გზაზე.

მაგრამ, როგორც ზემოთა ვსთქვით, უმეტესი ნაწილი ამ ეკლესიისა დანგრეულია, ბევრს მათგანს წვიმა ჩადის სახურავიდან. ქართველები მწუხარებით უმზერენ ამ მივიწყებულ წმიდა სავანეებს, რომელთა პატივისცემა, სამწუხაროდ, მხოლოდ ხატობის დღეს გაახსენდებათ ხოლმე.

თუ კი ყოველგვარი კეთმოყვარე და ქველმოქმედი საზოგადოებანი გვაქვს დაარსებული, დროა დავაარსოთ ჩვენში, ამ თვალ-უწვდენი რუსეთის შორეულს განაპირა ქვეყანაში საზოგადოება წმ. ნინოს

სახსოვრად. ამ საზოგადოების წევრთა მოვალეობა უნდა იყოს დაცვა განადგურებისა და მტაცებლობისაგან წმიდა სავანეთა და მათი შეკეთება. ასეთი საზოგადოების დაარსება ამ დროის ბეჯითს მოთხოვნილებას შეადგენს.

ასეთი საზოგადოება დაუფასებელს სარგებლობას მოუტანს, არა თუ მარტო სარწმუნოების მხრივ არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც, რადგანაც იგი აღორძინებს მაჰმადიან სახელმწიფოების საზღვრებზე მართლ-მადიდებლობის ბურჯებს, საიდგანაც რამდენიმე ასი წელია მას აქეთ რაც ზარის ხმა არავის სმენია და ხალხი არ შეევდრებია ღმერთს ჭეშმარიტებისას.

ამ ნაკლის შესავსებათ ამ ჟამად არსდება საზოგადოება წმ. ნინოს სახსოვრად. წესდება. უკვე დამტკიცებულია სათანადო მთავრობისაგან.

იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ კეთილი მიზნის მქონე საზოგადოებას, და ხელს შეუწყობს მისს დამაარსებლებს, რომელთა წმინდა განზრახვას ჩვენს გულითადს მადლობას ვუძღვნით. „ევერია“.



ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისი. მეორე წელიწადია ეს ქვეყანა ომობს სამხრეთ-აფრიკაში და დღემდე ვერას გამხდარა. ინგლისელ იმპერიალისტებს ეგონათ ტრანსვაალთან ომი სეირნობას უფრო ეგვანებოო, სულ ბევრი ბევრი ერთ თვეს გასტანსო. მაგრამ ეს 26 თვეა სამხრეთ-აფრიკაში სეირნობენ, ძლიერაც მოჰბეზრდათ ეს სეირნობა, მაგრამ თავი ვეღარ გაუნებებიათ. ნამეტანი ძვირადაც დაუჯდათ ეს სეირნობა. ლორდ მილბერი და სესილ ლორსი ანგარიშობდნენ, 100,000 გირ. სტერლ. თავსა სდის ამ ომსაო, მაგრამ ჯერ 200 ათასი გირვანქა სტერლინგი წავიდა და ამას იქით რა წავა, ის კიდევ ღმერთმა იცის. შესცდა, ძლიერ შესცდა ინგლისის მთავრობა, ასეთი დიდი შეცდომა დიდი ხანია არ მოჰსვლია. ინგლისი ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა, ყველა ქვეყანას კისერს უგრეხდა და აბა როგორ მოიფიქრებდნენ, რომ ვიღაც ბურები ასე გაუპირებდნენ საქმეს. მაგრთლაც ძლიერ გაუპირეს საქმე, მტრის გულისად გახადეს. სხვა დიდი სახელმწიფოები ეს ორი წელიწადია სიხარულისაგან ფეხზე არა დგანან. აქამდე ინგლისის შიშით სულ კანკალი მოდიოდათ, ეხლა კი ცოტა გულზე დარდი მოეშოთ: არც ისეთი მძლავრი ყოფილა, როგორიც გვეგონაო- მთელი ორი წელიწადია ევროპის გაზეთები სულ ინგლისის მასხარაობასა, სასაცილოობასა და მოთხრას უნდებიან, ზოგიერთი ქვეყნის გაზეთებს ხომ აღარც ბუკი უნდა და აღარც ნაღარა, ეს ორი წელიწადია სულ ცეკვა-თამაშის გუნებაზე არიან: ინგლისის ბატონობას ბოლო მოელო, როგორც აქამდე პარპაშობდა, ისე ვეღარ იპარპაშებს ამას იქითაო. ამდენხანს ბურების პატარა ერი ვერ დაუმორჩილებია და აბა სხვა დიდ სახელმწიფოებთან რას გახდებაო. ბევრსაც ნამდვილად ჰგონია, რომ ინგლისმა ამ ომში დიდი სისუსტე გამოიჩინაო, ჯარი და გენერლები ხომ სულ არ ვარგებიო. მაგრამ ნამდვილად ასე როდია. ყველა, ვინც კი სამხრეთ-აფრიკის ომს რიგზე დაუკვირდება, ადვილად მიხვდება, რომ ინგლისმა ამ ომში სისუსტე კი არა, პირიქით, დიდი ძალა და ღონე გამოიჩინა. ამ ომმა დაამტკიცა, რომ ინგლისი ნამდვილად მძლავრი, მდიდარი ყოფილა. სახელიც და სახრავიც დიდი ჰქონია, ზოგიერთ ქვეყანას კი არ ჰგვანებია, რომ სახელი დიდა აქვთ, სახრავი კი არა; გარედან მტერს უბრავებენ თვალებს, შიგნიდან პატრონს. სხვა დიდ სახელმწიფოებში ვერც ერთი ვერ შესძლებდა იმისთანა ომს, როგორიც სამხრეთ-აფრიკის ომია. სხვა სახელმწიფოებს ჯერ არა ჰქონიათ ასეთ მძლავრ, მაგარ ხალხთან საქმე, როგორიც ბურები არიან. ისინი უფრო წყალ-წაღებულ ხალხებთან იქერენ საქმეს, მუქთ კუბოში ჩაწვებიან ხოლმე. ძალიან უყვართ მუქთი კუბო. მივლენ, ჩაწვებიან, როგორც მიცვალებულის წესი და რიგია და ადგომასაც აღარ იფიქრებენ ხოლმე.

მოიგონეთ იტალიის დამარცხება აბისინიაში; საწყალს ომის ხალისი დაუკარგეს სამუდამოდ: ზოგი ჰირი მარგებელია. საფრანგეთმაც დიდი სირცხვილი ჰამა მექსიკაში ნაპოლეონ III დროს. მას აქეთ საფრანგეთს ცალი თვალითაც აღარ მიუხედნია ამერიკისაკენ. განა გერმანია კი არ შერცხვა შარშან ჩინეთში? მაინც და მაინც რას გახდა გრაფ ვალდერზეე: ხალხი გაწყვიტა, გაეღლიტა და ბოლოს მოულოდნელად ჭკვა თავი და წამოვიდა შინისაკენ.

ასე რომ ინგლისის გარდა სხვა ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეიძლებდა ბურებთან ომს. საზოგადოდ ომსა და მერე ისეთ შორეულ ქვეყანასთან, როგორიც ბურების ქვეყანაა, დიდი ხარჯი, დიდი შეძლება უნდა. ინგლისსაც კი გაუჭირდა ეს ომი და აბა სხვებს რაღა მოუვიდოდათ. ინგლისმა გასაოცარი ძალა და სიმდიდრე გამოიჩინა ამ ომის დროს, ეგ არის სამწუხარო, რომ ამ ძალასა და სიმდიდრეს ასე ცუდად ჰხმარობს.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ინგლისი ცალი ხელით ებრძვის ბურებს, მეორე ხელი — ფლოტი — შეკრული აქვს და ვერ მოუხმარებია. ინგლისის ფლოტი კი რომ ყველა სხვა ქვეყნის ფლოტზე ძლიერია, ამას ინგლისის მოსისხლე მტერიც ვერ უარ-ჰყოფს.

—

სამხრეთ-აფრიკა. სხვა სახელმწიფოებს ჯერ არა ჰქონია ისეთ მედგარ ხალხთან საქმე, როგორც ბურები არიან. ამ ხალხს ძვალში და რბილში აქვს გამჯდარი თავისუფლების სიყვარული. როგორც თევზი უწყლოდ, ისე ბური ვერ გასძლებს, ვედარ იცოცხლებს, თუ თავისუფალი არაა, თუ თავისი ბატონი თითონვე არაა. ამიტომაცაა, რომ ეს 26 თვეა, ასე მედგრად იბრძვიან და სანამ თავისას არ გაიტანენ, არც დაწყნარდებიან. თითონაც ყოჩაღები არიან ბურები და სამხრეთ-აფრიკის მდებარობაც ძალიან უწყობთ ხელსა. ჯერ ერთი ძლიერ შორსაა, მერე კიდევ ისაა, რომ ძლიერ დიდი ადგილები უჭირავთ. ჯერ ტრანსვალსა და ორანჟეს რესპუბლიკას საფრანგეთისა და გერმანიის ოდენა ადგილი უჭირავთ, კაპის კოლონია კიდევ ოთხი ჩვენი კავკასიის ოდენაა. რასაკვირველია, ამოდენა ადგილის დაჭერა ძლიერ ძნელი საქმეა. ინგლისი ბურებს გარდა ამ თვალ-გადუწვდენელ მინდვრებსა და მთა-გორსაც ეომება. ინგლისის ჯარის მომეტებული ნაწილი სულ რკინის გზების დაცვას უნდება, ჯარის უმეტესი ნაწილი დაბმულია ერთ ადგილას. ბრძოლის ველზე, ბურებთან საბრძოლველად კიტჩენერს 70—80 ათასი ძლივსღა რჩება და თუ გაიხსენებთ საიხრეთ-აფრიკის დიდ მანძილებს, იქაურ ადგილ-მდებარეობას, აღარ გაგიკვირდებათ, რომ კიტჩინერს ასე გაუჭირდა ბურების დამორჩილება. მოიგონეთ ბურების ყოჩაღობა, მოხერხება, იმათი ნიჭი, თვალ-მაქცი სარდლები და ადვილად დამეთანხმებით, რომ ამ ხალხის დამორჩილება შეუძლებელია. ეს ბრძოლა ბურებისა და ინგლისელ იმპერიალისტებს შუა უსათუოდ ბურების გამარჯვებით გათავდება. მით უმეტეს, რომ დიდი ჯარის შენახვა სამხრეთ-აფრიკაში მეტად ძვირად უჯდება ინგლისს. ისიც ხომ ზოგიერთ ქვეყანასავით „ტრეტზე 30 კაპ.“ არ აძლევს ჯარის კაცს. ბურებმა კარგად იციან ესა და ამიტომ რამდენიც კი შეუძლიანთ, აჭიანურებენ ომს. თანაც ასეთი ფოლადიანი და შნოიანი მეომრები, როგორიც ბურები არიან, ჯერ ისტორიას არ უნახავს. ძლიერ კარგად შეხვდნენ ინგლისს. მოვიდა სეტყვაო, დაჰხვდა ქვაო, ამათზეა ნათქვამი. რამდენი ხანიც გადის, თითქო იმდენი ხალისი ემატებათ ბურებს. ინგლისს ჯარს კი ხალისი ეკარგება. ბურები სიმართლისთვის იბრძვიან, იმათ გულიც ერჩით და ღონეც, ინგლისის ჯარი კი ვიღაცა კაპიტალისტების გულისათვის იბრძვის და სწორედ ისე იქცევა, თითქო ბეგარაზე იყოს. ამიტომ 1 ბური თითქმის 10 ინგლისელს აძლევს პასუხს, ამიტომაა, რომ ინგლისელები ხშირად ასე უცნაურად მარცხდებიან ხოლმე. აი, მაგალითად, რასა სწერს ‹ბერლ. ტაგებლ.›-ი:

„13 ოქტომბერს 200 ბური კარსტენისა, ვანდერ-ბეიტენისა და ბოტას უფროსობით, დორნბუშის სიმაგრეს დაეცა. ამ სიმაგრეს 50 ცხენოსანი კაცი იცავდა. რაზმის საშველად კაპიტანი ტრონტონი მოვიდა 130 კაცით, მაგრამ მაინც ვერა უშველა რა დორნბუშს. ბურებმა მაინც აიღეს ეს სიმაგრე. ტრონტონმა მოახსენა კიტჩენერს: ჩვენ მაგარი ადგილი გვეჭირა, მაგრამ როცა ჩვენ ჯარის კაცებს პატრონების მომეტებული ნაწილი გამოელიათ, უარი თქვეს და ბურებს თოფი აღარ ესროლეს: აღარ ვესვრით თოფსა, თორემ ბურები თოფით დავეხვრეტენო. ბურები ჯერ კიდევ 2000 იარდის მანძილზე იდგნენ და მარტო ერთი ინგლისელი იყო დაჭრილი, მაინც რაზმი გაკერპდ: და ხმა აღარ გასცა ბურებს, ასე რომ ბურებმა 180 კაცი დაატყვევეს და 190 ცხენი ჩაიგდეს ხელში. ‹რეიტერის სააგენტო“ ამბობს, ინგლისელი ჯარის კაცები თითქმის მუხანათურად მოიქცენენო. ლონდონის გაზეთებმა ბევრმა არ კი გამოაცხადა ეს ამბავი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და კეთილდღეობაზე.

სიტყვა,

26 კვირიაკეს თქმული ქვაშ. წმ. გიორგის ეკლესიაში.

ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე (ეფ. 5, 18).

სად არის ახლა ჩვენი მუშა ხალხი, სად არიან ხელოსნები? თუ ზაფხულობით მათ არ სცალიათ, თუ მაშინ სადაგ დღეებში თავ-აუღებლად მუშაობენ, შრომობენ, კვირა-უქმე დღეებში კი სამუშაოს ეძებენ, ახლა ხომ თავისუფალი დრო ბევრი აქვთ. სადაგი დღეებიც ეყოფათ გაზაფხულისათვის სამუშაოს მოსაძებნად. საქმის დღეებსაც უსაქმურად ატარებენ ახლა. რატომ ახლა, მაინც არის, არ მოდიან ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენლად? ჰე შე დალოცვილოვო, გვეუბნებიან ისინი, ძლივს ზამთრობით ვისვენებთ და მაშინაც არ უნდა გავატაროთ დროვო; მაშინ მაინც უნდა გაიხაროს ჩვენმა გულმა და შეება მიეცეს სულსაო; წელიწადში ორი-სამი თვე თავისუფლად მაინც არის. ამოვისულთქმოთო. არ გვეყოფა რვა-ცხრა თვე განუწყვეტლივ ოფლის ღვრაო? ვინ უშლისთ, ვინ არის ამის წინააღმდეგი? მაგრამ რაში ჰოულობენ ჩვენი ხელოსნები სიამოვნებას, რა ართობს მათ, რითი ხარობს მუშა კაცის სული? ეგებ შინ ცოლ-შვილში სხედან და ტკბილ მუსაიფში ატარებენ დროს, ეგებ სადმე არიან შეკრებილნი და თავის ცუდ მდგომარეობის გაუმჯობესობის საშუალებებზე აქვთ სჯა და ბაასი? ასე რომ იყოს, კარგი და პატიოსანი, თუმცა ამ მიზეზების გამოც არა აქვთ მათ ნება წირვა-ლოცვას დააკლდენ კვირა-უქმე დღეებში. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ სულ სხვანაირ დროგასართობს ჰპოვილობს ჩვენ ქ. თბილისში მცხოვრები მუშა ხალხი. მის გულს მხოლოდ ღვინო ახარებს. სარდაფებში ღვინის სმაში, ლოთობაში ატარებს ის თავისუფალ დროს. მართლადაც, როგორც სთქვა დავით წინასწარმეტყველმა, ღვინო ახარებს გულსა კაცისასა (ფს. 103, 15). მაგრამ მაშინ, როდესაც ზომიერად სვამს კაცი. საზოგადოდ უნდა სთქვას კაცმა, რომ ყოველივე სასმელი და საჭმელი მაშინ არის მარგებელი, როდესაც ზომიერად მიიღებენ ხოლმე, გადაჭარბებული ყველაფერი მავნებელია. სარგებელ ცხოვრებისა კეთასა ღვინო, ამბობს ზირაქი, ღვინო სიხარულ გულსა და შვება სულსა, გმა საყოფელად მსმელსა ჯამსა შინა (ზირ. 31, 31—44). ზოგს ისეთი აგებულება აქვს, ისეთი სტომაქი აქვს, რომ ექიმები წამლადაც გამოუწერენ ხოლმე, ურჩევენ უღვინოთ პური არ სჭამოს. პავლე მოციქული სწერს ტიმოთეს: ნუ წყალსა ხმარ სვამ, არამედ ღვინოცა მცირე სტომაქისათვის და ზედის ზედა უძღურებასა შენისათვის. (1. ტიმ. 5, 23). ეფეველი დაბადებული ღმრთისა კეთილ არს, ამბობს საღმრთო წერილი. უსათუოდ ღვინოსაც თავის მნიშვნელობა აქვს, რომ ღმერთს გაუჩენია. ხოლოდ წამალი მაშინ არის ღვინო, როდესაც ზომიერად მიიღებს კაცი და თუ გადააჭარბა, მაშინ წამალი საწამლავად გადაიქცევა. სიმწარე სულისა სმა მრავლისა ღვინისა ამბობს ზირაქი. (ზირ. 31). მართლადაც დიდ სიმწარეს აყენებს კაცს უზომოდ დალეული ღვინო. ბევრს თქვენგანს, თუ თავის თავზე არ გამოუცდია, გაუგონია და დაუნახავს, თუ რას ემსგავსება მთვრალი კაცი. ნათქვამია საღმრთო წერილში: კაცი შექმნილი ხატად და მსგავსად ღმრთისა. ეს ხატება სიმთვრალის დროს კაცს ეკარგება, პირუტყვს, ცხოველს ემსგავსება. რაც უნდა განათლებული, განვითარებული პირი იყოს, თუ ღვინო უზომოდ დალია, უსათუოდ გონება დაეკარგება, თვითონაც არ ესმის, რას ამბობს და ან რას აკეთებს. ღვინო მიაქცევს მეცნიერთა, ამბობს საღმრთო წერილი (ზირ. 31). თუ კი მეცნიერი ამ მდგომარეობაში ვარდება, უგნურს, გაუნათლებელს რა სიკეთეს მისცემს! განამრავლებს გულის წყრომასა უგუნურისასა სიმთვრალე, ამბობს საღმრთო წერილი. ღვინისგან წარმოსდგება უმეტეს ნაწილად შფოთი, ჩხუბი, ბიწიერება; თუ დაკვირვებიხართ, უმეტესი ნაწილი კაცის მკვლელობისა ღვინის სმის დროს,

ლხინში სიმთვრალისაგან ხდება. ვისა ვაი, ვისა შფოთი ვისა სასჯელი, ვისა ურვანი და დაღვა, ვისა შემუსვრა ამაოსა შინა, ვისა ლაბრი თვალნი, კითხულობს სოლომონ ბრძენი, თუ ჯრ ამსა, ვინ დამოუველია დვინოსა შინა (იგ. 23, 29). ამისათვის მაცხოვარი ჩვენი გვეუბნება: ეკრძალენით თავთა თქვენთა, ნუ უგზე დამძიმდენ გულნი თქვენნი შეგებითა და მთვრალობითა (ლუკ. 21, 34). დღევანდელ წაკითხულ სამოციქულოდგან გაიგონებდით პავლე მოციქულის სიტყვებს: ნუ

ითვრებით დვინითა, რომელითა არს სიბილწე. მემთვრალე, ლოთ კაცს ფიზიკური ძალა ეკარგება თანდათან და თუ სიმთვრალე სენათ გადაექცა, სულ დაუძლურდება და უდროოთ ესალმება წუთისოფელს. ამას დიდი დამტკიცება არ უნდა, ვისაც უნახავს მთვრალი კაცი. როგორ მიდის ის გზაში? გაივლის ცოტას, წაუბორძიკდება ფეხი, ვერ შეძლებს გაჩერებას და წაიქცევა. კიდევ კარგი თუ კარგი ადგილი შეხვდა, თორემ ხშირად ან თხრილში ჩავარდება, ან გადაემტვრევა რასმე და მოიტეხს ხელს, ფეხს, ან თავს გაიტეხს. თუ გაუჩნდა პატრონი, მშველელი, კარგია და თუ არა, ბევრჯერ მოხდება, კიდევაც მოკვდეს. თუ გზაში არაფერი გაუჭირდა და მივიდა შინ, სიკეთეს არ დააყრის ცოლ-შვილს, ერთ აყალ-მაყალს ასტეხს, პირიდგან დორბლებსა ყრის, არც თვითონ იცის, რა უნდა, რას თხოვილობს, ენა მას აღარ ემორჩილება, რას ბუტბუტობს, ლუღლუღებს, თვითონ არ ესმის. თუ როგორმე დაოკდა და დაეძინა, დილით გვიან ადგება ყელგამხრანწული, თავბრუ დახვეული, არ ახსოვს, რა მდგომარეობაში იყო წინა დღით. ახლა კუჭს, რომლის სისაღისათვისაც ზომით ხმარობენ ღვინოს, როგორ აფუჭებს სიმთვრალე?! სიტყვიერად რომ აგიწეროთ, ისე ვერ დაგისურათებთ, როგორც თვალ-ნათლად გიჩვენებს თქვენ აი ეს სურათი (ამ დროს ნაჩვენები იყო სურათი), რაზედაც არის გამოხატული საღი კუჭი და მერმე სიმთვრალისაგან გაფუჭებული. ამის შემხედვარე განა არ უნდა მიხვდეს და დარწმუნდეს, რამოდენად მავნებელია მთვრალობა კაცის სხეულისათვის. ახლა ოჯახისთვის რა უბედურობა არის, როდესაც მამა, პატრონი მისი შეპყრობილია ამ სენით. ყოველ დღე გულის ხეთქა, ყოველ დღე ჯავრი, მასთან უკიდურესი სიღარიბე. რა უნდა დარჩეს მუშა კაცს, თუ კი ორიოდე გროშს, რასაც იშოვის, ღვინოში დახარჯავს? მუშაკი მემთვრალე არა გამდიდრდების, ამბობს საღმრთო წერილი (ზირ. 31). ათასი ბევრი ჰქონდეს კაცს შეძენილი, თუ მიჰყო ხელი მთვრალობას, მალე გაღარიბდება, გაღატაკდება. ნუ იყოფი დვინის მსმელი, ამბობს სოლომონ ბრძენი, რამეთუ უოველა მემთვრალე დაგლახაკდეს. (იგ. 23, 20). ამნაირად მემთვრალე კაცი ღუპავს თავის თავს და აგრეთვე ცოლშვილსაც. ამითი აიხსნება, რომ ჩვენი ხელოსნები: დურგლები, კალატოზები და სხ. თუმცა ბევრს ფულს შოულობენ, მაგრამ მაინც სიღატაკეში არიან. კიდევ კარგი თუ მარტო მამას შერჩა ეს სენი, თორემ ხშირად შვილებსაც გამოაჩნდებათ ხოლმე, მისისაგან მემკვიდრეობით გადადის მათზე ეს მეტად საზარელი და კაცის დამღუპველი სენი. ამისათვის სძულთ მემთვრალე კაცი ყველას; ვისაც არა სჭირს ეს სენი, ზიზღით მიჩერებია მას, მასთან საქმეს არასოდეს არ დაიწყებს, ყოველი ნდობა საზოგადოების თვალში დაკარგული აქვს მას. ეს კიდევ არაფერი, თუ მარტო ქვეყნიურ ცხოვრებაში მოელის მას სასჯელი. უბედურობა ის არის, რომ ისე კაცთაგან არ ისჯებიან მემთვრალენი, როგორც ღვთისაგან. საღმრთო წერილში პირდაპირ არის ნათქვამი: მრავალნი წარწყმისნდა დვინომსს (ზირ. 31). მუმთვრალენი სასუფეველსა ცათასა ვერ დაიმკვიდრებენ. ამისათვის ეკადენით, გაუფრთხილდით თავის თავს ტყვილა უბრალოდ თავი არ გაიფუჭოთ, რაც საჭირო არის თქვენი სხეულისათვის, ზომით დალიეთ ხოლმე თქვენც, და ვინც აქ არ არიან, იმათაც ურჩიეთ, და თუ საჭირო არ არის, სულაც აკვეთეთ; ყველაზე უკეთესი ის არის, რაც შეიძლებოდეს ერიდოთ ხშირად ღვინის სმას, რომელმაც ბოლოს სიმთვრალედ გადაქცევა იცის. ეცადეთ დრო გაატაროთ იმნაირ გასართობ საქმეში, რომელიც სასარგებლო არის როგორც თქვენი სხეულისათვის, ისე სულისათვის. ამინ.

წინამძღ. ქვაშ. წმ. გიორგის ეკ. მარკოზ ტყემალაძე.

ინფორმაციანი

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, და ვ. ბეყანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვიოილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მეხამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. Oოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

2. სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. ეპონდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრეველო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საეკლესიო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ეთაპარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. მარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტყოფის მონასტერი . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოველად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . . 3 კ.

6. მოწამენი, ლირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 3—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
19. არჩილ და ლეონარსები . . . 5—
10. მეფე დავით III აღმაშენებელი 5—
1. იგივე ერცელი . . . . 15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ —ფასი . 3—
3. ცხოვრება წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკესა, ფასი . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, კონტოლელი პილატეს მეუღლის წერილი . . . 5—
6 ხმა მაძღარისა სამწყსოსადმი. საუბარს შესწავლა იესო ქრისტესი . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვეძებოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. მსთერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
3. სიბრძნე ია ძისა ზირაქისა, სურთით. . 5—
ოსები . . . . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმეკონებიან პატარა ოფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე-სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის, მაცხოვრის, ეფერიის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება. ამასთან იმეკონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელია და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოეული 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მ.ს მანეთზე დაითმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დიბარებს არა ნაკლებ ესი ცალისა, ის ფოსტით გასაგზანს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდი ხატები ფერკადუეული ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ესს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაითმობ. სამ მან. ესეთი იმეკონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თაძარ მეფე . . . . 25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესაფალ-გასაფალის წიგნები და ყოველგვარი ძოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების საყურადღებოდ. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ფრიად სასიამოვნო მოვლენა. მისივე.—„საქართველოს ეკკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკკლესიას: ბერძნებთან ერთად, თუ შემდეგ?". ს. გ—ძისა.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—კიდევ რაოდენიმე სიტყვა იმერული ტირილის შესახებ. ს. ბუმბურიძისა.—საიქიოდან (ლექსი), ქაიხოსრო გელოვანისა.—ახალი ექსარხოსი მაღალ ყოვლად სამღვდელო ალექსი.—წმ. ნინოს სახსოვრად დასაარსებელის საზოგადოებისათვის.—ჟურნალ-გაზეთებიდან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და ქეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, თქმული 26 კვირიაკეს ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში მღ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 декабря *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Алѣевъ*

და სულით.

18 იანვარს იუო დღე შესანიშნავი ჩვენი მქოის თამარის გარდაცვალებისა. მოვიხსენეთ მისი გარდაცვალების დღე ჯეროვანად? შეგვეედრეთ მას, რომ იგი ერთად წმიდა ნინოსა, ქეთევნის და შუშანიკთან მეოხი იუოს ჩვენთვის? სრულებით არა. ვასრულებთ მის ანდერძს: «გევედრებით ეოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იუვნეთ მოძსენებულ ჩემდამო". საეწუსაროდ უნდა ვსთქვათ: არა და არა... როდეს შევიენებთ ამ ჯეშმარიტებას? ჰასუხის გება სწორედ ძნელია, მაგრამ ადრე თუ გვიან ჰასუხის შგებელი ვიქმნებით ჩვენ, ჩვენო თანამოძმენო!..

დეკ. დ. დამბაშიძე

ჩვენი სასისარულო და საეწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის საელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

ჰარიეის გამოფენის დათვალიერება.

ამოფენაზე ჩვენ შევედით იმ ჰიშკრებიდან, რომელიც იყო გამართული ესრედ წოდებულ "შეთანხმების მოედანზე". ეს ჰიშკრები სამხრეთ დასავლეთის გამოფენის ყურისკენ არის. ამ ჰიშკრებში ერთ წამს შეიძლება შევიდეს ცხრაასი კაცი და მისცეს კასსირთ შესასვლელი ბილეთები. ამ ჰიშკრებში მოთავსებული იყო ორმოცდა თვრამეტი კასსა. შესავალი ჰიშკარი სამია: ერთი დიდია შუაში და მაზე მორჩილი ორი აქეთ-იქით. ლამ-ლამობით ელექტრონი ანათებდა ამ ჰიშკრებს და მეტისმეტად სასიამოვნო სანახავი იყო ხოლმე.

როგორც ეს ჰიშკრები, ისე სხვა მრავალი რამეები არიან მოწყობილნი ელისეის ველზე. შეხვალთ თუ არა იმ დიდ ალაყაფის კარებში, თქვენ წინ იშლება მშვენიერი ბალი, რომელშიაც აქაიქ მშვენიერი ქანდაკებანი დგანან.

გავედით თუ არა ამ ბალიდან, ჩვენ გავეშურეთ მეორე მხარეს, სადაც მშვენიერად გამართულია ინვალიდების სასახლე. აქვე არის ჰატარა სასახლე. ამ სასახლეში იყო გამართული ისტორიული გამოფენა საფრანგეთის ხელოვნებისა. ეს სასახლე თავის მოწყობილობით თოთხმეტ მილიონად დამჯდარა. ხელოვნების ბევრი შესანიშნავი საგნებია აქ. შუა გული ზალა ამ შენობისა წარმოადგენდა სკულპტურის ნაწარმოებს. გვერდების გალერეიაზე იყო დალაგებული და გამოფენილი ძლიერ ძველი დროის იარაღები.

ჰატარა სასახლიდან შევედით ესრედ წოდებულ დიდ სასახლეში. დიდი სასახლე წარმოადგენს მშვენიერ და დიდებულ შენობას. ამ სასახლის შენობა დამჯდარა ოცდა ოთხი მილიონი ფრანკი (ფრანკი 37 კ. უდრის). გარეგანი კედლები შემკობილია სხვა-და-სხვა ძველი ტომების ხელოვნებით. ამ დიდ სასახლეში, სხვათა შორის, იყო გამოფენილი ხელოვნება ამ წესით: ბელგიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, იტალიის, რუსეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ნორვეგიის, ისპანიის, შვეიცის, დანიის და შვეიცარიისა. მეორე გვერდზე იყო გამოფენილი ხელოვნება რუმინიის, ბოლგარიის, სერბიის, ვენგრიის, ავსტრიის, იტალიის, გერმანიის, ისპანიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიისა. ერთი სიტყვით, ამ სახლებში გაიცნობს მნახველი, თითქმის, ყველა ხალხის ხელოვნებას. აქ რუსეთის ხელოვნებათა შორის, დიდი ადგილი ეკავა ეკლესიების გეგმებს, ხატებს, შესამოსლებს და კანკელებს. საეკლესიო და საღმრთო ნივთები მრავალი იყო. ყველა სახელმწიფოების მხრით იყვნენ დანიშნულნი ქალები და კაცები, რომელნიც მნახველებთ უხსნიდენ ნივთების მნიშვნელობას და მათ ფასს. აქ წმიდა და საღმრთო ნივთების მეთვალყურეთ და მაჩვენებლად იყვნენ 5—8 ფრანცუზის ქალი რუსის ქალების ტანისამოსში გამოწყობილნი, რომელთაც არც ერთი სიტყვა რუსულად არ იცოდენ. რუსულ ენის ცოდნას ვინ დაეძებდა, რომ მათი ყოფაქცევა ამ

---

* იხ. „მწყემსი" № 22, 1900 წ.

ყალმრთო ნივთებთან არ ყოფილიყო შეუსაბამო და მეტის-მეტად შესაწუხებელი ჩვენთვის, როგორც მოძღვრისათვის... იმ დალოცვილმა, ვილაცამ დააყენა ეს ქალები აქ, ნუ თუ სხვა რიგიანი, ხნიერი დედა-კაცები ვეღარ ნახა პარიჟში, რომ დაეყენებია ამ ყალმთო ნივთებთან და არა ისეთები, როგორიც ჩვენ ვნახეთ?

ხიდი იმპერატორა ალექსანდრე III.

ეს ხიდი სწორედ ერთი შესანიშნავი შენობათაგანია გამოფენისა. ამ ხიდის დათვალიერების დროს თქვენ გაოცდებით ხეროთ-მოძღ. ხელოვნებით. ეს ხიდი არის სენაზე გამართული სწორედ ერთ მშვენიერ ადგილას ელისეს ველზე, ინვალიდების სასახლის პირდაპირ. პირველი ქვა ამ ხიდის ბურჯში ჩაგდებულია რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზისაგან 8 ოქტომბერს 1896 წელსა, როცა იგი ბრძანდებოდა პარიჟში. ხიდი თუთხმეტი რკინის შვილდებით არის გადაყვანილი და ისე მაღლა არის მდინარეზე, რომ არც გემს და არც ნავებს სრულებით არ უშლის სიარულს. სიმძიმე რკინეული მასალისა არის ორი ათას ორასი ტონი (ტონი სამოცი ფუთია). ეს ხიდი მეტის მეტად შემკულია სხვა-და-სხვა ქანდაკებებით. ამ ხიდიდან პირდაპირ გზა მიდის ინვალიდების სახლისაკენ, სადაც არის დამარხული შესანიშნავი ნაპოლეონ პირველი. ამ ხიდის გაკეთება დამჯდარა ექვსი მილიონი ფრანკი და შემკობა სხვა-და-სხვა ვეფზკლებით და ქანდაკებებით ერთი მილლიონი. ამ ხიდიდან მნახველს ყურება არ მოწყინდება არც ერთ მხარისაკენ და ერთჯერ ნახვის შემდეგ თქვენს თავში რჩება სამუდამოდ ის სურათი, რაც თქვენმა თვალმა ნახა აქ.

სენის მდინარის მარცხენა მხარე.

მარცხენა მხარეზე, სხვა-და-სხვა მშვენიერ სანახაულების შემდეგ, თქვენ მიადგებით სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ესრეთ წოდებულ პავილიონებს. მაგრამ მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს შენობები პავილიონები კი არა, დიდი სასახლეებია. როცა ავყევით ზევით მდინარე სენის მარცხნივ, პირველად ჩვენ მივადგეგით იტალიის პავილიონს. ეს პავილიონი ერთი მშვენიერი შენობათაგანია სხვა-და-სხვა სახელმწიფოების პავილიონებში. სამწუხაროდ ჩვენ კარები დაკეტილი დაგვხვდა, რადგან იტალიის შეფე ბოროტი კაცის ხელისაგან მოკლულ იქმნა ამ დროს და სამგლოვიარო ბაირაღი ფრიალებდა ამ მშვენიერ შენობაზე.

იტალიის პავილიონის შემდეგ, იყო სათათრეთის პავილიონის სასახლე. ეს შენობა ძლიერ განირჩეოდა სხვა შენობათაგან და გარეგანი შეხედულობით არაფერი შესანიშნავი იყო. პავილიონი ორ სართულიანი იყო. ძირა სართულში იყო გამოფენილი სხვა-და-სხვა ხელოვნება თათრებისა და მიწის სხვა-და-სხვა მოსავალი. ამ პავილიონში ქონდათ გამართული წარმოდგენები, სადაც აჩვენებდენ მნახველეთ მშვენიერ ბაღებს და შადრევანებს. მეორე სართულში ერთ კუთხეზე იყო გამართული ქრისტეს საფლავი და სხვა იერუსალიმის შესანიშნავი წმიდა ადგილები, აქ შესვლა უფასოდ არ შეიძლებოდა. ბილეთი ღირდა ერთი ფრანკი და თუმცა ძლიერ სამწუხარო იყო ჩვენთვის, რომ ჩვენი წმიდა ადგილების ნახვება გამოფენაზე თათრებს ეთავეებინათ, მაგრამ მაინც შევედით და ვნახეთ ყველაფერი. თქვენ გაჩვენებდენ ქრისტეს საფლავს თავის მორთულობით და კანდელებით იმ სახით, როგორც იერუსალიმში არის, დანარჩენ წმიდა ადგილებს და იესო ქრისტესაგან გოლგოთასკენ ჯვარის ზიდვას, ჯვარცმას და სხვა ისტ. მოთხრობებს დახატულს, აქვე ნახავთ ქრისტეს საფლავის კარებთან მდგომარე თათარს, რომელიც ფულებს ართმევს მლოცველებს. მეტად სამწუხარო იყო, რომ თათრებისაგან გესმოდათ ქრისტეს საფ. და მისი ენების ისტ. მოთხრობა. ჩვენის აზრით, არავის მიუქცევია ყურადღება, თორემ არ მისცემდენ ნებას ამისთანა წმიდა ადგილები წარმოედგინათ გამოფენაზე და ისიც თათრებს. ეს უფრო ეკუთნოდა სამლვდელოებას და არა თათრებს.

სათათრეთის პავილიონის შემდეგ იყო ამართული დიდი სამ-სართულიანი პავილიონი შეერთებული შტატებისა. ამ პავილიონის ერთი ნაწილი იყო დამყარებული სვეტებზე, რომელთაც ფეხი სენის მდინარის ნაპირზე ქონდათ დადგმული. სვეტების თაღზე ზემოთ იყო „კარეტა", რომელშიაც შებმულია ოთხი ცხენი. ეს არის თავისუფლების სიმბოლო, რომელიც მოგზაურობს განათლების და წინმსვლელობისაკენ. პავილიონის შუა სახურავზე ამართულია მაღალი გუმბათი და ზემოთ არის ამერიკის ღერბი,—არწივი გაშლილი ფრთებით, რო-

მელსაც ნისკარტით უპირავს „ლენტი“, რომელზედაც დაწერილია: „ამერიკის შეერთებული შტატები“, პავილიონში ბევრი რამ კარგი სანახავია. აქვე შეეძლო კაცს გაეცნო ოჯახის სხვა-და-სხვა მოწყობილება: კარგი და უბრალო, რომლებსაც არც მტვერი აფუჭებს და დიდხანსაც სძლებს. იქ, სადაც „შვენიერი თაღი იყო გადაყვანილი შესავალში, სდგას ცხენით ვაშინგტონის ქანდაკება. ღამღამობით ელექტრონით იყო განათებული ეს პავილიონი. სიმაღლით პავილიონი წყლის პირიდან ორმოცდა თერთმეტი მეტრი იყო (მეტრი ალაბ ნახევარია) და გუმბათის სიმაღლე ოცი მეტრი. ზემო სართულში ირგვლივ იყო ძვირფასად მორთული ოთახები ამერიკის სხვა-და-სხვა შტატებისა.

ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონის შემდეგ იყო დანიის პავილიონი. ეს პავილიონი როგორც გარეგნობით, ისე შინაგანი მოწყობილობით არაფერი შესანიშნავი არ იყო. ამისათვის ჩვენ მალე გამოვედით ამ პავილიონიდან. სხვა პავილიონების დათვალიერება გადავდეთ მეორე დღისთვის.

(შემდეგი იქმნება).

ვისაც გულს გიწყლავს უიმედობა

ვისაც გულს გიწყლავს უიმედობა,
წუთის სოფლიდგან ვინც ირას ელი,
და სულს გიშფოთებს მოუსვენებლად
ურწმუნოების მწარე ნაღველი,
ვისაც აღარ გწამს ჭეშმარიტება,
სიმართლეს ვინც არ ემსახურები,
ვინცა ცხოვრების გზაზედ უმიზნოდ
და უსაგნოდ დაიარები,
ვინაც უარჰყოფ დედა-მიწაზედ
კაცისა მაღალს დანიშნულებას,
«ზნეობა»-სა თელი ცალიერ სიტყვად
და შეურაცხ-ჰყოფ მეცნიერებას,
გირჩევ: ტყუილად მიწას ნუ ტკეპნი,
წადი, სამარე ამოითხარე,
ჩაწექი მაში შენ, ცოცხალ-მკვდარი,
და გულზედ მიწა გადაიყარე.
ან მტკიცედ გწამდეს, რომა სიცოცხლე,
ციური ნიჭი, ფუჭი არ არი,
რომა ცხოვრება როდია მარტო
ლხინი, ან კვნესა, ცრემლი, სიზმარი.
სიცოცხლე არის გონივრული სელა
იმ მხრისკენ, სადაც მუდამ ნათელი
ბრწყინავს და სადაც აღმართულია
ჭეშმარიტების საკურთხეველი.
სიცოცხლე არის მუდმივი ღვაწლი,
მუდმივი წინ-სვლა, განვითარება;
ვინც გონივრულად ოფლს ღვრის და იღვწის
ბურთვ-მოედანიც იმასა რჩება.
ზეგარდმო მადლით ცხებული კაცი
მხოლოდ მოღვაწე კაცს ეწოდება,
ქება-ქებათაც იმას ეკუთვნის,
და მარტო მას აქვს სიცოცხლის ნება.
იგი თაყვანს სცემს მხოლოდ სიმართლეს,
~~მუდამ-დღე-შეტრფეს ჭეშმარიტებას~~
და შეძლებისა გვარად ასრულებს
კაცისა მაღალს დანიშნულებას.
მხარში უდგია ის თვის მოძმეებს,
სულს უწყლავს მათი გულის ტკივილი,
და ებრძვის ერთად მათთან შავ-ბედსა,
როგორც ერთგული მამულის შვილი.
ასეთსა კაცსა ბრძოლისა ცეცხლში
ამხნევებს სხივი თვით უკვდავების,
და მას ცხოვრების გზაზედ წინ უძღვის
ნათელი წმიდა იდეალების.

იდ. ფერაძე.

1891 წ. ქ. კიევი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

1882 წლიდან არსებობს ტფილისის სასულიერო სემინარიასთან წმ. ანდრია პირველ-წოდებულის სახელზედ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი ძმობა. ამ ძმობას ძლიერ მცირე საშუალება აქვს და ვერ უწევს დახმარებას ღარიბ მოსწავლეებს, რამდენადაც საჭიროება მოითხოვს. ამის გამო, როგორც „იევრია“ მოგვითხრობს, ხსენებული ძმობის კომიტეტის თავმჯდომარის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის სტეფანეს შუამდგომლობით, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლავიანემ ნება-დართო, რომ რექტორის სადგომში ძმობის წევრთა და თანამგრძნობელთა კრება მოხდეს ამა 25 თებერვალს შუადღისას. იმედია, ქართველი საზოგადოებაც არ მოაკლებს თანაგრძნობას და ნივთიერ დახმარებას ხსენებულს ძმობას, რომელსაც აზრადა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს, ხოლო ამ მოსწავლეთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ.

* * *

ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წელს გიმნაზიაში სულ 824 მოსწავლე ყოფილა. მთხოვნელი ყოფილა სულ 182 ბავშვი, ხოლო მიუღიათ—123 ბავშვი. გიმნაზიიდგან გასულა 55 მოსწავლე და სწავლა დაუმთავრებია 43-ს. ეროვნობით მოსწავლენი ყოფილან: რუსი—355, სომეხი—219, ქართველი—140, თათარი—38, ებრაელი—34 და სხვა ეროვნებისა—5%. ერთ დროს ამ გიმნაზიას ქართველი მოსწავლეების აღზრდა ჰქონდა სახეში, მაგრამ დღეს ესე ჩამოვრჩით ყველას უკან...

* * *

11 თებერვალს, ყვირილის სადგურზე დაემზადენ პოლიციის მოსამსახურენი ყაჩაღების დასაჭერად, რომელნიც ბარგის მატარებლით მოდიოდნენ საღამოის ათი საათის ნახევარზე. ერთი დასჭრეს და ორი გაექცათ. დაჭრილს ბერდანკა წაართვეს, ხოლო მეორეს, რომელიც გაიქცა, სატევარი. დაჭრილი ქუთაისში წაიყვანეს, მაგრამ სანამ აჯამეთში ჩავიდოდა, გადაიცვალა. მოკლული არის მელიტონ ჩხაიძე.

* * *

ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში გასაოცარ ამბებს კითხულობ კაცი.

როგორც ინდოეთის მთავრობის უკანასკნელ ანგარიშიდგანა სჩანს, 1899 წელს 2,966 კაცი დაღუპულა ნადირთაგან—ვეფხვისა, ლეოპარდისა, მგლისა, დათვისა, სპილოსა და სხვებისაგან, ხოლო 24,621 კაცი—შხამიან გველისაგან. ამ წელს გაცილებით მეტი ხალხი დაიღუპა შხამიან გველისაგან, ვიდრე წინა წელს, ამის მიზეზი წყალდიდობა ყოფილა. წყალ-დიდობის გამო გველები დაბალ ადგილებიდან მაღლობებში ასულან, სადაც სოფლები მდებარეობს და მეტი ვნება მიუყენებიათ მცხოვრებთათვის. ინდოეთში გველი კაცს უფრო ვნებს, ვიდრე შინაურ საქონელს, ხოლო ნადირი, პირიქით, საქონელს ავლებს მუსრს. იმავე 1899 წელს ნადირთაგან დაიღუპა 89,238 სული შინაური საქონელი, ხოლო გველისაგან—9,449 სული.

* * *

სამხრეთ აფრიკაში, ტრანსვალის ჩრდილოეთით, ეგრედ წოდებულ როდეზიაში, მწერთა შორის ყველაზედ მავნებელი ერთის ჯიშის ჭიანჭველა ყოფილა, რომელსაც ადგილობრივ თეთრ ჭიანჭველას ეძახიან, რადგანაც თეთრი ფერი აქვს. ეს ჭიანჭველები საოცრად ანადგურებენ თურმე შინაურს ნივთებს, ხშირად მცხოვრები, საღამოზედ შინ დაბრუნებული, ამ ჭიანჭველებისაგან სახლში ყველაფერს გადახრულსა და შეჭმულსა ჰხედავს, ტანისამოსს, ავეჯს და სხვას. ბევრჯელ დილით ახლად გამოღვიძებულ კაცს ტახტთან წაღების ნაცვლად ლურსმები და ქუსლები-ღა დაჰხვდება ხოლმე. ეს მავნე ჭიანჭველები ძალიან უშლიან თურმე ხელს ამ ადგილში დასახლებასა და სოფლების გამრავლებას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვეთილ-ზნეობაზე.

—

ხმა მაცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

თავი 3 სიმდაბლე

1. მე ვამცნე ურიათა სრული ჭეშმარიტება: „მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა" (იოან. 8, 50).

ამ სიტყვებიდან ისწავლე, მღვდელო, რომ შენ არ უნდა მისდევდე პირად დიდებას. გახსოვდეთ, რომ შენ მარად ჟამ ჩემს დიდებას უნდა დაეძებდე. შენის სამსახურის დროს უნდა გახსოვდე მხოლოდ მე, და არა მხოლოდ შენი თავი;—გარეშე ამის მთელი შენი მღვდელ-მსახურება იქნებოდა მითვისება ჩემის დიდებისა,—იმ დიდებისა, რომელიც მხოლოდ ჩემი საკუთრეებაა და არა სხვისი ვისმესი. ჩემს დიდებას მე არავის დაუთმობ (ის. 48, 11).

თუ შენ ჩაუკვირდები ყურადღებით ყველა იმ ბარემოებათა და ხალხს, რომლითაც გარემოცული ხარ, ადვილად შეამჩნევ, რომ ის მღვდელი, რომელიც მხოლოდ პირად დიდებას მისდევს, ვერასოდეს ვერ მიაღწევს კეთილის-მომქმედის სახელის მოხვეჭას. მე მიყვარს მფარველობის მონიჭება მდაბალთათვის. ყველანი, ვინც მისდევენ დიდებას, დაეცემიან და მათზედ ასრულდება ჩემი სიტყვა: „ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს" (ლუკ. 18, 14).

2. მე გაჩვენე თქვენ მაგალითი სასწავლად: როდესაც განვკურნე ჩემს წინაშე მუხლ-მოდრეკილი კეთროვანე, ვუბრძანე, რომ არავისთვის არ ეთქვა ეს („რქვა მას იესო, იხილე, ნუ რავის უთხრობ" მატ. 8, 4). ასევე მოვექეც ორ ბრმათა, რომელნაც აღუხილე თვალები („და მეყსეულად აღუხილნეს თვალნი მათნი, და შერისხნა მათ იესო და რქვა, იხილეთ ნუმცა ვინ უწყის" მატ. 9, 30). ასევე მოვიქმედე მაშინაც, როდესაც აღვადგინე იაიროსის ქალი: თითოეულმა დამსწრემ მიიღო ჩემგან ბრძანება, რომ არავისთვის ეამბნა ამ სასწაულის შესახებ. (მარკ. V, 43). ეცადე შენც, მღვდელო, რომ დაფარო საიდუმლოდ ის, რასაც შეუქლია ხალხში სახელი გაგიგდოს.

ეს კიდევ ცოტაა. ჩემის სიყვარულისათვის შენ არ შედრკე და ყველას აღმოუჩინე ყოველ გვარი შემწეობა, ვინც უნდა იყვეს ის, თუმცა ეს შენი საქციელი ბევრს დამამცირებლადაც ეჩვენოს. მოიგონე, როგორ დავბანე მე ფეხი საიდუმლო სერობის დროს ჩემს მოწაფეებს, (იოან. 13, 14). ამ მაგალითთა შემდეგ რომელი კაცთ-მოყვარული მოქმედება დაგამდაბლებს შენ? შენის სამსახურის დროს ნურასოდეს ნუ იტყვი უვარს ყველასთვის მოსამსახურეობაზე. გახსოვდეს, რომ მე მოვედ იმისთვის კი არა, რომ მე მემსახურებოდენ, არამედ რათა ვმსახურებდი მათ (მატ. 20, 28). მე ყველას ვემსახურებოდი.

*) იხ. „მწყემსი" № 1—2 1901 წ.

3. უკეთუ მე მნებავს, რომ შენ იყვე მოძულებული და დავიწყებული ამა სოფლისაგან და მთავარნი ამა სოფლისანი არ განდობდენ თქვენ მსოფლიურ მაღალ თანამდებობათა, ნუ სწუხარ ამისათვის. წარმოიდგინე ჩემი კერძო ცხოვრება, რომელსაც ვატარებდი ოცდა ათ წლამდე. მე ხომ მაშინ არ გამოვდიოდი საზოგადო ასპარეზზე, არც საქადაგებლად, არ ვიძენდი მოწაფეებს, არ ვასრულებდი სასწაულებს, სოფელი ისე მიცნობდა, როგორაც უბრალო დურგლის შვილს („ანუ არა ესე არსა ხუროსა მის ძე?» მათ, 13, 55). ამ მყუდრო ცხოვრების დროს რამდენი დიდება შევსწირე ზეციურ მამას? ამ დიდებას შენ ნათლად იხილავ; — მას შენ ნახავ დაუსაბამო ქვეყანაში.

ამ რიგად დავიწყების უფსკრულში ჩაფლულსაც შეგეძლება შენი გული დაამყარო სიმშვიდის წიაღში. ადამიანის გონება ძნელად წარმოიდგენს, თუ რამდენად ხელს შეუწყობ ჩემის დიდების გავრცელებას კეთილი საქმეებით, ლმობიერი და მშვიდი გულით. გახსოვდეს, რომ მე არაფერს არ ვსაჭიროებ. მაგრამ ამასთან ისიც გახსოვდეს, რომ მე მადიდებს მხოლოდ ის, ვინც ყოფს ნებასა ჩემსა.

4. როდესაც ჩემის სასწაულებით აღტაცებულს ხალხს უნდოდა ჩემი მეფედ დასმა, მე მაშინვე მივეფარე მათგან და წავედი მარტოდ მთებზე („იესო გულის ხმა ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რათამცა ყვეს იგი მეფედ და განეშორა და წარეიდა მთად იგი ხოლო მარტო“ იოან. 6, 15). ახლა იფიქრე: შეგეფერება ამის შემდეგ, რომ აღმატებას სცდილობდე და თავმოყვარულად ეტანებოდე თანამდებობასა და წარჩინებას ჩემს ეკლესიაში? თუ მე მნებავს შენი წარჩინება, ისეც გიყოფ მე ამას. ჩემის ნებით აღგამაღლებ: «მე ვარ, რომელმან აღადგინის ქვეყნისაგან გლახაკი და სკორეთაგან აღამაღლის ფავრდომილი“ (ფსალ. 112, 7).

მე ვსთქვი: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა» (მათ. 11, 29). ეს მცნება სიმშვიდისა იყავნ შენთვის უპირველეს ყოველთა მცნებათა. სიმდაბლე გულისა—ეს ის სიმდაბლეა, რომელიც მე მიყვარს, რომელსაც ვერც ერთი სასყიდელით ვერ იყიდით, თუ არა სიმდაბლე, ყოველი შენი გარეგანი დარბაისლობა იქნებოდა მხოლოდ ერთი სიყალბე და პირმოთნეობა. გარეგანი ზრდილობა იქნებოდა მხოლოდ ფარდა სიამპარტავნისა. ეცადე, რამდენადაც შეგიძლია, რომ სკან თავის თავი: გაითვალისწინე რამდენი ნაკლი არსებობს შენში, რა მძიმე ცოდვები გაწევს. ასწონ-დასწონე მთელი სიავე, რაც გიმოქმედნია შენს ცხოვრებაში. იმ ნაკლს, რომელიც დაინახე შენში, მიუმატე იგიც, რომელიც კიდევ ვერ შეგიმჩნევია შენის სიამაყისა გამო. ამას მიუმატე ის ურიცხვი შეცდომები, რომლებსაც შენ ჩაიდენდი, რომ მე არ გფარვიდე ჩემი გულ-მოწყალეობისა გამო. მეაქციე ყურადღება იმასაც, რომ შენ არაფერი არა გაქვს ისეთი, რომელიც შენს საკუთრებას შეადგენდეს. შენი საკუთრება არ არის არც ერთი სიკეთე, არც სულიერი, არც ხორციელი, არც ბუნებრივი, და არც ზეციური. შეიძლება ვსთქვათ, რომ შენ ხარ «არა რა», თითქმის კიდევ მეტი: შენ არც ისეთი „არა-რა“ ხარ, რომელშიაც ცოდვა და სიავე არ ბუდობდენ.

ამ ღრმა თვითცნობიერების მეოხებით ეცადე ჩააქრო შენში ამპარტავნება, და დაამყარო სიმდაბლე. მხოლოდ მაშინ იქნები აღჭურვილი იმ ჭეშმარიტი სიმდაბლით, რომელიც უნდა ისწავლო ჩემგან. თუ ამ გვარი სიმდაბლე არ გამკობს, ყოველი შენი ქველ-მოქმედება უსაფუძვლო იქნება.

(გაგრძელება იქნება).

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. ორი მღვდელია მწირველი და ორივენი თავიანთი გარდაცვალებულის მწირველნი არიან. მოხსენების დროს ასამაღლებელში ორივემ ცალ-ცალკე უნდა მოიხსენოს, თუ ერთმა უპირატესმა?

მიგ. ყველა გარდაცვალებულნი ერთმა უპირატესმა მღვდელმა უნდა მოიხსენოს.

კით. შეუძლია თუ არა მღვდლად კურთხევა იმ პირს, რომელიც ფრანგის აღსარების ქალს შეირთავს ცოლად?

მიგ. შეუძლია, თუ სხვა აღსარების ქრისტიანის ქალი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას მიიღებს.

კით. „უფალო ღაღადყავსის“ გალობის და კითხვის დროს საჭიროა თუ არა კმევა, და თუ არა, რატომ ასრულებენ?

მიგ. ალბად უცოდინარობისა გამო.

კით. როცა დიაკონი იტყვის ამბიონზე: „აღსდეგინ მეუფეო წმიდაო გვაკურთხენ“ სანთელი უნდა ეჭიროს ხელში, თუ არა?

მიგ. სანთელი უნდა დაიკავოს ხელში, როცა მთავარი მღვდელს მიუძღვის წინ კმევის დროს.

კით. მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთი პირნი გვაძლევენ მიცვალებულის ორმოცი წირვისათვის—40 მანეთს. ერთმა მღვდელთაგანმა მიიღო ოთხი პირისაგან საორმოცო წირვისათვის ორმოც-ორმოცი მანეთი თითოსაგან. შეიძლება თუ არა იმ ოთხ პირს ერთ დღეს ერთად უწიროს მღვდელმა? და თუ უწირა—რამდენ ნაწილად დაეთვლება თითოს?

მიგ. თითოეულს მთელს წირვად.

კით. კამილაკა ანუ სკუფიო რა დროზედ უნდა დაიხუროს ანუ მოიხადოს მღვდელმა წირვისა და მიცვალებულის ანდერძის აგების დროს?

მიგ. წინეთ განმარტებაში მონახეთ ამის მიგება.

კით. მღვდელს შეუძლია თუ არა, ადგილობითი ბლაღოჩინი დაითხოვოს და სხვა, უმახლობელესს ბლაღოჩინთან გადაირიცხოს თავი?

მიგ. მღვდელს მთავრობის ნებადაურთველად არ შეუძლია და ისიც მაშინ, თუ საპატიო მიზეზია.

კით. მთავარ დიაკონს შეუძლია თუ არა მღვდლის ნება-რთვით სოფელში ნაკურთხი წყალი აკაროს და სახლები აკურთხოს და აგრეთვე მღვდლის დაუსწრებლად ალაპი აკურთხოს?

მიგ. არ შეუძლია.

კით. შეუძლია თუ არა მღვდელს დაითხოვოს სამსახურში გამოუცდელი და წერა-კითხვის სუსტად მცოდნე მედავითნე სამსახურიდან?

მიგ. განწესებული მედავითნის დათხოვნა მღვდელს არ შეუძლია მღვდელ-მთავრის ნება-დაურთველად.

კით. შეუძლია თუ არა მღვდელს, ორ მიცვალებულს ერთად აუგოს ანდერძი?

მიგ. შეუძლია.

კით. კალენდარში შენიშნულია და ჟამნშიაც უქმედ ითვლება 24 ივნისი და 1 ოკტომბერი, ხოლო ზოგიერთნი ჩვენი თანამოძმენი არ უქმობენ ამ დღეებს.

მიგ. ალბად არ იციან, თუ არ უქმობენ, თორემ უქმედ სწერია და წირვა-ლოცვაც მიუცილებლად უნდა აღასრულონ ამ დღეებში.

კით. უკანონოდ შობილმა ჯვარი დაიწერა ქალზე, იმათი შვილები როგორ უნდა ჩაიწერონ მეტრიკაში?

მიგ. იმ გვარად ჩაიწერება, რა გვარადაც არის ჩაწერილი ის, ვისაც დაებადნენ ისინი.

რედაქციის პასუხი.

მასწ. ს. ჯან—ას. იმ პირთ, რომელთაც ორივე გამოცემა ეთმობა სამ მანეთად, პრემიები არ ეგზავნებათ.

მდ. გ. ჯან—ძეს. თქვენ კი არ დაგაკლდათ, არამედ ჩვენ, რომ თქვენგან არა მიგვიღია რა. აქნობამდისინაც რომ აგრე მოქცეულიყავით, კაგრს იზამდით, რა გაეწყობა! ღმერთმან შეუნდოს მისი შეცოდებანი და სამი მანეთის ზარალი არას იზამს.

მდ. დ. სარ—ძეს. ნუ თუ ასე შორს არის თქვენზე სიღნალი, რომ არასოდეს არ მოგიხ-

დათ ამ ქალაქში მისვლა? ვეცდებით, როგორმე აგისრულოთ თხოვნა.

მდ. ეპ. ხონელიას. სულით და გულით თანაგრძნობა და მწუხარება გამოიწვია თქვენმა წერილმა. მაგრამ თქვენ, როგორც მოძღვარს, სიმხნე გმართებს. ჰირი მართალთაო, ხომ გაგიგონიათ. ხშირად წარმოიდგინე ხოლმე ჩვენი სტუმრული ცხოვრება ამ ქვეყანაზე, გაერთეთ კარგი საკითხავებით და თქვენი მოვალეობის აღსრულებით მაცხოვრის სიტყვისამებრ. ამ საშუალებით თქვენ გამხნევდებით და მწუხარება აგშორდებათ.

ალ. სტ. შალ—ძეს. დიდის კმაყოფილებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას. თქვენს დასაც გაგზავნება „მწყემსი“ ქუთაისში.

დ. ტერ-დავითიანს. ისე უპატიოსნოდ იქცევიან ზოგიერთი წიგნების გამყიდველნი, რომ თითქმის ნდობა დაგვიკარგეს ყველა იმ პირებზე, რომელთაც დაახლოვებით არ ვიცნობთ. წიგნების გამყიდველებს ნაცვლად 20% პრემიისა, საუმჯობესოდ მიაჩნიათ სულ მთელი ფასი წაიღონ და მიაქვსთ კიდეც!.. საუმჯობესოა ჩვენთვის 30% დაუთმოთ, მაგრამ ნაღდ ფულზე და არა ხელ-ღლებით.

ქ-ნს მაისს ვორდროპს. რამდენადაც სამწუხაროა ჩვენთვის ‘ჩვენი ქართველი ქალებისაგან ქართული ენის დავიწყება, იმდენად სასიხარულოა თქვენ, ინგლისელი ქალისაგან აგრე კარგად ქართული ენის შესწავლა. დიდად ვისიამოვნეთ თქვენი წერილით. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება: ინგლისელ ქალს „მწყემსი“ საინტერესო საკითხავად მიგაჩნიათ და ფულს იგზავნებით მის დასაკვეთად მაშინ, როცა ზოგიერთი ჩვენი «წარჩინებული» მოძმენი არარად სთვლიან ამ გაზეთს!

რომს (იტალიაში) მ. თამარიდის. დიდათ გმადლობთ თქვენი მოკითხვისა და თანაგრძნობისათვის. მეც ძლიერ ვწუხვარ, რომ თქვენ რომში ვერ განახეთ აგვისტოს თვეში. იმედი გვაქვს დაგვეხმარებით ხოლმე საჭირო ცნობების შესაკრებად მანდაურ არხივებში ჩვენი ქვეყნის და ხალხის შესახებ.

მოძღ..მოძღვს მდ. ნ. ჩ—ნს. თქვენ იწერებით: „ამ წლის ფულს ვგზავნიო“. მაგრამ დაგვიწყნიათ, რომ წარსულ წელში ერთი მანეთის მეტი არ შემოგიტანიათ. ორი მანეთი წარსული წლის ანგარიშში მივიღეთ და თუ მარტის პირველს არ შემოგიტანიათ ორი მანეთი, მერე გაზეთი აღარ გამოგეგზავნებათ.

მდ. ერ. ჯიბლაძეს. ვის მიეცით წარსული წლის ჟურნალის ფული? გთხოვთ გვაცნობოთ ღია წერილით.

ბ. ი. ისაკაძეს. საინტერესოა ბიოგრაფიული შენიშვნები მლვდელს ავადიანზე, მაგრამ მის სიცოცხლეში დაბეჭდვა რაღაცა მოუხერხებლად მიგვაჩნია და ამისთვის არ იბეჭდება.

შინაარსი:

ოფიციალური განყოფილება: ცირკულიარული მიწერილობა ყ-დ სამღვ. იმერთის ეპისკ. ლეონიდისა ბლაღონინებისადმი 28 დეკემბრიდან 1900 წ.—მთავრობის განკარგულებანი —უწმ. სინოდის განჩინება.

საინტერესო განყოფილება: რედაქციისაგან.—იმერეთის ეპარქიის სამღვ. დეპუტ. კრება ქუთაისში 15 დეკემბერს.—არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?—ჰანაშვილი, გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად. დ. ყვირილაში.—ვაი ჩვენ სირცხვილ! დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—ვისაც გულს გიწყლავს უმედობა, (ლექსი) ილ. ფერაძისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ საროვნ. და კეთილ-ზნეობაზე: ხმა მაცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი.—საეგვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 Февраля *1901 г.* ✦ *Цензоръ прот.* Е. Е л е в е в

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ. въ д. Л. Дейсадзе на Нѣмецкой ул.